

675-7
1992
✓4

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

ISSN—0132—6058



მასპნა

ისტორიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების
ისტორიის
სერია

4

1992

საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემიის
მაცნე (1773)
2-42

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

Известия Академии наук Грузии

ისტორიის,
ეთნოგრაფიისა და
სელოვნების ისტორიის
სერია


20130

СЕРИЯ
ИСТОРИИ,
ЭТНОГРАФИИ И
ИСТОРИИ ИСКУССТВА



4. 1992

საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემიის
მაცნე



სარედაქციო კოლეჯი: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, გ. გიორგაძე,
ვ. ითონიშვილი, ი. კაჭარავა, მ. ლორთქიფანიძე, გ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი
(რედაქტორი), დ. მუსხელიშვილი, თ. ყორდანიას, ე. ხომტარია-ბროსე (რედაქტორის
მოადგილე), თ. ცქიტიშვილი, ლ. ჭილაშვილი, ნ. ჯანბერიძე.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, Г. Г. Гиоргадзе, О. К. Жордания, В. Д. Итонишвили, Ю. М. Качарава, М. Д. Лордкипанидзе, Г. А. Меликишвили, Р. В. Метревели (редактор), Д. Л. Мухелишвили, Э. В. Хоштария-Броссе (заместитель редактора), О. В. Цкитишвили, Л. А. Чилашвили, Н. Ш. Джанберидзе.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, დ. გამრეკელის ქ. № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Д. Гамрекели, 19
ტელეფონი 37-85-50 Телефон

შ ი ნ ა რ ს ი

წერილები

გ. ჩხაიძე, საქართველოს უახლესი ისტორიის ფურცლები	5
გ. ყორანაშვილი, ეთნიკური ფორმები ადრეკლასობრივ და ფეოდალურ საზოგადოებებში	13
ვ. ლორთქიფანიძე, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ისტორიული მიმოხილვა XIX საუკუნემდე	36
ტ. ახალაია, მოლაშქრე XI—XIV საუკუნეების საქართველოში	48
ვ. დუნაშვილი, ცხრაზმის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია XIV ს-ის 20—50-იან წლებში	70

ცნობები და შენიშვნები

გ. ჯაფარიძე, დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან	84
ნ. ჯაბუა, საქართველოს და ქრისტიანული ქვეყნების ბაზილიკების ურთიერთმიმართების შესახებ	90
წ. ბრავაძე, სტრაბონის ერთი ცნობის გაგებისათვის	97
ხ. იოსელიანი, ტრადიციული სევანური სუფრა	102

დისკუსია და განხილვა

მ. ხოშტარია-ბროსე, კვლევა „საყდრისშვილების“ ინსტიტუტის თავისებურებისათვის საქართველოს მთაში და მთის საზოგადოების ბუნების საკითხი	113
--	-----

კუბლიკაცია

ა. მენტეშავილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია	128
გ. საითიძე, მასალები რუსეთ-იმერეთის ურთიერთობის ისტორიისათვის (XVII ს-ის 50-იანი წწ.)	144

მწერალი და ისტორია

შ. კალანდაძე, ფრიდრიხ შილერი და ისტორიული მეცნიერება	161
--	-----

წარსულის საზოგადო მოღვაწენი

ლ. მიქელაძე, აკაკი ხოშტარია: ქველმოქმედი და მეცენატი	169
--	-----

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

Г. В. Чхаидзе, Страницы новейшей истории Грузии	5
Г. В. Коранашвили, Этнические формы в докапиталистических классовых обществах	13
В. Г. Лордкипанидзе, Исторический обзор состава населения Самцхе-Джавახети до XIX века	36
Т. З. Ахалаиа, Воин в Грузии XI—XIV веков	48
В. Д. Гунашвили, Политическая история Цхразмийского эриставства 20—50-х годов XIV века	70

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Т. И. Джапаридзе, Из истории внешней политики Давида IV Строителя	84
Н. А. Джабуа, О взаимоотношениях базилик Грузии и христианских стран	90
З. Д. Брагвадзе, К понятию одного сведения Страбона	97
Х. А. Иоселиани, Традиционное сванское застолье	102

ДИСКУССИИ И ОБСУЖДЕНИЯ

Э. М. Хоштария-Броссе, О своеобразии института «сакдрисшвили» в горных регионах Грузии и вопрос о природе горских обществ	113
---	-----

ПУБЛИКАЦИИ

А. М. Ментешавили, Грузинская демократическая республика и Парижская мировая конференция	128
Г. Г. Саитидзе, Материалы из истории русско-имеретинских отношений (50-е годы XVII в.)	144

ПИСАТЕЛЬ И ИСТОРИЯ

М. Л. Каландадзе, Фридрих Шиллер и историческая наука	161
---	-----

ОБЩЕСТВЕННЫЕ ДЕЯТЕЛИ ПРОШЛОГО

Л. Г. Микеладзе, Акакий Хоштария, благотворитель и меценат	169
--	-----

პურამ ჩხაიძე

საქართველოს უახლესი ისტორიის ფურცლები

1924 წლის აგვისტოს აჯანყებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართველი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში. ამ დროს არსებული რეჟიმის წინააღმდეგ აღდგა ქართველი ხალხი. ჯერ კიდევ 1922 წლის აგვისტოში შეიქმნა აჯანყების მოსამზადებელი ხელმძღვანელი ცენტრი — „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, რომელშიც შევიდნენ პოლიტიკური პარტიები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია და ე. წ. „სხიველები“. თავდაპირველად „კომიტეტს“ თავმჯდომარეობდა ნ. ქარცივაძე. ხოლო შემდეგ კ. ანდრონიკაშვილი. „კომიტეტთან“ ჩამოყალიბდა ე. წ. „სამხედრო ცენტრი“, რომელიც პრაქტიკულად უწყვედა ხელმძღვანელობას აჯანყების მომზადებას. მისი თავმჯდომარე იყო დიდი ილიას დისწული გენერალი კოტე აფხაზი. წევრები — გენერლები ალ. ანდრონიკაშვილი და ვ. წულუკიძე, პოლკოვნიკები — გ. ზიმშიაშვილი, რ. მუსხელიშვილი, ლაშქრის უფროსებად დაინიშნენ: კახეთში — პოლკოვნიკი ქაიხოსრო (ქაჭუცა) ჩოლოყაშვილი, ქართლში — მ. ლაშქარაშვილი.

„სამხედრო ცენტრი“ ხელმძღვანელობდა 1922 წლის ზაფხულში გამოსვლებს კახეთსა და ხევსურეთში. მაგრამ ხელისუფლებამ შეძლო ამ გამოსვლების სისხლში ჩახშობა. ამას დაემატა 1923 წლის თებერვალში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრის კ. მისაბიშვილის მიერ „სამხედრო ცენტრის“ მთელი შემადგენლობის გაცემა და დაიწყო სისხლიანი ანგარიშსწორება. 1922 წლის მაისში დახვრეტილნი იქნენ გენერლები: კ. აფხაზი, ა. ანდრონიკაშვილი, ვ. წულუკიძე, პოლკოვნიკები — რ. მუსხელიშვილი, გ. ზიმშიაშვილი, ვლ. გულისაშვილი, ა. მაჭავარიანი, ს. მუხრან-ბატონიშვილი, ფ. ყარაღაშვილი, ლ. კლიშიაშვილი და სხვები.

აჯანყების ხელმძღვანელი ცენტრის განადგურებას არ შეუჩერებია ქართველი ხალხის ლტოლვა თავისუფლებისაკენ. აჯანყების მოსამზადებელ სამხედრო სამუშაოთა ხელმძღვანელობა იკისრა „პარიტეტული კომიტეტის“ ე. წ. „სამხედრო კომისიამ“. მასში შევიდნენ სოციალ-დემოკრატი კ. ანდრონიკაშვილი, ეროვნულ-დემოკრატი ი. ჯავახიშვილი, სოციალ-დემოკრატები გ. ფაღავა და ვ. ნოდია, ეროვნულ-დემოკრატები გ. წინამძღვრიშვილი და ს. ზალდასტანიშვილი. „კომისია“ ეყრდნობოდა თბილისში სამხედრო-ქვეკომისიას, ადგილებზე კი საოლქო პარიტეტულ კომიტეტებთან არსებულ სამხედრო ორგანიზაციებს ან საგანგებო სამხედრო რწმუნებულებს.

„სამხედრო კომისიამ“ მთელი საქართველო დაყო სამოქმედო რაიონებად. დანიშნა სარდლები და მისი თანაშემწეები. სარდლებად დანიშნენ: ქ. ჩოლოყაშვილი, ა. ჯანდიერი, შ. სიდიამონ-ერისთავი, ბ. ლალიანი, გ. ჭკიაშვილი, ს. ყარალაშვილი, ი. ფურცელაძე და სხვები.

რაიონის სარდლები ამოცანების შესრულების შემდეგ სამაზრო ქალაქებს უნდა დახმარებოდნენ. გათვალისწინებული იყო ჩრდილო-კავკასიის მთიელებიდან დახმარების მიღება. ამ მიზნით იქ გაგზავნეს მაიორი ვ. ბერიძე, როტმისტრი ი. ავალიშვილი და შვიდი ოფიცერი.

აჯანყებისათვის იარაღის შოვნა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. იქმნებოდა შეიარაღებული რაზმები. ყველაზე დიდი იყო კახეთში მოქმედი რაზმი ქაქუტა ჩოლოყაშვილის მეთაურობით, ქართლში — მ. ლაშქარაშვილის, ბორჯომის რაიონში — კასრაძის, სვანეთში — გარდაფხაძის, გურიაში — მათითაიშვილის ხელმძღვანელობით.

ნავარაუდევია იყო, რომ აჯანყების წინა თვეს „სამხედრო კომისიის“ ფუნქციები და მთელი ხელმძღვანელობა გადასცემოდა მთავარსარდალს, რომელიც შექმნიდა სამოქმედო შტაბს.

მთავარსარდალად შეირჩა ოზოზიციის ყველა პარტიისთვის მისაღები პირი — გენერალი ს. ჭავჭავაძე. მას თანაშემწედ დაენიშნა ორი პოლკოვნიკი.

აჯანყებისათვის მზადებამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია 1924 წლის გაზაფხულისათვის. მისში საზღვარგარეთიდან თბილისში ჩამოვიდნენ და მუშაობაში ჩაებნენ ვ. ჯულელი, ბ. ჩხიკვიშვილი, ვ. მეგლაძე და ი. ცენტერაძე — ყველა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები. ამავე დროს მიღებულ იქნა პარიზიდან ნოე ყორანაიას წერილი, რომელშიც იგი ღირებულებას აძლევდა „პარტიულ კომიტეტს“, რომ აჯანყებას უნდა ჰქონოდა მთელი კავკასიის მასშტაბით ერთდროული ხასიათი: „მხოლოდ ამ შემთხვევაში — წერდა იგი — ევროპა მოგვაქცევს სერიოზულ ყურადღებას და გავიწვევს დახმარებას“.

აჯანყებისთვის მზადება ჯერ არ იყო დამთავრებული, როდესაც 25 ივნისს დააპატიმრეს მისი ერთ-ერთი აქტიური წევრი ბ. ჩხიკვიშვილი. ამის შესახებ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოშვებულ პროკლამაციაში „საქართველოს მშრომელ ხალხს“ ნათქვამია: „25 ივნისს ჩეკის აგენტებმა დააპატიმრეს ბენია ჩხიკვიშვილი, რომელიც ამას წინათ უტხოვითიდან საქართველოში დაბრუნდა. საკმარისი იყო ეს მცირე საბაბი, რომ საოკუპაციო ხელისუფლების აგენტებს აეტეხათ საშინელი ღრიალი და განგაში. არიქა! ვიღუპებით. მენშევიკები აჯანყებას გვიწყობენო!“ დღიდან საქართველოს დაპყრობისა საოკუპაციო ხელისუფლება ცდილობს ქართველი ხალხის სრულ დამონებას, მაგრამ ამოდ, ხალხი თავისას არ იშლის და განაგრძობს ბრძოლას დამპყრობლების წინააღმდეგ. და აი, დღეს, როდესაც წყდება საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი, როდესაც საქართველოს განთავისუფლების საკითხი ამა თუ იმ სახით უნდა წამოიჭრას ლონდონის კონფერენციის დღის წესრიგში, მოსკოვის მოსყიდული აგენტები მიმართავენ ყოველ საშუალებას, რომ ხელიდან არ გაუშვან გემრიელი ლუკმა. ისინი გრძნობენ, რომ ადრე თუ გვიან უნდა აიბარგონ საქართველოდან და თავის არსებობის გასახანგრძლივებლად ცდილობენ შექმნან ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მთელი განმანათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში ერთი და ორი კაცის საქმე იყოს. საბრალო ტირანები! მათ ავიწყდებათ, რომ ერის განთავისუფლების საქმეს

ჰქმნის არა ერთი და ორი პიროვნება, არამედ თვით ერის უმრავლესობა, რომ ერთის წაქცეულის ალაგს იჭერს კვლავ ასი და ათასი მებრძოლი და აი, ესაა ჩვენი გამარჯვების თავდები“¹.

1924 წლის ივლისის შუა რიცხვებში შედგა „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ გაფართოებული კრება. მას ესწრებოდა ოპოზიციის ყველა პარტიის წარმომადგენლები და „სამხედრო კომისიის“ წევრები. როგორც ამ კრების უშუალო მონაწილე პოლკოვნიკი ს. ზალდასტანიშვილი გადმოგვცემს კრებაზე მოსმენილი იქნა „კომიტეტის“ ყველა კომისიების ანგარიში აჯანყების მზადებასთან დაკავშირებით. „სამხედრო კომისიამ“ აღწერა რაზმელების ძალები და ამის შემდეგ საბოლოოდ დაისვა აჯანყების საკითხი. „სამხედრო კომისიამ“ აჯანყების ხელმძღვანელობა დააკისრა მთავარსარდალს და მის შტაბს. კრებაზე მთავარსარდალმა გენერალმა ს. ჭავჭავაძემ განაცხადა, რომ მას ძალები საკმარისად მიაჩნია აჯანყების დასაწყებად. მთავარსარდალის გადაწყვეტილება ყველა პარტიის მიერ იქნა გაზიარებული. აჯანყების გეგმის დეტალურ დამუშავებას შეუდგა მთავარსარდალი.

აჯანყების დაწყების დღედ დაინიშნა 17 აგვისტო. გამოსვლა უნდა დაწყებულიყო თბილისში. გარედან ქალაქს უნდა დახმარებოდნენ ქ. ჩოლოყაშვილის, მ. ლაშქარაშვილის, გ. ნაცვლიშვილისა და ე. ვაჩნაძის რაზმები. განსაკუთრებით იერიში უნდა მიეტანათ ვაჟიანის მიდამოებში დაბინავებულ საარტილერიო უარნიზოზე, სადაც 120 ზარბაზანი იყო. ამასთან ერთად, აჯანყება ერთბაშად უნდა დაწყებულიყო მახრებში — მთელი საქართველოს მასშტაბით.

მაგრამ არ ეძინა ხელისუფლებასაც. ივლისის ბოლოს დააპატიმრეს „კომიტეტის“ აქტიური წევრები: გ. ფალავა, ვ. ლლონტი, გ. წინამძღვრიშვილი და სხვები, ხოლო 6 აგვისტოს ღამით — ვ. ჯუღელი. ხელისუფლებისთვის ცნობილი გახდა აჯანყების დათქმული დრო და მიიღო კონტროლმები. თბილისში შეყვანილი იქნა ჯარის დამატებითი ნაწილები. ქალაქის ირგვლივ შეიკრა გზები. საღამოს 9 საათიდან თბილისში შემოსვლა და გასვლა აიკრძალა. გაამაგრეს ქალაქის მნიშვნელოვანი პუნქტები, ქუჩებში შემოდებული იქნა სადღეღამისო პატრულირება. დაიწყო საეჭვო პირების დაპატიმრება.

შექმნილმა სიტუაციამ დაბნეულობა შეიტანა აჯანყებულთა რიგებში. წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა პოლიტიკურ პარტიებში. ბევრი და მათ შორის მთავარსარდალი გენერალი ს. ჭავჭავაძე მოითხოვდა აჯანყების დროის გადაწვეას.

18 აგვისტოს შედგა პლენარული სხდომა, რომელმაც ხმების უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების დაწყების შესახებ. სხდომაზე იმსჯელეს ვ. ჯუღელის მიერ ციხიდან 12 აგვისტოს გამოგზავნილ წერილზე, სადაც იგი წინადადებას აძლევდა აჯანყების მომხრეებს მოეხსნათ აჯანყების საკითხი, რადგანაც როგორც ვ. ჯუღელს მიაჩნდა მოლაღატეების მიერ მთელი შეთქმულება გაცემული იყო და მისი შემდგომი გაგრძელება მხოლოდ უბედურებას მოუტანდა ხალხს. „ჩემთვის სრულიად აშკარად გახდა, რომ იმ დიდ საკითხს, რომლითაც სხვაზე უფრო მე ვიყავი გატაცებული, წინდაწინვე აქვს გადაწყვეტილი ბედი და დიდი ავანტიურის გარდა, მისგან არა-

¹ დოკუმენტის ნაწილი ქვეყნდება პირველად. იგი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ფერი გამოვა“, — წერდა იგი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

22 აგვისტოს „კომიტეტის“ სხდომაზე საბოლოოდ დაზუსტდა აჯანყების თარიღი. შეიარაღებული აჯანყების დღედ დაინიშნა 29 აგვისტო, დილის 2 საათი. 25 აგვისტოს 5 საათზე აჯანყების მთავარი შტაბი მთავარსარდლითურთ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანაკში გადავიდა, რომელიც თბილისიდან 20 კილომეტრზე სოფელ ნახშირის გორასთან იყო დაბანაკებული. მაგრამ ამ პერიოდისათვის ინიციატივა უკვე ხელიდან გაშვებული აღმოჩნდა. ხელისუფლებამ, რომლისთვისაც ცნობილი შეიქმნა აჯანყების დაწყების თარიღი, უკვე 28 აგვისტოს გამოაცხადა სამხედრო წესები. დაიკავეს და გაამაგრეს უმნიშვნელოვანესი პუნქტები, მოამზადეს საბრძოლველად მთელი არსებული ძალები და ჯავშნოსანი მატარებელი. ამ რთულ სიტუაციას დაერთო ისიც, რომ შეთქმულებმა იწყეს შეუთანხმებელი მოქმედება. შეიარაღებული გამოსვლა დაიწყო 24 საათით ადრე დასავლეთ საქართველოში, ჭიათურაში 1924 წლის 28 აგვისტოს დილის 2 საათზე. საქართველოს დამოუკიდებლობის შორაპნის სამაზრო კომიტეტის მიერ 28 აგვისტოს გამოცემულ ბროკლამაციაში ვკითხულობთ:

„მამულიშვილნო! მეოთხე წელია მას შემდეგ, რაც ჩვენი ძვირფასი სამშობლო დაპყრობილია, მოსკოვის ჯალათების მიერ და გამეფებულია უსაშინლესი ტირანია. სისხლით და ცრემლით მორწყეს მტარვალებმა ჩვენი სამშობლო, ჩვენი მიწა-წყალი.

1918 წელში 26 მაისს საქართველოს დემოკრატიის მიერ მოპოვებული თავისუფლება ბორკილებად და ჩეკად გადაქციეს. მახვილით და ცეცხლით განადგურებულია ერის დოვლათი და მისი ნაამაგარი. ასობით გვიხვრეტენ და ცივს ჩრდილოეთში გვისახლებენ ჩვენი ერის საუკეთესო შვილებს, მაშინ, როდესაც, ქართველი ხალხის სისხლში დამთვრალნი სამშობლოს გამყიდველები ზეიმობენ და განცხრომაში ცხოვრობენ, დაყრდნობილნი რუსეთის უხეშ ძალაზე და ხიშტზე. თქვენ იცით, რომ ქართველ ერს ამის მოთმენა არ შეუძლია. ის მრავალჯერ ყოფილა ასეთ მდგომარეობაში; ჩვენ მისთვის ბევრჯერ გვიბრძოლია, ბევრი სისხლი დაგვიღვრია და ყოველთვის გამარჯვებული გამოვსულვართ. ჩვენ გვიყვარს ჩვენი სამშობლო, თავისუფლება და მას არავის დავეუბნობთ.

ქართველი ერი, დაწყებული 1921 წლის თებერვლიდან, ჩაბმულია განმათავისუფლებელ მოძრაობაში; მან უმაგალითო ბრძოლა გამართა მტარვალური ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში გაერთიანებულია მთელი ქართველი ერი, მთელი მისი მშრომელი დემოკრატია. ის დარაზმული ეროვნული დროშის ქვეშ, უცდიდა ზელსაყრელ პირობებს, რომ ძლიერის იერიშით ჰკვეთოდა მტერს და ეს ზელსაყრელი პირობებიც დადგა.

სამშობლოს განთავისუფლების ზარმაც ჩამოჰკრა და ქართველი ერი, სხვა მეზობელ, ჩვენებრ დაჩაგრულ ერებთან ერთად, ეკვეთა მტარვალებს. გაჩაღებულია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, ამ ბრძოლაში ჩვენთანაა მთელი კულტურული კაცობრიობა; ჩვენსკენაა მათი სიმპატია და თანაგრძნობა. და დარწმუნებული ვართ, რომ ქართველი ერის მხნეობით, მისი სახელოვანი მხედრობის მეოხებით, ეს

დაწყებული საქმე გამარჯვებით დაგვირგვინდება. საქირთა მხოლოდ, მეტი მხნეობა, მეტი სიმტკიცე, ქართველური მამაცობა და თავგანწირვა.

ჩვენ ხელთა ეხლა ჩვენი ძვირფასი სამშობლოს ხსნა, მისი ბედი. ყველა სამშობლოს საღარაჯოზე, მის სამსხვერპლოზე, ვისაც რით შეგიძლია, აი, ჩვენი დევიზი, ჩვენი მოწოდება. აქეთვე უნდა იყოს მიპყრობილი მთელი ჩვენი ყურადღება და მთელი ჩვენი საქმიანობა.

მედგრად წინ სამშობლოს გასანთავისუფლებლად, მისი უფლებების აღსადგენად.

ჩვენ დაუშუბტიცებთ მთელ კაცობრიობას, რომ შეგვწევს ძალა და უნარი ერის უფლებების და მისი სუფერენობის დასაცავად².

აჯანყება დასავლეთ საქართველოს დიდ ტერიტორიაზე გაიშალა. შეიარაღებულ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი შორაპნის, ჭიათურის, სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ქუთაისის და სვენეთის მაზრებში. განსაკუთრებით ფართო ხასიათი ჰქონდა აჯანყებას გურიაში, სადაც აჯანყებულთა მხარეზე გლეხობის დიდი უმრავლესობა აღმოჩნდა. ოდნავ მოგვიანებით აჯანყებაში ჩაება გარე კახეთის მაზრებიც. აქ მამაცურად მოქმედებდნენ ჭაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმელები. მაგრამ ძალთა თანაფარდობა მეტად არათანაბარი იყო. ხელისუფლებამ ისარგებლა რა შეთქმულთა შეუთანხმებელი მოქმედებით და დაშვებული შეცდომებით, შეძლო საკმაოდ სწრაფად ემოქმედა. აჯანყება გამოვიდა დაქსაქსული. არ იყო რეგულარული, მყარი კავშირი აჯანყებულთა ცალკეულ ჯგუფებს შორის. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები აჯანყების სფეროში ვერ გასცდნენ თავიანთ ვიწრო პარტიულ ინტერესებს. აჯანყება ფაქტობრივად ხელმძღვანელობის გარეშე დარჩა. აჯანყების შტაბი და მთავარსარდალი მოწყვეტილი აღმოჩნდა სიტუაციისგან. ყოველივე ამან დასაღუპავად გასწირა 1924 წლის აგვისტოს აჯანყება. ხელისუფლებამ იგი სისხლში ჩაახშო. აჯანყების მრავალი მონაწილე იქნა დაპატიმრებული და რეპრესირებული.

მაგრამ 1924 წლის აგვისტოს აჯანყება კიდევ დიდხანს ცოცხლობდა ხალხის გულში. ამ მხრივ საინტერესოა 1927 წლის აგვისტოში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის საიდუმლო სტამბაში დაბეჭდილი ფურცელი „ისტორიული აგვისტო (მესამე წლისთავი)“, სადაც ნათქვამია:

„1924 წლის (28—29) აგვისტო სისხლიანი ასოებით აღიბეჭდა ქართველი ერის ისტორიაში. ამ დღეს ჩვენმა ქვეყანამ მიიტანა უდიდესი მსხვერპლი თავისუფლების წმინდა საკურთხეველზე. რატომ აჩქეფდა ამ დღეს ქართველი ერის უმანკო სისხლი? სად უნდა ვეძიოთ აგვისტოს ტრაგედიის ისტორიული მიზეზი? ამის პასუხს იძლევა სწორი ანალიზი იმ სოციალურ-პოლიტიკური წყობილებისა, რომელიც გაბატონდა ჩვენში 6 წლის წინად.

1921 წ. მტერმა მახვილი ჩასცა დამოუკიდებელ საქართველოს. ოკუპანტები ქურდულად წამოგვეპარნენ. საქართველოს საზღვრები ჩუმად გადმოლახეს. ვერავლად თავს დაგვესხნენ. ხალხი სისხლიდან დასცალეს. იარაღით დაიპყრეს. ჩვენს მიწა-წყალს ძალით დაეპატრონენ. საქართველოში უცხო ელემენტები გააბატონეს. ქართველი ერი უნდობლობის ქვეშ დააყენეს. ქვეყნის ერთგული შვი-

² დოკუმენტი ქვეყნდება ბირველად. დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ლები კანონს გარეშე გამოაცხადეს. კისერზე მონობის მძიმე უღელი დაგვადეს. ხელ-ფეხი შეგვიკრეს. ენა ამოგვართვეს. ეროვნული თავმოყვარეობა შეგვიღახეს. სამშობლო კერა აგვიოხრეს. თავისუფლება მონობით შეგვიცვალეს. ლხინი — ჭირად გავგიხადეს. მთელი მხარე სატუსალოდ გადაგვიქციეს. ყველგან ზიშტი და მათრახი გააბატონეს, ეროვნული სხეული დასჭრეს და აწამეს.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას არ შეეძლო უპასუხოდ დაეტოვებინა ოკუპანტების ასეთი თავგასულობა და აღვირახსნილი თარეში. ეს იქნებოდა უდიდესი დანაშაული ერისა და ისტორიის წინაშე. ასეთ დანაშაულობას ვერ ჩაიდენდა მებრძოლი პარტია, რომელიც თავიდანვე მდგომარე იდგა ეროვნულ საღარაჯოზე.

ვხელმძღვანელობდით რა ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებით, ჩვენ ენერგიულად მოვითხოვდით ერის სუვერენობის აღდგენას, საქართველოში სამხედრო მდგომარეობის მოხსნას, საოკუპაციო ჯარების გაყვანას, ყველა დაწესებულებათა სრულ გაეროვნებას, რეპრესიების შეჩერებას და საქართველოს მოსახლეობასთან ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას.

ასეთი ზომების გატარებით გვინდოდა თავიდან აგვეშორებინა ის აუცილებელი გართულება და სამწუხარო ექსცესები, რომელსაც ობიექტურად ნიადაგს უმზადებდა ოკუპანტების მკაცრი რეჟიმი. პარტიამ მთელი თავისი ძალ-ლონე მოანდომა კითხვების მშვიდობიანი გზით გადაჭრას. ყველა საშუალება ამოიწურა ამ მიზნის მისაღწევად. მაგრამ ოკუპანტების ხელისუფლებამ არ გაიგონა ისტორიის ძახილი. ჩვენი სამართლიანი ხმა. ქართველი ერის დევნა კი ისევ გრძელდებოდა. რეპრესიები კიდევ უფრო ძლიერდებოდა. ჩეკას სარდაფები მებრძოლებით კვლავ ივსებოდა. მდგომარეობა დღითიდღე რთულდებოდა და აუტანელი ხდებოდა.

ვერ აიტანა ქართველმა ერმა ამდენი ტანჯვა და წამება. ძალზე დაიჭიმა ხალხის ნერვები. აივსო მოთმინების ფიალა. პაერი გაიყვინთა ბრძოლის სუნით. საზოგადოების-ყველა ფენა დაირაზმა საერთო მტრის წინააღმდეგ. ყველა მებრძოლი პარტია გაერთიანდა. ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი არჩიეს. იარაღით დაპყრობილმა ერმა იმავე იარაღს მიმართა თავისი უფლებების დასაცავად. სხვა გზა და საშუალება მას წაერთვა...

და როდესაც მოახლოვდა აგვისტოს ქარიშხალი, ხალხის ერთგული შვილები ევაკუირად წელში გაიმართნენ, იარაღი აისხეს და მტერს ეკვეთენ. გაჩაღდა შეუპოვარი ბრძოლა. ქალაქები და სოფლები გაეხვიენ ცეცხლის ალში. მთელი საქართველო გადაიქცა ბრძოლის ასპარეზად. ავუგუნდნენ ოკუპანტების ზარბაზნები, ალაპარაკდნენ ტყვიის მფრქველები. ამუშავდნენ ჯალათების ზიშტები. ათასობით გმირი დაეცა ბრძოლის ველზე. აჩქედდა ქართველი ერის სისხლი. წითლად შეიღება მინდორ-ველი. პატარა ერმა ვერ გაუძლო ურიცხვი ჯარების იერიშებს. უსწორო ბრძოლაში დამარცხდა განმარტოებული საქართველო. შეწყდა მებრძოლთა აღდგროვანებული და მდგომარი ყოცინა, სისხლიდან დაცლილმა ხალხმა იარაღი

ხელიდან გაავდო. უხეში ძალის წინაშე მორჩილება გამოაცხადა; გულში ჩაისახა სიძულვილი მტარვალთა მიმართ.

ამის შემდეგ იწყება უფრო საშინელი ამბები, გამარჯვებული ოკუპანტები დაადგინენ აშკარა შურისძიების გზას. თავისუფლების ჯალათებმა არ დაინდვეს არც პოლიტიკური პატიმრები. ჩეკას სარდაფებში ჩაკეტილ ტუსაღებს ხელ-ფეხი შეუკრეს; საბარგო ავტომობილებზე ათასობით ჩაყარეს და ღამით ქალაქ გარეთ გაიყვანეს; ერის საუკეთესო შვილებს ტყვეებით შუბლი გაუხვრიტეს; ტვინი და სისხლი ერთმანეთში შეურიეს; ნახევრად ცოცხალი ადამიანები ორმოებში ჩაყარეს; ზევიდან მიწა და ქვები მიაყარეს; თვითონ კი სისხლში მოსვრილი ხელები დაიბანეს და უკან კმაყოფილები გამობრუნდნენ.

არც ეს იკმარეს ოკუპანტებმა. რუსეთის საკატორღო ციხეებში დიდი ზნის წინათ აჯანყებამდე, გადასახლებული და ჩაკეტილი საქართველოს გენიალური შვილები — დიდი რევოლუციონერები გამოიყვანეს და საღდაც რუსეთის უდაბნოში დახოცეს, ჩაფლეს და დასტოვეს უგზო-უკვლოდ.

დამარცხდა აგვისტოს გამოსვლები. თავისუფლების ჯალათებმა სისხლში ჩაახშვეს ერის საუკეთესო შვილები, მაგრამ არ მომკვდარა საქართველო. ვერ გამართლდა ის დიადი მიზანი, საითგენაც მისწრაფვის ქართველი ერი. ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი მსხვერპლი მიიტანა თავისუფლების წმინდა საკურთხეველზე, ეს მსხვერპლი უდიდესი საწინდარია ჩვენი მომავალი გამარჯვებისა. ვერც ტანჯვა და წამება, ვერც ციხე და გოლგოთა ვერ გასტენს ქართველი ერის გაკაეხულ გულს, ვერ შედრეკს მის გაფოლადებულ ნებისყოფას.

აგვისტოს ტრაგედიამ გათხარა სამუდამო უფსკრული საქართველოს და ოკუპანტებს შორის. ამ დღეს ქართველმა ერმა მთელ ქვეყანას აუწყა, რომ დიდებული რუსთაველის სამშობლო არასოდეს არ შეურიგდება იმ ხელისუფლებას, რომელმაც ის იარაღით დაიპყრო და ფიზიკურად გაანადგურა.

ქართველი ერი უძველეს დროიდან მედგრად იცავდა თავის ფიზიკურ არსებობას და ეროვნულ დამოუკიდებლობას. ამის მოწმეა ორი ათასი წლის მისი ბრწყინვალე ისტორია. ამ ხნის განმავლობაში დაირღვა ბიზანტია-რომის ცივილიზაცია. მოისპო და განადგურდა ამ ცივილიზაციის მქონე ხალხიც. ქართველმა ერმა კი XX საუკუნის მიჯნაზე მოიტანა თავისი ეროვნული შემოქმედება, კულტურა და დიდება. შეუძლებელია ასეთი ერის სიკვდილი! შეუძლებელია ასეთი ერის გადაგვარება!

მხოლოდ სამი წელი გვაშორებს ჩვენ უკვდავი აგვისტოს ისტორიულ დღეებს. მაგრამ ეს სისხლიანი სურათები ჯერ კიდევ ცოცხალია ხალხის გულში. მადლიერი ერი არასოდეს არ დაივიწყებს ბრძოლაში დაღუპულ გმირთა სახელებს. მომავალი საქართველო უდიდეს ეროვნულ დღესასწაულად გამოაცხადებს აგვისტოს სისხლიან დღეებს: ია-ვარდებითა და ფერადი ყვავილებით მორთავს გმირთა სასაფლაოებს. ტურფა ბაღნარად გადაიქცევა ეს წმინდა

ადგილი. აქვე აშენდება ეროვნული დიდების ტაძარი, რომელსაც ვერ წაშლის დროთა დაუსრულებელი ბრუნვა.

საქართველოს მემატთანე სისხლიანი ასოებით აღბეჭდავს ისტორიის ფურცლებზე აგვისტოს ამბებს, სისხლიან ისტორიას გადაფურცლავს ჩვენი მომავალი თაობა, მოკრძალებით გადაიციოთხავს ქართველი ერის თავგადასავალს. ქებასა და დიდებას შეასხამს დაღუპულ გმირებს, ჯალათებს კი სამუდამოდ დასწყევლის და შეაჩვენებს.

საქართველოს მგოსნები ხელთუქმნელ ძეგლს აუგებენ ბრძოლაში დაღუპულ გმირებს, ბროლივით დახვეწილი სიტყვებით მოქარგავენ სევდიან ლექსებს. ლექსთა თაიგულს მიუძღენიან ეროვნულ გმირთა ხსოვნას. თაიგული იქნება სამარადისო, მას ვერ დააქცნობს ვერც ზაფხულის სიცხე, ვერც ზამთრის ყინვა.

გაივლის დრო. წლებს შესცვლიან საუკუნეები. დაღუპულ გმირთა ძვლები დაიფერფლება, მაგრამ სახელი მათი მუდამ იცოცხლებს ერის გულში, ხალხურ თქმულებაში, საქართველოს მატთანეში... არა, არ მოკვდება დაღუპულ გმირთა სახელი, სანამ იარსებებს ქართველი ერი.

მესამე წლისთავზე ჩვენ მოვიგონებთ აგვისტოს სისხლიან დღეებს, მოვიგონებთ ბრძოლაში დაღუპულ საუკეთესო მამულიშვილებს. მოვიგონებთ იმათ თავგანწირულ ბრძოლას თავისუფლებისათვის და მოწიწებით მუხლს მოვიდრეკთ მათი ხსოვნის წინაშე.

დღეს ქართველი ერი ფიცს სდებს გმირთა საფლავების წინაშე, რომ საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანს იმ წმინდა საქმეს, რომელმაც შეიწირა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილები³.

რა აქტუალურად ჟღერს დღესაც ეს სტრიქონები.

Г. В. ЧХАИДЗЕ

СТРАНИЦЫ НОВЕЙШЕЙ ИСТОРИИ ГРУЗИИ

Резюме

В статье по-новому освещен и проанализирован один из важнейших моментов истории Грузии, в частности, восстание в августе 1924 года.

Статья написана на основании до сих пор неизвестных документов и объективно представляет национально-освободительное движение грузинского народа против установленного в стране тоталитарного большевистского режима.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა

³ დოკუმენტი ქვეყნდება პირველად. იგი ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

გურამ შორანაშვილი

ეთნიკური ფორმები ადრეალასოზრის და
ფეოდალურ საზოგადოებაში

აკაკი ჩხენკელი 1915 წელს წერდა: „არც ერთი ჩაგრული ერის მწერლობაში არ დაწერილა, ვგონებ, იმდენი ეროვნულ საკითხზე, რამდენიც ჩვენსაში, მაგრამ, როცა კითხვა რაოდენობიდან თვისებაზე გადადის, ვეჭვობ ამ მხრივაც უპირატესობა ჩვენ გვეკუთვნოდეს“¹. ეს ნათქვამი ეხება არა მარტო ამ საკითხით დაინტერესებულ ქართველ მოაზროვნეთა ნაშრომებს, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოაზროვნეებს, რომლებმაც ამ პრობლემის გააზრებას და გადაჭრას უძღვნეს თავიანთი შემოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს მოწინავე კულტურულ ერებს (ინგლისელებს, ფრანგებს, გერმანელებს და ა. შ.) ნაკლებად აინტერესებთ ეს პრობლემა, იგი მათთვის არ წარმოადგენს უშუალო პრაქტიკულ საჭიროებას და, ამდენად, არც თეორიული აზროვნების საგანს. მაგალითად, როდესაც ეროვნული საკითხი იტალიაში მწვავედ იდგა, გასული საუკუნის პირველ ნახევარში, იტალიელი პასკუალე მანჩინი ერთ-ერთი პირველი მოაზროვნე იყო, რომელმაც მთელი თავისი შემოქმედება ეროვნული საკითხის (ცხადია, თეორიულ პლანში) გააზრებას მოახმარა და საგრძნობი კვალიც დატოვა ამ მიმართულებით. მას შემდეგ არც ერთ იტალიელ ფილოსოფოსს ან მეცნიერს ამ მხრივ თავი არ გამოუჩენია. რუსეთში არც ვლ. სოლოვიოვი, არც გ. პლესანოვი და სხვა რომელიმე გამოჩენილი მოაზროვნე არ დაინტერესებულა ერის რაობით, მისი ნიშან-თვისებებით, წარმოშობით და ა. შ. თავი გამოიჩინეს აღნიშნული პრობლემის დაყენებასა და გადაჭრაში ავსტრიელმა სოციალ-დემოკრატებმა კ. რენერმა და ო. ბაუერმა, ე. ი. იმ ქვეყნის შვილებმა, რომელთათვისაც ეს პრობლემა უპირველესად პრაქტიკული საჭიროება იყო. ასევე, პრობლემა აინტერესებდათ იმ ხალხების მოაზროვნეებს, რომელნიც ეროვნულად დაჩაგრული იყვნენ — ჩეხებს, პოლონელებს, ებრაელებს, ქართველებს და სხვ.

რაც შეეხება მარქსიზმის კლასიკოსებს, მათთვის, როგორც ცნობილია, უძირითადესი საკითხი გახლდათ სოციალური საკითხი, ე. ი. სოციალისტური რევოლუციის გზით ახალი, უკლასო საზოგადოების დამყარება და აშენება. ასე რომ, ეროვნულ პრობლემას კ. მარქსი და ფ. ენგელსი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. მათ არ დაუტოვებიათ არც ერთი ნაშრომი, მცირე მოცულობის სტატიაც კი, მოცემული საკითხის გასააზრებლად. მაგრამ მიუხედავად ამისა,

* მოხსენდა ყოფილ „იმელ“-ში გამართულ სხდომას 1983 წლის 14 ნოემბერს, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საჯარო სხდომას იმავე წლის 29 ნოემბერს (იბეჭდება შემოკლებით).

¹ ა. ჩხენკელი, ერი და ჩვენ, ქუთაისი, 1915, გვ. IV.

მაინც უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებით ფ. ენგელსის ნაშრომებში გვხვდება მთელი რიგი აზრებისა, რომლებიც ცხადყოფენ საკითხის მთელ რიგ მომენტებს. რაგინდ პარადოქსულად არ უნდა გამოჩნდეს, აღვნიშნავთ, რომ მარქსიზმის კლასიკოსების ნააზრვეი ეროვნული საკითხის გარშემო, გაფანტული მათს ნაშრომებში და გამოთქმული სხვადასხვა დროს, დღემდე არ არის წარმოჩენილი და სისტემაში მოყვანილი. ისინი მიუთითებდნენ ერის მთელ რიგ ძირითად ნიშან-თვისებებს: ენას, ტერიტორიის ერთობას, ეროვნულ ხასიათს, ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობებს, კულტურის ერთობას. მათ, ისევე, როგორც ი. კანტმა და მ. ჰეგელმა მანამდე, მოგვცეს მთელი რიგი დასავლეთევროპული ერების — ინგლისელების, ფრანგების, გერმანელების, იტალიელების, ირლანდიელების და სხვ. ეროვნული ხასიათების აღწერილობები. ამის გარდა ისინი ლაპარაკობდნენ ერების განწყობილებებზე, ეროვნულ გრძნობაზე და სხვ. ერთი სიტყვით, ეროვნული ფსიქოლოგია, „ფსიქიკური წყობა“² მათ არ დაჰყავდათ ეროვნულ ხასიათამდე. ასევე მათ არავითარი ეჭვი არ ეპარებოდათ ერის კულტურის ერთობაში. განსაკუთრებით ფ. ენგელსი იძლეოდა წინაეროვნული ეთნიკური ფორმების რაობას, ნიშან-თვისებებს. იმავე ფ. ენგელსს საინტერესო აზრები ჰქონდა ერის წარმოშობის თაობაზე. მაგრამ ამაზე შემდგომ შეგვიჩვენებთ.

აქ კვლავ გავიმეორებთ ზემოთქმულს: ყოველივე აღნიშნული არაა წარმოჩენილი მთლიანობაში, სისტემის სახით. მხოლოდ ეჟრნ. „Вопросы истории“-ს ფურცლებზე გამართული დისკუსიის დროს (1966-69 წ.წ.) რიგი დისკუსანტებისა შეეცადნენ მოეტანათ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ზოგიერთი მოსაზრება ეროვნულ საკითხზე (თორიულ ასპექტში). თვით ი. ბ. სტალინის ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, რომელიც აღნიშნული პრობლემის გააზრებას ეძღვნება, ერთხელაც კი არაა მითითებული კ. მარქსისა ან ფ. ენგელსის რომელიმე აზრი საკითხზე. საერთოდაც ი. ბ. სტალინის ამ მკირე მოცულობის (დაახლოებით სამიოდე ნაბეჭდი თაბახი) ნაშრომში მხოლოდ ერთი, პირველი თავი ეხება ერის რაობას, მის ნიშან-თვისებებს, წარმოშობას — ყოველივე ეს კი სულ ათიოდე (საშუალო ფორმატის) გვერდზეა გადმოცემული. ცხადია, რომ საკითხის გადმოცემა რამდენადმე სისრულით ათ გვერდზე ვერ მოხერხდებოდა. ნაშრომის დანარჩენი ნაწილი, მოგვხსენებათ, ეხება რსდმპ პოლიტიკას ეროვნულ საკითხში, ბუნდისა და კულტურულ-ეროვნული პროგრამის კრიტიკას. თუ თვალს გავადევნებთ ავტორის შემდგომ ნაშრომებს („ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“, „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“) აღნიშნული თვალსაზრისით, ადვილად დავასკვნით, რომ ჩვენთვის საინტერესო საკითხის რამდენიმე გაღრმავებული კვლევა-ძიება ი. ბ. სტალინს აღარ გაუგრძელებია.

ვ. ი. ლენინიც, ისევე როგორც კ. მარქსი და ფ. ენგელსი, სპეციალურად არ შეჩერებულა ერის ან საერთოდ ეთნიკური ფორმების კვლევა-ძიებაზე. რაც შეეხება ერის ნიშან-თვისებებს, იგი აღნიშნავდა ენის, ტერიტორიისა და ეკონომიკური ცხოვრების ერთობას.

² ტერმინი „ფსიქიკური წყობა“ ჩვენ არასწორად მიგვაჩნია, ვინაიდან იგი მიუთითებს გარკვეულ სტრუქტურას, სისტემურობას, მაშინ, როდესაც იგი საქმოდ ამორფულია. აღნიშნული ტერმინის ნაცვლად ჩვენ ვგზარობთ „ეთნიკურ ფსიქოლოგიას“. მასში მოთავსებული ცნება, ცხადია, უფრო ფართო შინაარსისაა, ვიდრე ამას „ეროვნული ხასიათი“ შეიცავს.

ერის წარმოშობას, მისი ნიშან-თვისებების საკითხს შეეხო კ. კაუტცი მთელ რიგ ნაშრომებში. სწორედ მან გამოთქვა მარქსისტულ აზროვნებაში პირველად მოსაზრება, რომ ერის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტია ეკონომიკური ფაქტორი, რომ ეს ახალი ეთნიკური ფორმა ჩამოყალიბდა კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად. მაგრამ ამ მიმართულებით კ. კაუტცი არ ყოფილა ისეთი რიგორისტული, როგორც ი. ბ. სტალინი. ასე მაგალითად, იგი წერდა: „აღმოსავლეთის კულტურული სახელმწიფოების არისტოკრატიები იქცნენ ეროვნული ცხოვრების ერთადერთ მქონედ, რამდენადაც საერთოდ იგი (ეროვნული ცხოვრება, — გ. ყ.) აქ არსებობდა. ისინი იღვწენ წვრილი თემების წევრების შეზღუდულობის ზემოთ და შეეჩვივნენ ეგრძნოთ თავი მთელი ერის (sic!) ბატონ-პატრონებად და წარმომადგენლებად. მათ შეიმუშავეს ეროვნული ენა, შეპქმნეს ეროვნული ლიტერატურა, ეროვნული ფილოსოფია და ხელოვნება“³. ეს ძველი აღმოსავლეთის შესახებ. საკუთრივ ანტიკური ხალხების მიმართ იგი წერდა: „ერი, — რამდენადაც საერთოდ იმ დროში შეიძლება მასზე ლაპარაკი, — გადაიქცა ექსპლუატატორების ჯგოფად, რომელიც შედგებოდა მაღალი და დაბალი ბრბოსაგან: პროლეტარიატის, გაატაკებული გლეხებისა და ფულიანი ხალხისაგან“⁴. ერთი სიტყვით, როგორც ვხედავთ, კ. კაუტცი ერებს რაღაცნაირად გულისხმობდა უკვე ძველ აღმოსავლეთსა და ანტიკურ სამყაროში.

შევიჩრდებით კიდევ ო. ბაუერის ნაშრომზე „ეროვნული საკითხი და სოციალ-დემოკრატია“, რომელიც გამოვიდა 1907 წელს. ჩვენში საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ო. ბაუერის აზრები ერის რაობასა და წარმოშობაზე ბურჟუაზიულად ითვლება, კერძოდ, — იდეალიზმად და ფსიქოლოგიზმად აღნიშნული საკითხის გაგებაში. ასეთი მოსაზრება ჩვენში, ვიმეორებთ, ძალზე გავრცელებულ სტერეოტიპად იქცა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ი. ბ. სტალინისეულ ერის განსაზღვრაში მოცემული ერთ-ერთი ძირითადი ნიშან-თვისება ერისა — ფსიქიკური წყობა (ეროვნული ხასიათის მნიშვნელობით) ი. ბ. სტალინმა სწორედ ო. ბაუერისაგან აიღო. ამდენად, ერზე ჩვენში საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულება ეფუძნება ო. ბაუერის მემკვიდრეობასაც, რასაც, როგორც ჩანს, ვერ აცნობიერებენ. ხშირად, ო. ბაუერის აღნიშნულ ნაშრომზე მსჯელობისას აშკარად ჩანს, რომ ავტორები მას არ იცნობენ და ჯერდებიან ენციკლოპედიებიდან მიღებულ ინფორმაციას, თუმცა სხვას რომ თავი დავანებოთ, არსებობს ბაუერის ნაშრომის რუსული თარგმანი, გამოცემული 1909 წელს. ანდა მიუთითებენ ამ ნაშრომის, ასე ვთქვათ, ადაპტირებულ თარგმანს, რომელიც რუსულად გამოვიდა 1918 წელს.

ჩვენ აქ არ ვეხებით ო. ბაუერისა და საერთოდ ავსტრო-მარქსისტების იდეას კულტურულ-ეროვნული ავტონომიის შესახებ. გაკვრით აღვნიშნავთ, რომ ამ იდეის კრიტიკაში ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი და სხვები, ცხადია, მართლნი იყვნენ. ავსტრომარქსისტები, მათ შორის, რა თქმა უნდა, ო. ბაუერიც, შესაძლებელია მათთვის გაუცნობიერებელი, ასე ვთქვათ, სოციალისტურ-იმპერიალისტური მოსაზრებიდან გამოდიოდნენ, სურდათ რა ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შენარჩუნება. ამ იმპერიის შემადგენლობაში შემავალ თითქმის ყველა ძი-

³ К. Каутский, Национальность нашего времени, Тифлис, 1922, გვ. 16.
⁴ იქვე, გვ. 18.

რიოდა ხალხს ჰქონდა საკუთარი ტერიტორია და, ამდენად, ერთა თვითგამორკვევას აქ ტერიტორიული პრინციპი უნდა დასდებოდა საფუძველად. ასე რომ, კულტურულ-ეროვნული ავტონომია აქ არაფერ შუაში იყო და თანაც ავსტრია-უნგრეთში შემავალ ჩაგრულ ერებს ჰქონდათ გამოყოფის, ცალკე სახელმწიფოს შექმნის უფლება, რაც მათ გამოიყენეს კდევ პირველი მსოფლიო ომის დასასრულს. ამრიგად, კ. რენერის, ო. ბაუერისა და სხვა ავსტრო-მარქსისტების იდეამ კულტურულ-ეროვნული ავტონომიის თაობაზე კრაზი განიცადა. მაგრამ ეს საკითხის სხვა მხარეა, რომელიც ჩვენ აქ არ გვაინტერესებს და მასზე აღარ შეეჩერდებით.

შევეჩებით თვით ო. ბაუერის შეხედულებებს ერის ნიშან-თვისებებისა და წარმოშობის შესახებ. არის, მართლაც, ეს ნააზრვეი იდეალისტური, მხოლოდ ფსიქოლოგისტური, თუ მნიშვნელოვანწილად დაფუძნებული ისტორიის მატერიალისტური გაგებაზე.

დაიწყებთ იმით, რომ ო. ბაუერის აღნიშნულ ნაშრომს დადებითად ახასიათებდა კ. კაუცკი, მიიჩნევდა რა მას „აზროვნების მარქსისტული მეთოდის“ საფუძველზე დაწერილად⁵. სწორედ ამის გამოც ესმოდა თავს ო. ბაუერს ნაშრომის რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში ებრაელთა ერთ-ერთი პარტიის წარმომადგენელი ზ. ჟიტლოვსკი. მაგრამ შეეჩერდებით უფრო არსებით არგუმენტზე და მივმართავთ თვით ო. ბაუერის ნაშრომს. მასში ვკითხულობთ: „ამრიგად, ჩვენ ერი წარმოგვიდგენია არა როგორც რაღაც გაყინული, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, არამედ როგორც წარმოქმნის, ქმნადობის განუწყვეტელი პროცესი; მის საფუძველში ძვეს პირობები, რომლებშიც ადამიანები ეწევიან ბრძოლას არსებობისა და მოდგმის გაგრძელებისათვის“⁶; „...ერი და მისი დამახასიათებელი თავისებურებანი განპირობებულია წარმოების წესით, შრომის იმ იარაღებით, რომლებითაც ადამიანები სარგებლობენ, საწარმოო ძალებით, რომელთაც ისინი ფლობენ, ურთიერთობებით, რომლებშიც ისინი იმყოფებიან ურთიერთ შორის წარმოების პროცესში“⁷; „საერთოდ ერის და, კერძოდ, თითოეული მოცემული ერის წარმოშობა, როგორც ერთი შედეგთაგანი ადამიანის ბრძოლისა ბუნებასთან, — ეს დიდი ამოცანა გახლავთ, რომლის გადაწყვეტა შესაძლებელი გახდა კარლ მარქსის ისტორიული მეთოდის მეშვეობით“⁸; „არსებობისათვის ბრძოლის პირობების მეშვეობით საწარმოო ძალები ჰქმნიან ეროვნული ხასიათის ერთობას“⁹; „ისტორიის მატერიალისტური გაგება ისტორიული ცხოვრების პროცესს, მათ შორის ერის წარმოშობის პროცესს ხსნის არა რაღაც მისტიკური ხალხის სულით, არამედ ეკონომიკური განვითარების ფაქტებით“¹⁰. აქვე ვკითხულობთ, რომ ერის განვითარების საბოლოო მამოძრავებელი ძალაა ადამიანის ბუნებასთან ბრძოლის პირობები, საწარმოო ძალების განვითარება, ცვლილებანი შრომით ურთიერთობაში, რომ „ეროვნული ცნობიერება შესაძლებელია გაგებულ იქნეს მხოლოდ ეროვნული ყოფიერებიდან და

⁵ К. Каутский, Национальность нашего времени, гл. 61, 62, 63.

⁶ О. Бауэр, Национальный вопрос и социал-демократия, гл. 124.

⁷ იქვე, გვ. 124.

⁸ იქვე, გვ. 124—125.

⁹ იქვე, გვ. 125.

¹⁰ იქვე, გვ. 126.

არა პირიქით¹¹; „...ინდივიდუუმის ეროვნულობა სხვა არა არის რა, თუ არა მისი „მე“-ს ნაწილი, განპირობებული საზოგადოების ისტორიით, შრომის პროცესითა და ურთიერთობებით“¹²; „ერის განვითარება ასახავს საკუთრებისა და წარმოების ფორმების ისტორიას“¹³.

ო. ბაუერი ამასთანავე ერთად ფართოდ ეყრდნობოდა ბიოლოგიას, კერძოდ, დარვინიზმს და გენეტიკას. მართლაც, ადამიანი, ოჯახი, საზოგადოება, ეთნიკური ფორმები, მათ შორის ერი, ბიოლოგიის პრობლემაც გახლავთ, ვინაიდან მატერიისა და მოძრაობის ბიოლოგიური ფორმა საზოგადოების განვითარების საფუძველია, შესულია ამ უკანასკნელში „მოხსნილი სახით“. ამაში, ვიმეორებთ, ო. ბაუერი სწორ პოზიციას იღვამდა. და რაც მთავარია, საკითხის ვაზარებისას იგი არ ჭრდებოდა კვლევა-ძიების ამ დონეს და მას ახდენდა ისტორიული პროცესის საშუალებით. კვლევა-ძიების აღნიშნული დონე მხოლოდ რასიზმის თეორიისათვის თუ არის დამაკმაყოფილებელი. ო. ბაუერი მკვეთრად ემიჯნებოდა ამ, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ეროვნულ მატერიალიზმს. იგი აკრიტიკებდა აგრეთვე „ნაციონალურ სპირიტუალიზმს“, რომლის მიხედვითაც ერი ითვლება იდუმალ „ხალხის სულად“, ე. ი. აკრიტიკებდა თვალსაზრისს, რომლის მტკიცე დამცველადც ჩვენში ცდილობენ ო. ბაუერი წარმოადგინონ.

ერის წარმოშობა-ჩამოყალიბებას პრობლემას ო. ბაუერი იკვლევდა გერმანელების მავალითზე. თავისი ხალხის ისტორიას კი იგი კარგად იცნობდა. მიუთითებდა ენის, ტერიტორიის, ეროვნული ხასიათის, კულტურის, ეროვნული თვითშეგნების ფაქტორებს, რომელთაც შედეგად გამოიღეს გერმანელი (Deutsch) ერი. კერძოდ, ენის შესახებ ო. ბაუერის ნაშრომში ვკითხულობთ: „...უშეველია, რომ არც ერთი ერი არ არის შესაძლებელი საერთო ენის გარეშე“¹⁴. ო. ბაუერის ნაზრევზე ერის რაობისა და წარმოშობის თაობაზე ჩვენში გავრცელებული სტერეოტიპის საფუძველია ი. ბ. სტალინის მიერ ბაუერისეული დასკვნის ინტერპრეტაცია. თუ ამ ადგილს ამოვგლეჯთ ნაშრომის ძირითადი აზრების, იდეების კონტექსტიდან, მაშინ ჩვენში გავრცელებული შეხედულება ო. ბაუერის ძირითადი იდეის შესახებ გამართლებული იქნება. ეს გახლავთ შემდეგი: „ერი არის ხასიათის ერთობა, წარმოშობილი ისტორიული ბედის ერთობის საფუძველზე“. ერის, კერძოდ, გერმანელების, ეროვნული ხასიათის ერთობა ო. ბაუერისათვის სულაც არ იყო რაღაც მისტიკური და თვითკმარი რამ, რასაც მას ი. ბ. სტალინი უსაყვედურებდა. რათა გაეხსნა ხასიათის ეს შინაარსი ო. ბაუერი გამოდიოდა ერის ისტორიიდან, ენის, კულტურის, ტერიტორიის ერთობიდან, წარმოების წესის განვითარების განსაზღვრული დონიდან და ა. შ. ასევე როცა იგი ბედის ერთობაზე ლაპარაკობდა, ამ ბედს ძველი ბერძნების *μῆτρα*-ს ან რომაელების *fatum*-ის აზრით კი არ გებულობდა, არამედ ზემოთ აღნიშნული ფაქტორების მოქმედების შედეგად.

ერთი სიტყვით, ო. ბაუერმა თავის ნაშრომში ერის წარმოქმნა-ჩამოყალიბება გადმოსცა უადრესად ლაკონიური ფორმულით, მისი აზრით, ერისათვის დამახასიათებელი მთავარი ნიშან-თვისების მინიშნებით. მაგრამ ეს, ვიმეორებთ, შემაჯამებელი სახით, მანამდე კი იგი მიჰყვებოდა ისტორიის მთელს მსვლელო-

¹¹ О. Бауэр, Национальный вопрос и социал-демократия, გვ. 50.

¹² იქვე, გვ. 142.

¹³ იქვე, გვ. 141.

¹⁴ იქვე, გვ. 130.



ბას, ამ ხნის განმავლობაში წარმომავალი სხვადასხვა ფაქტორის მოქმედებას. თავდაპირველად, პირველყოფილი კომუნიზმის დროს, ო. ბაუერის მოსაზრების მიხედვით, გერმანელები შეადგენდნენ ერთ ერს, — მათ ასეთ ერთობად ჰყარავდა საერთო წარმომავლობა და საერთო კულტურა. უფრო მეტად სწორედ ამ კულტურამ, თავისი დაბალი განვითარების გამო, როგორც ო. ბაუერი ფიქრობდა, განაპირობა მთლიანი გერმანელების ერი, en massé. მაგრამ ეს იყო წარმოების განვითარების დაბალი დონე, მაქსიმუმ პრიმიტიული მიწათმოქმედების ფარგლებში. შემდეგში მოსახლეობის ზრდამ გამოიწვია მიგრაციები, თავდაპირველად ერთ კულტურულ ერთობაში მოქცეული ხალხები (დიდ ეთნიკურ ჯგუფში შემავალნი) ერთმანეთს დაშორდნენ. ტერიტორიულმა დაშორებულობამ კი გამოიწვია ახალი ეთნიკური ერთობების წარმოქმნა-ჩამოყალიბება. მაგრამ გერმანელების ძველი ერი, ბაუერის აზრით, უკვე აღარ არსებობდა, არ არსებობდა ჯერჯერობით თანამედროვე გერმანელთა ერიც. რომის იმპერიის დაკემიდან მოყოლებული IX—X სს-მდე იყო გარდამავალი ხანა, რის განმავლობაშიც გერმანელი ერი არ არსებობდა. მაგრამ ამ საუკუნეებიდან დაწყებული გერმანიაში გაჩნდა ფეოდალთა კლასის კულტურული ერთობა, რამაც განაპირობა გერმანელი ერის ჩამოყალიბება, ოღონდ ზედაფენების სახით. მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა — გლეხობა კი ერის გარეშე რჩებოდა, ანდა უკეთეს შემთხვევაში ერის მხოლოდ სოციალურ ფონს წარმოადგენდა.

ქალაქების, ვაჭრობის განვითარებამ გამოიწვია ბიურგერთა წოდების ჩამოყალიბება. თავის მხრივ, ამ წოდებამ განავითარა საკუთარი კულტურა. გლეხობა კვლავ მის მიღმა და ამით ერის მიღმაც რჩებოდა. მხოლოდ ეს იყო რომ ერის შემადგენლობა უფრო გაფართოვდა ბიურგერობის ხარჯზე. მხოლოდ კაპიტალიზმმა შექმნა პირობები, ბაუერის შეხედულებით, იმისათვის, რომ ერად იქცეს მთელი მოსახლეობა, კერძოდ გერმანელობა; ხალხის მასების მიერ კულტურის ათვისება საფუძვლად დაედება ამ მოვლენას. ამრიგად, სახეზე გვაქვს დიალექტიკის ცნობილი კანონის (უარყოფის უარყოფა) მოქმედების დადასტურება: თეზისი — თავდაპირველი გერმანელი ერი კულტურის განვითარების დაბალ ფაზაზე; ანტითეზისი — თავდაპირველი ეროვნული ერთობის დაშლა, გარდამავალი მდგომარეობა, შემდეგში გერმანელი ერის არსებობა მხოლოდ ზედაფენების სახით; სინთეზისი — გერმანელი ერი უკვე მის მთლიანობაში კაპიტალიზმისა და მით უფრო სოციალიზმის პირობებში, ახალი კულტურის საერთო და უფლების საფუძველზე. რა თქმა უნდა, ეს დიალექტიკური ტრიადი, ბაუერის შეხედულებით, ვრცელდებოდა ყველა ხალხზე, რომელთაც სრული ეთნიკური ციკლის დასრულება შეძლეს.

ამით დავამთავრებთ ო. ბაუერის ნაშრომის განხილვას ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. ვიმეორებთ, ო. ბაუერის მიერ გამოთქმული იდეები ჩვენ მიგვაჩნია მარქსისტულ შეხედულებებად და პრობლემის შემდგომი გაღრმავებული კვლევა-ძიების საფუძველად. სულაც არ იყო შემთხვევითი, რომ ავტორის აზრებმა გავლენა მოახდინეს კ. კაუცკიზე — მაგალითად, ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს ზოგიერთ ეთნოსში ერების არსებობის თაობაზე, ასევე ის გარემოებაც, რომ ბაუერის ნაშრომი მარქსისტულად იქნა შეფასებული „არქიტოხილი კაუცკის“ (ე. ი. ლენინი) მიერ.

შეიძლება, რა თქმა უნდა, ო. ბაუერისადმი მთელი რიგი შესიტყვებების წამოყენება. მხოლოდ ერთ მათგანზე შეეჩერდებით. ჩვენი აზრით, გაუმართლე-

ბელია შუა საუკუნეების გერმანელთა ეროვნული ერთობიდან გლეხკაცობის გამორიცხვა. გლეხებსაც ჰქონდათ თავიანთი კულტურა (ხალხური), რომელიც ნაწილობრივ აითვისებოდა გერმანელთა ზედაფენების მიერაც. მეორე მხრივ, ზედაფენების კულტურა, ხასიათი და ა. შ. გარკვეული ზომით ვლინდებოდა ქვედაფენების ცხოვრებაში. ამდენად, კულტურულ ერთობასა და ერის არსებობაზე თუ ვილაპარაკებთ ფეოდალიზმის მეორე პერიოდის გერმანელების მაგალითზე, ამ ერთობაში უნდა შეყვანილ იქნეს გლეხკაცობაც. ამ აზრით ერის არსებობა არ უნდა იქნეს დაკავშირებული მხოლოდ განვითარებულ კაპიტალიზმთან და უკლასო საზოგადოებასთან.

საერთოდ, კიდევ გავიმეორებთ, ეთნიკური ფორმების რაობისა და წარმოქმნა-ჩამოყალიბების თაობაზე მრავალი გაურკვეველობა არსებობს. ერთ-ერთ მთავარ მიზეზზე უკვე მიუთითებდით (სახელდობრ იმაზე, რომ ეს საკითხი დიდ კულტურულ, თეორიულად განვითარებულ ერებს ნაკლებად აინტერესებთ, მხოლოდ უახლეს ათწლეულებში თუ გაიშალა ფართო მუშაობა ამ მიმართულეობით აშშ-ში). ახლა მივუთითებთ მეთოდოლოგიური ხასიათის სიძნელეს. ეთნიკური ფორმების, მათ შორის ერის რაობისა და წარმოშობის პრობლემა რთული სტრუქტურისაა, იგი არ გადაწყდება მხოლოდ ერთი მეცნიერების პოზიციიდან. ამდენად, მის გასააზრებლად საჭიროა ფართო, კომპლექსური მიდგომა — ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ისტორიის (მსოფლიო), ეთნოგრაფიის, კულტუროლოგიის, ეთნოფსიქოლოგიისა და ა. შ. პოზიციებიდან. სხვანაირად მოვლენის მთლიანი დანახვა, გაანალიზება შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში — ნაკლებ დამაკმაყოფილებელი, რაც ძალიან ნათლად გამოჩნდა „Вопросы истории“-ს ფურცლებზე გამართული დისკუსიის დროს. ეს დისკუსია კანონზომიერი რეაქცია იყო ი. ბ. სტალინის ნაშრომში გადმოცემული იდეების გაბატონებულობის წინააღმდეგ, შესაბამისად, იგი წარმოადგენდა მეცნიერების განვითარების მოთხოვნილებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცალკეული წარმატებების გარდა, მთლიანად იგი (ეს დისკუსია) არც თუ ისეთი წარმატებული აღმოჩნდა, მიზეზი გახლავთ პრობლემის გაუაზრებლობა მთლიანობაში — მხოლოდ ცალკეული ასპექტების მიხედვით, შეზღუდული ფაქტოლოგიური ცოდნით. დისკუსია რაღაცნაირად კვლავ გრძელდება. კერძოდ, ეთნოგრაფები (საბჭოთა კავშირის ძირითადი ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლები) ცდილობენ ეთნოსის თეორიის შექმნას.

ეთნიკური ფორმების კვლევა-ძიებას აძნელებს აგრეთვე რთული ტერმინოლოგიური ვითარება. რუსულ ენაში არსებობს მთელი რიგი ეთნიკური ტერმინებისა შედარებით განვითარებული ეთნიკური ფორმების გამოსახატავად — „народ“, „народность“, „национальность“, „нация“, ახლა ამას დაუმატეს „этнос“-ი (აღარას ვამბობთ ეთნოგრაფების მიერ შემოტანილ სხვა ეთნიკურ ტერმინებზე — „демос“, „этнокос“). შეუძლებელია გავიგოთ, ყოველ შემთხვევაში დღესდღეობით არავის არ უჩვენებია, თუ რა შინაარსი გაიანზრება ტერმინებში: „народ“, „народность“, „национальность“. ჩვენი აზრით, ეს სიძნელე იმანაც განაპირობა, რომ გერმანული nationalität, ინგლისური nationality რუსულ ენაში დამკვიდრდა ორგვარი ფორმით: „народность“ და „национальность“ (ეთნიკური ფორმის შინაარსის მნიშვნელობით). ამ ორ ტერმინს კი, ცხადია, შინაარსით არ აქვთ შესაბამისი ცნებები. ეს გაუგებრობა აისახა ქართულ ენაშიც, სადაც ცდილობენ დაამკვიდრონ ტერმინი „ეროვნება“ (ეთნიკური

ფორმის აზრით) „ხალხისაგან“ განსხვავებით. ეს ტერმინოლოგიური აღრეულობა რუსულ ენაში დღემდე გრძელდება. მაგალითად, „народ“-სა და „нация“-ს ხშირად ხმარობენ ერთნაირი მნიშვნელობით, ხან კი „народ“-ს მხოლოდ მშრომელი მასების აზრით და ამდენად, ამ ტერმინს ეთნიკურ მნიშვნელობას აცლიან. მაგალითად ჩუქჩებს, კირიაკებს, ნენცებს და ა. შ. აღნიშნავენ ტერმინით „народность“, მაშინ, როდესაც ჩუვაშები, ყარა-ყალფაეები, ყაბარდოელები და ა. შ. მოიხსენებიან როგორც „народы“. ამათგან განასხვავებენ რუსებს, უზბეკებს და სხვებს, რომელთაც აღნიშნავენ ტერმინით „нация“. მაგრამ ხშირად ყველა ამათზე ლაპარაკობენ როგორც „национальность“-ზე (იხილეთ განსაკუთრებით სტატისტიკური კრებულები). მაგალითად, საქართველოს მოსახლეობის შესახებ ზოგჯერ ლაპარაკობენ როგორც მრავალი ერისა და ხალხის კრებულზე, რაც აშკარად გაუმართლებელია. საქართველოში ცხოვრობს მხოლოდ ორი ერი — ქართველობა და აფხაზობა, სხვანი კი წარმოადგენენ ეთნიკურ, ანდა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს. ასევე ითქმის რუსეთის ფედერაციისა და სხვა ზოგიერთი რესპუბლიკის მოსახლეობის მიმართ.

როგორც ვიცით, ჩვენში კვლავ დიდი მხარდაჭერით სარგებლობს ი. ბ. სტალინის აზრები ერის ნიშან-თვისებებისა და წარმოშობის შესახებ. ეს აზრები, მოგვხსენებათ, კონტრესენციურებულია ი. ბ. სტალინისეული ერის დეფინიციაში: „ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ვენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა“¹⁵. ეს ჩვენ არც თუ ისე ზუსტად გვეჩვენება. დავიწყეთ თავიდან. „ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობა“ კლასიც, კასტაც და ა. შ. ამდენად, როცა ერის განსაზღვრაზე მიდგება საქმე, მითითებულ უნდა იქნეს მოვლენათა ის კლასი (უფრო კონკრეტულ ასპექტში), რომელსაც ერი მიეკუთვნება — ეთნიკური, ეთნოსოციალური ფორმა. მეორე, ასეთ ფორმას წარმოადგენს ტომიც, ხალხიც. მაშასადამე, აქ მითითებული უნდა იყოს ერის სპეციფიკა, მისი სიდიდე — „დიდი ეთნიკური ჯგუფი“. ხალხისაგან განსხვავებით ერი უფრო რთული ეთნიკური სტრუქტურის მქონეა, შედგება რა ხშირ შემთხვევაში ხალხებისაგან, სხვა ასიმილირებული ეთნიკური ელემენტებისაგან. ი. ბ. სტალინი ლაპარაკობდა „ეკონომიკური ცხოვრების ერთობაზე“, როგორც ისეთი ინტენსივობის შემცველ ფაქტორზე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალიზმის პირობებში არის შესაძლებელი. თუ ამის მიხედვით ვიმსჯელებთ, ერების წარმოშობა მხოლოდ ამ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შიგნით ხდება. ინდოელი (ვგულისხმობთ ჰინდუსტანელებს), ჩინელი, სპარსელი და სხვა ეთნოსები, როგორც ერები მხოლოდ XIX და XX სს-ში გაჩენილან. ასე რომ, ისინი, სტალინის ტერმინი, გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ახალგაზრდა ერებს“ წარმოადგენენ. რა თქმა უნდა, იგივე ითქმის ქართველობის მძარბათაც. ძველი ერები კი ყოფილან ინგლისელები, პოლანდელები, ფრანგები, რომელთაც, როგორც ვიცით, კაპიტალისტური ევოლუცია აღდრე დაიწყეს.

ერთი სიტყვით, თუ არა მანუფაქტურული ან საფაბრიკო-საქარხნო სტადია, სხვა პირობებში, სტალინის ფორმულის მიხედვით, ერის წარმოქმნაზე ლაპარაკი შეუძლებელია. ჩვენ ეს მოსაზრება მიუღებლად მიგვაჩნია. სტალინი და მის შემ-

¹⁵ ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 310.

დეგ მრავალი საბჭოთა ისტორიკოსი, ფილოსოფოსი და ა. შ. ფეოდალიზმს წარმოადგენენ მხოლოდ ერთი შაბლონის მიხედვით — ნატურალური მეურნეობის ბატონობა, პოლიტიკური დეცენტრალიზაცია, კულტურული ცენტრის უქონლობა. მაგრამ ეს შაბლონი უდგება მხოლოდ ადრეულ ფეოდალიზმს, ამ ფორმაციის მეორე ფაზაში კი ვითარება მრავალმხრივ შეიცვალა. მაგრამ ამაზე სპეციალურად შემდეგ შევიჩერდებით.

მთლად გარკვეული არაა აღნიშნულ ფორმულირებაში ფსიქიკური წყობა, როგორც მხოლოდ ეროვნული ხასიათის თანმხვედომი. როდესაც ოტო ბაუერი მხოლოდ ეროვნულ ხასიათზე ლაპარაკობდა, აქ იაზრებდა განსაზღვრულ შინაარსს, რასაც ტერმინი „ეროვნული ხასიათი“ გამოხატავს. ამისაგან განსხვავებით ტერმინი „ფსიქიკური წყობა“ გამოთქმის ფორმითაც და შინაარსითაც ბუნდოვანია. ამის ნაცვლად, როგორც უკვე მივუთითებდით, ჩვენ ვამჯობინებდით ტერმინ „ეთნიკური ფსიქოლოგის“ ხმარებას. მასში ეროვნული ხასიათის გარდა იგულისხმება ეთნოსის განწყობანი, განწყობილებანი და ა. შ. მაგრამ ყოველივე ეს სულაც არაა მდგრადი მთლიანობა; სისტემა. მით უფრო გაურკვეველია ერთ ნიშნად ვააზრება გამოთქმისა „ფსიქიკური წყობა, რომლის გამონატულებაა კულტურის ერთობა“. ზოგჯერ ილუზია ექმნებათ და ასკვნიან, რომ სტალინი აქ ლაპარაკობდა ერის ორ ნიშანზე — ფსიქიკურ წყობასა და კულტურაზე, რაც არაა სწორი. თუაონ ავტორი სტატიაში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“ ლაპარაკობდა მხოლოდ და მხოლოდ ოთხ ნიშანზე: აღნიშნული გამოთქმა სხვა მხრივაც გაუგებარია. თავი დავანებოთ იმას, რომ „ფსიქიკური წყობა“ ამ გამოთქმაში დეტერმინანტად არის წარმოდგენილი, თუ უბრალოდ ისეთ ფაქტორად, რომელიც აისახება კულტურის თავისებურებებსა თუ ერთობაში. ასე რომ, გაურკვეველი მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში სიტყვა „ასახვას“. თუმცა, ეჭვგარეშეა, უნდა დავასკვნათ, რომ მასში გარკვეული მნიშვნელობით დეტერმინაცია — ფსიქიკური წყობის მიერ კულტურის განპირობებულობა — იგულისხმება. კულტურა, ჩვენ ვიცით, განპირობებულია მხოლოდ ამა თუ იმ ეთნოსის ფსიქიკური წყობით კი არა, არამედ უპირველესად მისი სოციალ-ეკონომიკური პირობებით, განვითარების დონით, ბუნებით (ფიზიკური), გარემომცველი ისტორიული, მათ შორის კულტურული, პირობებით, ტრადიციებით, რასით და ა. შ. თუ „ასახვაც“ მიდგება საქმე თუნდაც ამ სიტყვის ძირითადი გაგებით, მაშინ კულტურაში აისახება მხოლოდ „ფსიქიკური წყობა“ კი არა, არამედ სხვა ჩამოთვლილი ფაქტორებიც.

რაც კიდევ უფრო მთავარია, ი. ბ. სტალინის კულტურა არ შექონდა ერის უმთავრეს ნიშან-თვისებებში ცალკე ნიშნად. და ეს სულაც როდი გახლავთ შემთხვევითი მოვლენა; იგი გამოდიოდა იმ მოსაზრებიდან, რომ ყოველ ერში არის ორი ერი, ყოველი ერის კულტურაში არსებობს ორი კულტურა. ამდენად, ერის კულტურულ ერთობაზე ლაპარაკი თითქოს გამოირიცხება. აქედან გამომდინარეობს რომ თუ კულტურას ერის ერთ-ერთ ძირითად ატრიბუტად ჩავთვლიდით, მაშინ ბურჟუაზიული ხალხები ერებად არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთები არიან და იქნებიან მხოლოდ სოციალისტური წყობილების განმასახიერებელი ეთნოსები. ვიმეორებთ, სტალინის ფორმულირებაში მხოლოდ ლაპარაკია კულტურის თავისებურებებზე ანდა ერთობაზე „ფსიქიკური წყობის“ კონტექსტში. იგივე დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, სტალინის მიხედვით, მთელი რიგი ეთნოსების მიმართ წინაკაპიტალისტური ფორმაციების პირობებში.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ ი. ბ. სტალინის მიერ მოცემული ერის დეფინიცია არაზუსტია, შეიცავს მთელ რიგ გაუგებრობებს. კიდევ მეტი, ერის შინაარსის რამდენადმე სრულყოფისათვის საჭიროა მინიმუმბულ იქნეს ამ ეთნიკური ფორმისათვის აუცილებელი სხვა ნიშან-თვისებებიც.

უპირველეს ყოვლისა დასამატებელია შესაბამისი რასის, ანთროპოლოგიური ტიპის ჩვენება. რასიზმის თეორიის იდეოლოგები ამაზე დიდი ხანია ხაზს უსვამენ, რაშიც აუცილებლად სწორი არიან. მაგრამ მათი დიდი შეცდომაა რასობრივ ფაქტორში ეროვნული, ეთნიკური ცხოვრების სხვა მხარეების საფუძვლის მოძებნა (ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოჩენილი ფრანგი მოაზროვნე და ისტორიკოსი ერნესტ რენანი მიუთითებდა ამ გარემოებაზე). გ. მელიქიშვილი საესებით სწორად აღნიშნავს: „...ფაქტია, რომ ესა თუ ის ხალხი, ენისა და კულტურის სპეციფიკის გვერდით, შეიძლება ანთროპოლოგიურადაც, ე. ი. ფიზიკური ტიპის (ტიპების) მიხედვით დახასიათდეს“¹⁶. მართლაცდა, ეთქვათ ჩინელების, ჰინდუსტანელების, სირიელების, ინგლისელების, მოზამბიკელების და ა. შ. განსხვავებულობა არავითარ ეჭვს არ იწვევს, რამდენადაც ეს ერები მიეკუთვნებიან მკვეთრად განსხვავებულ დიდ რასებს. მაგრამ დიდი რასის შიგნითაც არსებობენ ქვერასები, რომლებშიც შემავალი ერები ფიზიკური ტიპის მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან; მაგალითად, ჩინელები და ვიეტნამელები, ინგლისელები და იტალიელები და სხვ. უახლესი მაგალითისათვის მივუთითებდით სომხებსა და ქართველებს. თუმცა ორივე ეს ერი, როგორც ვიცით, ერთი და იმავე დიდ რასას — ევროპოიდულს მიეკუთვნება, მაგრამ მის შიგნით სომხები განეკუთვნებიან არმენოიდულ ქვერასას, ხოლო ქართველები — ბალკანურ-კავკასიურს. არ ღირს შეჩერება ამ ქვერასებისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებზე. თუმცა თითოეულ ერში ზოგჯერ ქვეტიპებიც გამოიყოფა, მაგრამ ეს არ ცვლის საქმის საერთო ვითარებას — თითოეული ერის განსხვავებულობას სხვისაგან. რომ ეს განსხვავებულობა ეთნოსებს შორის ფაქტია, ამას კარგად ამჩნევს ყოველდღიური, მასობრივი ცნობიერება (თუმცა ხშირად ამ შემთხვევაში ეთნოცენტრიზმის გამოვლინებასთან გვაქვს საქმე). მით უფრო ითქმის ეს მეცნიერულ ცნობიერებაზე (ანთროპოლოგია), ხელოვნებაზე (ფერწერა, ქანდაკება, კინო). საერთოდ, აღნიშნულის მხრივ ცალკეულ ერებს შორის განსხვავებულობაში მეტ-ნაკლებობა შეინიშნება: ზოგა ერთი უფრო მეტად ინარჩუნებს თავდაპირველი რასობრივი ნიშნების გენოფონდს (ევროპაში მაგალითად შვედები, გერმანელები, ნორვეგიელები და სხვ.), ზოგი — ნაკლებად, მაგრამ მაინც, ვიმეორებთ, უმეტეს შემთხვევებში ერთი ეთნოსის, ერის ანთროპოლოგიური ტიპის განსხვავებულობა მეორისაგან უთუოდ არსებობს.

... ისევე როგორც უმრავლესი ეთნოსის, ერის შემადგენლობის ძირითადი ნაწილი მსგავს რასობრივ ეთნიკურ ბირთვს შეადგენს, ასევე ითქმის ეთნოსის, ერის წარმომავლობის შესახებაც. თუმცა სხვადასხვაგვარი ბუნებრივი პირობების, ეთნიკური შერევების გამო მისი შემადგენელი მოსახლეობა მთლად ერთგვაროვანი არაა, მაინც, ვიმეორებთ, სახეზე გვაქვს მყარი ეთნიკური ბირთვი.

¹⁶ გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, გვ. 111. შევნიშნავთ, რომ ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ამაზე ყურადღებას ამახვილებდა მ. წერეთელი თავის „ერსა და კაცობრიობაში“.



ეს უკანასკნელი კი საერთო წარმომავლობით ხასიათდება. თუ ევროპის მაგალითებს დავჯერდებით, შევდების, გერმანელების, დანიელების, ნორვეგიელების და სხვათა საერთო ეთნიკური წარმომავლობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. საქართველოს მაგალითზე რომ შევჩერდეთ, ვიტყვი რომ მისი მოსახლეობის ძირითადი ბირთვი, აღმოსავლეთ საქართველოშიც კი, მიუხედავად უცხო ეთნიკური მინარევებისა, მაინც ერთგვაროვანი (რასობრივი აზრით) რჩებოდა. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაზე ასე ითქმის ახლაც.

თითოეულ ეთნოსს, მათ შორის ერს, აქვს, როგორც ცნობილია, თავისი საკუთარი გზა ისტორიულ პროცესში. ამრიგად, მათ ერთად ჰკრავს ისტორიის ერთობაც (ისტორიული ზედის ერთობა, ო. ბაუერის გამოთქმა რომ ეხმაროთ). ამდენად, ეთნოსის, კერძოდ ერის დახასიათებისას მინიშნებულ უნდა იქნეს აღნიშნული ნიშან-თვისებაც.

როგორც ზემოთ უკვე მივუთითებდით, ერის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება გახლავთ კულტურის ერთობა, რაც საბჭოური მეცნიერების განვითარების დღევანდელ დონეზე არავითარ ეჭვს არ იწვევს. კულტურის ერთიანობა ეთნოსს, ერს ახასიათებს ყოველ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში. ჩვენ აქ გვინდა ერთ მომენტზე შევჩერდეთ. ჩვენში საყოველთაოდ გავრცელდა შეხედულება კულტურის სოციალისტურ (პროლეტარულ ანდა ინტერნაციონალისტურ) შინაარსსა და ეროვნულ ფორმაზე (შევიწინავთ, რომ ი. ბ. სტალინამდე ბევრად უფრო ადრე ეს თეზისი ფიგურირებს კ. კაუცკისთან). ამ ფორმულის მიხედვით გამოდის, რომ კულტურის ეროვნულობა მხოლოდ ფორმის საკითხია, კერძოდ ენისა, რაზედაც მიუთითებდა ი. ბ. სტალინი. მაგრამ, ჯერ ერთი, ენა კულტურის მხოლოდ ფორმა როდია; ასეთია მაგალითად ფონეტიკა, გრამატიკული წყობის ზოგიერთი მომენტი. ენაში გამოიხატება ეთნოსის, ერის მსოფლმხედველობა (კერძოდ, ლექსიკური ფონდში). ამიტომაც ამ მხრივ ენა კულტურის შინაარსსაც გამოხატავს. მეორეც, ამა თუ იმ ერის დღევანდელი კულტურა, სოციალისტური იქნება იგი თუ ბურჟუაზიული, მართო დღევანდლობით როდი იფარგლება, იგი თავის თავში „მოხსნილი სახით“ შეიცავს წარსულ კულტურასაც. მაგალითისათვის რომ ავიღოთ, დღევანდელი ქართული კულტურისაგან განუყოფელია „შუშანიკის წამება“, „ვეფხისტყაოსანი“, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია, სვეტიცხოველი, ქართული ხალხური პოეზია და ა. შ., მესამეც, დღევანდელი კულტურული შემოქმედება ამა თუ იმ ერის შინაარსად ღებულობს წარსული კულტურული მემკვიდრეობის ბევრ მხარესაც, რომელზედაც დაყრდნობით იგი ახლებურად გაიაზრებს ძველ კულტურულ მემკვიდრეობას. ასე რომ, ძველი კულტურის ბედი სულაც არ ემსგავსება ძველი ტექნიკისა და ყოფის ბევრი საგნის ბედს, რომელთაგანაც შემდეგში მხოლოდ ისტორიული ინტერესი თუ აღიძვრის. კერძოდ, თანამედროვე ქართული კულტურის შემდგომი განვითარების მძლავრ წყაროდ რჩება ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი კულტურის საუკეთესო ნიმუშები. სწორედ ამავე ფაქტორის წყალობით თანამედროვე საბჭოური ლიტერატურა მთლად ერთგვაროვანი როდია, თუნდაც მხოლოდ შინაარსის თვალსაზრისით. ისევე როგორც ეროვნულობა კულტურისა არ დაიყვანება მხოლოდ ფორმაზე თვით საბჭოთა საზოგადოებაში, ასევეა ეს სხვა ტიპის საზოგადოებებშიც. იმისდა მიხედვით თუ როგორი იყო კულტურის ხასიათი — საერო თუ რელიგიური, წინ წამოიწეოდა ხოლმე ხან რელიგია, ხან კი საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა ფორმები. ჩვენს ისტორიულ პროცესში საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანულ რელიგიას დიდი

მნიშვნელობა ჰქონდა. იგი, როგორც ცნობილია, თვალსაჩინო მაკონსოლიდირებელ როლს ასრულებდა ჩვენი ეთნოსის ცხოვრებაში, მის ბრძოლაში ეთნიკური, ეროვნული არსებობისათვის, ინდივიდუალობის შენარჩუნებაში¹⁷.

ერის, ისევე როგორც ყოველგვარი სხვა ეთნოსის, განსაზღვრაში უნდა ფიგურირებდეს ეროვნული, ეთნიკური თვითშეგნებაც. ამ ფენომენის შესახებ დიდი ხანია რაც ლაპარაკობენ. მისი რაობისა და მნიშვნელობის საკითხი დაისვა ერების შესახებ მიმდინარე დისკუსიის დროს „Вопросы истории“-ს ფურცლებზეც. უმეტესობის აზრით, ეთნიკურ, ეროვნულ თვითშეგნებაში უნდა მოიპოვებოდეს მხოლოდ ეთნიკური კუთვნილების შეგნება. ჩვენ კი ვინაობით შეხედულებას, რომელიც ამ მოვლენას გაიანზრებს უფრო ფართო, ღრმა მნიშვნელობით. კონკრეტულად, მასში უნდა აისახებოდეს აგრეთვე ეთნოსის, ერის მიერ ამ კუთვნილების განცდა, მიმართება (შეფასება) მშობლიური ენასთან, კულტურასთან, ტრადიციებთან და ა. შ., გააზრება საკუთარი ეთნოსის, ერის მდგომარეობისა — თავისუფალია იგი, თუ დამონებული უცხოელთაგან, ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი მისწრაფება სამშობლოს მიერ თავისუფლების მოსაპოვებლად. ამ რიგის საკითხების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. სხვათა შორის, ეთნიკური, ეროვნული თვითშეგნების გაღვივება-გაღრმავება ისტორიული მეცნიერების უდიდესი, უმთავრესი დანიშნულებაა. დაწვრილებით არ შეეჩერდებით იმაზე, რომ ეს თვითშეგნება დამოუკიდებლად, იმანენტურად როდი ვითარდება, არამედ ეფუძნება მთელ რიგ სხვა წანამძღვარებს. წარმოიშობა რა ამ საფუძველზე, ეთნიკური თვითშეგნება, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება ეთნოსის, ერის განვითარებაში.

ახლა რაც შეეხება ერის ეკონომიკური ცხოვრების ერთობას. ჩვენი აზრით, სულაც არაა საჭირო ერის ნაწილის ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიობამ იმ ხარისხს მიაღწიოს, როგორც ამას კაპიტალიზმის განვითარების პირობებში აქვს ადგილი, რათა ეთნოსი ასეთად, ერად იქნეს ჩათვლილი. მიგვაჩნია, რომ ერი შეიძლება ჩამოყალიბდეს უფრო ადრეც, ფეოდალიზმის მეორე ფაზის პირობებში და კიდევ უფრო უწინაც. მაგრამ ამაზე ჭეშმით. აქ კითხვა ისმის: რაში მდგომარეობს მაშინ ისტორიის მატერიალისტური გაგების ძირითადი პრინციპის გამოყენება ერის პრობლემის გააზრების საქმეში. ამაზე ვუპასუხებთ შემდეგს: ეთნიკური ფორმების მონაცვლეობა ისტორიაში გარკვეულად არის დაკავშირებული წარმოების წესების მონაცვლეობასთან, მხოლოდ არა ისე, რომ თითოეული წარმოების წესს შესაბამისი „ეთნიკური ზედნაშენი“ დაეუკავშიროთ. არქაული კომუნისტური წარმოების წესი განაპირობებდა გვარ-ტომის არსებობას¹⁸, მისი განვითარების ბოლო ფაზაზე წარმოიშვა ტომთა კავშირები და ხალხებიც კი. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, წარმოების განვითარების აღნიშნული

¹⁷ ი. გოგებაშვილი თავის ნაშრომში „ბურჯი ეროვნებისა“ რელიგიას და ეკლესიას თვლიდა ერის უმთავრეს ნიშან-თვისებებად.

¹⁸ უწინ ჩვენში საყოველთაოდ იყო გავრცელებული შეხედულება, რომ ჯერ განიდა გვარი და შემდეგ, განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე — ტომი. ეს აშკარა შეცდომაა, რომელიც ი. ბ. სტალინისაგან მოდის. გვარი, როგორც ცნობილია, ეგზოგამიური ერთეულია და იმთავითვე უკავშირდება ტომს. სამწუხაროდ, ეს შეცდომა აქა-იქ კვლავ იჩენს ხოლმე თავს. ასე მაგალითად, ა. სურგულაძე წერს: „გვარი ადამიანთა საზოგადოების პირველი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, პირველი ეთნიკურ-სოციალური ერთობაა. საზოგადოების განვითარების უფრო შედარებით მაღალ საფეხურზე სისხლით მონათესავე გვარების შეერთებით თანდათან ყალიბდება ტომობრივი ერთობა“. იხ. „მაცნე“, 1967, № 5.

საფეხური მდგომარეობდა ნადირობის, შემგროვებლობისა და მეთევზეობის განვითარებაში, შემდეგ — მწარმოებლური მეურნეობის (მიწათმოქმედება, მე-საქონლეობა) გავრცელებაში. სწორედ მეურნეობის დაბალი ფორმების შენარჩუნება გახლდათ მიზეზი იმისა, რომ კაცობრიობის მთელი რიგი ჯგუფებისა ვერ გასცდა გვარ-ტომობის საფეხურს ეთნიკურ განვითარებაში (იგულისხმება კაპიტალიზმთან კონტაქტებამდე).

ხალხი და ერი წარმოიშვება და ვითარდება წარმოების უფრო მაღალი განვითარების საფეხურზე — როცა მიწათმოქმედება, აღმოსავლეთში ირიგაციის ფართო განვითარებით, მაღალ საფეხურს აღწევს, ვითარდება მისი ინტენსიური დარგები, რა თქმა უნდა, მოსახლეობა დიდი ხნის ბინადარ ცხოვრებას ეწევა, იზრდება ხალხთმოსახლეობა, იშლება გვაროვნულ-ტომობრივი კავშირ-ურთიერთობანი და სხვ., შედარებით განვითარებულია კომუნიაციები (გზები, სატრანსპორტო ტექნიკა). უამპირობოდ, ხაზს ვუსვამთ, მით უმეტეს ერის წარმოშობა შეუძლებელია. მაგრამ მხოლოდ ეს პირობა როდია საკმარისი ერის განვითარებისათვის; ეთნოსმა უნდა განავითაროს მთელი რიგი სხვა წინაპირობანი და ნიშან-თვისებები, შექმნას ხელსაყრელი ვითარება ევოლუციისათვის რათა იგი ერად იქცეს. დასავლეთ ევროპის რიგი ეთნოსების ერებად გადაქცევა დაკავშირებული იყო წარმოების შემდგომ განვითარებასთან — ხელოსნობის გამოყოფა სოფლის მეურნეობისაგან, ვაჭრობის გამოყოფა ამ ორი დარგისაგან, ქალაქების, კომუნიაციებისა და სხვ. განვითარება¹⁹.

ეკონომიკური ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ერის წარმოქმნა-განვითარებაში მაშინ, როდესაც ამ პროცესს ხელს უწყობს აგრეთვე სხვა დანარჩენი ფაქტორების არსებობაც. ამის გარეშე ეკონომიკა, თვით მაღალი განვითარების ფორმითაც კი, უძლურია ერის ჩამოყალიბება-ფორმირების საქმეში. შვეიცარია, ბელგია, კანადა და სხვა, მოგეხსენებათ, მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნები არიან და თანაც კაპიტალიზმი, როგორც ცნობილია, აქ დიდი ხნის წინ ჩაისახა და განვითარდა, მაგრამ ლაპარაკი შვეიცარიელ, ბელგიელ, კანადელ და ა. შ. ერებზე, ყოველ შემთხვევაში ჭერჭერობით, შეუძლებელია. მონოპოლისტური კაპიტალიზმის კლასიკურ ქვეყანაში — აშშ-ში ჩვენ ვერ ვხედავთ ერის განვითარების ისეთივე ღრმა პროცესს, როგორც დანიაში, ნორვეგიაში, ირლანდიაში და სხვა დასავლეთევროპულ ქვეყნებში, რომელთაც ეკონომიკის შედარებით დაბალი დონე ახასიათებთ. იმავე ეკონომიკის შემდგომი განვითარება ალბათ პრობლემატურს გახდის ინდოეთის რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის ერთ ერად შეკავშირებას. (მსგავს მოვლენას აქვს ადგილი პატარა შრი-ლანკის მოსახლეობაში).

ამით დავამთავრეთ ერის ძირითადი ნიშან-თვისებების შესახებ მსჯელობას. ზემოთქმულის საფუძველზე ერს ჩვენ ასე განვსაზღვრავდით: „ერი ეს არის დიდი ეთნიკური ჯგუფი, ეთნოსოციალური ერთობის უმაღლესი და რთული სტრუქტურის ფორმა, რომელსაც ახასიათებს ენის, ტერიტორიის, ანთროპოლოგიური ტიპის, წარმომავლობის, ისტორიული ბედ-იღბლის, კულტურის, თვითშეგნების, ეკონომიკური ურთიერთობების, ფსიქოლოგიის და ტრადიციე-

¹⁹ როცა ლაპარაკობენ ფეოდალიზმის დროს ერების წარმოშობის შეუძლებლობაზე, მხედველობაში აქვთ მხოლოდ პირველი ფაზა და არა მეორე, — თითქოს ამ პირველი ფაზიდან უშუალოდ მოხდა გადასვლა კაპიტალიზმზე.

ბის ერთობა“ (ტრადიციებში აქ ჩვენ ვგულისხმობთ ძირითადად ყოფის სფეროში არსებულ მემკვიდრეობითობას, წეს-ჩვეულებებს).

ი. ბ. სტალინი, როგორც უკვე მივუთითებდით, ერისათვის დამახასიათებლად სთვლიდა ოთხ ნიშან-თვისებას, თანაც დასძენდა, რომ ერთ-ერთი მათგანის დაკარგვის შემთხვევაშიც კი ერი წყვეტს ერთად არსებობას. მაგრამ ისტორია სულაც არ ადასტურებს ამ დებულებას. ცნობილი გახლავთ, რომ ინგლისელთა ბატონობის შედეგად ირლანდიელების აბსოლუტურმა უმეტესობამ თავისი მშობლიური ენა დაჰკარგა და ინგლისური შეითვისა; ახლაც კი, მიუხედავად ავიტაციისა, მხოლოდ 15% ირლანდიელებისა ფლობს მშობლიურ ენას. მაგრამ მიუხედავად აღნიშნულისა, ირლანდიელებს თავიანთი ეროვნება და ეროვნულობა არ დაუკარგავთ. (სხვათა შორის, ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ რაც უფრო მეტად ითვისებდნენ ირლანდიელები ინგლისურ ენას, მით უფრო მეტად ხდებოდნენ ანტიინგლისელები). შესაძლებელია ხალხმა დაჰკარგოს ტერიტორიის ერთობა, მაგრამ იგი მაინც ერთად რჩება. ძნელბედობის გამო პოლონელები, როგორც ვიცით, სამი სახელმწიფოს ფარგლებში მოექცნენ. ამრიგად დაჰკარგეს ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ ისინი მაინც ერთ ერთად დარჩნენ²⁰. ებრაელების დისპორა საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ებრაელობამ, როგორც ერმა არ დაჰკარგა თავისი ეროვნება და თავისი სიცოცხლისუნარიანობა, რის წყალობითაც მათ თავიანთი ძველი ტერიტორია დაიბრუნეს. ასევე თანამედროვე სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე სომხობის მხოლოდ ნახევარი თუ ცხოვრობს, მაგრამ დანარჩენი ნახევარის მნიშვნელოვანი ნაწილი სომხურ ეროვნულ ორგანიზმს როდია მოწყვეტილი. და ასეთი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა. ის რაც მოსახლეობას ეთნოსის, მით უმეტეს ერის, ფორმით ჰკრავდა მრავალი ხნის განმავლობაში, არ შეიძლება ერთბაშად, თუნდაც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, გაწყდეს ერთიანი ტერიტორიის გაყოფის ან სხვადასხვა ტერიტორიაზე გაფანტვის შემთხვევაში.

„Вопросы истории“-ს ფურცლებზე მიმდინარე დისკუსიის დროს იყო ცდები ერის ნიშან-თვისებათა ჩამოთვლისა და ამ გზით ერის განსაზღვრისა დისკუსიის წამომწყებნი პ. როგაჩოვი და მ. სვერდლინი ჩამოთვლიდნენ სამეურნეო ცხოვრების (მუშათა კლასის არსებობით), ტერიტორიის, ენის (განსაკუთრებით ლიტერატურულისა), ეთნიკური კუთვნილების თვითშეგნების, აგრეთვე ფსიქოლოგიის, ყოფის ტრადიციების, კულტურისა და განმათავისუფლებელი ბრძოლის ზოგიერთი თავისებურების მყარ ერთობას²¹. მ. მნაცკანიანი საერთო ენის, ტერიტორიის, სამეურნეო კავშირ-ურთიერთობის შემდეგ ერის მეოთხე ნიშნად თვლის საერთო სახელმწიფოებრიობას²². ტ. ბურმისტროვას მიხედვით კი ერი წარმოადგენს ეკონომიკის (სამრეწველო), ტერიტორიის, დამწერლობითი ენის, ხასიათისა და კულტურის ერთიანობას²³. ა. სანცევიჩის შეხედულებით კი „ერი არის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების, საერთო ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებული ადამიანების ერთობა რევოლუციურ ბრძოლასა და სოციალურ ვარდაქმნებში

²⁰ სტალინის მიხედვით, პოლონელი ერი ყალიბდებოდა ავსტრიის იმპერიაში და რუსეთში ცალ-ცალკე.

²¹ იხ. „Вопросы истории“, 1966, № 1, გვ. 45.

²² იქვე, № 9, გვ. 35.

²³ იქვე, № 12, გვ. 108—109.

მუშათა კლასის აქტიური როლით, ისტორიული ტრადიციების ერთობით²⁴. გ. მელქიშვილი ერისათვის დამახასიათებლად თვლის ენის, კულტურის, ტერიტორიისა და ეკონომიკური ცხოვრების ერთობას²⁵. იგი აღნიშნავს: „განმარტებას მოითხოვს ერისა თუ სხვა ეთნოსოციალურ ერთობათა დეფინიციაში ერთიმეორის გვერდით, ერთ სიბრტყეზე სულ სხვადასხვა რიგის ნიშნების დასახელება. ერთი რიგის ეთნიკური ხასიათის ნიშნებია ენა და კულტურა, ხოლო მეორე რიგისა — „ტერიტორია“ და „ეკონომიკური ცხოვრება“. ეს უკანასკნელები უფრო პირობებია, ფაქტორებია ზემოდასახელებული ეთნიკური ნიშნების ჩამოყალიბებისა და შენარჩუნებისათვის“²⁶. ეს საყურადღებო მოსაზრებაა. მსგავსი თვალსაზრისი გამოთქმული ჰქონდა ოტო ბაუერის თავის წიგნში, სადაც ტერიტორია, ეკონომიკური ცხოვრება, საერთო თვითშეგნება განხილულია ერის წარმოქმნა-ჩამოყალიბების პირობებად. გ. მელქიშვილი აქვე იძლევა ეთნოსოციალური ერთობის განსაზღვრას: „...საერთო წარმოშობის, თანაცხოვრებისა და ცხოველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურულ-რელიგიურ კავშირ-ურთიერთობათა საფუძველზე ამა თუ იმ კონკრეტული ერთობისადმი კუთვნილების თვითშეგნების, საერთო ენის და კულტურის მქონე ადამიანთა მყარი ერთობა არის ეთნო-სოციალური ერთობა“²⁷.

ჩვენც ასევე მივიჩნევთ, რომ ერის დახასიათებისას ეკონომიკური ფაქტორი ყველაზე მნიშვნელოვანი არაა. თუმცა რიგ საბჭოთა ავტორთა მიხედვით (პ. როგაჩოვი, მ. სვერდლინი, ტ. ბურმისტროვა, ა. სანცევიჩი და სხვანი) ერის უპირველეს ნიშან-თვისებად ეკონომიკური ფაქტორი ითვლება (იხ. ზემოთ). ასევე საბჭოთა ფილოსოფოსი დ. ჩენსოკოვი ჯერ ასახელებს ტერიტორიის ერთობას, შემდეგ — სამეურნეო კავშირ-ურთიერთობების ერთობას და შემდეგ — ენისა და ფსიქიკური წყობის ერთობას²⁸. იმავე ავტორთან ვკითხულობთ: „მართლაც, ერი წარმოადგენს ადამიანთა განსაზღვრულ ეკონომიკურ ერთობას, იგი არის განზორციელება და გამოხატულება ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობებისა. ერი და ეროვნული ურთიერთობანი თავისი ძირებით მიდიან ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში, მიეკუთვნებიან ბაზისის სფეროს“²⁹.

საერთოდ ერის რაობის კვლევა-ძიებისას არსებობს სერიოზული საფრთხე ნამეტანი სოციოლოგიზმისა, სახელდობრ რომ იგი (ერი) გაგებულ იქნეს საზოგადოების მსგავსად³⁰ (აქ იგულისხმება, რა თქმა უნდა, ისტორიის მატერიალისტური გაგება). ამ შემთხვევაში უნდა დაწყებულ იქნეს ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობიდან და შემდეგ მოხდეს გადასვლა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მხარეებზე. თუ ეს გამართლებულია საზოგადოების როგორც სისტემის ანალოზისას, უადგილოა იგი ეთნოსის, ერის ანალოზისას. საზოგადოე-

²⁴ „Вопросы истории“, 1966, № 12, გვ. 166.

²⁵ გ. მელქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, გვ. 110, 111.

²⁶ იქვე, გვ. 111, იხ. აგრეთვე გვ. 114.

²⁷ იქვე, გვ. 114, აღვნიშნავთ, რომ „კულტურას“ ავტორი განიხილავს ფართო შინაარსით: სულიერი და მატერიალური კულტურა, რელიგია, ზნე-ჩვეულებანი, „ფსიქიკური წყობა“, იხ. გვ. 112—113.

²⁸ Д. И. Чесноков, Исторический материализм, М., 1965, გვ. 240. თვით საერთო ენის წარმოშობას ავტორი უკავშირებს კამიტალიზმის განვითარებას. იხ. იქვე.

²⁹ იქვე, გვ. 240.

³⁰ ამ საფრთხის შესახებ წერდა მ. წერეთელი „ერსა და კაცობრიობაში“.

ბის როგორც სისტემის ანალიზისას ჩვენ შეგვიძლია ენა ყურადღების გარეშე დავტოვოთ, ასევე რასა, საერთო წარმოშობა, ფსიქიკური წყობა, და საერთოდ აბსტრაქტიზება მოვხდინოთ საზოგადოების ისტორიისაგან. მაგრამ ასეთი გზა ერის რაობის გაგებაში აშკარად მცდარია. ასეთი საფრთხე რომ სერიოზულად არსებობს, ეს დაგვანახა ზემოაღნიშნული რიგი საბჭოთა ავტორების მიდგომამ საკითხისადმი³¹.

დასასრულს, როგორც დავინახეთ, მ. მნაცავნიანი ერის ერთ-ერთ ძირითად ნიშან-თვისებად თვლის სახელმწიფოებრიობას. ეს არაა ახალი. ამ იდეის გულმხურვალე პროპაგანდისტი იყო XIX ს-ის ცნობილი შვეიცარიელი სამართალმცოდნე ი. ბლუნჩლი (შვენიშნავთ, რომ საქართველოში მსგავს შეხედულებას იზიარებდა ა. ჯორჯაძე). მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო დიდ როლს ასრულებს ეთნოსის, მათ შორის უფრო მეტად, რა თქმა უნდა, ერის ცხოვრებაში, ეთნიკურ კონსოლიდაციაში. მაგრამ ერის ნიშან-თვისებათა ჩამოთვლისას ამ ფაქტორის დასახელება ჩვენ გაუმართლებლად მიგვაჩნია.

ერის წარმოშობის ისტორიული ეპოქის შესახებ. ი. ბ. სტალინის ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, როგორც ცნობილია, ერის ფორმირება-ჩამოყალიბება უკავშირდება კაპიტალიზმის განვითარებას. მაგრამ ამ ნაშრომში გაურკვეველი რჩება საკითხი იმის თაობაზე, თუ როდის იწყება ამ ეთნიკური ფორმის გენეზისი — ჩასახვა. ცხადია, როგორც ყოველივე სხვა მოვლენა ეს უკანასკნელიც პროცესის სახით უნდა იქნეს გააზრებული. ერთი მხრივ, ი. ბ. სტალინის აღნიშნულ ნაშრომში ლაბარაქია ერზე, როგორც „ისტორიულად ჩამოყალიბებულ მყარ ერთობაზე“. აქვე ვკითხულობთ: „ერი ყალიბდება მხოლოდ ხანგრძლივი და რელიგიური ურთიერთობის შედეგად, თაობიდან თაობამდე ადამიანთა ერთად ცხოვრების შედეგად“³². მაგრამ მეორე მხრივ, ამავე ნაშრომში ი. ბ. სტალინი აღნიშნავს: „ფეოდალიზმის ლიკვიდაციისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესი ამავე დროს ადამიანების ერებად ჩამოყალიბების პროცესია“³³. ამრიგად, ერთი მხრივ, ავტორი ხაზს უსვამდა ენის წარმოშობის დროის სიშორეს საუკუნეების სიღრმეებში, ხოლო მეორე მხრივ, ამ პროცესის დასაწყისს იგი უკავშირებდა ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალ ხანას.

აღნიშნულმა გაურკვეველობამ თავი იჩინა ქართულ ისტორიოგრაფიაშიც. ისტორიკოსთა ნაწილი ქართველი ერის წარმოშობის საწყის ფაზას უკავშირებდა საქართველოში ფეოდალიზმის რღვევასა და კაპიტალიზმის ელემენტების გაჩენას, ასე რომ, ერის როგორც პროცესის დაწყება — გაშლა-ჩამოყალიბებას — მხოლოდ XIX ს-ის ფარგლებში ათავსებდა. ამის საფუძველს, ი. ბ. სტალინის მოტანილი ციტატის გარდა, იძლეოდა ამ უკანასკნელის აზრები, საკუთრივ ქართველი ერის წარმოშობაზე: „ავიღოთ თუნდაც ქართველები. რეფორმადელ ხანაში ქართველები საერთო ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ, მიუხედავად ამისა, ისინი არსებითად ერთ ერს არ შეადგენდნენ, ვინაიდან დანაწილებული იყვნენ მთელ რიგ ერთმანეთისაგან მოწყვე-

³¹ საქართველოში მსგავსი შეცდომა მოუვიდა დ. ჩხიკვიშვილს. იხ. მისი, ერი, კულტურა და სოციალიზმი, თბ., 1972, გვ. 9.

³² ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 317.

³³ იქვე, გვ. 326; იხ. აგრეთვე, ი. ბ. სტალინის მეორე აზრი ამავე გვერდზე.

ტილ სამთავროებდა³⁴; „საქართველო როგორც ერის (sic) მხოლოდ XIX ს-ის მეორე ნახევარში გაჩნდა, როცა ბატონყმობის გაუქმებამ და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დაამყარა შრომის განაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროთა სამეურნეო კარჩაკეტილობა და ერთ მთელად შეაკავშირა ისინი“³⁵.

ქართველ ისტორიკოსთა ნაწილმა ი. ბ. სტალინის აქ მოტანილი ციტატების საფუძველზე დაასკვნა ის, რაზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით. მათ საწინააღმდეგოდ სიმონ ჯანაშია შეეცადა ქართველი ერის ფორმირება-ჩამოყალიბება წარმოედგინა, როგორც ხანგრძლივი პროცესი, რომელიც გვაროვნულ-ტომობრივ წყობილებიდან იწყება და მთავრდება XIX ს-ის მეორე ნახევარში, ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური სამეურნეო წყობილების დამკვიდრებასთან ერთად. თავისი ნააზრევი ს. ჯანაშიამ შემაჯამებელი სახით შეიტანა „საქართველოს ისტორიის“ 1946 წლის გამოცემაში. ენის, ტერიტორიის, ფსიქიკური წყობის ერთობას, როგორც ნიშან-თვისებებსა ან ელემენტებს ავტორი აკუთვნებდა ჩვენი ისტორიული პროცესის წინა საფეხურებს. მაგრამ ამ საფეხურზე, ს. ჯანაშიას აზრით, ქართველთა ცხოვრებას აკლდა ეკონომიკის ერთობა, ხოლო როცა ეს გაჩნდა, ქართველობა ერად ჩამოყალიბდა.

მთლიანად აღებული ს. ჯანაშიას ნააზრევი ქართველი ერის ჩამოყალიბების თაობაზე ქართული ისტორიოგრაფიის დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. აქ ერთმანეთს დაემთხვა ისტორიკოსის მისწრაფება მეცნიერული ქვეშარიტებისადმი და პატრიოტული პოზიცია. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ი. ბ. სტალინის დაწერილი ჰქონდა ნაშრომი (1929 წელს) „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“, სადაც ერის წარმოშობა (ჩამოყალიბება) წარმოდგენილი იყო როგორც ხანგრძლივი პროცესი, რომლის განმავლობაში ხდებოდა ერის ნიშან-თვისებებისა თუ ელემენტების დაგროვება. მაგრამ ეს ნაშრომი გამოქვეყნებულ იქნა 1949 წელს და ს. ჯანაშიამ მის შესახებ 1944-46 წლებში, ცხადია, არაფერი არ იცოდა. ი. ბ. სტალინის გამონათქვამში ს. ჯანაშიამ ყურადღება მიაქცია სიტყვებს იმის შესახებ, რომ ქართველები XIX საუკუნემდე „არსებითად ერთ ერს არ შეადგენდნენ“. მ. ნეჩკინასთან კამათში იგი ზახს უსვამდა ამ ნიუანსს, რომელშიც შემდეგი აზრი ივლისსმებოდა: არსებითად ერს არ შეადგენდნენ, მაგრამ რაღაცა, გარკვეული ზომით არსებობდნენ; ამდენად, ქართველობის ერად გადაქცევა ხანგრძლივი პროცესის შედეგს წარმოადგენდა³⁶. ს. ჯანაშიას

³⁴ ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, იქვე, გვ. 318.

³⁵ იქვე, გვ. 318. მსგავსი ლაფსუსები სხვაგანაც გვხვდება ი. ბ. სტალინის შეხედულებებში საქართველოს ისტორიის შესახებ. მაგალითად, ქართველები „საუკუნეთა განმავლობაში ეომებოდნენ და ანადგურებდნენ ერთმანეთს, ერთიმეორეს უსისიანებდნენ სპარსელებსა და თურქებს“ (იქვე, გვ. 318); „სამთავროთა ეფემერული და შემთხვევითი გაერთიანება, რასაც ზოგჯერ ესა თუ ის იღბლიანი მეფე ახერხებდა“ (იქვე). როგორც ცნობილია, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება X—XII საუკუნეებში „იღბალმა“, ე. ი. წმინდა შემთხვევითობამ როდი განაპირობა. ანდა რა სამტკიცებელია ქართველთა ისეთი „ნაციონალური თავისებურება“, როგორცაა „სისხლის აღების უფლება“ (იქვე, გვ. 355). ეს გადმონათში პირველყოფილი საზოგადოებისა ხომ ძირითადად ქართველ მთიელებს შემორჩია.

³⁶ «Историк-марксист», 1940, № 12. სხვათა შორის, მ. ნეჩკინა ს. ჯანაშიას მოუთითებდა, რომ ფეოდალიზმის ეპოქაში ქართველები შეადგენდნენ ხალხს (национальность) და არა ერს (нация).

ნააზრევში მნიშვნელოვანი მომენტი იყო აგრეთვე ერის ერთ-ერთ არსებით ნიშან-თვისებად კულტურის ერთობის წარმოდგენა, რაც, როგორც დაინახეთ, ი. ბ. სტალინის, როგორც პირველ, ისე მეორე ნაშრომში, არ შედიოდა ერის ცნებაში და ეროვნული კუთვნილების შეგნება (თუმცა ვიწრო მნიშვნელობით), რაც მხოლოდ ერის შესახებ გამართული დისკუსიის დროს ვაკეთდა³⁷.

ი. ბ. სტალინის ნაშრომებში აღნიშნული საკითხის შესახებ სხვა შეუსაბამო ბანაც არის. ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, ვკითხულობთ: „მაგრამ ერების წარმოშობა იქ (დასავლეთ ევროპაში, — გ. ყ.) ნიშნავდა ამავე დროს მათ გადაქცევას დამოუკიდებელ ნაციონალურ სახელმწიფოებად. ინგლისელი, ფრანგი და სხვა ერები ამავე დროს ინგლისისა და სხვ. სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ“³⁸. მაგრამ ეს ხომ აქ XV საუკუნეში მოხდა, ე. ი. ფეოდალიზმის მეორე ფაზის ბოლოს! მეორე ნაშრომში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“ ი. ბ. სტალინი ლაბარაკობდა ბალკანელ ერებზე, რომელთაც ჩაგრავენენ თურქები, და სომხებსა და ქართველებზე, როგორც ერებზე ფეოდალიზმის ეპოქაში³⁹.

ერის რაობა და ადგილი ეთნიკური ფორმების მონაცვლეობაში ვერ გაირკვევა თუ ვააზრებულნი არ იქნება წინამდებელი ფორმებიც, განსაკუთრებით ის ეთნიკური წარმონაქმნი, რომელიც მას უშუალოდ წინ უძღოდა. ი. ბ. სტალინის ნაშრომებში ამას, რა თქმა უნდა, ვერ ვხედავთ; მხოლოდ იშვიათად, კანტიკუნტად, თუ არის აქ გაბნეული აზრები ამ საკითხის შესახებ. ი. ბ. სტალინი პირველ ეთნიკურ ფორმად თვლიდა გვარს, შემდეგ — ტომს⁴⁰. ცალკე ლაბარაკობდა ხალხებზე, „народности“, ზოგჯერ ხმარობდა ტერმინ „народец“-ს (გაურკვეველი მნიშვნელობით). „Народность“-ში იგი გულისხმობდა მაგალითად, აფხაზებს, ლეკებს და სხვ. უფრო მაღალ ეთნიკურ ფორმად ი. ბ. სტალინი მიიჩნევდა „национальность“-ს. Национальность-ს შეადგენდნენ, მაგალითად, ავსტრია-უნგრეთის შემადგენლობაში მყოფი ხალხები, ვიდრე ისინი ერებად გადაიქცეოდნენ. „Национальность“ იყო, მისი აზრით, ქართველებიც XIX ს-მდე, ასევე ფინელები⁴¹. ზოგჯერ ეთნიკური ტერმინი „ეროვნება“ ი. ბ. სტალინს ნახმარი აქვს ერის მნიშვნელობით⁴².

ი. ბ. სტალინის პირველი ნაშრომის მე-6 თავში გვხვდება უცნაური მოსაზრება, რაზედაც ყურადღება დღემდე არ მიუქცევიათ. აქ ლაბარაკია კავკასიაში

³⁷ ს. ჭანაშიას ნააზრევი აღნიშნული საკითხის შესახებ მთლიანად, მთ შორის მოხსენების ტექსტი, განხილული და გამოქვეყნებული აქვს ი. კაჭარავას თავის „ისტორიოგრაფიულ ეტიუდებში“ (თბ., 1978). ჩვენ ვერ გავიზარებთ ი. კაჭარავას მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ს. ჭანაშია ფეოდალური საქართველოს პირობებში ერის არსებობას გულისხმობდა და თანაც თითქოს ეს გამომდინარეობს ი. ბ. სტალინის თეორიული მეგვიდრებობიდან და რომ ს. ჭანაშია ბურჟუაზიული ერის აღსანიშნავად ხმარობდა ტერმინ „ნაციას“, ხოლო ერს — ფეოდალიზმის მიმართ. ეს მნიშვნელოვანწილად აუფასურებს ს. ჭანაშიას დამსახურებას (უმაღლესი ეთნიკური ფორმა — „ნაცია“ უკავშირდება კაპიტალიზმს, ხოლო ფეოდალიზმისათვის რჩება ტერმინი „ერი“ მაღალი შინაარსის გარეშე!).

³⁸ ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 326.

³⁹ ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 12.

⁴⁰ ი. ბ. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები.

⁴¹ ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 363, 364, 367.

⁴² იქვე, გვ. 350, 356, 357, 359. აქვე შევნიშნავთ, რომ შევიცარიელები ავტორთან მოხსენიება როგორც ცალკეულ ეროვნებათა ერთობლიობა, იხ. იქვე, გვ. 364, 366.

მცხოვრებ რიგ ხალხებზე („народность“), რომელთაც „პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებული არიან“⁴³. ნაწარმოებში ვკითხულობთ: „რა ვუყოთ მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ? რომელ ერებს მივაკუთვნოთ ისინი? შესაძლებელია თუ არა მათი „მოწყობა“ ნაციონალურ კავშირებად? რომელი „კულტურული საქმეების“ გარშემო „მოვაწყოთ“ ისინი?“⁴⁴; „რომელ ნაციონალურ კავშირს მივაკუთვნოთ აჭარლები, რომლებიც ქართულ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თურქული კულტურით ცხოვრობენ და ისლამის რჯულს აღიარებენ? ხომ არ „მოვაწყოთ“ ისინი ქართველებისაგან განცალკევებულად რელიგიური საქმეების ნიადაგზე და ქართველებთან ერთად სხვა კულტურული საქმეების ნიადაგზე? ახლა ქობულეთელები? ...ახლა ინგილოები?“⁴⁵. მოტანილი ციტატებიდან აშკარად ჩანს, რომ ი. ბ. სტალინი მეგრელებს, სვანებს, აჭარლებს და სხვ. არ მიაკუთვნებდა ქართველ ერს თვით XIX ს-ის მეორე ნახევრისა და XX ს-ის პირველი ოცწლეულის განმავლობაში. ამრიგად, როცა იგი XIX ს-ის მეორე ნახევარში ქართველობის ერთად ჩამოყალიბებაზე ლაპარაკობდა, გულისხმობდა რომ ქართველ ერს, ქართველობას შეადგენდნენ ქართველები, კახელები, იმერლები და სხვები, ე. ი. მხოლოდ ისინი ვისაც სალაპარაკო ენად ქართული ენის დიალექტები აქვთ. სამწუხაროდ, ეს შეხედულება იმეორებს მეფის რუსეთის ოფიციალური იდეოლოგიისა და პოლიტიკის სტერეოტიპებს ქართველი ერის შესახებ. მაგრამ ამაზე შემდეგ ვისაუბროთ.

ახლა შევჩერდეთ იმაზე თუ რომელ ისტორიულ ფაზას უკავშირებდნენ ერის წარმოშობას კ. მარქსი და ფ. ენგელსი. ამ თვალსაზრისით მთელი საკითხის მარქსოლოგიური კვლევა-ძიება ჯერჯერობით არ ჩატარებულა. თუმცა ამ მონაზროვნეთა, განსაკუთრებით ფ. ენგელსის, აზრების სისტემაში მოყვანა ეთნიკური ფორმების მონაცვლეობისა და კერძოდ, ერის წარმოშობის თაობაზე პერსპექტიული საკითხია. ჯერდებიან ორ ციტატას მარქსიზმის კლასიკოსების ადრეული ნაწარმოებებიდან („კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, „გლეხთა ომი გერმანიაში“); საიდანაც თითქოს ჩანს, რომ ერების წარმოშობას დასავლეთ ევროპაში ისინი იაზრებდნენ მხოლოდ აღმავალი კაპიტალიზმის პირობებში, სწორედ ისევე როგორც ამას აკეთებდა კ. კაუტცი და შემდეგ ი. ბ. სტალინი. მაგრამ მარქსიზმის კლასიკოსების ნააზრევის წარმოჩენა ამა თუ იმ საკითხის შესახებ მხოლოდ ორიოდ ციტატის მოტანით სულაც არ გახლავთ მეცნიერული გზა; სინამდვილეში უნდა გააზრებულ იქნეს შეხედულებანი მთლიანობაში. თუნდაც აღნიშნული პერიოდის აზრები რომ განვიხილოთ, დავინახავთ რომ კ. მარქსი და ფ. ენგელსი ერის წარმოშობის თაობაზე სხვანაირადაც ფიქრობდნენ. „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ ავტორები სწერდნენ „ბარბარო-

⁴³ ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 376.

⁴⁴ იქვე, გვ. 377. ზედმეტია შევჩერდეთ ი. ბ. სტალინის იმ აზრის მკდარობაზე, რომლის მიხედვითაც ეს „ხალხები“ ასიმილაციას განიცდიან. საქმე, რა თქმა უნდა, ეხება მხოლოდ კონსოლიდაციას.

⁴⁵ ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 377. ი. ბ. სტალინი 1921 წელსაც აღნიშნავდა აჭარლებს შესახებ, რომ ისინი ქართველები არ არიან. იხ. თხზულებანი, ტ. 5, გვ. 276. ალბათ, ყველაზე მეტად აქედან მოდის კურონული მტკიცებანი ქართველთა მიერ აჭარლების „ასიმილაციისა“ და „აჭარული ენიდან“ თარგმანების შესახებ.

სული ერების“ შესახებ⁴⁶, იმაზე, რომ კაპიტალიზმის ექსპანსიის პირობებში ჩამორჩენილი ერები იძულებული არიან კაპიტალისტური წარმოების წესი შეიტვისონ⁴⁷. 49-იანი წლების დასასრულსა და 50-იანი წლების დასაწყისის ნაწერებში კ. მარქსთან და ფ. ენგელსთან არაერთგზის ვხვდებით ირლანდიელების, მთელი რიგი სლავი ხალხების ერებად მოხსენიების ფაქტებს. მეორე ობიექტის ომს (1856—1858 წწ.) ფ. ენგელსი უწოდებდა „სახალხო ომს ჩინელი ერის დასაცავად“⁴⁸.

აღნიშნულის თაობაზე ა. სურგულაძე შენიშნავს: „მარქსისა და ენგელსის შრომებში ერი ზოგჯერ მონათმფლობელური და ფეოდალური ფორმაციების მიმართაც იხმარება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთისაგან არ განასხვავებდნენ ერსა და ეროვნებას“⁴⁹; „მარქსისა და ენგელსს, როცა ისინი წინაკაპიტალისტური ეპოქების „ერებზე“ ლაპარაკობდნენ, მხედველობაში ჰქონდათ ერი, როგორც ეთნიკური ერთობა, რაც, ცხადია, ერების ჩამოყალიბებამდე შეიქმნა. ხალხთა ეროვნული თავისებურებანი აღმოცენდებიან უფრო ადრე, ვიდრე ერები ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით“⁵⁰; „მარქსისა და ენგელსის ნაშრომებში ვერსად შეხვდებით საუბარს ერის, როგორც ფეოდალური ეპოქისათვის დამახასიათებელი მოვლენის შესახებ“⁵¹. ვფიქრობთ, რომ გვაქვს სათანადო საფუძველი დავეკვდეთ ასეთი მტკიცებების მართებულობაში. ასე მაგალითად, პროვანსელების შესახებ კ. მარქსი შენიშნავდა, რომ ამ უკანასკნელმა „პირველმა ახალი დროის ერებიდან გამოიქმნა სალიტერატურო ენა“⁵².

1881-82 წლებში დაწერილ ფ. ენგელსის სტატიაში — „მარკა“, ვკითხულობთ, რომ იმ ვითარებაში, როცა ხალხი შედგება მხოლოდ წვრილი თემებისაგან⁵³, რომელთა ეკონომიკური ინტერესები ერთნაირი იყო და სწორედ ამიტომ — არა საერთო, ერის შემდგომი არსებობის პირობა ხდება სახელმწიფოებრივი ხელისუფლება⁵⁴.

ფ. ენგელსი თვლიდა, რომ პირველ კაპიტალისტურ ერს წარმოადგენდნენ იტალიელები, უკვე დანტეს ხანაში⁵⁵. რაც მთავარია, ფ. ენგელსის ნააზრევში

⁴⁶ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1974, გვ. 12. „ბარბაროსობაში“, კ. მარქსი და ფ. ენგელსი ამ პერიოდში გულისხმობდნენ აღმოსავლეთის ტრადიციულ საზოგადოებას, სანამ ეს უკანასკნელი დაიშლებოდა კაპიტალიზმის ზემოქმედებით.

⁴⁷ იქვე, გვ. 12. აღნიშნული კონტექსტის მიხედვით გასაგები ხდება იმ განცხადების საზღვარი, რომ კაპიტალიზმმა ერთმანეთთან დააკავშირა სხვადასხვა ერი (იგულისხმება წინაკაპიტალისტურ ფაზებზე მყოფნი).

⁴⁸ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 12, გვ. 222.

⁴⁹ ა. სურგულაძე, ქართველი ერის ჩამოყალიბების შესახებ, „მაცნე“, 1967, № 5, გვ. 345.

⁵⁰ ამ აზრს ავტორი იმოწმებს ს. ტ. კალტახიანის სტატიიდან «К вопросу о понятии нации», ВИ, 1966, № 6.

⁵¹ ა. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 345.

⁵² К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, გვ. 378. ამავე გვერდზე მარქსი ორჯერ მოიხსენიებს სამხრეთფრანგულ ანუ პროვანსელ ერს.

⁵³ იგულისხმება სიტუაცია გვაროვნულ-ტომობრივი წყობილების დამლის შემდეგ, სასოფლო თემების გავრცელების პირობებში.

⁵⁴ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 19, გვ. 496.

⁵⁵ კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1974, გვ. XXXIII. თუ რამდენად შორს გადაჰქონდა ენგელსს იტალიელების და სხვათა ერად განვითარების პროცესის დასაწყისი, ეს ჩანს

შეინიშნება ერთი კანონზომიერება: დასავლეთ ევროპის ადრეული შუა საუკუნეების ეთნიკური წარმონაქმნებისათვის, დაახლოებით IX ს.-ისათვის, იგი ხმარობს ტერმინს „ეროვნებას“ (nationalität)⁵⁶, აქედან მოყოლებული, იგი თვლიდა რომ ეროვნებებმა დაიწყეს ერებად განვითარება. ნაშრომში „ფეოდალიზმის დაშლისა და თანამედროვე სახელმწიფოების წარმოშობის შესახებ“ ეკითხულობთ, რომ ხალხების შერევის შედეგად, რაც ხდებოდა ადრეულ შუა საუკუნეებში, თანდათანობით განვითარდნენ ახალი ეროვნებანი, რომ როგორც კი ადგილი ჰქონდა გამიჯვნას ენობრივ ჯგუფებად, ბუნებრივი იყო, რომ ეს ჯგუფები სახელმწიფოთა წარმოქმნის საფუძვლად იქცნენ და რომ ეროვნებებმა იწყეს ერებად განვითარება⁵⁷. მეფის ხელისუფლება წარმომადგენელი იყო განვითარებადი ერისა მემამბოხე-ვასალურ სახელმწიფოებად დაშლილობის საპირისპიროდ⁵⁸. „ლუდვიგ ფოიერბახსა და გერმანელი კლასიკური ფილოსოფიის დასასრულში“ (1886 წელს) ფ. ენგელსი წერდა: „ვერაინ ვერ ხედავდა შუა საუკუნეებში წინ გადადგმულ დიდ ნაბიჯებს — ევროპის კულტურული სფეროს გაფართოებას, დიდი, სიცოცხლისუნარიანი ერების წარმოშობას ერთიმეორის მეზობლად“⁵⁹.

ამრიგად, მიგვაჩინა რომ ფ. ენგელსის ბოლო დროის ნააზრევის მიხედვით, მთელი რიგი დასავლეთ ევროპელი ხალხების (ინგლისელების, ფრანგების, ესპანელების და სხვათა), აგრეთვე რუსების, ერებად წარმოშობა უკავშირდება XV ს.-ეს, ე. ი. იმ პერიოდს, როდესაც მოხდა ეროვნული სახელმწიფოების წარმოქმნა. ამ პროცესზე დაწვრილებით აქ არ შევიჩერდებით. მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ იმას, რომ ამ ხანისათვის ამ ეთნოსებს უკვე ჰქონდათ ენის⁶⁰, ტერიტორიის ერთობა, საერთო თვითშეგნება, კულტურა და ა. შ.

ამ მომენტებს დავუმატებდით შემდეგსაც. ი. ბ. სტალინიდან მოყოლებული ბევრს ფეოდალიზმი მხოლოდ ეკონომიკურ დაშლილობად და პოლიტიკურ დეცენტრალიზაციად წარმოუდგენია, მაგრამ ასე გახლდათ მხოლოდ ადრეულ ფაზაზე. მეორე ფაზაზე (XI—XV სს.) ადგილი ჰქონდა სასაქონლო წარმოების მნიშვნელოვან განვითარებას და ამ საფუძველზე სახელმწიფოს ცენტრალიზაციას, სულიერი კულტურის შემდგომ აღმავლობას. თუ რამდენად განვითარებული იყო ფეოდალური ეკონომიკა, მაგალითად XV ს.-ის საფრანგეთში, ეს კარგად ჩანს შემდეგი ფაქტებიდან. XV ს.-ის მეორე ნახევარში გაიფურჩქნა ბაზრობები — საერთოფრანგული, პროვინციული და ადგილობრივები, რომლებიც დიდ როლს ასრულებდნენ საერთო ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბებაში. ხდე-

„ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობის“ იმ ადგილებიდან, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ რომის იმპერიის დაშლის პერიოდში ახალი ერების ელემენტები ყველგან იყო გაბნეული, მაგრამ არსად ჩანდა ძალა, რომელიც შეძლებდა ამ ელემენტების ახალ ერებად შედუღებას.

⁵⁶ ამის თაობაზე იხ. И. В. Арский, Вопрос о формировании национальностей в Западной Европе, Ученые записки ЛГУ, серия исторических наук, вып. 12, 1941.

⁵⁷ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 21, с. 411.

⁵⁸ იქვე, გვ. 410.

⁵⁹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1950, გვ. 450. შევნიშნავთ, რომ შუა საუკუნეების დასასრულად ენგელსი მიიჩნევდა XV საუკუნეს, იხ. „ბუნების დიალექტიკა“, 1954, გვ. 198.

⁶⁰ ენა უკვე სალიტერატურო გახლდათ. როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა „წმინდა ოჯახში“, დიალექტების კონცენტრაციის პროცესი ერთიან ეროვნულ ენად ხდება ეკონომიკური და პოლიტიკური კონცენტრაციის საფუძველზე.

3. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1992, №4.

ბოდა პროვინციების სამეურნეო სპეციალიზაცია, მსხვილი საბითუმო ვაჭრობა წარმოებდა ლიონისა და ნორმანდიის ბაზრობაზე (რუანი, კანი). თვით ლიონი წარმოადგენდა მსხვილ სავაჭრო ცენტრს, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთ ოლქებს აერთიანებდა სამხრეთთან და, სადაც უკვე მნიშვნელოვნად იყო განვითარებული საბანკო საქმეც. ინგლისში ჯერ კიდევ XII ს-ის დასასრულსა და XIII ს-ის დასაწყისისათვის საკმაოდ მყარი ეკონომიკური ურთიერთობები იყო განვითარებული. ამ ხანაში საერთო ინგლისური ვაჭრობის ცენტრს წარმოადგენდა ლონდონი. ადგილი ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო რაიონების სპეციალიზაციას; ზოგიერთებისას — ხორბლეულის წარმოებაზე (სამხრეთი, ცენტრალური და აღმოსავლეთ ინგლისი), ზოგიერთებისას — ხორცის, რძისა და მატყლის წარმოებაზე. XIII ს-ის დასასრულს ინგლისის სამეფოში ქალაქების რაოდენობა 280-ს აღწევდა⁶². ამ პერიოდისათვის საბჭოთა ისტორიკოსთა ერთი ნაწილის აზრით, ინგლისში არსებობდა ერთიანი ეროვნული ბაზარიც კი⁶³.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ფეოდალური წარმოების წესი მნიშვნელოვნად დაწინაურდა, რომლის საფუძველზედაც განვითარდა ინტენსიური ეკონომიკური და სხვა სახის კავშირ-ურთიერთობანი, ცენტრალიზებული სახელმწიფო, სამართალი, სულიერი კულტურა და ა. შ. სწორედ ასეთ პირობებში შეძლო სამეფო ხელისუფლებამ ფეოდალური ანარქიის დაძლევა. ყოველივე ამის შედეგად კი დაწინაურებული დასავლეთევროპელი ეთნოსები კაპიტალიზმის საწყის ეპოქას შეზღვედნენ როგორც უკვე ერებად ჩამოყალიბებულნი და ეროვნული სახელმწიფოების მქონენი (საბჭოთა მეცნიერთა აზრით, ეროვნული სახელმწიფოები მხოლოდ კაპიტალიზმის განვითარების პროდუქტია, რაც აშკარად მცდარია).

უფრო კონკრეტულად თუ ვიმსჯელებთ, ფეოდალიზმის მეორე პერიოდის მანძილზე (XI—XV სს.) მოხდა ანგლო-საქსებისა და ფრანკო-ნორმანების შერწყმა ერთიან ინგლისელ ერად, ჩრდილოელი და სამხრეთელი ფრანგებისა — ფრანგ ერად, კასტილიელებისა და არაგონელებისა — ესპანელებად და ა. შ. რუსეთში მსგავს პროცესს, ე. ი. რუსი ერის წარმოშობას (ჩამოყალიბებას), ადგილი ჰქონდა განსხვავებულ სოციალ-ეკონომიკურ ბაზაზე (აზიური წარმოების წესი), მაგრამ ძლიერი საგარეო გამოწვევის პირობებში (მონღოლთა შემოსევები, ოქროს ურდოს არსებობა)....

⁶¹ История средних веков, т. 1, М., 1966, გვ. 303.

⁶² იქვე, გვ. 320.

⁶³ იქვე, გვ. 347.

Г. В. КОРАНАШВИЛИ

ЭТНИЧЕСКИЕ ФОРМЫ В ДОКАПИТАЛИСТИЧЕСКИХ
КЛАССОВЫХ ОБЩЕСТВАХ

Резюме

Обычно определенные этнические формы приурочивают к соответствующим классовым формациям. В частности, часто их считают продуктом развития капиталистического общества. Автор статьи считает такой подход весьма упрощенным и даже ошибочным. В статье указывается, что надежным критерием возникновения и формирования нации надо считать национальное самосознание; раз существует и углубляется сознание о национальной общности, существует и нация.

Исходя из этого постулата, возникновение нации не всегда было связано с капитализмом. В частности, грузины сформировались на рубеже XI—XII веков. С другой стороны, общенациональное самосознание было продуктом политического, экономического, социального и культурного развития.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ახალი ისტორიის განყოფილებამ

ვახა ლორთქიფანიძე

**სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის
ისტორიული მიმოხილვა XIX საუკუნემდე**

სამცხე-ჯავახეთი საქართველოს მნიშვნელოვანი კუთხეა. იგი ისტორიულად ზემო ქართლში — მესხეთში შედიოდა. ამ მხარემ უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი სამშობლოს პოლიტიკური და კულტურული დაწინაურების საქმეში. მესხეთი სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზოგადი სახელწოდებაა და იგი უძველესი დროიდან მოიცავდა სამცხეს, ჯავახეთს, ტაოს, კლარჯეთს, არტანს, ერუშეთს, შავშეთს, კოლას, აჭარას, ბასიანს, ჭანეთს, აბოცს, ლივანის ხევსა და სპერს. მესხეთის სახელწოდება წარმოდგება ქართველური ტომის — მესხებისაგან, რომლებიც აქ უძველესი დროიდან ცხოვრობენ. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი განმარტავს „ბაგრატიონთ მეფობასა შინა ყოველთა ამთ აღვილებთა და ქუეყანათა კრებით ეწოდა მესხნი, იგივე ძველი სახელი სამცხეთოსი, და სიმოკლისათვის მესხნი ითქმის“¹. სამცხის სამთავროს გაზრდისა და მის მფლობელთა სავგარეულოსათვის ათაბაგთა სახელის დამკვიდრების შემდეგ მესხეთი საათაბაგოდ იწოდებოდა და XIV ს-დან სამცხე-საათაბაგო მთელი მესხეთის სინონიმი გახდა.

როგორც ჩანს, უძველეს დროში მესხები ძლიერი ტომი იყო. ძველი წელთაღრიცხვის XI ს-დან მოყოლებული მუსკები, ტაბალები და კასკები, რომლებიც მერმინდელ მესხთა, იბერთა და კოლხთა წინაპარი ქართველი ტომები იყვნენ, უკვე პოლიტიკურ ასპარეზზე ჩანან². სწორედ მესხთა ტომის სიძლიერეზე მეტყველებს ასურული წარწერა, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის 1100 წლით თარიღდება. ამ წარწერაში მოხსენიებულია სუბარების ქვეყანა და „მისი ამაყი და ურჩი ხალხი“. როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, ამ დროს ხეთურ-სუბარული ტომებიდან უფრო ძლიერი ყოფილან მუსკები, მერმინდელი მესხები, რომელნიც ზოგჯერ თვითონ ესხმოდნენ თავს ასურეთს და მის თემებს იპყრობდნენ³.

რა თქმა უნდა, მესხების რაოდენობის შესახებ შორეულ წარსულში არაფერი ვიცით, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული წყაროების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება გარკვევით ითქვას შემდეგი: მესხთა ტომი იმ პერიოდისათვის საკმაოდ მრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყო. ჯერ ერთი, მუსკების ანუ მესხების სამფლობელო რამდენიმე სამეფოდ იყო გაყოფილი, მეორეც, ისინი მაშინდელი ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს — ასურეთის დაპყრობასაც ბედავდნენ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე XI და VIII საუკუნეების ასურული წარწერე-

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, გვ. 658.

² იე. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. 1, თბ., 1979, გვ. 43.

³ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. V, თბ., 1987, გვ. 30.

ბის მიხედვით ასურეთის მეფეები კვებულობენ მუსკების ქალაქები დავაქციეთ და გადავბუგეთო, რაც ჩვენამდე ვერც ერთმა მეფემ ვერ შეძლო და ისინი ჩვენს წინაპრებს არ ემორჩილებოდნენ⁴.

მოსხების შესახებ ცნობები მოიპოვება აგრეთვე ანტიკურ წყაროებში. ისინი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ცხოვრობდნენ. პეროდოტეს ცნობით (ეს ცნობა კი ერთ-ერთი უძველესია ბერძენ ავტორთაგან ქართველთა წინაპარი ტომების შესახებ), მოსხები სპარსეთის მბრძანებლებს დაუმორჩილებია და ისინი სპარსეთის მეფის დარიოსის XIX სატრაპიაში შედიოდნენ ტიბარენებთან, მაკრონებთან, მოსინიკებთან და მარებთან ერთად⁵. მოსხები, აღნიშნულ ქართველ ტომებთან ერთად, მოვალენი იყვნენ სპარსეთს ჯარით მიშველებოდნენ. პეროდოტე გვაწვდის მოსხების საბრძოლო აღჭურვილობასაც — თავზე მათ ხის მუზარადები ეხურათ, ხოლო ფარები და შუბები — პატარა, შუბის წვეროები კი გრძელი ჰქონდათ⁶.

მოსხების შესახებ არსებული უძველესი ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ ისინი ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებულნი იყვნენ და განვითარებული სამოქალაქო ცხოვრება ჰქონდათ. მოსხები მისდევდნენ მიწათმოქმედებას და, ერთ-ერთი რომაელი მწერლის თქმით, დახელოვნებული მიწათმოქმედები იყვნენ, აშენებდნენ ვაზს და აყენებდნენ ღვინოს, იცოდნენ მადნეულის დამუშავებას. მოსხებს ჰქონდათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე თავისი მნიშვნელობითა და სიმდიდრით მეზობელ ქვეყნებშიდაც განთქმული ქალღმერთ ლევკოთეას ტაძარი. ამ ტაძრის შესახებ პეროდოტე აღნიშნავს: მოსხიკეთში (მესხეთში) არის ლევკოთეას ტაძარი. ოდესღაც იგი მდიდარი იყო, მაგრამ ჩვენს დროში გაძარცული იქნაო. როგორც ს. ჯანაშია ვარაუდობს, გაჭირვებულების შემდეგ ლევკოთეას ტაძრის ადგილას ააშენეს განთქმული ღვთისმშობლის სახელობის აწყურის ტაძარი⁷.

მოსხები, სამეცნიერო ლიტერატურაში განვითარებული მოსახრების მიხედვით, უძველეს დროში ცხოვრობდნენ, აგრეთვე, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. ჯერ კიდევ ნ. მარმა წამოაყენა დებულება აფხაზთა ქართველური, სახელდობრ, მესხური წარმომავლობის შესახებ, რომელიც შემდეგში მეტად ანგარიშგასაწევი მეცნიერული კვლევის საფუძველზე განავითარა პ. ინგოროყვამ. მისი ერთ-ერთი მთავარი დებულება ის არის, რომ აფხაზთა ტომის სახელწოდების თავდაპირველი სახეობა არის მოსხი, იგივე მესხი. იგი აფხაზთა ტომს მიიჩნევდა ქართულ ენაზე მეტყველ მესხთა ტომად, როგორც პ. ინგოროყვა აღნიშნავს, ანტიკური ხანის ყველა ძველ წყაროში, დაწყებული ძველი წელთაღრიცხვის V ს-დან ვიდრე ახალი წელთაღრიცხვის I ს-მდე აფხაზებს ეწოდება მხოლოდ სახელი მოსხი. მკვლევარი დაასკვნის, რომ აფხაზთა ტომის სახელწოდება ყოფილა „მოსხი“ (მოსხი), იგივე მესხი, რაც უკვე თავისთავად ცხადყოფს, რომ აფხაზები ქართველ ტომთა ჯგუფს ეკუთვნოდნენ⁸.

პ. ინგოროყვას მოსახრება მოსხ-მესხისა და აფხაზეთის ურთიერთკავშირის შესახებ მეცნიერთა ნაწილმა არ გაიზიარა. მაგალითად, პროფ. ქ. ლომთათიძე

⁴ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 62.

⁵ თ. ყაუხჩიშვილი, პეროდოსტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960, გვ. 75.

⁶ იქვე, გვ. 113.

⁷ ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 79—80.

⁸ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 137, 140.

მეტად საფუძვლიანი არგუმენტების მოშველიებით უარყოფს პ. ინგოროყვას მოსაზრებას აფხაზეთში მოსახლე აფხაზთა ტომის ქართულ ენაზე მეტყველ მესხთა ტომად მიჩნევის შესახებ. მისი აზრით, ქართველები და აფხაზები მონათესავე ხალხებია; მათი მონათესავე ენები შეიცავენ უძველეს საერთო წარმოშობის ენობრივ მასალას; ამ ხალხებს ერთიანი ისტორია ჰქონდათ, რაც დაკავშირებული იყო მათ უძველეს ერთიან წარმოშობასთან⁹. ასევე არ იზიარებს აბაზგ-აფხაზების ქართული წარმომავლობის შესახებ დებულებას მ. ინაძე. მისი აზრით, ამჟამად არსებული მასალა საფუძველს ვეძღვეს ვილაპარაკოთ არა მოსხებისა და აბაზგების იგივეობაზე, არამედ ვივარაუდოთ, რომ ძველთაგანვე აფხაზეთის მკვიდრი ქართველური ტომები მოსხები, კოლხები და სხვა აღებულ ხანაში (ახ. წ. II ს-დან) აბაზგთა ახლად შექმნილი სამთავროს ფარგლებში შედიან და სანაპიროზე მცხოვრებ მეგრულ-ზანურ მოსახლეობასთან — სანიგებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ აბაზგთა სამთავროს შემდგომ პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში¹⁰.

ამდენად, თუ ყოველივე იმას გავითვალისწინებთ, რაც ზემოთ აღინიშნა, შეიძლება დაბეჭივებით ითქვას, რომ მესხები უძველეს დროში საკმაოდ ძლიერ და მრავალრიცხოვან ტომს წარმოადგენდნენ. ამის საფუძველს იძლევა მესხების ბრძოლები ასურეთის ძლიერ სახელმწიფოსთან და, რაც მთავარია, მესხთა ტომის განსახლების ფართო არეალი. ძველი წელთაღრიცხვის VI—IV საუკუნეებში, როდესაც ინტენსიურად მიმდინარეობდა ქართის ტომების კონსოლიდაცია, დაწინაურდნენ მესხური ტომები, რომლებიც თავის დასახლებებს შიდა ქართლშიც ქმნიან. ერთ-ერთი ასეთი დასახლება იყო მცხეთა, რომლის სახელწოდება მესხთა სახელიდან არის ნაწარმოები — „მ(ე)ცხ-ეთა“. ამასთან მესხებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც უცხოვრიათ: ხუნძები ფშავ-ხევისურებს „მოსიხის“ სახელით იცნობენ¹¹. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც რომ მესხებს ძველი წელთაღრიცხვის XI ს-ში უკვე ჰქონდათ იმ პერიოდისათვის კარგად განვითარებული სოფლის მეურნეობა, მადნეულის დამუშავება და ხელოსნობა. მათი ქალაქებიც მეტად მდიდარი იყო.

ისტორიული მესხეთის, ანუ ზემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილია სამცხე-ჯავახეთი. მესხეთის ძირითადი მხარე, „ქვეყანაი სამცხისაი“ მდებარეობდა ტახის კარსა და არსიანის მთებს შორის. სახელწოდება „სამცხე“, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, მესხთა ტომის სახელისაგან წარმოდგება — სამესხე, სამცხე. სამცხის სახელწოდება ახსნილი აქვს ვახუშტი ბატონიშვილსაც, მაგრამ მისეული ახსნა მეტად ხელოვნურია. მან სამცხის სახელი სამ ციხეს დაუკავშირა: „სამთა ციხეთათვის... იწოდა სამცხე“¹². არის მოსაზრება, რომ სამცხეს ადრე ოძრხე ეწოდებოდა. ამის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი შემდეგს აღნიშნავს: „განიყო სახელი ზემო ქართლისა სამად. არამედ აწ ოძრახოს წილს, გურიის მთამდე და არსიანის მთამდე, უწოდებენ სამცხეს“¹³. ამჟამად სამცხეში

⁹ ქ. ლ ო რ თ ა თ ი ძ ე, აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ, ჟურ. „მნათობი“, 1956, № 12, გვ. 132—139.

¹⁰ მ. ინაძე, ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, ჟურ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1992, № 2, გვ. 65.

¹¹ პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 140; П. Услар, Аварский язык, 1889, ნაწ. II, გვ. 24, 26.

¹² ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 658.

¹³ იქვე, გვ. 657.

შედის ახლანდელი ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის რაიონები. ისტორიულად იგი მოიცავდა თურქეთის მომიჯნავე ტერიტორიის ნაწილსაც.

სამცხის უძველესი ცენტრები იყო ოძრხე და აწყური. ამჟამად ოძრხეს სახელი მატიანეთა ფურცლებზეა შემორჩენილი. თავის დროზე კი ციხე-ქალაქი ოძრხე, „მოცილებული კლდესა დადოსა“, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამცხის ცხოვრებაში. იგი დაუარსებია ქართველთა ლეგენდარულ ეთნარქს — ოძრხოსს. ძველი წელთაღრიცხვის III ს-დან ოძრხოსი სამცხისა და აჭარის ერისთავის რეზიდენციას წარმოადგენდა. VIII ს-დან იგი თანდათანობით კარგავს თავის მნიშვნელობას. რაც შეეხება ქალაქ აწყურს, იგი XI—XII საუკუნეებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. XI ს-დან სამცხეში ასევე მნიშვნელოვანი პუნქტი ხდება ახალციხე. მის წარმოშობაზე უშუალო ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ მის არსებობას IX ს-დან ვარაუდობენ. როგორც ჩანს, ადრე ახალციხეს „ლომსია“ ერქვა. ასეთ ვარაუდს გამოთქვამს ვახუშტი ბაგრატიონიც: „არს ახალციხე ქალაქი... (ამას ვგონებ ლომსიად, ვინაითვან, ისახელების რა ახალციხე ცხოვრებასა შინა, არღარა მოიხსენების მერმე ლომსია)“¹⁴. ახალციხე შემდეგ საუკუნეებში სამცხის მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული, კულტურული და სავაჭრო ცენტრი გახდა. ახალციხეს, როგორც ისტორიკოსი პ. ზაქარაია აღნიშნავს, ფაქტობრივად ორი ცხოვრება ჰქონდა. ერთი, როდესაც მას ქართველები აშენებდნენ და განაგებდნენ, ხოლო მეორე — ფაშები ბატონობდნენ¹⁵.

სამცხის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა ჯავახეთი. ისტორიულ წყაროებში ჯავახეთი, როგორც ქართულ ენციკლოპედიაშია აღნიშნული, პირველად ძველი წელთაღრიცხვის 785 წელს იხსენიება ურარტუს მეფის არგიშთი I-ის წარწერაში, როგორც დაპყრობილი მხარე. ისტორიულად უძველესი დროიდანვე ჯავახეთი ქართლის სამეფოს ერთ-ერთი საერისთავო იყო. მის ცენტრს ქალაქი წუნდა წარმოადგენდა, რომელიც ქართული ეროვნული ტრადიციის მიხედვით დააარსა ქართველთა ერთ-ერთმა ეთნარქმა ჯავახოსმა. ძველი წელთაღრიცხვის III ს-ში ქართლის მეფე ფარნავაზი წუნდის საერისთავოსაც აარსებს. X ს-დან ქვემო ჯავახეთის ცენტრი ხდება თმოგვი, ხოლო XI ს-დან ზემო ჯავახეთისა — ახალქალაქი. ჯავახეთმა, ისე როგორც სამცხემ, თავის აღმავლობასა და აყვავებას XI—XIII საუკუნეებში — საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერების ხანაში მიიღწია. ამჟამად ჯავახეთში შედის ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები. ისტორიულად მასში შედიოდა ახლანდელი ასპინძის რაიონის ტერიტორიისა და თურქეთის მომიჯნავე ტერიტორიის ნაწილი. სამცხე-ჯავახეთში, მესხეთში შემავალ სხვა კუთხეებთან ერთად, დაირწა ჩვენი ერთ-ერთი უპირველესი სახელმწიფოებრივი და კულტურული აკვანი. მისი დიდებული წარსული ფაქტობრივად საქართველოს ბედნიერებასა და გადარჩენას ემსხვერპლა.

სამცხესა და ჯავახეთს, ისე როგორც საერთოდ მესხეთს, ადრეული საუკუნეებიდან ბევრი უბედურება დაატყდა თავს. მათი მოსახლეობის აკლებაში, მიწების, ქონებისა და სიმდიდრის მითვისებაში ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ ბიზანტიელები, სპარსელები, არაბები, ოსმალო-თურქები, მონღოლები. მიუხედავად ამისა, მესხეთს ჰქონდა აყვავების პერიოდებიც და ამ ისტორიულმა

¹⁴ ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 663.

¹⁵ პ. ზაქარაია, საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, თბ., 1973, გვ. 25.

მხარემ უდიდესი როლი შეასრულა ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ასევე ერთიანი ეროვნულ-კულტურული ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ მესხეთი ყოველთვის საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო და მისი მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ყოველთვის ქართველები შეადგენდნენ. შესაბამისი ქართული და უცხოური ისტორიული წყაროების გაცნობა მხოლოდ ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა. ამიტომ სამართლიანად აღნიშნავს ს. მაკალათია იმის შესახებ, რომ ძველი სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა „წმინდა ქართული იყო, იგი მეტყველებდა ქართულ კილოზე და თავისი ტიპით, ყოფა-ცხოვრებით და ხასიათით არ განსხვავდებოდა შიდა და ქვემო-ქართლის მოსახლეობისაგან“¹⁶.

მართლაც, უძველესი დროიდან, როგორც ქართული საისტორიო წყაროები გვიჩვენებენ, მესხეთი ქართლის სამეფოს ანუ იბერიას ეკუთვნოდა. ამის შესახებ აღნიშნული აქვს სტრაბონსაც. XI ს-ის მეორე ნახევრის ქართველი ისტორიკოსი და საეკლესიო მოღვაწე — რუისის მთავარეპისკოპოსი ლეონტი მროველი, როდესაც ჩამოთვლის ქართლის საზღვრებს, მას ქართლში მესხეთიც ნაგულისხმები აქვს. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, თუ ჩვენ ჩავუყვირდებით ლეონტი მროველის მიერ შემოფარგლულ მიწა-წყალს, უძველესი შევამჩნევთ, რომ იქ საკუთრივ ქართლის გარდა ჩართულია ჯავახეთი, სამცხე, შავშეთი, კლარჯეთი და ტაოც, ანუ მთელი ის ქვეყანა, რომელიც მესხეთად იყო ცნობილი¹⁷. მართლაც, სიტყვა „ქართლი“ დროთა განმავლობაში მარტო საკუთრივ ქართლს როდი აღნიშნავს. მისი მნიშვნელობა თანდათან ფართოვდება და მასში ქართული ქვეყნები, „ყოვლისა ქართველთა ნათესავისა“ მიწა-წყალიც იგულისხმებოდა. ამიტომ, როდესაც „ქართლს“ ფართო მნიშვნელობით ხმარობდნენ, უმატებდნენ ხოლმე „ყოველი“ ან „ერთობლივი“ („ყოველი ქართლი“, „ერთობლივი ქართლი“). ყველაზე ნათლად ამ ცნების შემკრებლობითი მნიშვნელობა გამოხატული აქვს გიორგი მერჩულეს: „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირიცხების, რომლისა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი „აღსრულების“. XI ს-დან უკვე „ყოველი ქართლის“ მაგივრად ხმარობენ სიტყვას „საქართველო“ და მასში ქართლში შემავალ ყველა ქვეყანას გულისხმობენ. ამ მხრივ საინტერესოა რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მიერ შედგენილი საეკლესიო კანონთა კრებული „ძეგლისწერა“, სადაც აღნიშნულია, რომ პირველწოდებულმა ანდრია მოციქულმა შემოიტანა „საცხოვრებელი ქადაგება სახარებისა ყოველსა ქვეყანასა საქართველოსასა“, მაგრამ „უმრავლესმან ერმან ქართლისამან“ ანდრია მოციქულის ქადაგება დაივიწყა¹⁸. ამრიგად, ქართლი მოიცავდა სამცხე-ჯავახეთს, რომელიც 1008 წელს ერთიანი საქართველოს მეფის საგამებლოში შევიდა.

სამცხე-ჯავახეთი მტერმა არაერთხელ ააოხრა და იავარყო. მაგალითად, როგორც მემატიანეები გადმოგვცემენ 914 წელს ხალიფას სარდალმა აბუ-ლკასიმმა „მოაოხრა სამცხე და ჯავახეთი“. 1021 წელს ბიზანტიის ლაშქარმა „უბოროტესადრე შურის-გებით მოაოხრნა“¹⁹ ჯავახეთი და არტაანი. 1060-იანი

¹⁶ სერგი მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938, გვ. 12.

¹⁷ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1983, გვ. 29.

¹⁸ არსენ იყალთოელი, ძეგლისწერა, ქართული მწერლობა, ტ. 2, თბ., 1987, გვ. 218.

¹⁹ ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 285.

წლებიდან თურქებმა არაერთხელ დალაშქრეს საქართველო. პირველი შემოსევის დროს მათ აიღეს ჯავახეთის ახალქალაქი, გაძარცვეს და დიდძალი ხალხი ამოხოცეს — „შეიღება წყალი ახალქალაქისა სისხლითა-ო“, — აღნიშნავს მემბტიანე. თურქებს სპარსეთში ტყვედ წაუყვანიათ „ურციხევი ერი ქრისტიანეთა“. ასეთივე დღე ადგა ახალციხეს. ცნობილია, რომ 1416 წელს „თურქთა ახალციხე ამოწყვიტეს“. XVI საუკუნის ცნობილი სპარსელი ისტორიკოსის ჰასან რუმლუს ცნობით 1483 წელს იაყუბ ფაღიმაჰმა ურციხევი ჯარით საქართველოზე გაილაშქრა. იგი ახალციხეს გარს შემოერტყა და ციხის კოშკი ზარბაზნის ცემით დაანგრია, „ვინც მუსლიმანი გახდა, ის უვნებელი გადარჩა, ხოლო ვინც არ მიიღო ჭეშმარიტი სარწმუნოება, ის არყოფნის გზით გაეჩქარა (მოიკლა)“²⁰ — აღნიშნავს ჰასან რუმლუ. ახალციხის აღების ამბავს ქართველი მემბტიანე ასე გადმოგვცემს; თურქმანებმა მოაოხრეს სამცხე და „მოადგეს ციხესა ახალციხესა, ბრძოდეს დიდხანს და ვერღარა დაუდგინა სიმაგრემან, გატეხეს და დაწვეს ქალაქი და დაიპყრეს ხელთა მესხნი დარბაისელნი ციხოვანი“²¹.

მონღოლების მთელი მრისხანებაც სამცხეს დაატყდა თავზე. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, მონღოლების მიერ საქართველოს ამ თემის რბევ-აოხრება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მაგალითად, 1261 წელს მონღოლთა ლაშქარი 20 დღის განმავლობაში აოხრებდა სამცხეს. შემდეგ საუკუნეებშიც სამცხე-ჯავახეთი გარეშე და შინაური მტრების საბრძოლო ასპარეზად იყო გადაქცეული. ჩვენი სამშობლოს ეს კუთხე განსაკუთრებით დაზარალდა XVI ს-ში, როდესაც ამიერკავკასიაში გავლენისათვის ერთმანეთს ებრძოდა ირანი და ოს-მალეთი; საბოლოოდ თურქებმა მესხეთი დაიპყრეს და შექმნეს ახალციხის საფაშო.

მესხეთის და, კერძოდ, მასში შემავალი კუთხეების სამცხისა და ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის შესახებ XVI ს-მდე მოსახლეობის აღწერის მონაცემები არ მოგვეპოვება, მაგრამ სხვადასხვა ისტორიული წყაროების გაანალიზების შედეგად შეგვიძლია საქართველოს ამ კუთხეების მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა მიახლოებით განვსაზღვროთ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში შედარებით რეალური სურათიც ვაჩვენოთ.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, თუ რა ზიანი მიაყენა მტრების გამუდმებულმა შემოსევებმა სამცხე-ჯავახეთს, ეს შემოსევები როგორ ამცირებდა მის მოსახლეობას. მაგრამ ამ მხარეს ჰქონდა მშვიდობიანი, აღმშენებლობითი პერიოდებიც, რაც ხელს უწყობდა მოსახლეობის გამრავლებას.

მტრის შემოსევები, მართლაც, მეტად ამცირებდა მოსახლეობას და ზოგ შემთხვევაში უკაცრიელს ხდიდა დასახლებულ პუნქტებს. კერძოდ, სამცხეში ხშირი შემოსევების შედეგად IX ს-ში, როგორც „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებიდან“ ჩანს, „ადგილნი მცირედ კაცრიელნი“²² ყოფილან, „შემდეგში კი მჭიდროდ დასახლებული იყო. XI ს-ის დასასრულს, „დიდი თურქობის“ დროს, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად შემცირებულა საქართველოს მოსახლეობა. „კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სა-

²⁰ ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1966, გვ. 17—18.

²¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 343, 482.

²² ბასილ ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, ქართული მწერლობა, ტ. I, თბ., 1987, გვ. 655.

მოქალაქო და ჰეონდიდი აღივსო თურქითაო“, წერს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. კალიასავით შეესივნენო თურქები საქართველოს — „მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი“, „მოჰამეს ქვეყანა“, „და ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა“. უფრო ადრე, არაბთა შემოსევებმა გაანადგურა კლარჯეთი და მისი მეზობელი მხარეები, დიდად შემცირდა იქ მოსახლეობა. გიორგი მერჩულეს გადმოცემით იშხანი და მისი მიდამოები სრულიად გავერანებული იყო — „მის ჟამსა კაცთაგან მიუვალ იყო ადგილი იგი“ და „პირველი დიდებულებანი“ იშხანისა აღარავის ახსოვდა. მაგრამ ის ფაქტი, რომ V—VII საუკუნეებში კლარჯეთში სამი საეპისკოპოსო არსებულა, ხოლო 840-იან წლებში 12 საეპისკოპოსო იმავსეც მიუთითებს, რომ ამ პერიოდებში იგი მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა ყოფილა, ამასთან მესხეთში და, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში IX ს-დან მოყოლებული ხუროთმოძღვრების უამრავი და უბრწყინვალესი ძეგლის მშენებლობა; მწიგნობრული საქმიანობის მაღალი დონე; მშვიდობიანი ცხოვრების პირობების არსებობა (განსაკუთრებით XII საუკუნესა და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში); მედიცინის განვითარება, მხოლოდ და მხოლოდ მრავალრიცხოვანი მოსახლეობის არსებობის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი, რაც, თავის მხრივ, მოსახლეობის გამრავლებასაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს.

ამავე დროს, მოსახლეობის რაოდენობასთან დაკავშირებით, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში და, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში, მოსახლეობის შემცირებას იწვევდა არა მარტო გამუდმებული ომები, არამედ კატასტროფული მიწისძვრები, მოუსავლიანი წლები, ეპიდემიების გავრცელება და ტყვის სყიდვა. კერძოდ, „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს სამცხეში დამანგრეველ მიწისძვრებზე, რომლებმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. როგორც ქართველი მემატიანეები გადმოგვცემენ, კატასტროფულმა მიწისძვრებმა განსაკუთრებით დააზიანა სამცხე. მაგალითად, მონღოლებისაგან ისედაც აოხრებულ სამცხეს ზედ დაერთო უძლიერესი მიწისძვრა, რომელმაც ურიცხვი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და ქონებაც გაანადგურა. ამ მიწისძვრის შესახებ უამთაღმწერელი შემდეგ ცნობას გვაწვდის: აღდგომის წინა დღეებში, „დიდსა ოთხშაბათსა შეიძრა მძაფრიად ქუეყანა... კულად ხუთშაბათსა მცირედ შეიძრა... და ვითარ მოიწია პარასკევი ვნებისა უფლისა, კულადცა შეიძრა ქუეყანა, დაყუდდა... და ვითარ მოიწია შაბათი... საფუძველითურთ შეიძრა ქუეყანა და შეძრწუნდა ესოდენ, რომელ დაიქცეს საყდარნი და მონასტერნი, ეკლესიანი, ციხენი, სახლნი, ნაშენენი მოოხრდეს, მთანი და ბორცუნი მაღალნი დაიზულეს, კლდენი სახედ მტურისა დაიგალნეს, და მიწა განიპო, და შავი წყალი მსგავსი კუბრისა აღმოიჭრა, ხენი მაღალნი დაეცნიან და ირყეოდინ ძრავასა ქუეყანისასა“. ასეთი დამანგრეველი მიწისძვრა სამცხეში ერთ თვეს გაგრძელებულა. ამის შედეგად სამცხეში „ყოვლად საყდარი, ეკლესია და ციხე არსად დარჩა დაუქცევარი“. ბუნებრივია, მიწისძვრამ მრავალი ადამიანიც იმსხვერპლა: „სამცხეს ურიცხვი სული მოსწყდა... იქმნა გლოვა და ტირილი უზომო“²³. ასეთი დამანგრეველი მიწისძვრები, რომლებიც ადამიანთა დიდ მსხვერპლსაც იწვევდა, ამ მხარეში პერიოდულად მეორდებოდა. მაგალითად, ციხე-ქალაქი თმოგვი რამდენჯერმე დაანგრია ძლიერმა მიწისძვრამ (1089, 1283 და 1319 წლებში). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის გადმოცემით, ერთ-ერთი

²³ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 277—278.

ასეთი მიწისძვრის დროს თმოგვი „დაიქცა და დაიპყრნა ქუეშე კახაბერი ძე ნიანიასი ცოლითურთ“²⁴.

მოსახლეობის შემცირებას იწვევდა აგრეთვე ყამი (შავი ჭირი) და სხვა ეპიდემიები, ტყვის სყიდვა, რომელსაც სამცხე-საათაბაგოში მასობრივი ხასიათი მიეცა ოსმალების ბატონობის პერიოდში, კალიებისა და ფრინველების (ჭივჭივის) შემოსევა, რომლებიც სპობდნენ ნათესებს. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, ბრძოლებზე მეტად (ბრძოლისაცა უმეტეს იგინი მრე ექმნებოდიან) ეს ფაქტორები იწვევდნენ ქვეყნის აოხრებასა და განადგურებას: „კულად მოვიდა სირი ჭივჭივი, რომელთა დაახნელიან მზე სიმრავლით და მოჭამა ნაშრომი სრულიად, რომელი არა თქმული არს საუკუნით. კულად იყო სრვაცა მომსრველი, ყამი ძლიერი“²⁵.

ჩვენ არ მოგვებოვება ცნობები იმის შესახებ, თუ ადრეულ საუკუნეებში რამდენი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა ეპიდემიებმა, მაგრამ, ექვსგარეშეა, რომ ეპიდემიები მრავალ ადამიანს უსპობდა სიცოცხლეს. მაგალითად, ვიცით, რომ XIX ს-ში იმერეთში მარტო ერთი წლის განმავლობაში (1811 წელს) შავმა ჭირმა შეიწირა 32 750 სული, ანუ იმერეთის მოსახლეობის თითქმის მესამედი. შავი ჭირის ეპიდემია გავრცელდა აგრეთვე სამეგრელოსა და გურიაში. ამასთან შავმა ჭირმა დააზიანა არა მარტო დასავლეთ საქართველო, არამედ ქართლი და ახალციხის მხარე. 1811 წელს ამ სენმა ახალციხეში იმსხვერპლა ერეკლე II-ის კანცლერი სოლომონ ლიონიძე და ცნობილი პატრი ნიკოლა²⁶.

როგორც უკვე ითქვა, სამცხე-ჯავახეთში ადრეულ საუკუნეებში მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ზუსტი ცნობები არ მოგვებოვება. მართალია, საქართველოში ტარდებოდა მოსახლეობის აღწერები, მაგრამ ამ აღწერების შედეგებში ან დაკარგულია, ან ცალკეული კუთხეების მიხედვით არ იძლევა მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრის საშუალებას. მაგალითად, ცნობილია, რომ VII ს-ის პირველ ნახევარში საქართველოში მოსახლეობის აღწერა ჩატარდა, მაგრამ აღწერის მასალები (დავთრები) საბერძნეთში წაუღიათ. ამის შესახებ სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში ვკითხულობთ: ქართლში სტეფანოზის მეფობის დროს „ქუეყანა ქართლისა აღწერეს და წარიდეს საბერძნეთს“²⁷. არც XI ს-ის 20-იან წლებში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემებია ცნობილი. ეს აღწერა ბიზანტიელებმა ჩაატარეს და რიგით მეორეა იმ აღწერათა შორის, რაც ლიტერატურული წყაროებით დასტურდება²⁸. შემდეგი აღწერა უკვე მონღოლებმა ჩაატარეს 1254 წელს. ამ აღწერას ფისკალური და სამხედრო მიზნები ჰქონდა. აღწერის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული მონაცემების შესაბამისი გაანგარიშების შედეგად ირკვევა, რომ 1254 წელს საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 5 მილიონ კაცს უდრიდა.

აღნიშნული მონაცემის საფუძველზე, არაპირდაპირი გაანგარიშებით, ჩვენ შეგვიძლია ამ პერიოდისათვის განვსაზღვროთ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობა. კერძოდ, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამჟამად საქართველოს მოსახლეობა ასევე დაახლოებით 5 მილიონს, ხოლო სამცხე-ჯავახეთისა

²⁴ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 323.

²⁵ ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 512—513.

²⁶ მ. რეხვიასვილი, იმერეთის სამეფო (1462—1810 წწ.), თბ., 1989, გვ. 416—417.

²⁷ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 375—376.

²⁸ პ. გუგუშვილი, მოსახლეობა, ოჯახი, შეილიანობა, თბ., 1985, გვ. 6.

196 ათას კაცს უდრის და თუ გავითვალისწინებთ სამცხე-ჯავახეთის მაშინდელ პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად უაღრესად დაწინაურებულ მდგომარეობას, მაშინ 1254 წელს სამცხე-ჯავახეთში სულ მცირე 200 ათასი კაცი მაინც ცხოვრობდა.

შემდეგ პერიოდში სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობა კატასტროფიულად მცირდება, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც XVI საუკუნეში ოსმალო-თურქებმა სამცხე-საათაბაგო დაიპყრეს და მას „გურჯისტანის ვილაიეთი“ ანუ „საქართველოს პროვინცია“ უწოდეს. ოსმალო-თურქების ხანგრძლივი და სისტემატური შემოსევების შედეგად სამცხე-ჯავახეთი მთლიანად გაპარტახდა, მოიშალა მისი სამეურნეო ცხოვრება. ქართული მოსახლეობის გამუსლიმანების მიზნით ოსმალებმა აქ შემოიღეს მიწათმფლობელობის ოსმალური წესი. მესხეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლას შეეწირა, ნაწილი კი დევ, შექმნილი აუტანელი პირობების გამო, ქვეყნის შიდა რაიონებში გადასახლდა, უპირატესად ქართლსა და იმერეთში.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ოსმალეთის ხელი-სუფლებამ ადგილობრივი მოსახლეობის დაბევრის მიზნით დასაბეგრავე ობიექტების საყოველთაო აღწერა ჩაატარა. სპეციალურ დავთარში შექმნილად მოსახლეობის დაბეგვრისათვის საჭირო ცნობები. დავთარი შეიცავს ფასდაუდებელ ცნობებს საქართველოს ამ ნაწილის არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად, არამედ მოსახლეობის რაოდენობისა და განსაკუთრებით ეროვნული შემადგენლობის დასადგენად. დავთარმა, რომელიც 1595 წელს არის შედგენილი, ჩვენამდე სრული სახით მოაღწია და მას „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ეწოდება. „დავთარის“ გამოცემასა და მეცნიერულ შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვის აკად. ს. ჯიქიას.

სამცხე-საათაბაგო „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის“ მიხედვით ადმინისტრაციულად დაყოფილია ლიეებად (სადროშოებად) და ნაჰიეებად (რაიონებად). თითოეულ რაიონში რამდენიმე სოფელი და დასახლებული პუნქტი შედიოდა. დავთარი რვა ლიეისა და 28 რაიონისაგან შედგება და ისინი ასეა განაწილებული:

1. ახალციხის ლიეაში შედიოდა მზვარეს, ჩრდილის, უდეს, ქვაბლიანის, აწყურის, ალთუწყლის, ოცხეს, ასპინძისა და ჭაჭრაქის რაიონები; 2. ხერთვისის ლიეაში — ხერთვისის, ტყიანი ჯავახეთისა და ბუზმარეთის რაიონები; 3. ახალქალაქის ლიეაში — აკშეჰირის, თმოგვისა და ნიალისყურის რაიონები; 4. ჩილდირის ლიეაში — ჯანბაზის, ქანარბელისა და მგლისციხის რაიონები; 5. ფოცხოვის ლიეაში — მზვარესა და ჩრდილის რაიონები; 6. პეტრას ლიეაში — პეტრასა და ქაშვეთის რაიონები; 7. ფანაკლის ლიეაში — ფანაკლის, ქიაშხისა და ფანასკერტის რაიონები; 8. დიდი არტაანის ლიეაში — მზვარეს, ჩრდილისა და ტყიანის რაიონები.

„დავთარის“ მიხედვით, „საქართველოს პროვინციაში“ შედიოდა ახლანდელი ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, ადიგენის, ნინოწმინდისა და ბორჯომის რაიონები და ოსმალეთის მიერ მიტაცებული ყარსის მხარის არტაანისა და ოლთისის ოლქები. „დავთარში“ აღნიშნულ 28 რაიონში 1160 სოფელი შედიოდა. ამ სოფლების მიხედვით მოცემულია ყოველი კომლის უფროსის სახელი, მამის სახელი და ზოგ შემთხვევაში პროფესიაც, რაც ჩვენ საშუალებას გვაძლევს ზედმიწევნით ზუსტად გავარკვიოთ სამცხე-ჯავახეთის და საერთოდ „საქართველოს პროვინციის“ ეროვნული შემადგენლობა. როგორც აკად. ს. ჯიქია აღნიშ-

ნავს, „ონომატოლოგიური“ ხასიათის მასალიდან „დავთარში“ ტომონიმიკურის გარდა ძლიერ საინტერესოა სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობაში გავრცელებული ადამიანთა საკუთარი სახელების დიდი სია. „დავთარში“ მხოლოდ ოჯახის მეთაურ მამაკაცთა სახელებია წარმოდგენილი, მაგრამ ისე უხვად, რომ შესაძლებელია ამ თვალსაზრისით იმ დროისათვის დამახასიათებელი სრული სურათის აღდგენა²⁹. მართლაც, „დავთარის“ სათანადო გამოკვლევა საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობის 95%-ზე მეტს ქართველები შეადგენდნენ. ამრიგად, ახლანდელი ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ასპინძისა და ადიგენის რაიონებში 1595 წელს ძირითადად მხოლოდ და მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. „საამისო საფუძველს იძლევა „დავთარის“ ონომასტიკური შესწავლა, საიდანაც ჩანს, რომ თითქმის მთელი მოსახლეობა ქართველებისაგან შედგება“³⁰. „დავთარი“ რელიგიური აღმსარებლობისადმი კუთვნილების გარკვევის საშუალებასაც იძლევა — „დავთარში“ ყოველი მუსლიმანის სახელს გაკეთებული აქვს სპეციალური ნიშანი, რომლის მიხედვით დგინდება, რომ 1595 წლისათვის სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობის 97% ქრისტიანი იყო.

ის, რომ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმრავლესობა ამ პერიოდში და XVIII ს-ის დასაწყისშიც ჯერ კიდევ ქრისტიანი ქართველები იყვნენ, ამას ვახუშტი ბატონიშვილიც ადასტურებს. ვახუშტი სამცხე-საათაბაგოს აღწერის დროს აღნიშნავს, რომ „მთავარნი და წარჩინებულნი არიან მაჰმადიანნი, და გლეხნი ქრისტიანენი... ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული. გარნა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებულთა შინა უბნობენ აწ თათრულსა და თვისთა სახლებთა ანუ ურთიერთის მეგობრობათა შინა იტყვიან ქართულსავე“. უშუალოდ ჯავახეთის აღწერის დროს კი მეცნიერი განმარტავს: „სარწმუნოებით გლეხნი ჯერეთ (არიან) ქრისტიანენი სრულიად... ჰყავთ მღუღელნი ქართველნი. ენა აქუსთ ქართული, და უწყიან მოთავეთა თათრულიცა დამჭირნობისათვის ოსმალთა“³¹. ამ მხარეში რომ სხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხსაც ეცხოვრა, ვახუშტი ამის შესახებ ისევე უეჭველად აღნიშნავდა, როგორც იგი ამას სხვა შემთხვევაში აკეთებს. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ უტყუარი მაჩვენებელია იმისა, რომ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა ქრისტიანი ქართველები იყვნენ. ამავე დროს ვახუშტის ნაშრომში ისიც ჩანს, რომ თანდათანობით ხდებოდა ქართველი მოსახლეობის გამაჰმადიანება და თურქული ენის ქართველ მოსახლეობაში დამკვიდრება.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის“ მიხედვით შეიძლება სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობაც დავადგინოთ. ამ პერიოდში უკვე მისი მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირებულია. „დავთარში“ ნახსენები 1160 სოფლიდან 368 სოფელი უკაცრიელია. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო პეტრას ლივაში (ახლანდელი ბორჯომის რაიონი) — 48 სოფლიდან 41 მოსახლეობისაგან მთლიანად დაცლილია. არც ერთი კაცი არ ცხოვრობდა ახალდაბაში, ქევიშეთში, ყვიბისში, ლიკანში, წალვერში, ბაკურიანში, ფაფაში, კორტანეთსა და სხვა სოფლებში.

²⁹ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, თბ., 1947, გვ. X.

³⁰ გ. გამყრელიძე, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ როგორც დემოგრაფიულ-სტატისტიკური ძეგლი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXIV, 1948, გვ. 86.

³¹ ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 660—661, 672.

ასე რომ, ამ დროისათვის სამცხე-საათაბაგოში მოსახლეობა მეტად მცირე რაოდენობით ცხოვრობდა, რაც თურქთა ბატონობით იყო გამოწვეული. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ „დავთრის“ მიხედვით საშუალოდ ერთ დასახლებულ სოფელზე მხოლოდ 16 კომლი მოდიოდა, ხოლო ზოგიერთ სოფელში ორი ან ერთი კომლიც კი ცხოვრობდა.

ცნობილი სტატისტიკოსისა და დემოგრაფის გ. გამყრელიძის დაანგარიშებით, მთლიანად „გურჯისტანის ვილაიეთში“ ამ პერიოდში 63 690 კაცი ცხოვრობდა, ახალციხის ლივაში — 19675, ხოლო ახალქალაქის ლივაში — 5125 კაცი³². ჩვენი აზრით, ეს დაანგარიშება არ არის ზუსტი, რადგან მოსახლეობის რაოდენობის გასარკვევად აღებულია კომლთა რიცხვი, რომელიც გამრავლებულია კომლის საშუალო სულადობაზე, კერძოდ, ხუთზე. ასეთ შემთხვევაში მხედველობიდან გამოტოვებულია ზოგიერთი საყურადღებო ფაქტი. კერძოდ, „დავთარში“ კომლები წარმოდგენილია მხოლოდ ოჯახის უფროსი მამაკაცების სახელებით და მასში არ არის შეტანილი უკაცო ოჯახები, ე. ი. ის ოჯახები, რომელთა წევრები მხოლოდ ქალები იყვნენ. ამასთან, „დავთარში“ არ შეუტანიათ აღმინისტრაციული თანამდებობის პირნი და თავად-აზნაურთა ის ნაწილი, რომელსაც „დამსახურება“ მიუძღოდა ოსმალთა დამპყრობთა წინაშე და, ამდენად, შეინარჩუნეს თავიანთი პრივილეგიური მდგომარეობა — ისინი გადასახადს არ იხდიდნენ. ისიც არ არის გამორიცხული, რომ აღწერის დროს გამოჩინოდნენ კომლთა და შეიძლება სოფელთა გარკვეული რაოდენობაც. ისიც საეჭვოა, რომ კომლის საშუალო სულადობა ხუთ კაცზე მეტი არ იქნებოდა. იმ პერიოდში ტრადიციულად დიდი ოჯახები არსებობდა, რომლებშიც რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობდა. მაგალითად, ჯავახეთში, შემდგომი პერიოდის მონაცემებით, კერძოდ, 1886 წელს კომლის საშუალო სიდიდე 8,6 კაცს უდრიდა.

თუ ყოველივეს გავითვალისწინებთ და კომლთა რაოდენობას რვაზე მიინცთ გავამრავლებთ, მაშინ სამცხე-საათაბაგოში 1595 წელს 101 864 კაცი ცხოვრობდა, სამცხეში — 31400, ხოლო ჯავახეთში — 8344 კაცი, მთლიანად სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა კი 39744 კაცს შეადგენდა. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ სამცხე-ჯავახეთის მაშინდელი მოსახლეობის ზუსტი განსაზღვრა თანამედროვე ტერიტორიის ფარგლებში თუ შეუძლებელი არაა, უადრესად რთულია.

XVI ს-ის შემდეგ ვიდრე XIX ს-მდე ჩვენ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. მიუხედავად ამისა, პროფ. ვ. ჯაოშვილმა არაპირდაპირი გზით გამოთვალა ამ მხარის მოსახლეობის რაოდენობა 1770 წლისათვის. სწორედ ამ პერიოდისათვის მან დაიანგარიშა საქართველოს მთელი მოსახლეობა, რასაც საფუძვლად დაედო ქართლ-კახეთის სამეფოს 1970 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, რომელიც შეიცავს ქართლ-კახეთის სამეფოს ყველა პროვინციის მცხოვრებთა შესახებ რაოდენობრივ მონაცემებს. ვ. ჯაოშვილმა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობა განსაზღვრა იმ პროპორციის გამოყენებით, რომელიც XIX ს-ის დასაწყისში არსებობდა, ერთი მხრივ, სამცხე-ჯავახეთის და, მეორე მხრივ, მთლიანად საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას შორის. ამ გზით მან დაადგინა, რომ 1770

³² გ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 81—82.

წელს სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობდა 34 ათასი კაცი³³. ამრიგად, თურქეთის ბატონობა თითქმის დამლუბველი აღმოჩნდა აქ მცხოვრები ქართველებისათვის. 200-ზე მეტი წლის მანძილზე არავითარი სასიკეთო ცვლილებები არ მომხდარა სამცხე-ჯავახეთის მძიმე დემოგრაფიული ვითარების გასაუმჯობესებლად. ამ კუთხის ისედაც მცირე მოსახლეობა 1595 წელთან შედარებით კიდევ უფრო შემცირდა. XIX ს-ის დასაწყისიდან კი იწყება არანაკლებ, და შეიძლება ითქვას, უფრო დრამატული პერიოდი ქართველი მოსახლეობის გამრავლების თვალსაზრისით სამცხე-ჯავახეთის ცხოვრებაში.

В. Г. ЛОРДКИПАНИДЗЕ

ИСТОРИЧЕСКИЙ ОБЗОР СОСТАВА НАСЕЛЕНИЯ САМЦХЕ-ДЖАВАХЕТИ ДО XIX ВЕКА

Резюме

В статье дан краткий обзор состава населения Самцхе-Джавахети, этих важнейших исторических уголков Грузии. Исторически они входили в состав т. н. «Земо-Картли» («Верхняя Картли») — Месхети. Древнегрузинская провинция Месхети сыграла огромную роль в становлении грузинского государства и в развитии его политической и культурной жизни. Месхети — это общее, собирательное название южной и юго-западной Грузии, с древнейших времен эта провинция охватывала как собственно Самцхе-Джавахети, так и Тао, Кларджети, Артаан, Шавшет-Эрушети, Аджара и другие исторические области. Само название Месхети происходит от древнегрузинских племен месхов, которые начиная с I тысячелетия до н. э. проживали на этой территории.

Месхети и входящие в нее области Самцхе-Джавахети всегда представляли собой неотъемлемую часть грузинского государства, Этнический состав населения на протяжении всего античного и феодального периодов всегда был чисто грузинским и своим языком, антропологическим типом и бытовыми традициями не отличался от жителей «შიდა» («внутренней»; и «კვემო» («нижней») Картли. Об этом свидетельствуют многочисленные грузинские и иноязычные исторические источники.

Автор статьи, опираясь на данные известного источника, т. н. «Большого давтара гурджистанского вelayета», прослеживает динамику этнического и религиозного состава населения в этих областях и приходит к заключению, что 97% жителей Самцхе-Джавахети до XVII столетия были грузинами христианского вероисповедания. Начиная с XVII века, в связи с агрессивными действиями со стороны Турецкой Империи, в вышеназванных областях складывается крайне сложное демографическое положение, которое усугубляется в ущерб грузинскому населению с появлением русского владычества в XIX веке.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიული და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტმა

³³ ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII—XX საუკუნეებში, თბ., 1984, გვ. 48.

ბარბსი ახალანია

მოლაშქრე XI—XIV საუკუნეების საქართველოში

ფეოდალური ხანის ქართული წყაროები XI—XIV საუკუნეების საქართველოს პატრონყმური ლაშქრის აღსანიშნავად ორ ტერმინს ხმარობდნენ — „ლაშქარი“ და „სპა“. ისევე, როგორც ძველ ქართლში ტერმინი „ერი“ ერთნაირად მიემართებოდა ლაშქარსა და ხალხს (რადგან პატრიარქალურ-გვაროვნულ საზოგადოებაში მიღებული სოციალური ნორმებიდან გამომდინარე, „ერის“, ანუ ტომის ყოველი სრულასაკოვანი მამაკაცი იმავდროულად მოლაშქრე იყო)¹, „ლაშქარი“ და „სპაც“ სწორედ იმ სოციალურ ორგანიზმს აღნიშნავდნენ სამხედრო ერთეულის მნიშვნელობით, რომელშიც დიდებულ-აზნაურ-მსახურები, ანუ ფეოდალური კიბურის სხვადასხვა საფეხურზე მდგარი იმ სოციალური წოდების წარმომადგენლები შედიოდნენ, რომელთა საქმიანობის ძირითადი სფეროც პროფესიული მოლაშქრეობით განისაზღვრებოდა.

როგორც ცნობილია, XI—XIV საუკუნეებში ტერმინი „ყმა“ მხოლოდ დიდებულებს, აზნაურებსა და მსახურებს მოიცავდა თავისუფალი ვასალის მნიშვნელობით, რის გამოც გლეხი, როგორც არათავისუფალი, „ყმა“ არ იყო². ეს ნიშნავს, რომ პატრონყმობის ინსტიტუტის სოციალურ მექანიზმზე აგებული „ლაშქარი“ და „სპა“ თავისუფალ ვასალთაგან — „ყმათაგან“ შემდგარ სოციალურ ორგანიზმს წარმოადგენდა, ანუ ქართულ ფეოდალურ ჯარს მხოლოდ „ყმები“ შეადგენდნენ³. თამარის პირველი ისტორიკოსი კი თავისუფალ ვასალთაგან — „ყმათაგან“ შემდგარი „სპის“ გვერდით „მონასპასაც“ ასახელებს. „ისტორიანი და აზმანის შარავანდედთანის“ ისტორიკოსის ცნობით, გიორგი III-ის სასახლის კედლები ასე ყოფილა მოხატული: „კედლებიცა სრისა საესე მეომართა, რაზმები, სპები, მონასპები, ქალაქები და ციხეები აწყუდილი და ოკერ-ქმნილი“⁴. ამ ცნობის მიმართ ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, რომ ყოველივე ეს სასახლის „კედელზე ყოფილა გამოხატული და, საფიქრებელია, სპები-სა და მონასპების გარჩევა შესაძლებელი ყოფილა“⁴.

¹ ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, თხზულებანი, ტ. VI, თბ., 1982, გვ. 192—193.

² ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. IX, თბ., 1979, გვ. 192; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს XI—XII საუკუნეებში, თბ., 1970, გვ. 84—85; გ. მამულია, პატრონყმობა, თბ., 1987, გვ. 18—19.

³ ჩვენი ძიების მიზანია XI—XIV სს. ქართული პატრონყმური ლაშქრის სოციალური სტრუქტურის აღდგენა და, ამდენად, პატრონყმური კიბის მიღმა მდგარ დაქირავებულ მოლაშქრეთა (ოგნი, ყივჩაყნი და ა. შ.) და საქართველოს მთიანეთში შერჩენილი ერთადერთი სუვერენის — „წვრილი ერის“ // „პეროვანის“ მოლაშქრეობის საკითხს ამჯერად არ განვიხილავთ.

⁴ ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 25.

⁵ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VII, თბ., 1974, გვ. 67.

ქართულ ფეოდალურ ლაშქარში „სპის“ გვერდით „მონასპად“ წოდებული მონათავან შემდგარი სამხედრო კორპუსი რომ არსებობდა, თამარის იმავე ისტორიკოსის სხვა ცნობაც ადასტურებს. 1184 წელი იყო. გიორგი III-ის გარდაცვალებით შეურყეველი თამარი და რუსუდანი სამშვილდიდან ტფილისს მოვიდნენ და სასახლეში „იხილეს მიქაელ პატრიარქი ყოველთა ებისკოპოზონითურთ მდგომი, და ვაზირი ანტონი, და ამირსპასალარი ყუბასარ, და სხუანი კელისუფალნი: ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთუხუცესი, აფრიღონ მსახურთუხუცესი, ვარდან დადიანი ჩუხჩარბი, ქიაბერი მეჭინბეთუხუცესი, აფრიღონ მსახურთ-უხუცესი... და დიდებულნი, აზნაურნი, მონანი და მოყმენი“⁵. ამ ცნობაზე დაკვირვების შედეგად ნ. ბერძენიშვილი ასკვნის, რომ სამეფო კარზე ამ მონების დანიშნულება თუ ფუნქცია იმდენად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი ყოფილა, რომ თამარის ისტორიკოსს აუცილებლობად მიუჩნევია მათი მოხსენიება სასახლეში მგლოვიარედ შეყრილი ქართული ფეოდალური არისტოკრატის უმაღლეს მოხელეთა გვერდით⁶.

„ბექასა და აღბულას სამართლის“ წიგნში კი მონის სისხლის ფასი განსაზღვრული არ არის, რაც, ერთი შეხედვით, საერთოდ ექვექვემუ აყენებს ფეოდალური საქართველოს სოციალურ სინამდვილეში მონათა სოციალური ფენის არსებობის ფაქტს. საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის ხანაში მონა ცალკე სოციალურ წოდებას რომ წარმოადგენდა, ხოლო მონასა და გლეხს ურთიერთისაგან რომ ასხვავებდნენ, ამის დასადასტურებლად ნ. ბერძენიშვილს დავითის ისტორიკოსის ცნობა მოაქვს, რომლის მიხედვითაც დავითმა „მრწემად მოიყუანა მეფენი, ხოლო მონად კელმწიფენი, მეოტად წარიტყვიან არაბნი, იავარად ისმიტელნი, მტურად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი“⁷. „მთავართ დაბალება გლეხს ქვემოთ აღარ შეიძლება, — წერს ნ. ბერძენიშვილი, — და ეს ასეცაა. თუ ეს მთავარნი იმე ქვეყანაში დარჩებოდნენ, სადაც იყვნენ, მაშინ გლეხზე დაბლა აღარაიყნო იყო. მონაც კი, თუ ის მიწაზე იჯდა, გლეხი იყო.“

საინტერესოა, — განაგრძობს ნ. ბერძენიშვილი, — რომ ისტორიკოსი გამოთქვამს: „მრწემად მოიყუანა მეფენი, ხოლო მონად კელმწიფენი... მტურად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი“. და ეს იმიტომ, რომ მოყვანილი (ე. ი. ტყვექმნილი, მიწას მოშორებული) შეიძლება მონა ყოფილიყო (თუნდაც ნაკელმწიფარი), ხოლო დასმული (ე. ი. მიწაზე დაჭენილი — უდაბლესი), შეიძლება მხოლოდ გლეხი ყოფილიყო⁸. დავითის ისტორიკოსის ამ ცნობაზე დაკვირვებით გამოთქმულ თვალსაზრისს ნ. ბერძენიშვილი შემდგომ ასე ავითარებს: „თითქოს აქ სიტყვებში „მოიყუანა“ და „დასხნა“ ავტორი ამკლავებს გლეხების სპეციფიკურ თვისებას, ე. ი. რომ ისინი სხედან (მიწაზე), ხოლო მონები შეიძლება მოიყვანოთ, გყავდეთ. მათი სპეციფიკა მეომრობა-სამსახურია, და არა სხდომა“⁹.

XI—XIV საუკუნეების საქართველოს ფეოდალური ლაშქრის სოციალური სტრუქტურის წარმოსაჩენად განვიხილოთ პატრიონყმური საქართველოს სოცია-

⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 25.

⁶ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 68; მონათა ფენის შესახებ ფეოდალურ საქართველოში იხ. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67—68, 254—291.

⁷ ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 288.

⁸ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. IX, თბ., 1979, გვ. 100.

⁹ იქვე, გვ. 100.

4. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1992, № 4.

ლური აღნაგობა „ბექასა და აღბუღას სამართლის“ მიხედვით. თავის სამართლის წიგნში მანდატურთუხუცესი ბექა წერს: „თუ შერისხდეს ღმერთი, ეშმაკისა ბირებითა და მანქანებით კაცმან კაცი მოკლას, დიდებულმან დიდებული... სისხლი ორმოცი ათასი თეთრი იყოს...“

და თუ დიდებულმან აზნაური მოკლას, ასეთი, რომე საპატიოთ პატრონს კარგად ჰყვეს, და კარგი იყოს, და ანუ ტაძრეული აზნაური იყოს, ციხოსან-მონასტროსანი და დიდი მამული ჰქონდეს, მისი სისხლი ოცი ათასი თეთრი იყოს...

თუ მას ქვეშეთი მოკლას, ასეთი რომე ანუ უამისავან მამული დამცრობოდეს, უციხო, უმონასტრო იყოს, თორმეტი ათასი თეთრი დაუღურვოს ამავე ზემოთ წესითა. ასე რომე მესამე ნათესავი იყოს, რომე დამცრობა დაეწყოს, და თუ პატრონი გასწყრომოდეს მამასა თუ შვილსა საქმესა რასმესა ზედა, ჩამოემცროს, და პატრონმანვე შეიწყალოს და ბჭეთა პირველივე მისის გვარის საპატიო სისხლი უბრძანოს...

თუ მსახური მოკლას, რომელი მისსა პატრონსა აზნაურის შვილად ჰყვეს, თორმეტი ათასი თეთრი დაუღურვოს.

და თუ მსახურად ჰყვეს, ათასი დაუღურვოს...

ქოთლოსნისა და აბჯროსნისა, და კარვოსნისა, და პატრონთან რომ კელი აქენდეს ანუ ჰქონებოდეს, მისი სისხლი თორმეტი ათასი თეთრი იყოს, ამაღ რომე კარვოსნობა ესე ყოველთა წესისა, აზნაურული სჭირს, და რომელსა მსახურსა ისი ყველა საქმე სჭირს, — ისრე სრულად.

და პატრონთა საჩინო კელი არა აქენდეს და არცა ჰქონებოდეს, აზნაურად ჰყვეს, — მისი ექვსი ათასი თეთრი იყოს...

თუ კარვოსან-ქოთლოსანი აზნაურშვილად მსახური ყოფილიყოს და მოკვდეს, და მის უკანით იმისი ძმა ანუ შვილი და ნათესავი ვერღარა მისით წესითა მსახურებდეს მისთა პატრონთა, მისი სისხლი ათასივე თეთრი იყოს.

გლეხისა სისხლი ოთხასი თეთრი იყოს. მაგრამ თუ კაცმან კაცს ასეთი ყმა მოუკლას, რომე პატრონი იცნობდენ სიკეთეზედა, მისიცა ათასი თეთრი იყოს¹⁰.

„ბექასა და აღბუღას სამართლის“ წიგნში ასახული ქართული ფეოდალური საზოგადოება ოთხ წოდებად იყოფა, რომელთა შორის დიდებულთა წოდება (სისხლის ფასი 40000 თეთრი) და აზნაურთა წოდება (სისხლის ფასი 20000 და 12000 თეთრი) კეთილშობილთა სოციალურ ფენას ქმნიან, ხოლო მსახურთა წოდება (სისხლის ფასი 12000, 6000 და 1000 თეთრი) და გლეხთა წოდება (სისხლის ფასი 1000 და 400 თეთრი) არაკეთილშობილთა სოციალურ ფენას წარმოადგენდნენ*. არაკეთილშობილთა სოციალურ ფენაში შემავალ მსახურთა წოდებას გლეხთა წოდებისაგან თავისუფლება განასხვავებდა, რადგან მსახურნი თავიანთი სოციალური წარმომავლობისდა კვალად პატრონყმური საქართველოს სოციალურ იერარქიაში არაკეთილშობილი თავისუფალნი იყვნენ¹¹. ასე რომ, თუკი მსახურს, ერთი მხრივ, გლეხთა წოდებისაგან თავისუფლება მიჰნავდა, მეორე მხრივ, აზნაურთაგან მას არაკეთილშობილება განასხვავებდა.

მსახურთა წოდება, თავის მხრივ, ორ ფენად — აზნაურშვილად მსახურებად და რიგით მსახურებად იყოფოდა, რაც მსახურის ვასალური სამსახურის

¹⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, თბ., 1963, გვ. 426—429.

* საკითხის ისტორია კეთილშობილება-არაკეთილშობილების ცნების შესახებ ფეოდალურ საქართველოში იხ. ქ. ჩხატარაიშვილი, ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიულან ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1979, გვ. 87—89.

¹¹ გ. მამულია, პატრონყმობა, გვ. 19—26, 179, 187—192.

ხასიათით იყო შეპირობებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსახურის ყმური სამსახური პატრონისადმი ორგვარი იყო: მსახური ან აზნაურშვილად (სისხლის ფასი 1 2000 და 6 000 თეთრი) მსახურებდა პატრონს, ან მსახურად (სისხლის ფასი 1000 თეთრი). მსახურის აზნაურული წესით მსახურება კანონმდებლისავე განმარტებით, აზნაურის შესაფერის საქმიანობაში — კარგოსნობა-აბჯროსნობა-ქოთლოსნობაში გამოიხატებოდა. და რადგან კანონმდებელი აზნაურული წესით მსახურების საფუძველს კარგოსნობა-აბჯროსნობა-ქოთლოსნობაში ზედაეს, საგულდაგულოდ განვიხილოთ „კარგოსნობის“, „აბჯროსნობისა“ და „ქოთლოსნობის“ სოციალური ბუნება ძველი ქართული წყაროების მიხედვით.

„ბექასა და აღბუღას სამართლის“ წიგნში აზნაურის კარგოსნობა-აბჯროსნობა-ქოთლოსნობის შესახებ დაცულ ცნობასთან მიმართებაში ყურადღებას იპყრობს ვახუშტის ის ცნობა, რომელიც მას საქართველოს კეთილშობილთა ფენის სოციალური დახასიათებისას მოაქვს: „აზნაურთა აქუნდა გვარი და ჩამომავლობა და სიმავრე რამე მთათა ანუ ბართა, და დაბნები, და ძალ-ედვა გამოსვლა მარქაფითა, კარვითა და მათითა განწყობილებითა და თვნიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად“¹². ვახუშტისეული „გვარი“ და „ჩამომავლობა“ საქართველოს ფეოდალური არისტოკრატიის კეთილშობილებას გულისხმობს. აზნაურ-დიდებულთა გვარით კეთილშობილებას გახაზავს ბასილ ეზოსმოძღვარი, როდესაც ზაქარია მხარგრძელის შესახებ წერდა: „ამის შავშეთისა ღადოთა შინა გამოჩნდა ვინმე კაცი ასპანის-ძე, გუარითა არა უაზნო და ქცევითა და არცა, ღმერთო, უბედო“¹³. თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობის „გუარითა არა უაზნო“ „გუარითა უაზნოს“ ცნების არსებობას გულისხმობს. „გუარით უაზნობა“, ანუ გვარით არაკეთილშობილება კი თავისუფალ არაკეთილშობილთ — მსახურებს ახასიათებდათ.

აზნაურული თავისუფლების ცნების ძირითადი სოციალური ნიშანი გვარის კეთილშობილებითა და სასახლე-მამულის ფლობით განისაზღვრებოდა¹⁴. საქართველოს ფეოდალური არისტოკრატიის გვარით კეთილშობილება „აზნაურული“ (კეთილშობილური), ანუ შეუვალობის მქონე მამულის პყრობაში მდგომარეობდა, ხოლო სენიორიის ცენტრში აღმართული სასახლე ფეოდალური მამულის ფლობის გარეგნული სოციალური ნიშანი იყო. მაშასადამე, გვარის კეთილშობილების ცნების მატერიალური გამოხატულება სასახლისა და მამულის ფლობაში ვლინდებოდა, ანუ გვარის კეთილშობილების ცნება საკუთრების ცნებასთან ყოფილა მჭიდროდ შეკავშირებული. ამის გამო, ძნელი მისახვედრი აღარ არის, თუ რად იშვინენ სადაურობის აღმნიშვნელი — ელ-სუფიქსით ნაწარმოები ფეოდალური გვარსახელები (ტბელი, ყანჩაელი, კორინთელი, სხვილსეელი, საზვერელი და ა. შ.) სწორედ ფეოდალურ ურთიერთობათა გენეზისის ხანაში¹⁵. აზნაურის გვარსახელი ფეოდალის მკვიდრი მამულის სახელწოდებიდან მომდინარეობდა, რაც იმაზე მიგვიბრუნებს, რომ ფეოდალის გვარსახელი („გუარი“) მისსავე მამულს, ანუ მისივე „სახლის“ საკუთრებას გამოხატავდა. და რადგან „გვარის“, როგორც კეთილშობილების აღმნიშვნელი ზოგადი ცნების მატე-

¹² ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1970, გვ. 17—18.

¹³ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 130.

¹⁴ თავისუფლების ცნების შესახებ ფეოდალურ საზოგადოებაში იხ. გ. მამულია, პატრონყმობა, გვ. 190—191.

¹⁵ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, თბ., 1990, გვ. 122—126; გ. მამულია, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

რიალურ გამოვლენას ფეოდალური მამული წარმოადგენდა, წყრობებში დამოწმებული „დიდ-გვაროვნების“ ცნების სოციალური შინაარსიც დიდი, ვრცელი („საზღვართვრცელი“) მამულის ფლობას უკავშირდებოდა. დავასკვნით: აზნაური „გუარით“ (გვარსახელით) იმდენად იყო კეთილშობილი, რამდენადაც მისი „სახლი“ (გვარი) კეთილშობილურ (ფეოდალურ) მამულს ფლობდა, ანუ გვარით კეთილშობილება მამულის კეთილშობილებას ნიშნავდა. არაკეთილშობილ თავისუფალთა ფენის წარმომადგენელი მსახური კი იმდენად იყო „გუარითა უაზნო“, რამდენადაც მას არაკეთილშობილური (არაფეოდალური) მამული ჰქონდა.

ბეჭა მანდატურთუხუცესის ცნობიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ წვრილი აზნაური ის იყო, ვისაც ციხე-მონასტერი არ გააჩნდა და არც მამული ჰქონდა დიდი. საბატიო აზნაურის (სისხლის ფასი 20000 თეთრი) წვრილ აზნაურამდე (სისხლის ფასი 12000 თეთრი) ჩამომცრობა ყამათა ვითარებისაგან მამულის დამცრობითა და ციხე-მონასტრის დაკარგვით იყო შეპირობებული. მამულის დამცრობისა თუ ციხე-მონასტრის არქონა-დაკარგვისდა მიუხედავად სასახლეს აზნაური მინც არ კარგავდა, რადგან სასახლე ის საორგანიზაციო ცენტრი იყო, საიდანაც აზნაური თავის „ერთგულ“ — „გაზრდილ“ ყამათა მეშვეობით საკუთარი მამულის მართვა-გამგეობას ახორციელებდა. და თუ ფეოდალის მამულში მდებარე სასახლე ამ მამულის, როგორც დიდი სამეურნეო კომპლექსის სამეურნეო-ადმინისტრაციული ცენტრი იყო¹⁶, ველზე აღმართული დროებითი სადგომი — კარავი იყო ის ცენტრი, რომელშიც ამ კარავის მფლობელის ვასალები იკრიბებოდნენ და საიდანაც ლაშქრის მართვა ხორციელდებოდა. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ ფეოდალი მის „ერთგულ“-„გაზრდილ“ ყმებს საკუთარ სასახლეში უყრიდა თავს, ბრძოლის ველზე ვასალები მათი პატრონის კუთვნილ კარავში იკრიბებოდნენ, რაც ნიშნავს, რომ სოციალური თვალსაზრისით კარავი მცირე სასახლეს განასახიერებდა ველზე.

ამ თვალსაზრისით საინტერესო ცნობები „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორმა შემოგვინახა. XII ს-ის 90-იანი წლების დამდეგი იყო. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა ხდებოდა. შარვანისა და არანის მფლობელნი — შარვანშა აღსართანი და ამირ-მირმანი საქართველოს მფარველობას ეძიებდნენ. სამეფო კარს ლირსეულად დახვედრა მართებდა და ამისდა შესაფერისად თამარ და დავით „დიდთა ლაშქართა შემყრელნი“ ტფილისის მახლობლად ავართა ჭალაში დადგნენ. აქვე, ავართა ჭალაში „შეიქმნა დარბაზობა. და დასხდეს ტახტსა ზედა ოქრო-ჰედელისა თუთ თამარ, დავით და ძე მათი გიორგი“¹⁷. და ისტორიკოსი აღწერს აღსართანისა და ამირ-მირმანის მიღების ცერემონიას — ტფილის ქალაქით გამოსულ სტუმრებს წინ მიაგებეს „ოვსნი და ყვიჩაყნი ახალნი; და შემდგომად ამისა ჰერნი და კახნი; შემდგომად ქართველნი; და შემდგომად მესხნი და თორელნი, შავშ-კლარჯ-ტაოელნი; შემდგომად სომხითარნი; შემდგომად აფხაზნი და სუან-მეგრელ-გურიელნი თანა რაჭა-თაკუერ-მარგუელითურთ, და თვთ კარვის კარსა კელისუფალნი და შინაურნი. ხოლო ვინათგან შინაური და თესი იყო შარვანშა, პირველად შემოვიდა იგი და... მოიკითხეს წესისაებრ და დასუეს თესსა ადგილსა. და შემდგომად ამისსა მოვიდა ამირ-მირმან... მომკითხველთა დასუეს პატი-

¹⁶ ბ. ლომინაძე, ფეოდალური მეურნეობის ორგანიზაციის ისტორიიდან გვიანფეოდალურ საქართველოში, მსკი, 30, 1954, გვ. 101—112.

¹⁷ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 65.



ვითა და შეიტკბეს, ვითარცა შვილი¹⁸. როგორც მოტანილი ცნობიდან ჩანს, ტფილისიდან გამოსულ აღსართანსა და ამირ-მირმანს ქალაქიდან მეფის კარგამდე, აგარათა ჭალას რომ იყო გამართული, აღლუმად შეყრილ ლაშქართა დგომის წესის შესაბამისად ხედებოდნენ საქართველოს სხვადასხვა თემთა ლაშქარნი, ხოლო ის ფაქტი, რომ კარვის კართან მათ თამარის „ველისუფალნი და შინაურნი“ დაუხვდნენ, იმაზე მიგვანიშნებს, რომ დარბაზობა (აუდიენცია), რომელსაც ოქრო-ჭედილ ტახტზე მსხდომი მეფენი წარმართავდნენ, ამ კარავში ეწყობოდა. საქართველოს მეფის მფარველობის მძიმებელი აღსართან და ამირ-მირმანი კარავში შეიყვანეს და როდესაც ოქრო-ჭედილ ტახტზე მსხდომმა მეფეებმა ისინი „მოიკითხეს წესისაებრ“, თითოეული მათგანი „დასუეს პატივითა“ „თუსსა აღგილსა“. ჩვენი ძიების მიზნებისათვის კი არსებითი ის არის, რომ კარავი სასახლის ტოლფასი სააუდიენციო ნაგებობა იყო. ამდენად, კარავი უბრალოდ თავშესაფარი და ღამის სათევი ნაგებობა კი არ იყო, არამედ კარავს გარკვეული სოციალური დანიშნულება ჰქონდა, იგი იყო დროებითი სადგომი ველზე აღმართული მცირე სასახლე. წინააღმდეგ შემთხვევაში სასახლის წილ კარავში სადარბაზოდ მიწვევას შეურაცხყოფად ჩათვლიდნენ ვასალობის მძიმებელი შარვანისა და არანის მფლობელნი. აგარათა ჭალაში დარბაზობის გამართვის მიზეზს კი სამხედრო აღლუმი წარმოადგენდა, რადგან ქართველთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი ტფილის ქალაქში ვერ გაიშლებოდა. ამის გამო, შემთხვევითი არ არის, ისინი ველზე კარავს რომ დგამდნენ ყუთლუ არსლანის დასის მომხრენი — მეთაობზე დიდებულებს ტფილისში სასახლე არ გააჩნდათ და მათ მიუღებლად არ მიაჩნდათ სასახლის აგებაამდე სახელმწიფო მნიშვნელობის პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მისაღებად სასახლის წილ კარავში სხდომა, რადგან მათი თვალთახედვით კარავი სასახლეს წარმოადგენდა.

ყოველივე ზემოთქმულს თუ შევჯამებთ, ძნელი მისახვედრი აღარ არის, თუ რად „სჭირდა“ კარვოსნობას „აზნაურული“, ანუ რად იყო „კარვოსნობა“ აზნაურთა წესი. დიდებულ-აზნაურთა მიერ ბრძოლის ველზე კარვით გამოცხადებას იმის გამო „სჭირდა“ აზნაურული, რომ კარავი კეთილშობილების გარეგნული სოციალური ნიშანი იყო: კარვის ფლობა სეფე-პალატ-ტაძარ-დარბაზ-სასახლის ფლობის ტოლფასი იყო და ამ თვალსაზრისით კარავიც მცირე სასახლეს განასახიერებდა ველზე. ჩვენი კვლევა-ძიების მიზნებისათვის კი არსებითი ის არის, რომ „კარვოსნობა“ სოციალური წესია და რომ „კარვოსნობის“ განსაკუთრებული სოციალური უფლებაც მას ჰქონდა მითვისებული, ვინც სასახლეს ფლობდა. სასახლე კი, როგორც სენიორიის სამეურნეო-ადმინისტრაციული ცენტრი, მამულის ფლობის გარეგნული ნიშანი იყო, რაც იმაზე მიგვიჩვენებს, რომ „კარვოსნობის“ სოციალური უფლება ფეოდალური მამულის ფლობასთან ყოფილა მჭიდროდ შეკავშირებული¹⁹. „კარვოსნობის“ წესის სოციალური ანალიზი კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ ფეოდალურ საქართველოში მოლაშქრეობა მამულის ქონებაზე იყო დამოკიდებული: თუ გლეხის „მამულს“ ბეგარა და მუ-

¹⁸ იქვე, გვ. 65—66; ამ ცნობის ანალიზი იხ. ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონომიკიდან (აგარანი), მომზობილველი, II, 1954, გვ. 52.

¹⁹ მ. სანაძე, გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV—XVIII საუკუნეებში, თბ., 1979, გვ. 34.

შაობა ედო, მოლაშქრედ ის ითვლებოდა, ვისაც საამისო მამული ჰქონდა პატრონისაგან²⁰.

„აზნაურულ წესად“ არა მხოლოდ „კარვოსნობა“, არამედ „აბჯროსნობაც“ რომ ითვლებოდა, ამაზე „ბექასა და აღბუღას სამართლის“ წიგნის გარდა სხვა ცნობებიც მიგვითითებენ. „აბჯროსნობის“ სოციალური ბუნების შესაცნობად საინტერესო ცნობა მეფეთა პირველი წიგნის ძველქართულ თარგმანებში შემოინახა, სადაც წერია: „გამოვიდა კაცი ერთი ერისა მისგან უცხოთესლოაჲსა, კაცი მკნემ და ძლიერი და ქველი... სახელი მისი გოლიად... აზნაურად ჭურვილი ჯაჭვთ ჩაბალახითურთ“ (I მეფეთა, 17. 4—5).

აღნიშნული ფრაზის შესატყვისი ბერძნული ტექსტი სიტყვასიტყვით ასე განიმარტება: „გამოვიდა კაცი ძლიერი უცხოთომელთა რაზმიდან... მუზარადი მის თავზე და თორი ჯაჭვისა ემოსა მას“. უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნული ტექსტი ლათინურ-სომხურ-სირიულ ტექსტთა დარად ზუსტად შეესატყვისება ებრაულ დედანს. განსხვავებას მხოლოდ ძველი ქართული თარგმანი იძლევა, რაც ნიშნავს, რომ ოშკის ბიბლიაში შემონახული მეფეთა პირველი წიგნის ქართველმა მთარგმნელმა დედნისეული ტექსტი ქართული სოციალური სინამდვილის შესაბამისად გაიზარა და სექტუაგინტის ფრაზა — „მუზარადი მის თავზე და თორი ჯაჭვისა ემოსა მას“ — ძველი ქართული სოციალური ტერმინებით საბოლოოდ ასე გაიშართა: „აზნაურად ჭურვილი ჯაჭვთ ჩაბალახითურთ“.

ოშკის ბიბლიაში შემონახული ფრაზა — „აზნაურად ჭურვილი ჯაჭვთ ჩაბალახითურთ“ იმაზე მიუთითებს, რომ ძველი ქართული სოციალური ტერმინებით მოაზროვნე მთარგმნელისათვის „ჯაჭვ-ჩაბალახით“ შეჭურვილი მეომარი სოციალურად მხოლოდ აზნაური შეიძლება ყოფილიყო, იმისდა მიუხედავად, რომ გოლიათის სოციალურ წარმომავლობაზე ბიბლიური წიგნები არას გვამცნობენ. ის გარემოება, რომ ქართველმა მთარგმნელმა „ჯაჭვ-ჩაბალახოსან“ მეომარში სოციალურად აზნაური შეიქცნო, იმის უცილობელი მოწმობა უნდა იყოს; რომ „ჯაჭვ-ჩაბალახი“ ქართლის წარჩინებულთა სოციალური ფენის გარეგნული „მიუცილებელი“ ნიშანი იყო²¹ და რომ „ჯაჭვ-ჩაბალახში“ ჩაჯდომა „აზნაურული წესით“ შეჭურვას ნიშნავდა.

ოშკის ბიბლიის მთარგმნელს ტერმინი „ჯაჭვ-ჩაბალახი“ ძველქართულ სოციალურ ტერმინთა ლექსიკიდან რომ აქვს აღებული, ხოლო „ჯაჭვ-ჩაბალახოსანი“ მეომარი სოციალურად აზნაური რომ იყო, ჟუანშერის ცნობებიც მიგვითითებენ. ჟუანშერის გადმოცემის მიხედვით, ოსეთში შეჭრისას ვახტანგ გორგასლის „სპანი... წარემართნეს განმზადებულნი, ცხენ-თორნოსანნი და ჯაჭუ-ჩაბალახოსანნი წინა კერძო და მათ უკანა ქუეითნი, და ქუეითთა უკანა სიმრავლე მკედართა“²². ვახტანგის სპის თავში მდგომი „ცხენ-თორნოსანი“ და „ჯაჭუ-ჩაბალახოსანი“ მხედრები ქართლის არისტოკრატიას მიეკუთვნებოდნენ, ხოლო ლაშქრის ბოლოში მდგარი მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსნები — „სიმრავლე მკედართა“ წარჩინებულები რომ არ იყვნენ, იმავე ჟუანშერის ცნობა მიგვა-

²⁰ ი. ჯაეახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 223—224; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VII, გვ. 72—73.

²¹ ტ. ახალაია, ძველი ქართული სოციალური ტერმინოლოგიიდან („დიდი“, „მდიდარი“), ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები, 1988, გვ. 21—24.

²² ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 155—156.

ნიშნებს, რომლის მიხედვითაც ოვსეთზე ლაშქრობის შემდგომ ვახტანგმა „წარჩინებულ ქმნა მკედარნი, მსახურნი მკნელ“²³.

მძიმე საჭურვლის ფლობა აზნაურთა სოციალური ფენის პრივილეგია და გარეგნული სოციალური ნიშანი რომ იყო, დიონ კასიუსის ცნობაც უჭერს მხარს, რომლის მიხედვით, ის *πρωτοι*: (ძვ. ქართ. „მთავარ“-„აზნაურნი“)²⁴, იბერთა მეფე ფარსმანს რომ ახლდნენ რომში, *ἐν βλασις* ჩასხმულნი სამხედრო ვარჯიშს ატარებდნენ²⁵. რაკი სეპტუაგინტის *βλαγον*-ს ბიბლიურ წიგნთა ძველქართულ თარგმანებში „საჭურველი“, „ჭური“ და „ჯაჭუ-ჭური“ შეესატყვიება²⁶, დიონ კასიუსის ცნობის იბერიელი მთავარ-აზნაურნი „საჭურველით“, ანუ „ჯაჭუ-ჭურით“ ყოფილან შემოსილი, რაც ემთხვევა ოშკის ბიბლიის ცნობას, რომლის მიხედვითაც „ჯაჭვ-ჩაბალახოსანი“ მეომარი სოციალურად აზნაურია.

ამრიგად, თუ ოშკის ბიბლიის მთარგმნელის ფრაზას — „აზნაურად ჭურვილი ჯაჭვთ ჩაბალახითურთ“ და ბექა მანდატურთუხუცესის ცნობას — „კარგოსნობა ესე ყოველთა წესია, აზნაურული სჭირს“ ურთიერთან შევაჯერებთ, აღვნიშნავთ შესამჩნევია, რომ ჩვენს წარმოდგენას აზნაურის სოციალურ სტატუსზე ისინი ვარკვეულწილად ავსებენ. თუკი ოშკის ბიბლიის მთარგმნელის თვალთახედვით მეომრის აზნაურობა მის „ჯაჭვ-ჩაბალახოსნობაში“ მდგომარეობდა, ბექა მანდატურთუხუცესი მოლაშქრის აზნაურობას მის „კარგოსნობაში“ ხედავს.

აზნაურის პროფესიონალურ მოლაშქრეობაზე არა მხოლოდ აღჭურვილობა და შეიარაღება, არამედ მისი ცხენის აღკაშმულობაც მიუთითებდა. ძველქართულ წყაროთა მიხედვით, აზნაურის ცხენი სავანგებოდ იყო დაცული „ჯავშნითა“ და „თორნით“²⁷, რაც ნიშნავს, რომ აზნაური საბრძოლო ცხენზე იყო ამხედრებული. ცნობილია, რომ საბრძოლო ცხენი პიროვნების კეთილშობილების გარეგნული სოციალური ნიშანი იყო ფეოდალურ საზოგადოებაში²⁸. არისტოკრატიის მიერ საბრძოლო ცხენის ფლობის განსაკუთრებული სოციალური უფლებების მითვისების პროცესი კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესების თანმხლები სოციალური მოვლენა ჩანს, რაც ტომობრივი არისტოკრატიის დონეზე ხორციელდებოდა²⁹. და რადგან საბრძოლო ცხენის ფლობა ეკონომიკურ შეძლებაზეც ეკიდა, საბოლოოდ, ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების უამს, საბრძოლო ცხენი პროფესიონალმა მეომრებმა — ქართლის წარჩინებულებმა მიითვისეს და სოციალური პრივილეგიურობის ნიშნად გაისაკუთრეს. ქოთალი რომ საბრძოლო ცხენი იყო და, შესაბამისად, „ქოთლოსნობა“ აზნაუ-

²³ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 158; გ. შამუღია, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

²⁴ И. А. Джавахов, Государственный строй древней Грузии и древней Армении, СПб., 1905, с. 61; გ. შამუღია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979, გვ. 81.

²⁵ დიონ კასიუსის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1966, გვ. 83.

²⁶ III მეფ. 14. 27; IV მეფ. 10. 2; II ნეშტთა 23. 9—10; ფსალმ. 34. 2 და სხვ.

²⁷ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 194; ტ. ახალაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 23—24.

²⁸ ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

²⁹ ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 23—43, 51—62, 79—81.

რულ წესად რომ ითვლებოდა, ვახუშტიც გვიდასტურებს, რადგან ბექა მანდატურთუხუცესისეული ქოთალი ვახუშტისეული მარქაფა (სათადარიგო) ცხენია*.

„აბჯროსნობის“ („ჯაჭვ-ჩაბალახოსნობის“), „კარვოსნობისა“ და „ქოთლოსნობის“ სოციალური ბუნების წარმოჩენა კი არსებითად გვეკარნახობს „კარვოსან“ მსახურთა (სისხლის ფასი 12000 და 6000 თეთრი) იმ სოციალურ სტატუსს, რომელიც მათ ფეოდალური საქართველოს პატრონყმურ კიბურზე რიგით მსახურთაგან (სისხლის ფასი 1000 თეთრი) განცალკევებულ სოციალურ საფეხურზე აყენებდა. აზნაურის აბჯროსნობა-კარვოსნობა-ქოთლოსნობა აზნაურის საქმიანობის ხასიათზე — პროფესიულ მოლაშქრეობაზე მიუთითებდა. ეს ნიშნავს, რომ რიგით მსახურთაგან განსხვავებით აზნაურად მსახური აზნაურივით პროფესიონალი მემომარი იყო და მძიმე აბჯარში ჩამჯდარი კარვითა და მარქაფა ცხენით (ქოთლით) ახლდა ბრძოლის ველზე პატრონს³⁰.

რიგითი მსახურის საქმიანობა საპოლიციო-ადმინისტრაციული სამსახურით რომ შემოიფარგლებოდა, კარგად აისახა ქართულ ისტორიულ საბუთებში. დავით VIII-ის მიერ 1297/1298 წწ. გაცემულ სიგელში ვკითხულობთ: „მპარავთმეძიებელთა, ხუარბლისმკრებელთა, მესაბანჯრეთა, მეღუინეთა, ბაზიართა, მონადირეთა, მეჯინიბეთა, მერემეთა, მესაყვიჩაყრეთა და ყოველთა საქმის-მოქმედთა ჩუენთა, დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ“³¹. „ყოველნი საქმის-მოქმედნი“ მსახურები რომ იყვნენ, ალექსანდრე I-ის მიერ 1425 წ. გაცემული სიგელის ცნობითაც დასტურდება: „მეჯინიბეთა, მერემეთა, მეულუფეთა, პური-სა და საკლავისა მკრებელთა, ტყუისა მპარავთა, მეულაყეთა, მემეძებრეთა, მესაბანჯრეთა, და ყოველთავე კარით ჩუენით წარვლენილთა მსახურთა“³². ამ ცნობებიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ არაერთგვაროვანი და მრავალმხრივი ყოფილა ადმინისტრაციული სამსახური პატრონის კარზე და პატრონსაც „საქმის-მოქმედებად“, რა თქმა უნდა, მრავალი მსახური ჰყავდა დასაქმებული. სწორედ მპარავთმეძიებელნი, პურისა და საკლავის მკრებელნი, მეღვინენი, ბაზიარნი, მონადირენი, მეჯინიბენი და ა. შ. იყვნენ ბექა მანდატურთუხუცესის მიერ 1000 თეთრად შეფასებული სისხლის მქონე მსახურები, რომელთაც თავიანთი სამსახურის სპეციფიურობისა და მოუცლევლობის გამო პროფესიული მოლაშქრეობა არ ევალებოდათ. „ჭიაურის ულუფის წიგნში“ კი ალექსანდრე II ხარკის ამკრეფებად მსახურების გვერდით მოყალნე-გლეხებსაც ასახელებს: „და ჭიაურთათ რვა კაცი მსახურად გუიახლებია: ოთხი მსახური და ოთხი მოყალნე“³³. ამრიგად, იმ რვა კაციდან, რომელიც მეფემ მოურავს მსახურად აახლა, ოთხი წოდებრივად მსახურია, ოთხი კი მოყალნე-გლეხი³⁴. თავისი სოციალური სტატუსით ხარკის ასაკრეფად გაგზავნილი მოყალნე-გლეხი „ბექასა და აღბუღას სამართალში“ მოხსენიებული ის ყმაა, რომელსაც პატრონი იცნობდა „სიკეთხედა“. ასეთი ყმა წოდებრივად გლეხია, მას მხოლოდ კელი (სამსახური)

* მარქაფა რომ სათადარიგო ცხენი იყო, ამის შესახებ ბერი ეგნატაშვილი გვიდასტურებს (ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 377).

³⁰ გ. მამულია, პატრონყმობა, გვ. 25.

³¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984, გვ. 184.

³² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 118.

³³ იქვე, გვ. 207.

³⁴ ზ. რატიანი, მსახურთა კლასობრივი ენაობის გაგებისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1974, № 3, გვ. 147.

აქვს ყმათა შორის უმდაბლეს საფეხურზე მდგომი ყმის — მსახურის, რის გამოც იგი „ყმად“ იწოდა და სისხლის ფასითაც მსახურს გაუსწორდა — 1000 თეთრი³⁵. სისხლის ფასში გათანაბრებისდა მიუხედავად მსახურის კელის მქონე გლეხი მინაც გლეხად რჩებოდა, რადგან კელი წოდების სოციალურ ბუნებას ვერ ცვლიდა და ასეთი გლეხი გლეხთა წოდებიდან ვერ გამოჰყავდა.

ამგვარ გლეხთა სოციალური სტატუსი კარგად აისახა „დავით ბატონიშვილის სამართალში“, სადაც წერია: „იყვენენ გლეხთავანნი თარხანნი და მსახურნი. თარხანთა გამოემსახურებინათ გვაროვნებითი გათარხნება ხარკისაგან, გარნა არ გამოაკლდებოდნენ ლაშქარ-ნადირობასა. ხოლო ზემოსხენებულნი მსახურნი შთამომავლობით იყვიან მსახურად კართა ზედა და სახლი მათი არა აძლევედა ხარკსა“³⁶. ამ ცნობის მიხედვით, არაკეთილშობილთა სოციალურ ფენაში შემავალი თარხანნი წარმოშობით მსახურის კელის (სამსახურის) შეძლევის გამო პატრონის მიერ ხარკის მიხდისაგან გათარხნებულ-გააზატებული მოყალნე-გლეხები არიან*, რაც ნიშნავს, რომ ბეჭა მანდატურთუხუცესის მიერ 1000 თეთრად შეფასებული სისხლის მქონე გლეხთა „სიყეთესა ზედა“ ცნობის იურიდიული საფუძველი მათ გათარხნებაში მდგომარეობდა³⁷.

როგორც უკვე არაერთგზის ითქვა, „ბეჭასა და აღბულას სამართლის“ წიგნის მიხედვით, რიგითი მსახურის სისხლის ფასი 1000 თეთრია. მაგრამ თუ მსახური აზნაურული წესით ემსახურებოდა პატრონს, რაც მის აზქროსნობა-კარვოსნობა-ქოთლოსნობაში გამოიხატებოდა, ამგვარი მსახურის სისხლი ექვსკეცად გარდახდებოდა მის მკვლელს. და თუ აზნაურიშვილად მყოფ მსახურს რაიმე „საჩინო კელიც“ ჰქონდა პატრონის კარზე, მას უკვე 12000 თეთრის ღირებულებების სისხლი სდიოდა. იმისდა მიუხედავად, რომ „საჩინო კელის“ მპყრობელი მსახურები სისხლის ფასით დამცრობილ აზნაურს უსწორდებოდნენ, ამგვარ მსახურებს აზნაურთაგან არაკეთილშობილება, ანუ „გუარით უაზნოება“ მიჯნავდა და ისინიც არა „გუარით“, არამედ „კელით“ (სამსახურით, საქმიანობით) იყვენენ აზნაურშვილები. „კელით აზნაურშვილებს“, რომელნიც სოციალურად მსახურები არიან, არჩილიც იცნობს³⁸. მეფე-პოეტი შემდეგი სიტყვებით მიმართავს მათ:

„ვინ კელით აზნაურშვილობ, გამეცალე, წადი იქით,
რად გგონია უგუნურო, ბრძნის ვისგანმე მავით იქით?
თუ არ დაშლით, მოწურთნა გიჯობს, ჯოხითა და ვინდა ბაქით,
მამებლად ვინცა ხუმრობ, მო, დაბრძანდი, ზეით, აქით“³⁹.

ქ. ჩხატარაიშვილის აზრით, არჩილი „ხელით აზნაურიშვილებს“ არისტო-

³⁵ ზ. რ ა ტ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 142—152; გ. მ ა მ უ ლ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 23—26.

³⁶ სამართალი ბატონიშვილის დავითისა, თბ., 1964, გვ. 222.

* დავით ბატონიშვილი ტერმინ „გლეხს“ ამ კონკრეტულ შემთხვევაში არაკეთილშობილის ზოგადი მნიშვნელობით ხმარობს.

³⁷ დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა XIII-ს-ის II ნახევრიდან XV საუკუნემდე, კრ.: ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, 1967, გვ. 83—84; მ. ს ა ნ ა ძ ე, გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV—XVIII საუკუნეებში, თბ., 1979, გვ. 123.

³⁸ ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

³⁹ არჩილიანი, ტ. I, თბ., 1936, გვ. 9.

კრატთა რიგებში არ ათავსებს, უგუნურობად მიიჩნევს ასეთ პირთა პრეტენზიას აზნაურთა მსგავსად მეფესთან სიახლოვეზე⁴⁰.

კარვოსან-აბჯროსან-ქოთლოსანი და 12000 თეთრის სისხლის ფასის მქონე მსახური ერთი შეხედვით წვრილ აზნაურს ემსგავსებოდა, რადგან იგი დამცრობილი აზნაურის დარად უციხო-უმონასტრო და მცირე მამულის მქონე იყო. მათ ურთიერთისაგან მხოლოდ კეთილშობილება-არაკეთილშობილება განასხვავებდათ. ამის გამო, ძნელი მისახვედრი აღარ არის, რომ 12000 თეთრის სისხლის ფასის მქონე მსახურისათვის გააზნაურებამდე ერთი ნაბიჯილა რჩებოდა, რაც გვარის გაკეთილშობილებაში უნდა გამოხატულიყო. ასეთი მსახური წვრილი მესაკუთრე იყო და სოფელში მცირე მამული ჰქონდა იმ სახლითურთ, საიდანაც იგი მისდამი ხელდებულო სოფლის მართვას ახორციელებდა. აზნაურად მსახურის კარგოსნობაც ხომ სწორედ იმაზე მიგვანიშნებს, რომ მას მამული და სახლი (ფეოდალური სასახლის ჩანასახი) ჰქონდა. წვრილ აზნაურამდე აღზევების შედეგად ასეთი მსახურის სახლი სასახლის სტატუსს იძენდა, ხოლო გვარის გაკეთილშობილება-გააზნაურებით კი მის მამულად ქცეული სოფელი შეუვალობას ღებულობდა და „აზნაურულ“ (კეთილშობილურ) მამულად იქცეოდა: აზნაურის გვარის კეთილშობილების მატერიალური გამოხატულება ხომ შეუვალობის მქონე მამული იყო.

ამრიგად, „ბექასა და აღბუღას სამართლის“ წიგნში სისხლის ფასის გრადაციით კარგად აისახა ცალკეულ წოდებათა შორის არსებული გარდამავალი საფეხურების არსებობა. სისხლის ფასით, ერთი მხრივ, გლეხის მსახურთან, ხოლო, მეორე მხრივ, მსახურის აზნაურთან გათანაბრება ხელით, ანუ სამსახურის ხასიათით იყო შეპირობებული. თუკი გლეხს (სისხლის ფასი 400 თეთრი) პატრონი მსახურის ხელს შეაძლევდა, ასეთი გლეხი სისხლის ფასით მსახურს უსწორდებოდა (1000 თეთრი). ასევე თუკი მსახური აზნაურის საქმიანობას ეწეოდა პატრონის წინაშე, მას სისხლი აზნაურისა დაეურვებოდა (12000 თეთრი). თავის მხრივ გლეხი აზნაურული წესით — პროფესიული მოლაშქრეობით ვერ გასწევდა სამსახურს პატრონის წინაშე. პროფესიული მოლაშქრეობა აზნაურის ხელობა იყო და აზნაურული წესით მსახურებაც მხოლოდ მოლაშქრე მსახურს შეეძლო. გლეხს მხოლოდ ადმინისტრაციული სამსახურის შესრულების ძალი თუ შესწევდა პატრონის წინაშე. ასეთი გლეხი პატრონს გლეხთა წოდებაშივე მაღალ საფეხურზე იმით აჰყავდა, რომ ხარკის გადახდისაგან ათარხნებდა მას, ხოლო სისხლის ფასით (1000 თეთრი) რიგით მსახურთან იმის გამო ათანაბრებდა, რომ თარხანი გლეხი მხოლოდ ამ რანგის მსახურთა ტოლფარდ სამსახურს ეწეოდა პატრონის წინაშე. გლეხთა წოდების შიგნით თარხან-გლეხთა სოციალური ფენის შექმნის საფუძველი რიგით მსახურთა სიმცირეში მდგომარეობდა, ანუ იმის თქმა ვესურს, რომ პატრონი საპოლიციო-ადმინისტრაციული სამსახურის შემსრულებელ ყმათა (ვასალთა) რიგებს თარხანი გლეხებით ავსებდა.

სისხლის ფასში გათანაბრებისდა მიუხედავად ვერც ასეთი გლეხი (1000 თეთრი) და ვერც მსახური (12000 თეთრი) თავ-თავიანთ წოდებას ვერ ეთიშებოდნენ და მაღალ წოდებაში ვერ გადადიოდნენ, რადგან კელი წოდების სოციალურ სტატუსს ვერ ცვლიდა. სისხლის ფასის გაზრდით კელს მსახური თავის-სავე წოდებაშივე სოციალურად ახალ საფეხურზე იმით აჰყავდა, რომ იგი გააზ-

⁴⁰ ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

ნაურებისათვის სოციალურ ნიადაგს უმზადებდა მას. ეს ნიადაგი მსახურის აბჯროსნობა-კარვოსნობა-ქოთლოსნობაში მდგომარეობდა.

ჩვენი ძიების მიზნებისათვის კი არსებითი ის არის, რომ XI—XIV საუკუნეების საქართველოში მსახურთა წოდება თავისი საქმიანობისდა მიხედვით მკვეთრად იყო გამიჯნული ორ ფენად: მსახურთა წოდების ქვედა ფენას საბოლიციო-ადმინისტრაციული საქმიანობით დაკავებული მსახურები (სისხლის ფასი 1000 თეთრი) შეადგენდნენ, ხოლო ზედა, პრივილეგირებულ ფენას კარვოსან-აბჯროსან-ქოთლოსანი პროფესიონალი მოლაშქრე მსახურები (სისხლის ფასი 6000 და 12000 თეთრი) ავსებდნენ.

მსახურთა წოდებაში არსებულ „კელით აზნაურიშვილთა“ სოციალურ ფენას ფეოდალური ხანის საქართველოს სოციალური ტერმინოლოგია „აზნაურის ყმის“ სახელითაც იცნობს⁴¹. „აზნაურის ყმა“ მოყალნე-გლეხი რომ არ არის, ამოზე დასავლეთ საქართველოს ისტორიული საბუთები მიგვითითებენ. კაცია დადიანის შეწირულების წიგნში (1760 წ.) ვკითხულობთ: „რომელიც მარტვილის მონასტრის საყდრისა... შემავალი კაცები იყო: გლეხი თუ აზნაურშვილი და ან აზნაურშვილის ყმა“⁴². ამ ცნობის მიხედვით, „აზნაურის ყმა“ გლეხისა და აზნაურისაგან განსხვავებულ წოდება იყო. ერთ-ერთ უთარაო საბუთში წერია: „ხორგას რაც არის, ყველა მეხადილე არის, აზნაურის ყმას გარდა“⁴³. მოტანდელი ცნობა კი ერთმანეთისაგან მიჯნავს „აზნაურის ყმასა“ და „მეხადილეს“. მეხადილე გლეხთა წოდებას რომ ეკუთვნოდა და ამასთანავე გლეხთა წოდების შიგნით განსხვავებულ სოციალურ ფენას რომ ქმნიდა, კარგად აისახა ისტორიულ საბუთებში. შამადავლა დადიანის იადგარში საკათალიკოზო სარგოს შესახებ (1470/1474 წწ.) ვკითხულობთ: „ვინცა ზოფის საყდარს გარშემო უბატობა იკადროს... ათი გლეხი დაეურვოს საყდარსა... ზედან მოუხდეს, დაარბიოს, დააწუას... მეხადილე კუამლი გლეხი დაუურვოს“⁴⁴. გრიგოლ კათალიკოსის მიერ 1706 წელს გაცემულ საბუთში კი წერია: „მეხადილისთვის საჩუქარი შეგვიწვეით და გლეხისათვის უმცროსი ღორი“⁴⁵. დავასკვნით: XV—XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს გლეხობა ორ ფენად ყოფილა გამიჯნული — მებეგრე და მეხადილე გლეხებად. მეხადილე, რომელიც ხადილის (სამასპინძლოს) გადამხდელ გლეხს ნიშნავს, თავისი სოციალური სტატუსით „ბექასა და აღბუღას სამართალში“ დამოწმებულ იმ გლეხს უსწორდება, რომელსაც პატრონი იცნობდა „სიკეთეზედა“⁴⁶. ამრიგად, მოყალნე-გლეხსა და თარხან-აზატ-მეხადილე გლეხს ზემოთ მდგომი „აზნაურის ყმა“ მსახურთა წოდების წარმომადგენელი იყო. მსახურთა შორის კი „აზნაურის ყმა“ მოლაშქრე მსახურს რომ წარმოადგენდა, „ისტორიანი და აზმანი შარაევანდელთანის“ ავტორი მიგვანიშნებს, რომლის მიხედვით, გიორგი III-ისა და თამარის მსახურთუხუცესი აფრიდონი „აზნაურისა ყმობისაგან ღმრთის მობაძაობითა კაც-ქმნილი, მიიწია მსახურთ-უხუცესობამდის, თხოვესა და სხუათა ციხეთა და ქუეყანათა პატრონობამდის აღზევებული“⁴⁷. აფრიდონისათვის „აზნაურის ყმობიდან“ ციხე-ქვეყა-

⁴¹ ვ. შამუღია, დასახ. ნაშრომი, გვ. 24—26.

⁴² ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, გვ. 14.

⁴³ ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, I, 1920, გვ. 55.

⁴⁴ ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, 1921, გვ. 1.

⁴⁵ იქვე, I, გვ. 92.

⁴⁶ შ. სანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 120—126.

⁴⁷ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 30.

ნათა მფლობელ დიდებულებამდე სოციალური აღზევების გზა მხოლოდ გადახდილ ბრძოლებში პატრონის წინაშე გაწეულ დიდ სამსახურზე გადიოდა⁴⁸.

ფეოდალური ხანის ქართული სოციალური ტერმინოლოგია „ველით აზნაურშვილთა“ სოციალური ფენის აღსანიშნავად კიდევ ერთ სოციალურ ტერმინს — „მართველ მსახურს“ ასახელებს. „სამთავისის სამწყსოს საკანონოს წიგნის“ (1459 წ.) ცნობით, „ვინცა ვინ ამის სამწყსოშია აზნაურშვილი იყვნენ, მართველი საწირავი მიართვან — ცხენი, იარაღი, წასახურავი და ნიშანი. და უკუეთუ მსახური იყოს, ამგვარად მართველმა მსახურმა ცხენი და იარაღი, დაბალჯმა ერთი კარი მიართვას“⁴⁹. ამ ცნობის შესაბამისად, XV საუკუნის სამთავნელის სამწყსოშიც ორი რიგის მსახურები განირჩეოდნენ — მართველი და დაბალი, ხოლო მოტანილი ცნობა მოწმობს, რომ მსახურთა წოდების ორ ფენად გამოიყვანა მათსავე საქმიანობას უკავშირდებოდა, რადგან საწირავის რაობის მიხედვით თუკი დაბალი მსახური საქმიანობით მიწისმოქმედს უახლოვდებოდა, მართველი მსახურის საქმიანობა აზნაურისას ემსგავსებოდა⁵⁰. ის გარემოება, რომ XI—XV საუკუნეების საქართველოში აპკროსან-კარვოსან-ქოთლოსანი მსახურის საწირავად აზნაურის დარად ცხენი და იარაღი იდო, ხოლო რიგითი მსახურისათვის — ხარი, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ აზრს, რომ დაბალი მსახურისაგან განსხვავებით მართველი მსახური მოლაშქრებოდა.

არაკეთილშობილი თავისუფალი ვასალები — მართველი მსახურები „სპაში“ რომ ერთიანდებოდნენ, ისიც მოწმობს, რომ „მონა-სპის“ ანალოგიური ყალიბის მიხედვით ტერმინი „მსახური-სპა“ არ შემუშავებულა, ხოლო „სპის“ გვერდით ტერმინ „მონა-სპის“ არსებობა კი იმაზე მიგვითითებს, რომ მოლაშქრებოდა არა მხოლოდ თავისუფალი ვასალი — დიდებული, აზნაური და მართველი მსახური, არამედ არათავისუფალი ვასალიც — მონა. იმისდა მიუხედავად, რომ „ბექასა და აღბულას სამართალი“ მონის სისხლს საერთოდ არ განსაზღვრავს, მონათა ფენის არსებობა XI—XIV საუკუნეების საქართველოში უტყუარი ფაქტია. ამის გამო, პატრონყმური საქართველოს სოციალურ იერარქიაში მონათა წოდებისათვის კუთვნილი ადგილის მიჩენის ფონზე დავადგინოთ მოლაშქრე მონის სოციალური სტატუსი თავისუფალ ვასალთაგან შემდგარ ფეოდალურ ლაშქარში.

მონათა წოდების შესასწავლად საყურადღებო ცნობები „ვეფხისტყაოსანში“ შემოინახა. ავთანდილმა თინათინის დავალებით უცხო მოყმის საქებრად გაპარვა გადაწყვიტა. როსტევეანის სპასპეტმა სანადიროდ ლაშქარი იხმო. ნადირობისას ავთანდილმა

ბრძანა: „წადით ყველაკი, აქა მომხრედ არვინ მინა“.

მონებიცა მოიშორვა, თავი გაითავისწინა (176).

რა ლაშქართა ინადირეს და პატრონი მოითვალეს (178).

ავთანდილი ველარ ნახეს, რის გამოც

მისნი სპანი გულ-მოკლულნი ცრემლსა ცხელსა გამომპყრიდეს (179).

მაშინ შერმადინმა

⁴⁸ გ. მამულია, დასახ. ნაშრომი, გვ. 25—26.

⁴⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 207.

⁵⁰ მ. ბერძენიშვილი, საქართველო XI—XII საუკუნეებში, თბ., 1970, გვ. 101—102.

ერთგან შეჰყარა ხასნი და დიდებულები (180).

ავთანდილის მიერ დაუდებულ წიგნში კი ეწერა:

... „ჩემო ყმანო, გამზრდელნო და ზოგნო ზრდილნო,
ერთგულნო და მისანდონო, ამას ზედა გამოცდილნო“ (170).

ამრიგად, ავთანდილს ჰყავს „სპანი“, ანუ „ლაშქარნი“, რომლებიც მისი „ერთგული“ და „მისანდო“ გამზრდელ-გაზრდილი ვასალებისაგან — ხასნი და დიდებულებისაგან შედგებოდა. ისინი ყოველთვის თან ახლავან პატრონს ლაშქარ-ნადირობაში. მაგრამ ავთანდილს ერთგულ-მისანდო გამზრდელ-გაზრდილთა გვერდით ჰყავს მონებიც, რომელნიც ავთანდილის პირად დაცვას წარმოადგენენ და განუყოფელად თან ახლავან პატრონს. ამიტომაც აღნიშნავს რუსთველი ხაზ-გასმით — „მონებიცა მოიშორავა, თავი გაითავისწინა“ (176).

ასეთივე მცველი-მონა ჰყავს ჭაშნაგირსაც. ავთანდილი ფაქტმანთან პაემანზე მივიდა. ამ დროს,

შემოდგა კარსა ყმა ვინმე კეკელუცი, ტან-ნაკეთიანი,
შემოვლო ახლოს, შემოჰყვა მონა ხრმალ-დარაკიანი (1108).

ამდაგვარი ხრმალ-დარაკიანი მონების გარემოცვაში იმყოფებოდა არაბთა მეფე როსტევანიც. ავთანდილი და როსტევანი მშვიდლოსნობაზე დაიცილნენ. ნადირობა გასრულდა და მეფე და მისი სპასპეტი:

... სავრილად ვარდახდეს ძირსა ხეთასა.
ლაშქართა შექმნეს მოდენა, მოდგეს უფროსნი ბზეთასა.
ახლოს უთქს მონა თორმეტი, უმხნესი სხვათა მხნეთასა (85).

მაშასადამე, მეფეს სხვა მონებიც ჰყავს, მაგრამ ეს თორმეტი მონა განსაკუთრებით გამორჩეულნი — „უმხნესი სხვათა მხნეთასა“ არიან. სწორედ ეს მონები არიან ყველაზე მისანდონი, პატრონის პერსონასთან ყველაზე ახლოს მყოფნი⁵¹. ამიტომაც არის, რომ თუკი ნადირობაში მონაწილე ლაშქარი ერთგან იკრიბება, მეფეს ყველაზე ახლოს „უთქს“ „უმხნესი სხვათა მხნეთასა“ მონები.

ამ დროს მეფემ და ავთანდილმა წყლის პირას მჭდარი უცხო მოყმე იხილეს. როსტევანმა უცხო მოყმესთან მონა წარგზავნა, მაგრამ ტარიელმა მონას ყური არ ათხოვა, რის გამოც

მეფე გაკვირდა, გა-ცა-წყრა, გული უც მისთვის მწყრომარე;
გაგზავნა მონა თორმეტი მისი წინაშე მდგომარე,
უბრძანა: „ხელთა აიღეთ აბჯარი თქვენ საომარე,
მიღით და აქა მომგვარეთ, ვინ არის იქი მდგომარე“ (94).

მაშასადამე, როსტევანის „წინაშემდგომელი“ უბირი მონები კი არა, მეომრები არიან, საომარი აბჯარი აცვიათ და ომი და იარაღის ხმარება იციან⁵². და როდესაც ამ მონებმა უცხო მოყმის შესაპყრობად ხელი გამართეს, ტარიელმა ისინი დახოცა, მაშინ როსტევანმა „ლაშქარნიცა შეუზახნა“, ტარიელმა ისინიც დაიფორიაჭა და მეფე აღნიშნავს ფაქტს: „სპანი სრულად დამიხოცნა“ (113), „მან დამიხოცა ლაშქარი“ (114). ნ. ბერძენიშვილის შეხედულებით, „აქ „სპანში“ და ლაშქარში“ როსტევანი იმ მონებსაც გულისხმობს. ისინი ხომ მეომრები იყ-

⁵¹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VII, გვ. 283.

⁵² ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 287.

ნენ და „უმხნესი სხვათა მხნეთასა“... ასე რომ როსტევეანის მონა იგივე სპა და ლაშქარია, ე. ი. სპანი და ლაშქარში შემავალი ერთეულია... ამას თამარის ისტორიკოსიც მოწმობს გამოთქმით: „სპები და მონასპები“. თამარის ისტორიკოსი თითქო გვეფლის, როცა გაარჩევს ერთი მეორისაგან „სპები და მონასპები“: მონა-სპა სპა არის, ოღონდ ყოველი სპა არაა მონა-სპა, რომ მონა-სპა ერთი სახეობაა სპისა“⁵³.

„მონა-სპას“, როგორც „სპის“ ერთ-ერთ სახეობას, „სპისაგან“ ის სოციალური სპეციფიკა განასხვავებდა, რომ იგი არათავისუფალ ვასალთაგან — მონათაგან შემდგარი სამხედრო ერთეული („სპა“) იყო. ქართულ ფეოდალურ ლაშქარში მონათაგან შემდგარი მრისხანე სამხედრო კორპუსის — „მონა-სპის“ ჩამოყალიბება კი დავით აღმაშენებლის სამხედრო ღონისძიება იყო⁵⁴. 1089 წელს, საქართველოს უკიდურესი ძნელბედობის ეპოს, როდესაც ქვეყანაში დიდი თურქობა მძვინვარებდა, გიორგი II გადადგა და ტახტზე თექვსმეტი წლის დავითი ავიდა. ქვეყანა თურქთა წინააღმდეგ დიდი ომის სამზადისს შეუდგა, რაც, უპირველეს ყოვლისა, სათანადო სამხედრო ორგანიზაციის შექმნას გულისხმობდა. დავითის სამხედრო მოღვაწეობის შესახებ თხრობისას მისი ისტორიკოსი არა მხოლოდ ამ სამხედრო ორგანიზაციის შექმნის ისტორიას გადმოგვცემს, არამედ ამ ორგანიზაციის აღნაგობის სურათსაც იძლევა. დავითის ისტორიკოსის ცნობით, დავითმა არა მხოლოდ ყვიჩაყნი „განასრულმა ცხენებითა და საჭურველითა“, არამედ „მონანი, რომელ ჰყვეს რჩეულნი და განსწავლულნი ღვაწლისა, ვითარ ხუთი ათასი კაცი, ყოველნი ქრისტიანე ქმნული, მისანდონი და გამოცდილნი სიმკნითა... უგრეთვე თვისისა სამეფოსა სპანი, რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენკეთილნი და პირშუქქეველნი“⁵⁵. ამრიგად, დავითის ლაშქარი ყვიჩაყებისგან, სპისა და მონასპისაგან შედგებოდა. მოტიანილ ცნობაზე დაკვირვებისას ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, რომ დავითის მეისტორიეს მიერ „ზმარებული დახასიათებანი, რასაც ის არც ყვიჩაყებისა და არც სამეფო სპის (ე. ი. ქართველების) მიმართ იმეტებს, იმის მოწმობაა, რომ ეს მონანი განსაკუთრებული ლაშქარია. მონანი ქართველები არ არიან წარმოშობით, ისინი „ქრისტიანე ქმნულნი“ არიან... ისტორიკოსის სხვა ცნობები ბევრის მხრივ ნათელს ხდის ამ ინსტიტუტს: ისინი იყვნენ „რჩეულნი და განსწავლულნი ღვაწლისა“. მაშასადამე, მონაში ყველას კი არ იღებდნენ, არამედ აქ მხოლოდ რჩეულები იყვნენ, ისინი განსწავლულნი იყვნენ სამხედრო ხელოვნებაში... ამავე დროს ესენი იყვნენ მისანდონი, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, და გამოცდილნი სიმკნითა. მოკლედ ეს იყო გვარდია, რომელსაც მეფე სავსებით ენდობოდა და რომელიც ამ ნდობას ამართლებდა... ისტორიკოსი აღნიშნავს ყვიჩაყების ღალატის შესახებ, არც სამეფოსა სპანი იყვნენ მისანდონი, ამ ეპიტეტით ჩვენი თვალმახვილი ავტორი მხოლოდ მონებს აჯილდოვებს და ეს არა შემთხვევით... ეს მონები მხედრები იყვნენ და მეფეს თან ახლდნენ ქალაქის პირის რბევაში თუ უფრო მსხვილ ომებში... ისინი, ჩანს ახლოს იდგნენ მეფესთან და მისი გამოცდილი მისანდონი იყვნენ. ამრიგად, მონასპის ინსტიტუტი ფაქტია“⁵⁶. ასე

⁵³ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 288.

⁵⁴ ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, თხზულებანი, ტ. VI, თბ., 1982, გვ. 287; ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

⁵⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 337.

⁵⁶ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 50—52.

რომ, დავითის მონები — „რჩეულნი“, „მისანდონი“, „განსწავლულნი ღუაწლი-სა“ და „გამოცდილნი სიმკნითა“ იგივეა, რაც როსტევეანის მონები — „უმხნესი სხვათა მხნეთასა“.

თუ რაოდენ მრისხანე სამხედრო ძალას წარმოადგენდა მონასპა, დავითის ისტორიკოსი მიგვეითებებს. 1123 წელი იყო. შარვანში შემოჭრილ სულტანს შარვანშაჰი შეეპყრო. დავითი შარვანს გაემართა, მაგრამ შეშინებულმა სულტანმა ბრძოლა ვერ ვაბედა და შამახია დააგდო. დავითის ისტორიკოსის ცნობით, „მასვე დღესა სულტანსა წინაშე მიმავალი ათაბაგი რანისა აღსუნღული ძალითა მრავლითა, მოსრეს მონათა მეფისათა ვითარ ოთხი ათასი კაცი და იგი ოდენ მარტო მეოტი ძლით მივიდა სულტანსა წინაშე“⁵⁷.

მონასპა, როგორც რუსთველის ხანის ქართულ ფეოდალურ ლაშქარში შე-მავალი სამხედრო კორპუსის მხატვრული ანარეკლი, „ვეფხისტყაოსნის“ მიხედ-ვით ქაჯთა სამეფოშიც დასტურდება. ფატმანი უამბობს ავთანდილს — ერთ სა-ღამოს ვხედავ ხანაგაში

მო-სითმე-ვიდა ღარიბი მონა მოყვსითა სამითა,
მონა მონურად მოსილი, სხვანი — მგზავრულად ხამითა (1226).

„მაშასადამე, — წერს ნ. ბერძენიშვილი, — მონა იმოსება მონურად. ეს ცნობა საყურადღებოა, აქ ნაულისხმევი მონა, როგორც შემდეგი მოთხრობი-დან ჩანს, ისეთივე მონასპის კაცია, როგორც როსტევეანის თუ სხვათა. ისე გა-მოდის, რომ ამ მონებს მონური სამოსელი ახასიათებთ. თავთავისი სამოსელი ახასიათებს ამ დროს ვაჟარს — ამ სამოსელს ვაჟრული ეწოდება... ასევე საკუ-თარი სამოსელი აქვთ ჭაბუკებს, ამას კიდევ საჭაბუკო ეწოდება... შეიძლება ვიფიქროთ, რომ მონასპას სამოსელიც „მონური“ აქვს. ალბათ, ამით იყო, რომ თამარის ისტორიკოსი გიორგი მეფის სასახლის კედლებზე დახატულ სპებს არ-ჩევდა მონასპებისაგან“⁵⁸.

ხანაგაში საუბრისას თანამგზავრებს მონამ უთხრა —

მე ვარო მონა მეფისა მალღისა, ქაჯთა მფლობლისა (1229).
როშაქ მონაა, თავადი მონისა ბევრის ათისა (1231).

„ეს მონა, — განაგრძობს ნ. ბერძენიშვილი, — როგორც მისი შემდეგი მო-ნათხრობიდან ჩანს, მეფის ლაშქარშია. ასე რომ, თუ მას მონურად აცვია, ეს იმას ნიშნავს, რომ იმ მონასპასაც მონურად აცვია. უეჭველია საუბარი შეეხება სამოსელს მშვიდობიან პირობებში, და არა საომარ-საჭურველს, სადაც მეტ-ნაკლებად ერთნაირი უნდა ყოფილიყო ეს საჭურველი...“

გამოთქმა: „მე ვარო მონა მეფისა მალღისა ქაჯთა მფლობლისა“ მოწმობს, რომ ეს ლაშქარი — ბევრათასიანი, რომელსაც როშაქ თავადობს, არის მონა-სპა. თითოეულ ამ მოლაშქრეს ეწოდება მონა მეფისა, ხოლო ყველას ერთად მონასპა...

„როშაქ მონაა თავადი მონისა ბევრ ათასისა“. სრულიად უეჭველია, რომ ბევრი ათასი მონა ეს მონასპა არის, ხოლო როშაქ მონა ამ სპის უფროსია, თავადია. ისიც უეჭველია, რომ ეს ბევრათასი მონა მეფის კარის ლაშქარია და არა ქვეყნით მოწვეული საპატრონყმო ლაშქარი. ეს მონასპა მუდმივი ჯარია

⁵⁷ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 344.

⁵⁸ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 262.

მეფის კარზე, მეფისა და მისი კარის მცველია, მეფეს ახლავს გზაში, მეფეს ახლავს ნადირობაში თუ ომში“⁵⁹.

მონასპის „თავადის“ სახელოს „მონათა უხუცესი“ რომ ერქვა, ფატიმანის სიტყვებიდან დასტურდება. ფატიმანი უამბობს ავთანდილს, თუ როგორ მივიდნენ მასთან ნესტანის წასაყვანად მელიქ-სურხავის მონები —

შემოდგა კარსა მეფისა მონათა უხუცესია,
 თანა ჰყვა მონა სამოცი, ვით ხელმწიფეთა წესია (1180).

რაკი როშაქი მონათა უხუცესია, ეს მონებიც როშაქის ხელისანი არიან, ანუ როშაქს ემორჩილებიან —

გვიტბრა მისთა ხელისათა: „წავალ, თანა წამომყვევით!“
 წაგვიტანა მონა ასი, ყველაკაი მისგან რჩევით,
 დღისით, მზისით ვმეკობრბდით, ლამეთაცა ვიყვნით თევით;
 დია ელუწით ქარავანი, ლარი ჩვენ კერძ გარდმოვდევიით (1233).

ხანდახან მონასპა მეკობრეობს კიდეც, ქარავანს ლეწავს. მეკობრეობა კი ჭაბუკთა (რაინდთა) ხელობა იყო⁶⁰.

როშაქმა და მისმა მონებმა ერთხანს იმეკობრეს, შემდეგ ერთი ამ მონათაგანი სთხოვს მონათა უხუცესს —

მე როშაქს ვჰკადრე: „გამიშვი კვლა ადრე თქვენი მხლებელი;
 აწ გულანშაროს ქალაქსა ვარ საქმის რასმე მდებელი“.
 მან გამომიშვა, აქ სადმე ლარი მიც წასაღებელი,
 თანა წავეიტან, წა-ცა-ვალ მე მათი ზელა-მსწრებელი (1244).

„ესაა როშაქის ერთი რჩეული მონათაგანი, — წერს ნ. ბერძენიშვილი, — მას სხვა ქვეყანაში, გულანშაროს, სავაჭრო ქალაქში რალაც საქმე აქვს. ჩანს, ასეთი საქმე მონებისათვის უჩვეულო არაა. თურმე ამ მონას გულანშაროში ლარი (ძვირფასი განძეულობა, აბრეშუმეული, განძეული, ძვირფასი ქსოვილი) ჰქონია, რომელიც მას სურს წაიღოს ჭაჭეთს. ერთი სიტყვით, ამ მონას საქმიანი ურთიერთობა აქვს გულანშაროში... მოკლედ ეს მონა თავისებურ „მეურნეობას“ ეწევა“⁶¹. ასე რომ, ეს მონები უბოვარნი კი არ არიან, არამედ ქონებრივად საკმაოდ შეძლებულნიც ყოფილან.

ასეთივე მონასპა ჰყავს ინდოთ მეფე ფარსადანსაც. ტარიელი ხვარაზმშას შვილის მოსაკლავად მიდის —

ასა ეუბრძანე მონასა: „საომრად დაემზადენით!“
 შეესხედით, გაველეთ ქალაქი, არაგის გავეცხადენით (563).

„ეს ასი მონა სავანგებოდ მოწვეული კი არაა, არამედ აქვე არიან ქალაქში, სადაც მეფე ფარსადანია. ტარიელი ხომ ამირბარია და ეს „მონებიც“ მისი ხელისანი არიან. ეს ასი მონა მონასპის ნაწილია“⁶², — ასკენის ნ. ბერძენიშვილი. ამრიგად, მშვიდობიან დროს, როდესაც ლაშქარი გაყრილია, მეფის თუ დიდი ფეოდალის კარზე მუდმივად იმყოფებოდა სავანგებო სამხედრო ერთეული —

⁵⁹ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 263.

⁶⁰ ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 119—137.

⁶¹ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 264.

⁶² იქვე, გვ. 279.

„მონასა“ და მეფეც (ფეოდალიც) ქვეყნით მოწვეული საპატრონეცო ლაშქრის შემოყრამდე მცირე სამხედრო ოპერაციებს ამ „მონასპით“ აწარმოებდა⁶³.

მონები პატრონის კარზე სხვადასხვა ხასიათის სამსახურს ასრულებდნენ, რაც განაპირობებდა იმ გარემოებას, რომ თუ მონათა ერთ ნაწილს მისი არათავისუფალი წარმომავლობისდა მიუხედავად „ყმა“ (ვასალის მნიშვნელობით) მიემართებოდა, მეორე ნაწილი „ყმა“ არ იყო⁶⁴. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამსახურის ხასიათის მიხედვით მონათა შორის ორი კატეგორია განიჩეოდა: ყმა-მონებისა და არაყმა-მონების. „ყმა“ მონათა ერთ ნაწილს, რა თქმა უნდა, იმის საფუძველზე მიემართა, რომ ისინი თავისუფალი ვასალის — „ყმის“ მოვალეობას ასრულებდნენ პატრონის წინაშე, ხოლო „ყმათა“ სოციალურ ფენაში არ შედიოდა ისეთი მონა, რომელიც ფიზიკური შრომით ემსახურებოდა პატრონს⁶⁵.

მონათა ყმა-მონებად და არაყმა-მონებად გაყოფის კონკრეტული სოციალური სურათი კარგად აისახა გულანშაროელი ვაჭართუხუცესის სახლში. ვაჭართუხუცეს უსენის ცოლს ფატმან-ხათუნს შეატყობინეს ქარავენის მოსვლა —

ფატმან ხათუნს გაეხარნეს, გააგება მონა ათი,
მოუკაზმნა ქარესარანი, დააყენა ბარგი მათი (1083).

ამრიგად, ვაჭართუხუცესის სახლს ჰყავდა ათი მონა, რომელთაც შემოსული ქარავენის მომსახურება — ქარესარის მოკაზმვა, ბარგის დაყენება და ა. შ. ევალებოდათ. ამგვარი მონები ფიზიკური შრომით ემსახურებოდნენ პატრონს და ყმათა სოციალურ ფენაში, რა თქმა უნდა, არ შედიოდნენ.

მაგრამ ამდაგვარი არაყმა-მონების გვერდით ფატმან ხათუნს ისეთი „წინაშემდგომელი“ მონებიც ჰყავდა, რომელნიც „ყმად“ იწოდებიან. ფატმანი უამბობს ავთანდილს, თუ როგორ მოიყვანეს ერთ დღეს „ორთა კაცთა ტანად შავთა“, რომელთაც „თვით პირიცა ედგა შავი“, კიდობნით ქალი. „მოვიხმენ ოთხნი მონანი, ჩემსა წინაშე მდგომელნი“ (1142), — განაგრძობს ფატმანი და მათთვის იმ ქალის სყიდვა, ან იმ კაცთა დახოცვა და ქალის დახსნა უბრძანებია: „ჩემნი ყმანი ზედადაღმა ჩაეპარნეს, ვითა ფრენით“ (1143). ეს ყმა-მონები ის უბირი მონები კი არ არიან, შემოსული ქარავენის მომსახურება რომ ევალებათ მხოლოდ, არამედ ვაჭართუხუცესის სახლის წევრთა პირად დაცვას წარმოადგენენ და ჭაშნავაგირისეული ზრმალ-ღარაკიანი მონის სადარი მონები არიან.

ვაჭართუხუცესის სახლში კიდევ ერთი სახეობის ყმა-მონა დასტურდება — კურიერი, რომლის საქმიანობაც ზრმალ-ღარაკიანი „წინაშემდგომელი“ მონების მსგავსად ომი და იარაღის ზმარება არ არის. ფატმანი ეუბნება ავთანდილს —

მე ორნი შავნი მონანი მყვანან საყსენი გრძნებთა:
უჩინოდ მივლენ-წამოვლენ მათითა ხელოვნებითა (1247).

„გრძნეული“ მონა ქაჯეთს მივიდა —

ციხისა კარნი დახშულნი შევლნა მართ ვითა ღიანი,
შევიდა ზანგი პირ-შავი, თმა-გრძელი, ტან-ნაბღიანი (1287).

და ნესტანს უთხრა —

მე ვარ მონა ფატმანისი თქვენს წინაშე ნამგზავრები (1288).

⁶³ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 267.

⁶⁴ იქვე, გვ. 257—258, 286—287.

⁶⁵ გ. შამუღია, პატრონეცობა, გვ. 11—28.

ნესტანმა მონის ნაამბობი ჭეშმარიტებად მიიჩნია და უბასუხა —

მემართლების, ყმაო, შენი ნაუბარი (1293).

ამრიგად, ფატმანის ეს მონა — „ზანგი პირ-შავი“ — ყმაა, მაგრამ მისი ყმად წოდება ნესტანის მხრივ ამ მონის განდიდება-მადლობის გრძნობით კი არ არის გამოწვეული⁶⁶, არამედ იმით, რომ „მოციქულად მავლობა“ (კურთხეობა) საპოლიციო-საქანდარმო და ადმინისტრაციული სამსახურის გვერდით ყმათა შორის უმდაბლეს საფეხურზე მდგომი ყმის — რიგითი მსახურის ფუნქცია იყო⁶⁷.

მოციქულობა ფეოდალურ საქართველოში მონას რომ ევალებოდა, „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ცნობითაც დასტურდება⁶⁸. როშაქმა და მისმა თანამეკობრე მონებმა ველში ნესტანი იხილეს. ნესტანმაც თვალის ასახვევად მათ უთხრა:

გულანშართ მოციქული ჭაჭეთს მივალ, მერიდენით! (1236).

მეკობრეები გარს შემოადგენ გულანშაროს მოციქულს და იხილეს, რომ „არ მონა იყო, ტყუოდა“ (1238).

„მოციქულად მავლობა“ — კურთხეობა იმთავითვე მონის სამსახური რომ იყო, „შუშანიკის მარტილობის“ ცნობაც მიგვითითებს, რომლის მიხედვით, სპარსეთიდან მობრუნებულმა ვარსკენ პიტიახშმა ქართლს მოახლოებისას „წარმოჰპართა სადიასპანოჯთა ცხენითა მონად თვისი“⁶⁹. ეს ნიშნავს, რომ მონა-დესპანს „სადიასპანოჯ (ე. ი. დესპანის) ცხენად“ წოდებული საგანგებო სწრაფმავალი ცხენიც კი ჰყოლია.

მონათა შორის ყმა-მონების სოციალური ფენის შექმნის საფუძველი ფეოდალური „გაზრდის“ ინსტიტუტში უნდა ვეძიოთ, რადგან ფეოდალური თვალსაზრისით „გაზრდის“ ინსტიტუტი პიროვნების ვასალად შექმნას ემსახურებოდა⁷⁰. ამიტომაც იყო, რომ „ყმა“ (ვასალის მნიშვნელობით) „გაზრდილის“ სინონიმია იყო, რადგან ყოველი პიროვნება მხოლოდ „გაზრდის“ საფუძველზე წდებოდა „ყმა“⁷¹. სოციალური აზრით „გაზრდა“ ფეოდალური ჩვევების, ანუ ფეოდალური სამსახურის შესწავლას გულისხმობდა. ფეოდალური სამსახური კი ფეოდალის შესაფერის საქმიანობას — ომსა და სასახლის მართვა-გამგეობაში მონაწილეობას ნიშნავდა. პატრონყმურ საქართველოში ფეოდალური მამულის მართვა-გამგეობა სასახლეში დასაქმებულ „ყმებს“ (ვასალებს) ევალებოდათ, რადგან სენიორიალურ-ვასალური ურთიერთობებით, ანუ უფროს-უმცროსობით ურთიერთთან შეკავშირებულ კეთილშობილ-არაკეთილშობილთა შორის დიდებულ-აზნაურები თუკი ამა თუ იმ სენიორიალური „სახლის“ მმართველ ფენას ქმნიდნენ, არაკეთილშობილი ვასალები — მსახურები და მონები ფეოდალურ მმართველობაში თანამონაწილეებად გამოდიოდნენ. ამიტომაც არსებობდა ყმათა შორის სხვაობა სამსახურის სოციალურ ხასიათში, რაც მათზე დაკისრებულ ფუნქციებში აისახა. ფუნქციების საფუძველს კი ამა თუ იმ ყმის

⁶⁶ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 265.

⁶⁷ გ. მამულია, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

⁶⁸ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 264.

⁶⁹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, გვ.

⁷⁰ გ. მამულია, დასახ. ნაშრომი, გვ. 8—28.

⁷¹ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 283—286, 297—299; გ. მამულია, დასახ. ნაშრომი, გვ. 8—15, 185—188.

წოდებრივი კუთვნილება განსაზღვრავდა: სასახლის კარზე მყოფ ყმათა შორის დიდებულის, აზნაურისა თუ მსახურის ფუნქციები წოდებრიობის პრინციპს ეფუძნებოდა, ანუ ყოველი წოდების წარმომადგენელს თავისი წოდების შესაბამისი კელი ეპყრა. ამის გამო, თითოეული წოდების წარმომადგენლისათვის „გაზრდაც“ თავისი წოდების შესატყვისი ფეოდალური სამსახურის შესწავლას გულისხმობდა.

ის მონა, რომელიც ფიზიკური შრომით ემსახურებოდა პატრონს, სოციალური აზრით „გაზრდას“, ანუ ფეოდალური ჩვევების შესწავლას, რა თქმა უნდა, არ საჭიროებდა. „ყმად“ „გაზრდილი“ მონა კი „გაზრდის“ საფუძველზე ფეოდალურ ჩვევებს იძენდა, ანუ მისი საქმიანობის სფეროს ფეოდალური სამსახური მოიცავდა, რაც კონკრეტულად საკურიერო-საქანდარმო-საპოლიციო-ადმინისტრაციული და სამხედრო სამსახურით შემოიფარგლებოდა⁷². ამრიგად, „გაზრდილ“ ყმა-მონას და არაყმა-მონას ურთიერთისაგან პატრონის წინაშე სამსახურის ხასიათი განასხვავებდათ. „ყმად“ გაზრდილი მონა სასახლის კარზე მყოფ ყმათა შორის არაკეთილშობილი ვასალის — მსახურის საქმიანობას ეწეოდა და, თუმცა ყმა-მონა სოციალური წარმომავლობით არათავისუფალი იყო, ხელი, ანუ სამსახური თავისუფალი კაცის — მსახურის პქონდა. ამ ხელს კი მას „გაზრდა“ ანიჭებდა და რადგან „გაზრდილი“ მონა ყმის (ვასალის) საქმიანობას სწევდა პატრონის წინაშე, ასეთი მონაც „გაზრდის“ საფუძველზე „ყმათა“ სოციალურ ფენაში ვადადიოდა⁷³.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პატრონი უბირ მონას მსახურის საქმიანობას შეასწავლიდა, ანუ „ზრდიდა“, რითაც მას „ყმად“ (ვასალად) აქცევდა და ყმა-მსახურთა გვერდით მონათაგან გამოსულ ყმათა ფენის შექმნით ყმათა შორის არაკეთილშობილი ვასალთა — მსახურის ფუნქციების შემსრულებელთა რიცხვს ამდაგვარი ყმა-მონებით ავსებდა. მართალია, მსახურის ხელის მინიჭებას მონა „ყმათა“ რიგში შეჰყავდა და ფუნქციებითა და სამსახურის ხასიათით ყმა-მონა მსახური იყო, ამისდა მიუხედავად მონა თავისუფალ მსახურთა წოდებაში მაინც ვერ გადიოდა და ამგვარ „ყმებს“ ძველებურად შერჩენოდათ მათი წოდებრიობის აღმნიშვნელი ტერმინი — „მონა“⁷⁴. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყმა-მსახურის ხელის მინიჭებას ყმა-მონა მონობიდან მაინც ვერ გამოჰყავდა, რადგან მონობიდან გამოსვლას გათავისუფლების იურიდიული აქტი სჭირდებოდა⁷⁵. მონის არათავისუფლება კი იმაში გამოიხატებოდა, რომ ყმა-მონა მსახურის დარად მამულის მფლობელი არ იყო. არათავისუფლებისდა მიუხედავად მონას გლეხისაგან ის განასხვავებდა, რომ მონა გლეხივით მიწაზე არ იჯდა, რადგან „საკომლოზე“ დასმული მონა უკვე გლეხი იყო⁷⁶.

იმისდა მიუხედავად, რომ „ბექასა და აღბულას სამართლის“ წიგნში მონის სისხლი განსაზღვრული არ არის, ყმა-მონათა შორის არსებული სოციალური გრადაცია მსახურთა შორის სისხლის ფასში ასახული სოციალური გრადაციის ხარჯზე ასე შეიძლება დავახასიათოთ: ის ყმა-მონა, რომელიც რიგითი მსახურის

⁷² ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 257—259; გ. მამულია, დასახ. ნაშრომი, გვ. 11—28.

⁷³ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 257—258, 283—287; გ. მამულია, დასახ. ნაშრომი, გვ. 11—28.

⁷⁴ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 259, 286.

⁷⁵ იქვე, გვ. 270, 286.

⁷⁶ იქვე, გვ. 79, 272; მისივე, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. IX, გვ. 100.

საქმიანობას (საკუთრიერო-საყენადარმო-საპოლიციო-ადმინისტრაციული სამსახურ-ი) ეწეოდა, თავისი სოციალური სტატუსით იმ მსახურთა გვერდით იდგა, რომლის სისხლის ფასსაც 1000 თეთრით შემოსაზღვრავს კანონმდებელი; სამხედრო საქმით დაკავებული ყმა-მონა, რომელიც აბჯროსან-კარგოსან-ქოთლოსანი მსახურის დარად აზნაურული წესით ემსახურებოდა პატრონს (მონა-სპა, მონა ხრმალ-დარაკიანი, მონა წინაშემდგომელი და ა. შ.), თავისი სოციალური სტატუსით იმ აზნაურად მსახურს უსწორდებოდა, რომლის სისხლდაც 6000 თეთრს აზღვევინებდნენ მის მკვლელს; ხოლო ის მოლაშქრე-მონა, რომელიც პატრონის კარზე რაიმე „საჩინო ჯელსაც“ ფლობდა (მონათა უხუცესი და ა. შ.), იმ „საჩინო ჯელის“ მპყრობელ აზნაურად მსახურებს შეესწორებოდა, რომელთაც 12000 თეთრის ღირებულების სისხლი სდიოდათ.

საბრძოლო ცხენზე ამხედრებულ და მძიმე აბჯარში ჩამსხდარი ხრმალ-დარაკიანი მონებისაგან მეფე თუ დიდი ფეოდალი თავის „სპაში“ შემაველ საგანგებო სამხედრო ერთეულს — „მონასპას“ ქმნიდა, რომელსაც სამსახურის ხასიათის მიხედვით ქვეყნით მოწვეულ საპატრონეყო ლაშქართან შედარებით ის პრიორიტეტული თავისებურება ახასიათებდა, რომ მუდმივად იმყოფებოდა პატრონის კარზე. მცველ-მხლებელი მონების საგანგებო სამხედრო ერთეულად — „მონასპად“ გარდაქმნა კი დავით აღმაშენებლის სამხედრო ღონისძიება იყო, რაც „გამზრდელ“-„გაზრდილის“ ინსტიტუტზე დაფუძნებული ქართული პატრონეყმობის განვითარების ისტორიული გზის ბუნებრივი შედეგი იყო.

ჯუანშერის ცნობაში შემონახულ ვახტანგ გორგასლის ხანის ქართლის სამეფოს ლაშქარს სოციალური აღნაგობის თვალსაზრისით XI—XIV საუკუნეთა ქართულ პატრონეყმურ ლაშქართან თუ შევადარებთ, ადვილი შესაცნობია ის სხვაობა, რაც ამ ორი ეპოქის მსახურთა შეიარაღება-ეკიპირებაში არსებობდა. თუკი ძველ ქართულში მსახურთა უმაღლესი ფენის წარმომადგენელი მსუბუქად შეიარაღებულ ცხენოსნებს მიეკუთვნებოდნენ, ერთიანი ფეოდალური მონარქიის საქართველოს სპაში შემაველი არაკეთილშობილი მოლაშქრენი — მსახურები და მონები არა მხოლოდ „მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდეს“⁷⁷, არამედ მათთა პატრონთა დარად აბჯარ-მუზარადში ჩამსხდარნი აზნაურთა მსგავსად კარვითა და მარქაფა ცხენით (ქოთლით) ცხადდებოდნენ ბრძოლის ველზე. მსახურთა გარდაქმნა მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსნიდან მძიმე აბჯრით აღჭურვილ მეომრამდე ფეოდალურ ლაშქარში არაკეთილშობილ ვასალთა როლის ზრდით უნდა ყოფილიყო შეპირობებული.

ამგვარად, XI—XIV საუკუნეების ქართული ფეოდალური ლაშქარი კეთილშობილი და არაკეთილშობილი ვასალებისაგან შედგებოდა. კეთილშობილ ვასალებად დიდებულიები (სისხლის ფასი 40000 თეთრი) და აზნაურები (სისხლის ფასი 20000 და 12000 თეთრი) გამოდიოდნენ, ხოლო არაკეთილშობილი ვასალები მოლაშქრე-მონებითა და მსახურთა უმაღლესი ფენის წარმომადგენლებით (სისხლის ფასი 12000 და 6000 თეთრი) — აბჯროსან-კარგოსან-ქოთლოსანი მსახურებით („აზნაურშვილად მსახური“, „აზნაურის ყმა“, „კელით აზნაურშვილი“, „მარტებული მსახური“) იყვნენ წარმოდგენილი. მონები ლაშქარში ცალკე სამხედრო კორპუსს — „მონასპას“ ქმნიდნენ და სწორედ ამ ტერმინის აღმოცენებით გამიჯნა ქართულმა სოციალურმა ტერმინოლოგიამ ისინი თავისუფალ ვასალთაგან შემდგარი „სპისგან“. „ყმათა“ უმდაბლეს საფეხურზე

⁷⁷ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 369.

მდგომით — რიგით მსახურებს (სისხლის ფასი 1000 თეთრი), ამავე რანგის მონებსა და აზატ-თარხან გლეხებს (სისხლის ფასი 1000 თეთრი) მოლაშქრეობა არ ევალებოდათ და საკუთრივო-საყანდარმო-საპოლიციო თუ ადმინისტრაციული სამსახურით იყვნენ დაკავებული. „ყმათა“ სოციალური ფენის მიღმა კი მოყალნე-გლეხები (სისხლის ფასი 400 თეთრი) და ის მონები რჩებოდნენ, რომელნიც ფიზიკური შრომით ემსახურებოდნენ პატრონს.

Т. З. АХАЛАИА

ВОИН В ГРУЗИИ XI—XIV ВЕКОВ

Резюме

Среди находившихся на грузинской вассальной лестнице XI—XIV вв. дидебулов, азнауров, слуг и рабов дидебулы и азнауры являлись благородными вассалами, слуги же и рабы представляли собой вассалов неблагородных, с той лишь разницей, что слуги являлись неблагородными свободными вассалами. Основанное на сеньориально-вассальном институте грузинское феодальное войско представляло собой социальный организм, состоявший из свободных вассалов (дидебулов, азнауров и слуг). Сословие слуг по роду службы четко подразделялось на два слоя: к нижнему слою принадлежали слуги, несшие курьерскую, полицейскую, жандармскую и административную службу; верхний же, привилегированный слой занимали профессиональные конные воины-слуги, носившие тяжелые доспехи и сопровождавшие на поле битвы своего сеньора со сменным боевым конем и палаткой. Находившиеся при дворе сеньора несвободные вассалы — рабы исполняли функции вассалов, стоявших на низшей ступени вассальной лестницы — слуг, что и обуславляло то обстоятельство, что подобно слугам, рабы также четко подразделялись на два слоя — на раба-воина и рядового раба. Таким образом, в Грузии XI—XIV веков воинами-профессионалами являлись дидебулы, азнауры и представители высших слоев слуг и рабов.

Находившихся же на низшей ступени вассальной лестницы рядовых слуг, а также рабов того же ранга и крестьян-азатов (освобожденных от подати) обязательная воинская служба не касалась, поскольку они исполняли курьерские, административные или жандармо-полицейские функции. За пределом социального слоя вассалов оставались крестьяне и те из рабов, которые физическим трудом служили своему господину.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის საზ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებამ.

ვლადიმერ ლუნაჰვილი

ცხრაჯმის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია
XIV ს-ის 20—50-იან წლებში

ქართულ ისტორიოგრაფიაში, გიორგი V-ის ფაქტობრივი გამეფების თარიღად, მიღებულია ითვლება, ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მოცემული თარიღი 1318 წელი¹. თუმცა, „ნამდვილად მისი მოღვაწეობა ამაზე ადრე დაიწყო“².

გიორგი V მეფედ პირველად აკურთხეს 1299 წელს, მაგრამ მცირეწლოვანების გამო მაშინ მეფობა არ შეეძლო. დანაწევრებულ საქართველოს საეფოს განაგებდნენ; უფრო ადრე მეფეებად დამტკიცებული უფროსი ძმები: დავით VIII და ვახტანგ III. ვახტანგ III-ის, გარდაცვალების შემდგომ 1308 წ. დავით VIII-სა და მონღოლებს შორის მომხდარა გარკვეული შეთანხმება, რომლის ძალითაც საქართველოს მეფობა ეძლეოდა ადრე შერისხულ დავით VIII-ის შვილს, გიორგის, რომელიც საქართველოს ისტორიაში გიორგი VI, მცირის სახელითაა ცნობილი.

გიორგი VI-ის მეურვეობა თავიდანვე დაუვალებიათ ბიძამისისათვის — გიორგი V-ისათვის³.

ოლჯათ სულთნის (1304—1317 წწ.) ყაენობის ბოლო პერიოდში საბერძნეთში დაწყებული ანტიმონღოლური (პულაგუდები) აჯანყება. აჯანყების ჩასაქრობად სულთანს გაუგზავნია ჩობანი და ქართველთა რაზმი, გიორგი V-ის ხელმძღვანელობით⁴. „ხოლო გიორგი (მცირე), ზაალ მელიქ, შანშე და ზაქარია არა წარჰყვეს თანა, წარვიდეს და აიყარნეს და ტფილისს შევიდეს“⁵. საქართველოშიც არ ყოფილა სიმშვიდე, ქართველ დიდებულთა გარკვეული ნაწილი, არ სცნობდა გიორგი VI-ის უზენაესობას, ჟამთააღმწერლის მიხედვით, „მივიდეს (გიორგი VI — ვ. ლ.) ჯავახეთს, მიერ კახტისთავსა, და აწუევედეს სარგისს და ყუარყუარეს გამოსვლად, და არა ინებეს“⁶. განდგომილთა მორჩილებაში მოყვანა გიორგი VI-ეს ვერ მოუხერხებია.

¹ რ. კიკნაძე, გიორგი V ბრწყინვალის გამეფების თარიღის საკითხისათვის, წიგნში, საისტორიო კრებული, VII, 1977, გვ. 213—231.

² ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია XI—XV სს., 1949, გვ. 194. მისივე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი III, 1982, გვ. 163.

³ „მოსცა მეფობა და ტფილისი და უჩინა მოძღვრად და საქმისა მოურავად დიდი გიორგი, და მივიდეს ტფილისს“, ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიაზე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბ., 1987, გვ. 218 (შემდგომში: ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიაზე).

⁴ სავარაუდოა, რომ ამ ლაშქრობის დროს განმტკიცდა ჩობანისა და გიორგი V-ის მეგობრობა.

⁵ ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიაზე, გვ. 219.

⁶ იქვე.

გიორგი მცირის ხელისუფლების უსუსურობას კიდევ უფრო ხაზს უსვამს ძველი ერისთავთა, „ხოლო მეფე გიორგი განილაშქრა მადაროს, და დიდად ევნო მათგან ვიწროთა მათ ჳევთა სიმრავლითა საგორავისაჲთა და დიდად მწუხარე მოვიდა და კულად მეორედ წარვიდა დღეთა ყველიერისათა⁷ და იყო სიცივე დიდი, და შიშისაგან საგორავისა წარმოვიდეს გზასა მთისასა, რომელი იყო განყინებული. მაშინ უმეტეს ევნო, რამეთუ ინჭრეოდა ცხენები და კაცნი იგი მსგავსად მკვცთა, შესუარულნი სისხლითა მოსდევდეს მათ“⁸.

ცხრაზმის ერისთავს შალვა ქვენიფნეველს დვალეთში მოწყობილ ამ ორ ლაშქრობაში მონაწილეობა არ მიუღია. — „ხოლო შალვა ორსა ამას ლაშქრობასა არა იყო მუნ, არამედ ძენი ხოლო მისნი იყუნეს, რამეთუ ესხნეს ძენი ცამეტნი, ქველნი და გონიერნი“⁹. საუარაუდოა, რომ შალვა ქვენიფნეველი ამ დროს იყო გიორგი V-სთან ერთად საბერძნეთში ოლჯათ სულთნის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების ჩასაქრობად.

ჩვენი აზრით, მეფე გიორგი VI-ის მიერ მოწყობილი წარუმატებელი ლაშქრობანი ჯავახეთსა, კოსტასთავსა და დვალეთში, შერყეული სამეფო ხელისუფლების აღდგენას ითვალისწინებდა და უნდა მომხდარიყო 1316 წლის მეორე ნახევრისა და დვალეთში დიდმარხვის წინ — 1317 წლის დასაწყისში. ამ ლაშქრობების შემდგომ გიორგი VI-ეს, როგორც ჩანს, დიდხანს არ უცოცხლია.

საბერძნეთში აჯანყების ჩაქრობის შემდეგ გიორგი V და „ყოველნი მას შინა მყოფი ქართველნი“¹⁰ ბრუნდებიან საქართველოში. საქართველოში მობრუნებულ მეფეს გამოუძებნია პოლიტიკური მეთოდები და პირველ რიგში ურჩი ფეოდალები მოუდრეკია. შერყეული ცენტრალური ხელისუფლება აღუდგენია. „იახლნეს ჯავახნი და თორელნი ოდენ ყვეს, და სადაცა ილაშქრიან და შეიბიან ციხესა, მკნედ მბრძოლად გამოჩნდის მეფე გიორგი და ყოველნი ქართველნი“¹¹.

ძველი ერისთავთა ავტორის მიხედვით, დვალეთში ცხრაზმის ერისთავს შალვას ულაშქრია თავისი ლაშქრით. აქ მას გამოუყენებია ბრძოლის მონდოლური წესი. მეზობელთა ერთი დიდი ნაწილი ღამით ვიწროში ჩაუსაფრებია. მცირე ნაწილით განთიადისას თავს დასხმია, მოურბევია დვალეები და სასწრაფოდ უკან გამოტრიალებულა. ერისთავ შალვას ლაშქრის სიმცირით გათამამებული დვალეები უკან გამოჰკიდებიან. ერისთავს დვალეები ხაფანგში მოუმიწყვედევია. „შეიწყუდივნეს ადგილსა იწროსა და მოკლეს მიწე (55 — 3. ლ.) კაცი და მრავალი შეიპყრეს“¹². რის შემდგომაც ხელმეორედ მიტრიალებულა, შალვა ერისთავი, მოურბევია დვალეთი, აჟღია ალაფა და გამარჯვებული დაბრუნებულა¹³. როგორც ჩანს, გიორგი V-ემ, პოლიტიკური მეთოდებითა და იარაღის

⁷ ყველიერი მოდის დიდი მარხვის წინა კვირას, მუდმივი ციფრი არ აქვს, დაკავშირებულია აღდგომასთან, და როგორც ჩანს წარმართობიდან არის შემოსული ქრისტიანულ პანთეონში.

⁸ ძველი ერისთავთა, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და სპიხებელი დაუთმო შოთა მესხიამ, 1954, გვ. 349, კრებულში მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30 (შემდგომში ძველი ერისთავთა).

⁹ იქვე.

¹⁰ ქამთაღმწერელი, ასწლოვანი მატიაწე, გვ. 219.

¹¹ იქვე.

¹² ძველი ერისთავთა, გვ. 349.

¹³ იქვე.

ძალით, „მოიშორჩილნა ყოველნი განდგომილნი და ურჩნი“¹⁴. გაორგულებულ ფეოდალთა და დვალთა შემომტკიცება უნდა მომხდარიყო 1317 წლის შემოდგომის ჩათვლით¹⁵.

„ესმა გიორგი მეფესა სიკუდილი ყაენისა და მის წილ დადგინება აბუსაინისა, და წარვიდა ურდოსა. შეიწყნარეს, და განიხარა ჩოფან და შეიტკბო ვითარცა შვილი, და მოსცა ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი, და შვილნი დავით მეფისანი, და მესხნი, შვილნი ბექასნი“¹⁶.

ვახუშტი ბატონიშვილი შემომტკიცებულ დიდებულთა სიას უმატებს. „ესე გიორგი მოვიდა და შემოიკრიბნენ კათალიკოზი, ეპისკოპოსნი და დიდებულნი წარჩინებულნი“¹⁷.

თავდაპირველად, გიორგი V-ს, პოლიტიკური მეთოდებით უცდია დიდებულთა შემომტკიცება, ხოლო ურჩი დვალები ცხრაზმის ერისთავს შალვა ქვენიფნეველს შემოამტკიცებინა იარაღით. თუმცე არ ჩანს, რომ დვალების დალაშქვრის შემდგომ, შალვა ქვენიფნეველისთვის მეფეს გაეზარდოს სამამულო ან სახელისუფლო ტერიტორია.

ვახუშტის დაცული აქვს ერთი ასეთი ცნობა „არამედ დიდებულნი და ერისთავნი ვერ სცვალნა ქაშამდინ რიღითა ყაენისათა“¹⁸. ე. ი. მიუხედავად იმისა, რომ გიორგის მეგობრული ურთიერთობა აქვს იღნაბთა უპირველეს ვეზირ ჩოზანთან, ერიდება ყოველგვარი სიტუაციის გამწვავებას (მეფობის დასაწყისში) და პოლიტიკური მეთოდებით იმტკიცებს ხელისუფლებას.

„მოკუდა შალვა და დაჯდა ძე მისი ლარგუელი ერისთავად. ამან აღაშენა უკანციხე თავსა ისროლის კვეისასა, და ტფილურითა წესითა დარბაზოვანი ქუენიფნევს“¹⁹.

შალვა ქვენიფნეველს, რომელიც ცხრაზმის ერისთავად მოჩანს XIII ს-ის 90-იანი წლებიდან²⁰, ძეგლი ერისთავთას მიხედვით, დვალეთში ზემოთ აღნიშნული ლაშქრობისა და დვალთა შემომტკიცების შემდეგ, (რომელიც ჩვენი გამოთვლით გიორგი ბრწყინვალის გამეფების წელს 1318 წელს მოხდა), დიდხანს აღარ უტოცხლია და იმავე 1318 წელს უნდა გარდაცვლილიყო.

ამავე, 1318 წელს ცხრაზმის ერისთავი ხდება ლარგველ შალვას ძე, რომელსაც დიდი სააღმშენებლო საქმიანობა გაუჩაღებია („აღაშენა უკანციხე... და ტფილურითა წესითა დარბაზოვანი ქუენიფნევს“). როგორც ჩანს, მსგავსი ლოკალური ხასიათის კულტურულ-სააღმშენებლო, ყოფითი და თავდაცვითი საქმიანობა ფართოდ გაჩაღებულა საქართველოში²¹.

¹⁴ ქაშამდინეველი, ასწლოვანი მატჩანე, გვ. 219.

¹⁵ „და სთულისა ქაშა, ვითარ მივიდა (გიორგი V — ვ. ლ.) ჩოფან ყაენს წინაშე, და მცირედლა დაყო, ვითარ თუეცა ერთ, მოკუდა ოლჯათ სულტანი და დაუტევა ძე მცირე“ (ქაშამდინეველი, ასწლოვანი მატჩანე, გვ. 220). ოლჯათ სულტანი გარდაიცვალა 1317 წელს (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, თბ., 1979, გვ. 624).

¹⁶ ქაშამდინეველი, ასწლოვანი მატჩანე, გვ. 220.

¹⁷ ქ. ცხ., IV ტომი, ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 255 (შემდგომში: ქართლის ცხოვრება, ტ. IV).

¹⁸ ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 256.

¹⁹ ძეგლი ერისთავთა, გვ. 349.

²⁰ იქვე, გვ. 347; ვ. ლუნაშვილი, ცხრაზმის საერისთავოს პოლიტიკური ისტორიიდან (XIV ს. დასაწყისი), „მაცნე“, ისტორიის სერია, 1990, № 4, გვ. 151—162.

²¹ ამ პერიოდში აღშენებით დაბის (მორჯომის რ-ნი) ეკლესია (რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 213—231).

ისროლის ხეგში, უკანცხის აშენება, როგორც ჩანს, ემსახურებოდა ჩრდილოეთიდან გადმოსასვლელი გზის ჩაკეტვას.

ცხრაზმის საერისთავო, ამ პერიოდში, ეკონომიკურად საკმაოდ მოღონიერებული და გაძლიერებულია „აღაშენა, ... ტფილურითა წესითა დარბაზოვანი ქუენიფნევს. ამან შექმნა დიდი ესე ხატი მაცხოვრისაჲ საზომითა ტანისა თსისაჲთა და მოჰქედა იგი. ამანვე შეამკო დიდი ესე ხატი თედორესი და შექმნა ორი კანდელი და დაუქიდა წინა“²². დიდსა და ძლიერ საერისთავოს, ასევე დიდი და ძლიერი რეზიდენცია შეეფერებოდა, ამიტომაც აუვიათ „ტფილურითა წესითა დარბაზოვანი“.

ცხრაზმის ერისთავ ლარგველს დიდხანს არ უცოცხლია. „მოკუდა ლარგველი, და დაშთეს სამნი ძენი მისნი, და დაჯდა ერისთავად უხუცესი ძე ვირშელი, სრული ყოვლითა კეთილითა“²³. ლარგველი 1320 წლისათვის უნდა გარდაცვლილიყო.

არაბული წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, გიორგი ბრწყინვალემ ორჯერ (1316 და 1320 წლებში) გაგზავნა ელჩობა ეგვიპტეში, ჯერის მონასტრის დასახსნელად. ძეგლი ერისთავთას მიხედვით ჯერის მონასტრის დასაბრუნებლად მოწყობილი ელჩობის დროს ცხრაზმის ერისთავი იყო ვირშელი.

ამდენად, ლარგველი ცხრაზმის საერისთავოს ერისთავად უნდა ყოფილიყო 1318-20 წწ.

როგორც აღვნიშნეთ, 1320 წლიდან ცხრაზმის ერისთავი ხდება ლარგველის უფროსი შვილი ვირშელი.

ძეგლი ერისთავთა მოგვითხრობს „ამას ჟამსა მოვიდა ამბავი კლიტენი იერუსალმისიანი სპარსთა დაიპყრესო“²⁴, და დიდად შეწუხნა მეფე გიორგი. მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისაჲ, რომელსა ერქუა პიპაჲ, გზასა კმელთასა მრავლითა ძლუნითა წინაშე ნისრელისა და წარპყვა თანა ბანდას ძე დეკანოზი იოვანე²⁵ და მივიდა პიპაჲ წინაშე ნისრელისა; ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა ძლუნე იგი და მისცნა კლიტენი იერუსალმისიანი. მივიდა პიპაჲ ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხვა, ჟამი აწირვა, ეზიარა და დეკანოზი

²² ძეგლი ერისთავთა, გვ. 349.

²³ იქვე.

²⁴ „უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველთა მუდმივმა მონაწილეობამ ეგვიპტის მამულქთა წინააღმდეგ ბრძოლებში XIII ს-ის II ნახევარსა და XIV ს-ის დასაწყისში გამოიწვია საქართველოსა და ეგვიპტეს შორის ურთიერთობის გამწვავება“, (XIV—XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ, არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო დიპტ გოჩოლეიშვილმა, თბ., 1988, გვ. 28).

ისტორიკოსებს შორის არის აზრთა სხვადასხვაობა ჯერის მონასტრის და „კლიტენი იერუსალმისიანი“ ქართველებისათვის დაბრუნების შესახებ (იქვე, გვ. 28—44). ჩვენი აზრით, ჯერის მონასტრის და „კლიტენი იერუსალმისიანი“ წართმევა-დაბრუნება დამოკიდებული იყო მონღოლ-ქართველთა ლაშქრისა და ეგვიპტელ მამულქთა ბრძოლებზე.

ჯერის მონასტრისა და „კლიტენი იერუსალმისიანი“ ქართველებისათვის წართმევა ხდებოდა მონღოლ-ქართველთა ლაშქრის წარუმატებელი სამხედრო ოპერაციების შედეგად, ხოლო დაბრუნება კი პირიქით ეგვიპტელთა დამარცხებისას.

²⁵ „უქმველია, ავგაროზისა და გრიგოლის (მამაშვილი, რომელთა სახელთანაც დაჯავშირებულია ძეგლი ერისთავთას დაწერა — ვ. დ.) წინაპარია... დეკანოზი იოანე ბანდას (თუ ბანდას) ძეო. ბანდას (ბანდას) ძეთა გვარი, ეტყობა ქსნის (ცხრაზმის, — ვ. დ.) საერისთავოში კულტურის მოღვაწეთა დინასტიას წარმოადგენდა“ (ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967, გვ. 17).

იოვანე აკურთხეს მოძღუართ-მოძღურად²⁶. და მოუწერეს სამთავნელსა და ერისთავსა ვირშელსა²⁷ და ყოველსა ერსა ცხრაზმისკვევისასა²⁸, რომელ მოძღუართ-მოძღურობაა ნუვის კელ-ეწიფების თვნიერ ამისსა, და შემდგომად ვინცა იყოს მონასტრის მოძღუარი... (ტექსტში რამოდენიმე სიტყვა წაჭრილი ყოფილა, — ვ. ლ.)... მოძღუართ-მოძღუარი ხოლო პიპამან მოილოცნა²⁹ წმინდანი ადგილნი, და... წამოვიდა მასვე გზასა კმელით და მოვიდა წინაშე მეფისა და მოილო იერლიყი შეწყალებისა და აღსრულებად ყოვლისა სათხოვლისა მისისა. ფრიად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მოეცნეს კლიტენი ქართველთა³⁰.

პიპა ქვენიფნეველისა და დეკანოზ იოანეს ელჩობა იერუსალიმში უნდა მომხდარიყო 1320 წელს³¹.

ჯვრის მონასტრის დაბრუნება, ჩვენს ისტორიოგრაფიაში³² ახსნილია, როგორც საქართველოს სახელმწიფოს დიდი ძალისა და დიდი ავტორიტეტის საერთაშორისო აქტით დადასტურება, რასაც ჩვენ მთლიანათ ვიზიარებთ.

საქართველოს ავტორიტეტის ზრდას, ჩვენი აზრით, ზელი შეუწყო გიორგი ბრწყინვალის (მეფობის დასაწყისში) ფრთხილმა საშინაო პოლიტიკამ („დიდებულნი და ერისთავნი ვერ სცვალნა ჟამამდინ რიდითა ყენისათა“), მისმა მეგობრულმა ურთიერთობამ ჩობან ნოინთან. ჩობანის ვაჟი შეიხ მაჰმუდი ხომ ილხანთა 10 000 ლაშქრის მთავარსარდალი იყო საქართველოში³³. და ამდენად, გიორგი V-ის უკან ხომ ყოვლისშემძლე ჩობანი იდგა.

„...ბრწყინვალეზან გიორგი დაიპყრა საქართველონი, სომხითი, ჰერ-კახნი, ქართლი, მესხნი, ტაო, შავშ-კლარჯნი და ვიდრე სპერადმდე და ზღვადმდე გარნა თუმცა ძენი ბექასნი ფრიად განდიდებულნი იყენენ და დაეპყრათ სრულიად სამცხე, კლარჯეთი, არამედ ვინაფთვან მოეცნეს მეფესა გიორგის ყენისაგან ამისთვის ვერღარა ურჩიექმნენ ძენი ბექასანი“³⁴.

²⁶ ჩვენი აზრით, ავგაროზ და გრიგოლ ბანდასქეებს თავიანთი უახლოესი წინაპრის — იოანეს, იერუსალიმში ყოფნა და იქ მისი „მოძღუართ-მოძღურად“ კურთხევა კარგად უნდა ხსოვებოდათ.

²⁷ დეკანოზ იოანეს „მოძღუართ-მოძღურად“ კურთხევის და იერუსალიმში ყოფნის ზეპირი გადმოცემის გარდა ავგაროზსა და გრიგოლს ზელთ უნდა ჰქონოდათ ოფიციალური წერილი „მოუწერეს... ერისთავსა ვირშელსა და ყოველსა ერსა ცხრაზმისკვევისასა“.

²⁸ „ცხრაზმისკვევისასა“ აქ სავარაუდოა, რომ იგულისხმება ცხრაზმის საერისთავოში შემავალი ცხრავე ზევი (ვ. ლუნაშვილი, ქსნის ხეობის წარსულიდან, მაცნე, ისტორიის სერია, 1988, № 4, გვ. 88).

²⁹ პიპა შალვას ძე ქვენიფნეველი, რომ ნამდვილად იყო იერუსალიმში, ამას მოწმობს, ჯვრის მონასტერში, მის სახელზედ დაწესებული ალაბი (პაეღე ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტომი I, 1963, გვ. 698, 768, 769).

³⁰ ძეგლი ერისთავთა, გვ. 359.

³¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, თბ., 1979, გვ. 665; 1320 წელი აქვს მოცემული პ. ინგოროყვას (დასახ. ნაშრომი, გვ. 698, 769); ა. მენთეშაშვილი, საქართველოსა და ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან, ჟურ. „დროშა“, თბ., 1958, № 9, გვ. 18—19.

³² ვ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII—XIV სს.) თბ., 1962, გვ. 324 (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, თბ., 1979, გვ. 665-666).

³³ დ. გოჩოლეიშვილი, XIV—XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 21.

³⁴ ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 255—256.

როგორც ვხედავთ, მონღოლებისაგან ქართველ მეფეთა ორგულობაში განდიდებულ დიდებულებს, გიორგი ბრწყინვალემ ისევ მონღოლთა მხარდაჭერა დაუპირისპირა და ამ პოლიტიკური მეთოდით დანაწევრებული საქართველო ისევ ერთიან ძლიერ სახელმწიფოდ აქცია. მართალია, ეს სიძლიერე მოჩვენებითი, ბუტაფორული იყო და ემყარებოდა, ჩობან ნოინთან, გიორგი ბრწყინვალის მეგობრობას, მაგრამ ამ ბუტაფორულობის უკან ხომ დროის ფაქტორი მოქმედებდა.

ვახუშტის, საქართველოს განთავისუფლება დიფერენციულად აქვს გააზრებული.

გიორგი ბრწყინვალემ, ვახუშტის მიხედვით, ჯერ ოსები „განასხა“, „მერმე შევიდა და შემუსრნა კავკასია შინა მყოფნი, ურჩინი მოსრნა და დაიმორჩილნა და მოხარკე ჰყვნა ყოველნი ივინი და დაამშუდა ქართლი ოვსთაგან, ვინაძთგან გზანი ყოველნი თვთ დაიპყრნა“³⁵.

ძეგლი ერისთავთა, ეთანხმება, ვახუშტის ამ ცნობას, და ახალი დეტალით ავსებს. „მაშინ მოადგა ოვსთა გორს მყოფთა (გიორგი V, — ვ. ღ.), და ჰბრძოდა სამ წელ“³⁶.

როგორც ცნობილია, XIII ს-ის 70-იან წლებში ოსთა გარკვეული ნაწილი გადმოვიდა საქართველოში, მალე ისინი მონღოლთა სამხედრო სამსახურში დგებიან³⁷ და მონღოლთა უშუალო ხელის შეწყობით 1292 წლისთვის იკავებენ გორს³⁸.

ქართველი ხელისუფალნი მამინათვე ცდილობდნენ ოსთა თარეშის აღკვეთას, მაგრამ ფაქტობრივად ქართველთა ბრძოლა შედეგს არ იძლეოდა. ოსები სარგებლობდნენ მონღოლ მოლაშქრეთა სტატუსით. მათი მხარდაჭერით და წაქეზებით მოქმედებდნენ.

„XIII ს-ის მეორე ნახევარში და XIV ს-ის პირველ მესამედში აღმოსავლეთ საქართველო თუმც კი მონღოლთა (ჰულაგიდების) ბატონობის ქვეშ იყო, მაგრამ ამასთანავე ვარკვეული შინაგანი ავტონომიით სარგებლობდა. ამის გამო ემიგრირებულ ოსებს ქართლში დახვდა ხელისუფლების ორი დამოუკიდებელი სისტემა: ერთი, ქართული ფეოდალური ორგანიზაცია მეფის მთავრობით, მეორე — მონღოლთა სამხედრო ვარნიზონები და ნოინები, რომლებიც ილხანთა (ჰულაგიდების) ბატონობის განმასახიერებელნი და დამცველები იყვნენ. ამ ორი პოლიტიკური ძალის დაპირისპირებულობა იყო მთავარი პოლიტიკური წინააღმდეგობა იმ დროის ქართლში“³⁹.

ქ. გორის ოსთაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის ხანგრძლივობა — სამი წელი, განპირობებული იყო, იმ სახელმწიფოებრივი სტრუქტურების

³⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 256.

³⁶ ძეგლი ერისთავთა, გვ. 350.

³⁷ „ამით უამთა ვარდამოვიდეს ბერქას ყაენისაგან ლტოლვილნი, დედაკაცი საყრველი, სახელთ ლიმაჩავ, და მან მოიტანნა შვილნი მცირენი, ნათესავთ ახსარფაკაიანი, პირშოო ფარეჯ და უმრწამესი ბაყათარ, სხუანი თავადნი მრავალნი, გამოვლეს კარი დარუბანდისა და მოვიდეს მეფეს წინაშე. ხოლო მან პატივითა ისტუმრნა, და წარავლინნა ყაენს ულუს წინაშე, და ყაენმან შეიწყნარნა ფრიად და უბოძა ხარაჯა, და მოლაშქრედ და თანამბრძოლელად განაჩინნა და ესრეთ მეფეს თანავე წარმოავლინნა“ (უამთაღმწერელი, ასწლოვანი მატინაე, გვ. 136).

³⁸ ვ. გამრეკელი, XIII—XIV სს. მიჯნის საქართველოს ისტორიიდან უამთაღმწერლის ზოგიერთი ცნობის გაგებისათვის, კრებულში, „მრავალთავი“, V, თბ., 1975, გვ. 170—171.

³⁹ ვ. გამრეკელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 188.

ნგრევის სიძნელეებით, რომელიც საქართველოში დანერგილი იყო მონღოლების მიერ ასი წლის ბატონობის პერიოდში.

ფაქტობრივად ეს იყო შენიღბულ-შეფარული ბრძოლა მონღოლ-ოსებსა და ქართველებს შორის.

შენიღბვა კი იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოში მიმდინარე მონღოლური სტრუქტურების ნგრევა მაინცდამაინც თვალში საცემი არ უნდა ყოფილიყო. ქართველებს არ უნდა გაესწროთ იმ პოლიტიკური მოვლენებისათვის (შიდა რღვევა), რაც მიმდინარეობდა ერანის ილხანთა სახელმწიფოში და არც შესაფერისი დრო უნდა გაეშვათ ხელიდან. ეს კი საქართველოს სამეფოს ხელმძღვანელებიდან დიდ პოლიტიკურ გამოცდილებასა და ალღოს თხოვლობდა.

ვახუშტის მიხედვით, ოსთა „განსხმა“ მოხდა ჩობან ნოინის სიკვდილით დასჯის წინ⁴⁰. ჩობანი კი სიკვდილით დასაჯეს 1327 წელს. ამდენად, გორის განთავისუფლების ზედა ზღვრად უნდა მივიღოთ 1327 წელი.

ვახუშტის მიხედვით, ჩობან ნოინის სიკვდილით დასჯის შემდეგ გიორგი V ცვლის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ფრთხილი („არამედ დიდებულნი და ერისთავნი ვერ სცვალნა ჟამამდის რიდითა ყენისათა“), გამოზომილი მოქმედებიდან აქტიურ პოლიტიკაზე გადადის⁴¹.

ძეგლი ერისთავთს მიხედვით, ცხრაზმის ერისთავს ვირშელს და მისი დროშის ქვეშ მდგომ ცხრაზმელ მებრძოლებს, განსაკუთრებული ერთგულება გამოუჩენიათ გიორგი V-ისადმი, ქ. გორის ოსებისაგან განთავისუფლებისათვის გამართულ სამწლიან ომში, „ხოლო ვირშელი და ლაშქარი მისი უმჯობეს ჰბრძოდა სპისა ყოვლისაგან, და აქებდეს ქებითა დიდითა, რომელი ესე შეიშურვეს მთიულთა არაგვსათა“⁴², როგორც ჩანს, გიორგი V-ის მიერ აქტიური პოლიტიკის განხორციელების პერიოდში, ცხრაზმის ერისთავი ვირშელი მეფის ერთგული მოხელე ყოფილა. აღნიშნულ ფაქტს — ცხრაზმელთა ერთგულებას სამეფო ხელისუფლებისადმი შემდგომი მოვლენებიც გვიდასტურებენ. გიორგი V-ის ხელისუფლებისადმი საკმაოდ ორჭოფული პოზიცია ჰქონიათ „მთიულთა არაგვსათა“.

„მთიულთა არაგვსათა“—ს ცნებას, ძეგლის ავტორი, კიდევ უფრო აკონკრეტებს შემდგომ მოვლენებთან კავშირში „ცხვატელ-გარეთნი და ყოველნი მიმდგომი მათი და... ჯადელ-მოყვენი და მიმდგომნი მათნი“⁴³. ე. ი. „ცხვატელ-გარეთნი და ყოველნი მიმდგომნი მათი და ...ჯადელ-მოყვენი და მიმდგომ-

⁴⁰ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩობან ნოინი გარკვეულწილად მფარველობდა გიორგი V-ეს, და საქართველოში მყოფ მონღოლთა და ოსთაგან (აქვე ივარაუდება მოლაღატე ქართველებიც) აბუ საიდის სახელზე უამრავი დასმენა იქნებოდა ჩობან ნოინისა და გიორგი V-ის საწინააღმდეგოდ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩობან ნოინის სიკვდილით დასჯას გარკვეულწილად გორის ოსთაგან განთავისუფლებამაც შეუწყო ხელი.

⁴¹ „მაშინ იცა ჟამი ბრწყინვალე გიორგი მეფემანცა და ძანასხნა თათარი საქართველოსაგან, რომელნიმე გონიერებითა, რომელნიმე ბრძოლითა და ძლიერებითა და მოსპნა ყოველნი საზღვართაგან თვსთა. მერმე მოიყვან ყოველნი ამის ქუეყანის ერისთავნი და წარჩინებულნი, რეცა დარბაზობად ცივსა ზედა ჰერეთისასა და მოსწყუნდა მუნ ურჩნი თვსნი მორჩილებისანი და დაადგინა ყოველთა ადგილთა წარღონებულნი ერისთავნი თვსნი მორჩილებისანი და დაბყრნა ამით უმეტეს ყოველნი“. „ქართლის ცხოვრება“, ტომი IV, გვ. 256.

⁴² ძეგლი ერისთავთა, გვ. 350.

⁴³ იქვე, გვ. 351.

ნი მათნი“. ვირშელის დროშის ქვეშ არ მდგარან, უფრო მეტიც, ცხრაზმელები და „მთიულთა არაგვსათა“ იარაღით უპირისპირდებიან ერთმანეთს ლომისის მთაზე. ამდენად, 1303 წლის პერიოდისათვის ვახტანგ III-ის მიერ ცხრაზმის ერისთავის შალვა ქვენიფნეველისათვის ბოძებული „თრუსუი, ღუდაა, ვავასძენი, მღეთე, არაჟეთე, ჯანდოა“⁴⁴. ცხრაზმის ერისთავებს 1327 წლის წინარე კვლე დაუქარგავთ ცხრაზმის საერისთავოს ჩრდილოეთის საზღვარი ამ პერიოდისთვის ლომისის მთასთან გადაენილა.

ძველი ერისთავთა ავტორის მიხედვით, ლომისის მთაზე მომხდარი ბრძოლა ცხრაზმელებსა და „მთიულთა არაგვსათა“-ს შორის მოხდა მეფის მიერ ცხრაზმელთა ქების გამო, რაც ჩვენი აზრით, სინამდვილეს არ შეეფერება. იგივე ავტორი ბრძოლის დაწყების წინ ცხრაზმელებს ათქმევინებს „მამანი ჩუენნი მცირედნი მძლავრობდიან მამათა მათთა დიდთა და მრავალთა და უკუეთუ არა ვართ შვილნი მამათა ჩუენთანი, რამათვს გუაქუს მამული მათი“⁴⁵.

ჩვენი აზრით, ლომისის⁴⁶ თავზე მომხდარი ბრძოლა, მიზნად ისახავდა ცხრაზმის ერისთავის დაკარგული ხელისუფლების აღდგენას „ცხავატელ-გარეთნი და ყოველნი მიმდგომნი მათი და... კადელ-მოკვეენი და მიმდგომნი მათნი“-ს ტერიტორიაზე.

აღნიშნული ბრძოლისთვის, ძველის მიხედვით, ორივე მხარე კარგა ხანს ემზადებოდა. ცხრაზმელები ლომისის მთაზე დაბანაკებულან⁴⁷, „ხოლო არაგვსა მთიულნი დადგეს ღოესთავს, ...ტყესა მცირესა ღოესთავისასა და ქარაფსა კლდეთასა“⁴⁸.

ლომისის მთაზე მოსულა, მეფის ძე დავითი. სავარაუდოა, გარკვეული შეთანხმება მომხდარიყო „მთიულთა არაგვსათა“-ს და მეფის ხელისუფლებას შორის. „და არა ჩაუშუნა ჰომად, (ცხრაზმელები, — ვ. დ.) არამედ განყარნა ყოველნი თავის-თავ და წამოვიდეს ყოველნი აზნაურნი ქართველნი, და წარვიდეს ყოველნი თვნიერ სამთა მათ კეთა“⁴⁹.

საბრძოლო სამზადისი ფართო მამტაბისა ყოფილა, რამეთუ, ლომისის თავზე ცხრაზმელებთან ერთად ყოფილან „ყოველნი აზნაურნი ქართველნი“.

ლომისის მთაზე⁵⁰ დაბანაკებულნი ემორჩილებიან დავით გიორგი ბრწყინ-

⁴⁴ ძველი ერისთავთა, გვ. 348.

⁴⁵ იქვე, გვ. 351.

⁴⁶ ლომისის მთაზე, ბუნების მიერ უნაგირივით შექმნილ დაეკებაზე არის აღმართული VIII—IX სს. (6. ჩუბინაშვილი) ლომისის წმინდა გიორგის ეკლესია. ეკლესიის ქვემოთ, სამხრეთის ფერდობზე, წყაროების სახით სათავეს იღებს ლომისის ხევი, რომლის მარჯვენა მხარეს ქედზე არის სამი ნასოფლარი, ზურგიანი კოშკებით, ზურგიანი კოშკების აგება ზოგადად განსაზღვრულია IX—XI სს. (პ. ზაქარაია) (კოშკები გარკვეულწილად დანგრეულია) და მარცხენა ქედზეც არის ასევე სამი ნასოფლარი, კოშკებით და კიდევ უფრო მარცხნივ, ქედის გაყოფებით, მცირე დაეკებაზე, ერთი დარბაზული ტიპის ეკლესია — საღვთო. ამ ნასოფლარებში, ბოლო პერიოდში — XVII—XVIII საუკუნეებიდან ჩვენი საუკუნის 50-იანი წლების ჩათვლით ოსები ცხოვრობდნენ. ლომისის ეკლესიის შესახებ, იხილეთ ჯ. ვეასალას „ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები“, წიგნში, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, 1967, გვ. 30—32; მ. ი. ი. ვე, ქსნის ხეობის ძეგლები, კრებული, ძველის მეგობარი, 1970 წ. № 21, გვ. 16—17...

⁴⁷ ძველი ერისთავთა, გვ. 350.

⁴⁸ იქვე, გვ. 351.

⁴⁹ იქვე.

⁵⁰ „მთის თხემსა ზედა, არს ეკლესია წმინდის გიორგისა, წოდებული ლომისა (და ამის გამო ეწოდა მთასა ამას სახელი ესე), არამედ უგუმბათო არს და არიან მრავალნი ხატნი და

ვალის ძეს და ნელ-ნელა იშლებიან ლომისის მთიდან, ბოლოს მთიდან მდ. ქსნის სანაპიროზე ჩამოდინან, ვირშელი და ცხრაზმის საერისთავოს „სამთა მათ ჳევთა“ მებრძოლები.

როგორც კი გაიგეს „მთიულთა არაგვსათა, წარმოვიდეს, ...და გამოვიდეს ლომისასა“, არ დაემორჩილნენ დავით უფლისწულს, „არამედ მრავლითა გინებითა მოსზახდეს და საგორავსა სიმრავლესა ჩამოჰყრიდეს.

მაშინ ვირშელმან შეკრიბნა მცირედნი იგი ლაშქარნი სამისა ამის ჳევისანი... წარიძლუნანს დროშად და აღემართნეს ორსა მას ქედსა მთასა ლომისისასა, და ჩამოეგებნეს ერთსა მას ქედსა ცხავატელ-გარეთნი და ყოველნი მიმდგომი მათი და ერთსა მას კადელ-მოჳევენი და მიმდგომნი მათნი“⁵¹.

არაგველებმა ვერ გამოიყენეს პოზიციური და რიცხოვრივი უპირატესობა, ერისთავმა ვირშელ II-ემ ლომისის მთაზე დაამარცხა არაგველები და სდევნიდა.

ჩვენი აზრით, „მთიელთა არაგვსათა“-ს დამარცხების მიზეზი, მათი არაორგანიზებულობა და მყარი ხელისუფლების უქონლობა იყო. ვირშელ II გამარჯვებული შემობრუნდა ლომისაზე, „ისტუმრა შინა დავით, ძე მეფისა“⁵².

ძეგლი ერისთავთას ავტორი, არაფერს ამბობს ლომისის მთაზე ბრძოლის შემდგომ, ცხრაზმის ერისთავს დაუქვემდებარა მეფემ „ცხავატელ-გარეთნი და ყოველნი მიმდგომნი მათი და... კადელ-მოჳევენი და მიმდგომნი მათნი“ — თუ არა? „ძეგლის დების“⁵³ მიხედვით კი ჩვენთვის ცნობილია, რომ ცხრაზმის ერისთავის ხელისუფლება აღნიშნულ ტერიტორიაზე არ ვრცელდებოდა „მ. ბ. (42) ...ლომისისა ვინც გლეხი მოკლას, თუ მეფეთაგან შეწირულია, გინა სხვათა ეისგანმე, ათას ხუთასი თეთრი დაეურვოს. თავით ძველითაგან გაჩენილი არის ლომისისა სამძღვარსა ძედა, ამიერი კადა-ცხავატის მიმდგომი არის და აგრეთვე გაჩენით, იყოს“⁵⁴. ერთგვარი საზღვარი: ცხრაზმასა და „მთიულთა არაგვსათას“ შორის რომ ლომისაზე გადიოდა ჩანს მომდევნო 43-ე მუხლშიც⁵⁵.

ამ (42-ე) მუხლში ასევე მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ლომისის ეკლესიას „შეწირული“ გლეხის სისხლი, „ათას ხუთას თეთრად“ არის შეფასებული. „ხოლო ამ დროის ბარში გლეხის სისხლი ჩვეულებრივად 400 თეთრია, ზოგჯერ — 1000 თეთრი“⁵⁶.

ჯუარნი ოქრო-ვერცხლისანი, დახიზნულობით. უჳერეტს სამკრით კანსა, ჩრდილოთ მთიულეთს. მთა ესე უტყეო არს და ბალახ-ყუავილიანი, კალთათა ტყიანი“, ქართლის ცხოვრება, ტომი IV, გვ. 355.

⁵¹ იქვე, გვ. 351.

⁵² იქვე, გვ. 352.

⁵³ ი. დ. ლ. ი. ძე, გიორგი ბრწყინვალეს სამართალი, 1957 წ.; ძეგლის დადება გიორგი V-ის ბრწყინვალისა, ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, რუსულად თარგმნა, შესავალი, შენიშვნები, გლოსარიუმი და საძიებლები დაურთო დავით ფურცელაძემ, თბ., 1988 წ. შემდეგში ძეგლის დადება გიორგი V-ის ბრწყინვალისა, დ. ფურცელაძის რედაქციით.

⁵⁴ ძეგლის დადება გიორგი V-ის ბრწყინვალისა, დ. ფურცელაძის რედაქციით, გვ. 103—104.

⁵⁵ „მ. ბ. (43) ... და ამიერი ჳევისბერნი და ეროვანი იმიერთ ნუოდეს მიუდგებთან, ნურცა სალაშქროდ, ნურცა სასაურვოდ ისაქმებენ ერთმანეთთანა, თავის-თავისსა საერისთავოსაგან კიდე და რომელი მიუდგეს, თუ უნდა იმიერი ამიერსა, ანუ ამიერი იმიერსა, დარბაზით მამუ-ლი წაელს და ციხე დაექციოს“. ძეგლის დადება გიორგი V-ის ბრწყინვალისა, დავით ფურცელაძის რედაქციით. გვ. 105. ძეგლის გამომცემლებს და მკვლევრებს (ი. დ. ლ. ი. ძე, დ. ფურცელაძე, ბ. ლ. ი. ნ. ა. ძე) „ამიერი“ და „იმიერთ“ განმარტებული აქვთ, როგორც არაბეულები და ქსნელები.

⁵⁶ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, გვ. 635.

აღნიშნული, რომ ლომისის ეკლესიას შეწირული გლეხის სისხლის ფასი არის 1500 თეთრი, ხომ არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ გლეხთა ვალდებულება განსაკუთრებული იყო? და მათ ფუნქციაში შედიოდა ლომისაზე გადმოსასვლელი გზის ჩაქვტვა. თუ ჩვენეი აზრი სწორია, მაშინ ვასაგებებ ხდება, ძეგლი ერისთავთას ავტორის, შემდგომი დროის მოვლენების გადმოცემა — „მაშინ ჩამოვიდნენ ცხვაატელნი ჟამურს. და მისცა ლმერთმან გამარჯვებაჲ გიორგის, ძმასა ერისთავისასა და გააქცივნეს აღმა მთისა სიმაღლესა“⁵⁷. ე. ი. ლომისის ეკლესიისათვის შეწირული გლეხები იცავენ გადმოსასვლელს და ცხვაატლები სხვა გზით გადმოდიან ცხრაზმელთა (ჟამურელთა — ვ. ღ.) დასარბევად.

სოფ. ლომისის მოსახლეთა ფუნქცია გარკვეულწილად სამხედრო სამსახურია რომ ყოფილა ჩანს ხალხურ ლექსშიც.

„ხოროშან ლაშქრად ვიყვენით ჩვენ ლომნი ლომისიანი,
იქ გავიგონეთ ჟღერანი ჟამურ ბერცხის კლდისანი.
მუხლი გეჭონდა და ვიხმარეთ ამ ჩემის ჭარმაგისანი,
სადილით სამხრობამდისა ჟამურს დავლახეთ ქვიმანი,
შვიდნი ჩვენ — შვიდას ქსნელები სისხლის ტბად შევიყარენით,
გაშურა ი შაბათის ძალმა, ბარდაბარ გავიყარენით“⁵⁸.

ამდენად, ცხრაზმის საერისთავოსა და „მთიულთა არაგვსათა“-ს საზღვარი ამ პერიოდისათვის — (ლომისის მთაზე ბრძოლის შემდგომ XIV ს-ის 30-იანი წლები) ლომისის მთის გაყოლებით განისაზღვრა და საზღვრის ჩაქვტვა, ლომისის ეკლესიისათვის შეწირულ გლეხებს დაევაალათ.

ლომისის მთაზე დამარცხების შემდეგ სიტუაცია „მთიულთა არაგვსათა“-ს ტერიტორიაზე კიდევ უფრო გართულებულა, არამყარი ხელისუფლების არსებობამ კი მათთან თითქმის ანარქიული მდგომარეობა შექმნა.

საჭირო იყო მკვეთრი, სამართლებრივ-ადმინისტრაციული ღონისძიებანი ანარქიული მდგომარეობის აღსაკვეთად. რაც საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებამ სათანადო სამზადისის შემდეგ კიდევ განახორციელა.

„ჩვენ, მეფეთ მეფემან გიორგიმ..., დავდევით ძეგლი განაჩენი ესე მას ჟამსა, ოდეს შევედით მთიულთა შიგან მოსავლელად..., წარვედით... და შევედით სასახლესა ჩვენსა ჟინვანს. და მუნით მივედით ჯადა-ცხაოტს და... გავიგონეთ მათნი საქმენი, ...და მივედით დარიალამდის, ... დარიალით მობრუნებულთა, ვილოცეთ ლომისის მთავარმოწამის წინაშე და ჩამოვიარეთ ცხრაზმისკევი და მოვიკლევით მუნებუთი სასაქმო.

მოვედით მუხრანს, საზამთროსა ჩვენსა დავდევით და შემოვედით ქალაქსა, და შემოვიტანეთ თემისა და თემის ერისთავნი და კვეისთავნი და კვეისბერნი და ეროვანნი.

დავსხედით და დავსვით, ...“⁵⁹.

ამდენად, შექმნილი უმართავი სიტუაციისა და ანარქიის პირობებში, სამართლებრივი ვაკუუმის შესავსებად, მეფე გიორგი ბრწყინვალემ „მთიულთა“ (ალბათ, უნდა იყოს „მთიულთა არაგვსათა“ — ვ. ღ.) დაუწესა სამართლებრივი ცხოვრების აქტები — „ძეგლის დება“.

⁵⁷ ძეგლი ერისთავთა, გვ. 352.

⁵⁸ ლომისის ლომნი, წიგნში, ლექსო არ დაიკარგები, თბ., 1985, გვ. 15 (რედაქტორ-შემდგენელი ალ. ჭინჭარაული).

⁵⁹ ძეგლის დადება გიორგი V-ის ბრწყინვალისა, დ. ფურცელაძის რედაქციით, გვ. 35—36.

აღნიშნული ძეგლის დადება, ის. დოლიძის გამოკვლევის მიხედვით, უნდა შემდგარიყო 1335 წელს⁶⁰.

ლომისის მთაზე მომხდარი ბრძოლიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ მოგზაურობს გიორგი ბრწყინვალე არაგვის მთიულეთში, მიდის დარიალამდის, ბრუნდება უკან, გადმოივლის ლომისას, ჩამოვა ცხრაზმაზე, სადაც მოიკვლევს იქაურ საქმეებს და გაარიგებს გარკვეულ წესს.

ძეგლი ერისთავთა ავტორი, არაფერს ამბობს გიორგი V-ის მთიულეთში მოგზაურობასა და ლომისაზე გადმოვლით ცხრაზმაში გარკვეული წესის დადგენებაზე. მხოლოდღა ერთი, ლომისის მთაზე ბრძოლის გარკვეული პერიოდის შემდეგ „და მოკულდა ერისთავი ვირშელი და მეუღლე მისი გუანცა სამსა დღესა შინა, და დარჩეს სამნი ძენი მისნი ქუენიფნეველი, იოვანე და გიორგი, რამეთუ მცირე იყუნეს. მაშინ წინამძღვარ ექმნა ცხრაზმისკვეელთა წითლოსანი ბიძაჲ მისი ცხრა წელ“⁶¹. ჩვენი აზრით, გიორგი ბრწყინვალის ცხრაზმაში გადმოსვლა „და მოვიკლევით მუნებური სასაქმო“ უნდა ასახავდეს ვირშელ II-ის გარდაცვალების პერიოდს და ცხრაზმის საერისთავოს წინამძღვრად წითლოსანის დანიშვნას. თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, მაშინ, ვირშელ II ცხრაზმის ერისთავად ყოფილა 1320—1335 წლებში.

წითლოსან ლარგველის ძე ცხრაზმის საერისთავოს წინამძღვარი ყოფილა „ცხრა წელ“ ე. ი. $1335 + 9 = 1344$.

წითლოსან ლარგველის ძის ცხრაზმის საერისთავოს წინამძღოლად ყოფნის დროს რა ვითარება იყო ცხრაზმისა და „მთიულთა არაგვსათას ტერიტორიაზე ჩვენთვის ხელმისაწვდომი წყაროები სდუმან, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვივარაუდოთ ამ პერიოდში (1335—1344 წწ.) აღნიშნულ ტერიტორიებზე შედარებით მშვიდობიანი ცხოვრება ყოფილა. ამ დროისათვის ვირშელ II-ის ძე ქვენიფნეველი სრულწლოვანი გამხდარა — „აღიზარდა ქუენიფნეველი და დაჯდა ერისთავად“⁶². ქვენიფნეველს დიდი მშენებლობა ჩაუტარებია ქვენიფნევსა და ლარგვისში, როგორც საერო, ასევე საეკლესიო ხაზით⁶³.

ძეგლი ერისთავთა ავტორი მოგვითხრობს, „ამათ ყამათ იყო შალვა ერისთავისა ნათესავი სამოცდათორმეტი შუბოსანი და ყოველნი მორჩილებასა ქუეშე ქუენიფნეველისა“⁶⁴. აქ მეტად საგულისხმო ფაქტთან გვაქვს საქმე. 1. ქვენიფნეველი ცხრაზმის ერისთავობას მტკიცედ ღებულობს მეკვიდრეობით („მაშინ წინამძღვარ ექმნა ცხრაზმისკვეელთა წითლოსანი... ცხრა წელ“). წითლოსანი ერისთავი არ ყოფილა. ერისთავობა უკვე მკვიდრად გადადის მამიდან უფროს ვაჟზე. ე. ი. ამ პერიოდისათვის ერთგვარად სრულდება ცხრაზმის საერისთავოს, როგორც მეფის სამოხელეოს გარდაქმნა ცხრაზმის საფეოდალოდ.

2. ქვენიფნეველის გაერისთავება და წითლოსანის გადაყენება არც ისე უმტკივნეულოდ უნდა მომხდარიყო, როგორც ეს ძეგლის ავტორის სურს წარმოგვიდგინოს. — „სამოცდათორმეტი შუბოსნის“ არსებობა თავისთავად მიგვანიშნებს არასტაბილურ ვითარებაზე და იმაზეც, რომ ერისთავს, ვის პირად უშიშროებასაც ემსახურება „სამოცდათორმეტი შუბოსანი“, ჰყავს ძლიერი პო-

⁶⁰ ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალეს სამართალი, 1957, გვ. 15.

⁶¹ ძეგლი ერისთავთა, გვ. 352.

⁶² იქვე.

⁶³ იქვე.

⁶⁴ იქვე.

ლიტიკური მოწინააღმდეგე. ხოლო მის სახელისუფლო ტერიტორიაზე კი არ არის სიმშვიდე. ამ მოსაზრებას გვიდასტურებს ძველი ერისთავთა.

„მაშინ ჩამოვიდეს ცხავატელნი ჟამურს, და მისცა ღმერთმან გამარჯვებად გიორგის, ძმასა ერისთავისასა და გააქციენეს აღმა მთისა სიმაღლესა. და ვითარცა აღვიდეს მთად, დაუდგეს წინა მამასახლისნი და აღარ სდევნეს რამეთუ თქუეს: კმა არს ბრალი ესე, რამეთუ მოკმულარ იყო გარეშე წურილისა ერისა: იც“ (18. ვ. ღ.) თავადი ჯევისბერი ცხავატელი⁶⁵.

როგორც ჩანს, კვლავ არასტაბილური ვითარება შექმნილა „მთიულთა არაგვსათას“ ტერიტორიაზე („მაშინ ჩამოვიდნენ ცხავატელნი ჟამურს...“). ამდენად, გამოდის, რომ გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დება არ (ან ვერ) გატარებულა ცხოვრებაში. და არ (ან ვერ) შეასრულა ის პროფილაქტიკური დანიშნულება, რაც მას ეკისრებოდა. „და მეორესა წელსა მოუტდეს ყოველნი დვალნი მაშინ ბრძოლა უყვეს ჟამურელთა და იყუნეს ბეგრის მკრეფელნი ცხრაზმელნი და მივიდეს იგიცა და ვითარცა ესმა დვალთა მისლვამ ცხრაზმელთა ზარი დაეცა და გაიქცეს...“⁶⁶.

ჩვენი აზრით, „მთიულთა არაგვსათას“, ცხრაზმის საერისთავოს, დვალეთის ტერიტორიებზე შექმნილი არასტაბილური ვითარება და 1348 წლის ანდრონიკე⁶⁷ მეფის სიგელი ბოძებული წითლოსან ლარგველის ძისადმი გარკვეულწილად კავშირშია ერთმანეთთან.

ანდრონიკე მეფის სიგელი: „ქ. სახელითა ღმრთისათა, ანდრონიკესაგან ბაგრატიონიანის, ...მოვიდა ჩუენსა წინაშე ქუენიფნეველი, ლარგველისა შვილი წითლოსან და გუეაჯა და მოგუაჯენა, რაითამცა ქართლს მუხუსძისა სალარისეულნი სოფელნი: კარბაი და გარეჯარ ბაკურის უბანი მისთუისმცა მიგუებოდნეს.

დაგუაჯერა ღმერთმან და ვისმინეთ აჯაი ქუენიფნეველისაო წითლოსანისი, ვინაიდგან მათის ცოლის ძმის მუხუს ძეს სალარესცა მისთუის და მისთა დისწულთათუის უანდერძე მისი მამული, ჩვენცა შევიწყალეთ და მიუბოძენით ქართლის სოფელნი: კარბაი და გარეჯარ ბაკურის უბანი. მისითა სამართლიანითა მძღვრითა მკუიდრად, სამამულოდ, შეუვალად და შეუცვალებლად. ...აწ, ვინცა პნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი: შემდგომად ჩუენსა მამავალთა მეფეთა და დედოფალთა, კარის ჩუენის ვაზირთა და მოურავთა, ერისთავთა-ერისთავთა და ქართლის ერისთავთა, გორის და ჩვენთა ციხისთავთა და მეციხოვნეთა და გორის მოურავთა, მერემავთა, მეჯნხბეთა, ბაზიართა, მონადირეთა, ხვარზლის მკრეფელთა, მესაბანჯრეთა, მეკულუხეთა და ყოველთავე კართ ჩუენთა სასაქმოდ წარგზავნილთა, დაუმტკიცეთ... დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონს მეფობისა ჩუენისა მეცხრესა, ქორონიკონსა ღვ...“⁶⁸.

ამ სიგელის და ისტორიულ წყაროთა სხვა მონაცემებით დგინდება, — იმისა და მიუხედავად, რომ გიორგი ბრწყინვალემ განსხვავებული აზრის მქონე, პოლიტიკური მოწინააღმდეგე დიდებულები XIV ს-ის 30-იან წლებში თითქმის ყველა ფიზიკურად გაანადგურა, საქართველოს ცენტრალური სამეფო ხელის-

⁶⁵ ძველი ერისთავთა, გვ. 352.

⁶⁶ იქვე, გვ. 353.

⁶⁷ ანდრონიკე მეფის შესახებ იხ. დ. ნინიძე, მ. სანაძე, ჰოვხანავანქის მონასტრის ეგვიპტის წარწერა და ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ ისტორიის ზოგიერთი საკითხი, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1990, № 3, გვ. 112—127.

⁶⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 1965, გვ. 98—99.

6. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1992, № 4

უფლების პოლიტიკური ძალაუფლება 1348 წლისთვის საკმაოდ დამცრობილია. „პროვინციის მეფეს“ ანდრონიკე დავით VIII-ის ძეს ხელი მიუწვდება: ჯავახეთზე — ალასტანიურთ, ქვემო ქართლის, სომხეთის, შიდა ქართლის გარკვეულ ტერიტორიაზე⁶⁹. „პროვინციის მეფეს“ ანდრონიკეს შეწვევით წითლოსან ლარგველის ძე ღებულობს მემკვიდრეობით სოფლებს კარბსა და გარეჯვარ ბაქურის უბანს.

ავგაროზ ბანდაისძე, 1348 წლის მინაწერით „პერაკლიტონზე“ ახალი ფერებით ამუჭებს ისედაც არასასურველ სურათს — „ველყავ და ვიწყე წერად დიდსა სიგლახაკესა და ეტრატისა სიძვირესა და შფოთსა და უცალობასა შინა, წელს მას, რომელსა იყო დიდი სიკუდილობაჲ, ქორონიკონი იყო ლე (=1348)...“⁷⁰.

ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ: XIV ს-ის 40-იანი წლებიდან ჯერ კიდევ გიორგი ბრწყინვალის მეფობაში (გარდაიცვალა 1346 წ.) საქართველოში ახალი ძალით იწყება ძმათა შორის სახელისუფლო ძალაუფლების ხელში ჩაგდების ვნებათა ღელვა, რომლის დამღუპველი შედეგებიც მალე იჩინენ თავს.

საქართველოს სამეფოს ცენტრალური ხელისუფლება საკმაოდ შეუვიწროვებია დავით VIII-ის მემკვიდრეებს („ინდიკიონსა მეფობისა ჩუენისა მეცხრესა, ქორონიკონსა ლე“ ე. ი. 1348 — 9 = 1339 წ.).

„პროვინციის მეფე“ ანდრონიკე 1348 წლისთვის ფლობს ჯავახეთს ალასტანიურთ, ქვემო ქართლის, სომხეთის, შიდა ქართლის გარკვეულ ტერიტორიებს.

ასეთივე არასტაბილური ვითარებაა ცხრაზმის საერისთავოს ტერიტორიაზე. ერისთავი ქვენიფნეველი ჟამურიდან (ცხრაზმის საერისთავოში შემავალი მცირე ადმინისტრაციული ერთეული — ხევი) ბეგარის აკრეფას შეიარაღებულ პირთა საშუალებით ახერხებს. თითქმის მუდმივ თავდასხმებს აწყობენ დვალელები ცხრაზმის საერისთავოზე, თვით ერისთავის უშიშროებას ემსახურება სამოცდათორმეტი შუბოსანი, ...და ყოველივე ამ უბედურების თავი და თავი შიდა სახელმწიფოებრივი (შიდა საერისთავო), ძმათა შორის აშლილობაა.

ავგაროზ ბანდაისძე, მინაწერში — „ველყავ და ვიწყე წერად დიდსა სიგლახაკესა და ეტრატისა სიძვირესა და შფოთსა და უცალობასა შინა, წელს მას რომელსა იყო დიდი სიკუდილობაჲ“... მწუხარებით მოსთქვამს იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ სიძნელებზე, რაც სუფევდა საქართველოში XIV ს. 50-იან წლებში.

⁶⁹ დ. ნინიძე, მ. სანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 124—125.

⁷⁰ ძეგლი ერისთავთა, გვ. 319.

В. Д. ГУНАШВИЛИ

ПОЛИТИЧЕСКАЯ ИСТОРИЯ ЦХРАЗМИЙСКОГО
ЭРИСТАВСТВА 20—50-Х ГОДОВ XIV ВЕКА
Р е з ю м е

На основании анализа письменных источников устанавливается, что эристав Цхразмийского эриставства Шалва Квенипневели скончался в 1318 году (сел эриставом в 90-х годах XIII века).

После Шалвы Квенипневели эриставом (1318—1320 гг.) сел его сын Ларгвели, который осуществил много строительных работ на территории эриставства.

После смерти Ларгвели стал эриставом старший сын его Виршел II (1320—1335 гг.). Во время правления Виршела II (1320 г.) царь Георгий посылает Пипа Квенипневели послом для освобождения замков Иерусалима, который добился намеченной цели.

В 1327 году оканчивается трехлетняя освободительная война г. Гори от осетин, где под руководством Виршела II-го особо отличились цхразмейцы. Трехлетняя война определяется как пора раскола активных структур монгольского господства.

После определенного периода освобождения г. Гори на горе Ломиса происходит сражение между Цхразмийскими и арагвскими горцами («Арагвские мтнули») для усмирения арагвцев. В этом сражении арагвские горцы потерпели поражение, однако сохранили независимость.

В 1335 году Георгий Блистательный объехал поселение арагвских горцев, перешел гору Ломиса, назначил Цхразмийским предводителем Цитлосани (1335—1344 гг.) и узаконил арагвским горцам уложение.

В 1344 году эриставом Цхразмы становится Квенипневели, для его безопасности служит 72 копыеносца-телохранителя.

В 1348 году сын Ларгвела Цитлосан по наследству получает сѣла Карб и Гареджвар-Бакурисубани.

Для отмеченного времени центральная политическая власть Грузии была ограничена «царѣм провинции» Андроником.

В 50-х годах XIV в. в Цхразмийском эриставстве был большой голод и очень нестабильная пора.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის განყოფილებამ

ცნობები და შენიშვნები

ზოგა ჯავსარიძე

ღაცით აღაშენებლის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან

(განჯაზე ლაშქრობა 1110 წ.)

1110 წ., ერწუნის ბრძოლიდან ექვსი წლის შემდეგ, განახლდა სამხედრო კონფრონტაცია დავით IV-სა და თურქ-სელჩუკებს შორის. მეფის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ ამ წელს გიორგი ჭყონდიდელის ხელმძღვანელობით ქართველებმა „სიძარჯვთ მოიპარეს სამშუღდე“ — ქვემო ქართლის ეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი, რომელიც თურქებს ეყარათ. დაშინებულმა თურქებმა უბრძოლველად დატოვეს „უმრავლესნი ციხენი სომხითისანი“, რომლებიც ქართველებმა „მოითულანეს“. შემდეგ კი მეფემ თრიალეთში სასტიკად დაამარცხა „ძალი სულტნისა[დ] და ყოველი თურქქმნილობა[დ]“¹, ამ წარმატებებმა, ჩანს, უბიძგეს დავით IV-ს, რომ სამხედრო ოპერაციები პირველად გადაეტანა საქართველოს ფარგლებს გარეთ, არარწმინ.

არაბი ისტორიკოსები იბნ ალ-კალანისი „დამასკოს ისტორიაში“² და ალ-ჰუსაინი „სელჩუკთა სახელმწიფოს ამბებში“³ მოგვითხრობენ, რომ ჰიჯრის

¹ ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მ. შანიძემ. თბ., 1992, გვ. 177-78.

² აბუ ჯალა ჰამზა ბ. ას'ად ბ. 'ალი. ბ. მუჰამად ათ-თამიმი აღ-დამაშვი აღ-ამიდ ბ. აღ-კალანისი (ვარდ. 1160 წ.) ცნობილი არაბი ისტორიკოსია. მას ორჯერ ეყავა დამასკოში რა'ის აღ-დღიანის — სახელმწიფო კანცელარიის გამგის თანამდებობა, ავტორია მშობლიური ქალაქის დამასკოს ისტორიისა „ზაიდ თარ'იხ დიშაშე“ („დამასკოს ისტორიის დამატება“), რომელიც წარმოადგენს ისტორიკოს ჰილალ ას-საბის ნაშრომის გაგრძელებას და მოიცავს პერიოდს X ს. 70-იანი წლებიდან 1160 წლამდე. მასში ძირითადად ვაღმოცემულია სირიასთან დაკავშირებული ისტორიული ფაქტები. ეს ნაშრომი, რომელიც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ევროპელ ჯვაროსნებთან მუსლიმთა ბრძოლების ისტორიისათვის, გამოცემულია ორჯერ: History of Damascus 363—555. A. H. by Ibn al-Qalanisi from the Bodleian Ms. Hunt 125 being a Continuation of the History of Hilal al-Sabi. Ed. with Extracts from other Histories and Summary of Contents by H. F. Amedroz. Catholic Press of Beirut, 1908; თარ'იხ დიშაშე, 360—555 ჰიჯრი, თანხიჭ აბუ ჯალა ჰამზა ბ. ას'ად ბ. 'ალი ბ. მუჰამად ათ-თამიმი აღ-მა'რუფ ბი-იბნ აღ-კალანისი, თაჰკიკ ს. ზაქქარ. დიშაშე, 1983 (შემდეგ იბნ აღ-კალანისი). ნაწილობრივი ინგლისური თარგმანი ამ თხზულებისა განახორციელა ჰ. ა. გიბმა — The Damascus Chronicle of the Crusades. Extracted and Translated from the Chronicle of Ibn al-Qalanisi by H. A. R. Gibb. London, 1932.

³ საღრ აღ-დღინ აბუ ლ-ჰასან 'ალი ბ. აბუ ლ-ქავარის ნასირ ბ. 'ალი აღ-ჰუსაინის ცხოვრების წლები უცნობია. სავარაუდოა, რომ ის XII ს. მოღვაწეა. მას მიეწერება ავტორობა კომპილაციური თხზულებისა „ახბარ აღ-დავლათ ას-სალჯუჯია“ („სელჩუკთა სახელმწიფოს ამბები“), რომელსაც აქვს სხვა სათაურიც: „ზუბდათ ათ-თავარ'იხ [ქი] ახბარ აღ-უმარა' ვა ლ-მულუქ ას-სალჯუჯია“ („ნაღები ისტორიებისა სელჩუკი ამირებისა და მეფეების ამბების შესახებ“). ძირითადი ნაწილი ამ შრომისა — 39 თავი მოყვანილია 1192 წლამდე. მისი ბოლო ორი თავი — მე-40 და 41-ე, განსაკუთრებით კი უკანასკნელი, რომელშიც იხსენიება ათაბაგ

503 წ. ქართველებმა დალაშქრეს განჯის მხარე⁴. 503 წ. შეესაბამება პერიოდს 1109 წ. 31 ივლისიდან 1110 წ. 19 ივლისის ჩათვლით. არაბი ისტორიკოსები ამ დალაშქრობის კონკრეტულ დროს — თვეს არ ასახელებენ, მაგრამ თხრობის თანამიმდევრობა იბნ ალ-კალანისის „დამასკოს ისტორიაში“ საშუალებას იძლევა რამდენადმე დავაზუსტოთ ის.

იბნ ალ-კალანისი თავის თხზულებაში ჩამოთვლის იმ ამბებს, რომლებიც ჰიჯრის 503 წ. ისლამის სამყაროს სხვადასხვა კუთხიდან მოვიდა დამასკოში. ის იხსენიებს სულტან მუჰამადის ჩასვლას ისფაჰანიდან ბაღდადში ჯემალა ალ-ულას თვეში (იწყება 26. XI. 1109 წ.) და მის დაბრუნებას ისფაჰანში შავვალის თვეში (23. IV — 21. V, 1110 წ.), ცაზე კომეტის გამოჩენას ზუ ლ-კა'დას თვიდან ზუ ლ-ჰიჯას თვის მიწურულამდე (29. V — 19. VII. 1110 წ.). შემდეგ მოგვითხრობს ისევე შავვალის თვის ამბებს, როცა ამ თვის მეორე ათეულში (1110 წ. 3 მაისიდან) მავსილისა და ხლათის მუსლიმი გამგებლები მუჰამადის მოწოდებით დაიძრნენ ედესაზე. ქართველების დალაშქრობა განჯაზე მოთავსებული იმ ამბავთა შორის, რომლებიც დამასკოში შეიტყვეს შავვალისა და ზუ ლ-ჰიჯას თვეებს შორის⁵. ეს კი გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ რომ დავით IV-ის აღნიშნული დალაშქრობა მოხდა 1110 წ. არა უადრეს ამ წლის 23 აპრილისა და არა უგვიანეს 19 ივლისისა.

ვის ეკუთვნოდა განჯა და არარანი 1110 წელს?

ცნობილია, რომ 1092 წლიდან, როცა განჯა სულტან მალიქ-შაჰის ვაჟის მუჰამადის რეზიდენცია გახდა, ამ ქალაქმა და საერთოდ არარანმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა სელჩუკებისათვის. არარანი იყო მუჰამადის დასაყრდენი ბარქაირუკის წინააღმდეგ სასულტნო ტახტისათვის სისხლისმღვრელ ბრძოლებში, რომლებიც მიმდინარეობდა 1099—1104 წლებში. ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ დროს დაიდგა განჯაში სასულტნო ტახტი, რომლის შესახებაც მოგვიანებით წერდა ან-ნასავი. 496/1102-3 წ. იანჯაში ჩანს ათაბაგი ღუზ-ოღლუ-განჯის კიდევ ერთი ათაბაგი, რომლის იდენტიფიკაციაც არ ხერხდება, დაიღუპა ერწუხის ბრძოლაში 1104 წ.⁶ მაგრამ მომდევნო ხანებში, 500/1106-7 წ. ვ. მინორსკისა და კ. კენის ვარაუდით განჯას დაეუფლა შარვან-შაჰი.

უზბეგის სიყვლილი 622/1225 წ. დამატებული უნდა იყოს გვიანდელი გადამწერლის მიერ. ალ-ჰუსაინის თხზულება პირველად გამოიცა 1933 წ. (Sadr ud-din Abu'l Hasan Ali ibn Nasir ibn Ali al-Husaini. Akhbar ud-dawlat as-saljuqiyya. Ed. by Muhammad Iqbal. Lahore, 1933). 1980 წ. ფაქსიმილე ამ თხზულებისა და მისი რუსულ თარგმანი კომენტარებითურთ გამოსცა ზ. ბუნიატოვა—Садр ад-дин Али ал-Хусайни. Ахбар ад-даулат ас-селджукиййа (Зубдат ат-тавағих Фн ахбар ал-умаға вал-мулук ас-селджукиййа). Издание текста, перевод, введение, примечания и приложения 3. М. Бунятова. М., 1916 (შემდეგ: ალ-ჰუსაინი).

⁴ იბნ ალ-კალანისი, გვ. 269; ალ-ჰუსაინი, გვ. 46ბ.

⁵ იბნ ალ-კალანისი, გვ. 265, 268, 270.

⁶ ცხორებაა მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 172. Ibn al-Athir. al-Kamil fi'l-ta'rikh. vol. X. Editeurs Dar Sader, Dar Beyrouth. Beyrouth, 1966, გვ. 359. ან-ნასავი. Жизнеописание султана Джалал ад-дина Манкбурни. Пер. с арабского, предисловие, комментарии, примечания и указатели 3. М. Бунятова, Баку, 1973, გვ. 286. В. М. Бейлис. Из истории визрата в период кризиса сельджукского государства.—Сб. „Средневековый Восток“. М., 1960, гв. 47. შენ. 53.

ვ. მინორსკი და კ. კაენი იმოწმებდნენ მას'უდ ბ. ნამდარის ერთ წერილს, რომელშიც განჯის ამირად დასახელებულია შარვან-შაჰ ფარიბურზის ვაჟი ალ-'ადუდი. წერილი დაუთარიღებელია, მაგრამ მასში ჩართულ ლექსზე აღნიშნულია **ა**, რაც მკვლევართა აზრით უნდა იყოს თარიღი: ჰიჯრის 500/1106-7 წ⁷. მას'უდ ბ. ნამდარის აღნიშნული წერილი ერთგვარად ეხმაურება მის ერთ კასიდას, რომელშიც ავტორი ასე მიმართავს ფარიბურზს: „სძლევ ახანს ერთი თავდასხმით და სწრაფად ეუფლები არანს, განჯაში ნიშნავ ამილს, რომლის მუშრიფიც მე ვარ“⁸. ვ. მინორსკი და კ. კაენი ფიქრობდნენ, რომ განჯა თვით სულტანმა მუჰამადმა გადასცა შარვან-შაჰს არანიდან სელჩუკთა ძირითადი ძალების წასვლის შემდეგ 1106-7 წ⁹.

ვ. მ. ბეილისი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა მას'უდ ბ. ნამდარის წერილები და გამოაქვეყნა მათი ფაქსიმილე, მართალია, საეჭვოდ მიიჩნევს, რომ **ა** თარიღია (ნიშანი **ა** ხშირად არის დასმული ტექსტის გაყოფის ბოლოს, ხოლო ორი წერტილი .. კი შეიძლება ეკუთვნოდეს ასო **ც**-ს, რომლითაც მთავრდება სტრიქონის უკანასკნელი სიტყვა), მაგრამ ის მაინც შესაძლებლად თვლის, რომ განჯა გადავიდა შარვან-შაჰის ხელთ 496/1102-3 — 503/1109-10 წლებში. მან სელჩუკთა ლაშქრის წასვლის შემდეგ ჯერ თავის კონტროლს დაუქვემდებარა განჯა, მერე კი გადაქცია ის თავისი ვაჟის ალ-'ადუდის სამფლობელოს ცენტრად¹⁰.

კ. კაენის, ვ. მინორსკისა და ვ. ბეილისის თვალსაზრისი არ არის კარგად დასაბუთებული. როგორც ირკვევა, ფარიბურზი შარვან-შაჰად იყო 1063—1096 წლებში¹¹. საქართველოზე მისი თავდასხმა დავით IV-ის ზეობის დროს წყაროებში არ იხსენიება. მაგრამ ცნობილია, რომ ის თან ახლდა ალფ-არსლანს 460/1067-68 წ. არრანზე ლაშქრობის დროს¹². არანიდან სულტანი საქართველოში შეიჭრა. შესაძლოა, რომ ფარიბურზი მცირე ხნით ამ ლაშქრობაშიც მონაწილეობდა და მას'უდ ბ. ნამდარის აღნიშნულ კასიდაში სწორედ ეს ამბავი აისახა. ზ. ბუნიატოვი თვლის, რომ ფარიბურზი დაეუფლა არრანს მას შემდეგ, რაც ალფ-არსლანმა დატოვა ამიერკავკასია¹³. ს. აშურბეილი მიიჩნევს, რომ განჯაში შარვან-შაჰთა ვასალური სამფლობელო არსებობდა XI ს. მიწურულში¹⁴, მაგრამ ზუსტად როდის, ამას მკვლევარი არ მიუთითებს. ჩვენი ვარაუდით შარვან-შაჰთა ხანმოკლე მმართველობა განჯასა და არრანში შეიძლებოდა დამყარებულიყო მხოლოდ XI ს. 80-იანი წლების ბოლოს, ან 90-იანი წლების დამდეგს. მაგრამ 1092 წ. შემდეგ განჯასა და არრანში მათთვის აღვილი აღარ რჩება. და,

⁷ V. Minorsky. C. Cahen. Le recueil transcaucasien de Mas'ud b. Namdar „Journal Asiatique“, t. CCXXVII, fasc. 1, 1949, გვ. 126.

⁸ Мас'уд б. Намдар. Сборник рассказов, писем и стихов. Факсимиле текста, предисловие и указатели В. М. Байлиса. М., 1970, гв. 44—45.

⁹ V. Minorsky. C. Cahen, Le recueil... გვ. 126.

¹⁰ Мас'уд и бн Намдар, гв. 42, 45.

¹¹ З. Буниатов. Государство атабеков Азербайджана (1136—1225 годы) Баку, 1978, гв. 140, 141, 147. С. Ашурбейли, Государство Ширваншахов (VI—XVI вв.). Баку, 1983, гв. 123.

¹² В. Минорский. История Ширвана и Дербенда, М., 1963, гв. 60.

¹³ З. Буниатов. Государство..., гв. 143.

¹⁴ С. Ашурбейли. Государство..., гв. 123.

საერთოდ, არ გავგაჩნია რაიმე ცნობა, რომელიც მიუთითებდა, რომ 1102-3 ან 1106-7 წლებში სელჩუკთა სულტანმა რაიმე მიზეზით დათმო განჯა. 1110 წ. განჯასა და არარანს სელჩუკები მტკიცედ ფლობდნენ და დავით IV-ის აღნიშნული ლაშქრობა მიმართული იყო არა შარვან-შაჰის, არამედ თურქ-სელჩუკთა ძალების წინააღმდეგ.

ყურადღებას მივაქცევთ იმ ფაქტს, რომ დავით IV-ის სამხედრო აქტივობა 1110 წ. დამთხვა ჯვაროსანთა წინააღმდეგ დიდ სელჩუკთა პირველ სერიოზულსა და დიდ სამხედრო კამპანიას. 1109 წ. მიწურულში სულტანმა მუჰამადმა, რომელიც მანამდე არავითარ ინტერესს არ იჩენდა ჯვაროსნებისადმი, მოუწოდა თავის ქვეშევრდომებს: მავსილის ამირას მავდუდსა და ხლათისა და მაიაფარიკინის მფლობელს სუქმან ალ-კუტბის ელაშქრათ ედესაზე. ამ ლაშქრობაში, რომელიც 503 წ. შავვალის მეორე ათეულიდან, ე. ი. 1110 წ. 3 მაისიდან დაიწყო, მონაწილეობდნენ აგრეთვე დამასკოს ათაბაგი ტულ-თეგინი და მარდინის გამგებელი ართუკიანი ნაჰმ ად-დინ ილ-ლაზი¹⁵. ჩვენთვის უცნობია, არსებობდა თუ არა რაიმე კავშირი ამ დროს დავით აღმაშენებელსა და ედესის გრაფს ბალდუინ II-ს შორის. ამის შესახებ წყაროები დუმან. მაგრამ ასეთი კავშირი რომც გამოვირიცხოთ, ფაქტია, რომ 1110 წ. სელჩუკთა ძალები ორ ფრონტზე აღმოჩნდნენ დაქსაქსულნი. სულტანმა მუჰამადმა ვერ შეძლო გაეგზავნა თავისი რეგულარული ჯარი ('ასქარ) ედესისაკენ. ის ამკარად საქართველოში იყო დაკავებული. ამავე დროს მან ვერ შეძლო დავით IV-ის წინააღმდეგ გამოეყვანა თავისი ერთგული ქვეშევრდომების სამხედრო შენაერთები მავსილიდან და ვანის ტბის რეგიონიდან. ასეთ ვითარებაში ქართველებსა და ჯვაროსნებს უნდა შემსუბუქებოდათ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლა.

იბნ ალ-კალანისის ცნობა განჯაზე დავით IV-ის ლაშქრობის შესახებ შეუმჩნეველი არ დარჩენილა ქართულ ისტორიოგრაფიაში. მაგრამ მიჩნეულია, რომ დავით IV-მ აიღო განჯა¹⁶, რაც სინამდვილეში არ მომხდარა. არაბი ისტორიკოსი იუწყება, რომ 503 წ.

„მოვიდა ამბავი განჯის (ჯანზა) ქვეყანაზე და მის მეზობელ მხარეებზე უღელტეხილებიდან (დ უ რ უ ბ) ქურჯთა (ქართველთა) გამოსვლისა. მათ ჩაიდინეს მრავალი სისასტიკე და უკეთურება მის [განჯის] სანახებში. ამბავმა ამის შესახებ მიიღწია მალიქ-შაჰის ძესთან „ქვეყნისა და სარწმუნოების ხსნასთან“ (დ ი ა ს ა დ-დ უ ნ ი ა ვ ა დ-დ ი ნ) სულტან მუჰამადთან. მან გავგზავნა ქურჯთა წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი ლაშქარი, დაეცა მათ, აიძულა გაქცეულიყვნენ, აიცილა [მათი] უხამსობა და ბიწიერება, განდევნა ხოცვა-ჟლეტით, მისდია, მოაოხრა მათი ქვეყანა, გააპარტახა მათი

¹⁵ იბნ ალ-კალანისი, გვ. 270; სიბტ ბ. ალ-ჯაუზი, მირ'ათ აზ-ზამან რი თარ'იხ ალ-აიიან. ჰადარაბად, 1952, გვ. 31. ამ კამპანიის შესახებ იხ.: S. Runciman. A History of the Crusades. vol. II, Cambridge, 1957, გვ. 115 და შმდ.

¹⁶ ნ. ასათიანი, საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში. „XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები. თსუ შრომები“. ტ. 125, თბ., 1968, გვ. 25. ამ ლაშქრობას ეხება ჯ. სტეფნაძეც, რომელიც ზოგადად აღნიშნავს, რომ თურქ-სელჩუკთა სულტანი იძულებული გახდა დავითის წინააღმდეგ გარკვეული ღონისძიებები მიეღო. ჯ. სტეფნაძე, საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან. თბ., 1974, გვ. 82.

მხარეები, უშიშარპყო განჯის ქვეყნის მოსახლეობა მათი [ქართველების] ბოროტებისაგან. და აღდგა მათი [განჯელთა] მოკრძალება [სულტნისადმი] მათი [ქართველთა] მოსპობით. [შემდეგ კი] უკან მოიქცა სულტნის ლაშქარი გამარჯვებული და ნაალაფარი¹⁷.

როგორც ვხედავთ, ქართველებს განჯა არ აუღიოთ, თუმცა კი დაარბიეს მისი სანახები. ამასთან არაბი ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ სულტნის ლაშქარმა არა მარტო უკუაგდო ქართველები, არამედ მოაოხრა, გააპარტახა მათი ქვეყანა.

ამრიგად, ირკვევა, რომ დავით IV-ის შეტევა არრანის მიმართულებით, განჯაზე, წარუმატებელი აღმოჩნდა. მაგრამ იბნ ალ-კალანისის ინფორმაცია საქართველოში თურქ-სელჩუკთა შემოჭრაზე და მით უმეტეს, მათ დიდ გამარჯვებაზე, უდავოდ გადაჭარბებულია. ალ-ჰუსაინი მხოლოდ იმას იუწყება, რომ „ქართველებმა დალაშქრეს განჯის ქვეყანა. სულტანმა მათ წინააღმდეგ დასძრა ლაშქარი და აღკვეთა მათი ძალმოზრეობა“¹⁸. უფრო მოსალოდნელია, რომ მუჰამადის ჯარმა დაარბია არრან-საქართველოს სასაზღვრო რაიონები და არ შეჭრილა საქართველოს სიღრმეში. დიდი წარმატების შემთხვევაში სელჩუკთა სულტანი უეჭველად შეეცდებოდა აღედგინა საქართველოში თავისი დაკარგული პოზიციები, მაგრამ ეს არ მომხდარა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მუსლიმი ისტორიკოსები არაფერს წერენ თრიალეთში თურქ-სელჩუკთა სასტიკ მარცხზე, ხოლო დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი კი არ იხსენიებს მეფის წარუმატებლობას არრანში. ეს ის შემთხვევაა, როცა ქართველი და მუსლიმი ისტორიკოსები ამჯობინებენ ისაუბრონ მხოლოდ საკუთარ გამარჯვებებზე და არ მოიხსენიონ მარცხი.

განჯაზე ლაშქრობის შემდეგ 1111—1114 წლებში რაიმე კონფლიქტი საქართველოსა და დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს შორის უცნობია. ამ შესვენების დროს დავით IV, საფიქრებელია, სერიოზულად ემზადებოდა. მან მხოლოდ 1115 წ. განაახლა შეტევა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ. მეფე, როგორც ჩანს, დარწმუნდა, რომ პირდაპირი შეტევა სელჩუკთა ბაზებზე არრანში ჯერ კიდევ ნაადრევი იყო. მან შეცვალა ტაქტიკა. ერთი მხრივ დავით IV, შეუდგა იმ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტების (რუსთავი, ლორე, აგარანი...) დაკავებას, საიდანაც არრანის ტერიტორიაზე დაბანაკებულ თურქებს ადვილად შეეძლოთ შეჭრილიყვნენ საქართველოს სიღრმეში, მეორე მხრივ კი მან დაიწყო შეტევა შარვანის მიმართულებით, რაც ნ. ბერძენიშვილის აზრით მოასწავებდა თურქთა აგრესიის დასაყრდენის — განჯის ღრმად შემოვლას¹⁹. საკუთრივ არრანის ტერიტორიაზე საბრძოლო ოპერაციები დავით IV-მ ხელახლა მხოლოდ დიდგორის ბრძოლის წინ გადაიტანა.

¹⁷ იბნ ალ-კალანისი, გვ. 270.

¹⁸ ალ-ჰუსაინი, გვ. 46ბ.

¹⁹ ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან. — „საქართველოს ისტორიის საკითხები“, ტ. III, თბ., 1965, გვ. 255-56, შენ. 3.

Г. И. ДЖАПАРИДЗЕ

ИЗ ИСТОРИИ ВНЕШНЕЙ ПОЛИТИКИ
ДАВИДА IV СТРОИТЕЛЯ

(Гянджинский поход 1110 г.)

Резюме

В статье рассматриваются сведения ибн ал-Каланиси («Та'рих Димашк», изд. С. Заккара, Димашк, 1983, с. 269) и Садр ад-динан'Али ал-Хусайни («Ахбар ад-даулат ас-селджукийа», Издание текста, пер. и комментарии З. М. Буниатова, М., 1980, с. 466) об одном малоизвестном эпизоде внешней политики Давида IV Строителя, в частности об его походе на Гянджу в 503 г. х./1109-10 г. н. э. Уточнены дата этого похода (не ранее 23. IV. и не позднее 19. VII. 1110 г.) и его последствия.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა კ. წერეთელმა

ნათელა ჯაბუა

საქართველოს და კრისტიანული ძველნების
ბაზილიკების ურთიერთმიმართების შესახებ

ბაზილიკა ერთ-ერთი პირველი არქიტექტურული ტიპია, რომელიც ქრისტიანულმა ხუროთმოძღვრებამ გამოიყენა. ამან განაპირობა ბაზილიკის გავრცელება იმ ქვეყნებში, რომლებიც ახალ რელიგიას ადრეულ ხანაში ეზიარა. ცხადია, განსხვავებული არქიტექტურული ტრადიციების, კონსტრუქციული პრინციპების, სამშენებლო საშუალებების მქონე ქვეყნებში თავისებური სახესხვაობები შემუშავდა. ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის განვითარების საერთო პროცესში ორი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა. ერთი მხრივ, დასავლეთის, ე. ი. ევროპული ნაწილის და, მეორე მხრივ, აღმოსავლეთის ქვეყნების არქიტექტურის სახით. საქართველოს ძეგლები უკავშირდება აღმოსავლურ წრეს, რომელიც ხუროთმოძღვრული თემების დიდ მრავალფეროვნებას ამკლავებს და არსებული არქიტექტურული ტიპების მრავალგვარ გადაწყვეტას იძლევა¹. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ ქრისტიანულ სამყაროში ბაზილიკა საუკუნეების განმავლობაში წამყვან არქიტექტურულ თემად დარჩა, ხოლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ადრეშუასაუკუნეების ბოლო პერიოდიდან გადაამწყვებტი მნიშვნელობა გუმბათიანმა არქიტექტურამ მოიპოვა.

დასავლეთის წრეს მიეკუთვნება ადრექრისტიანული რომის, რავენის, კონსტანტინოპოლის, საბერძნეთის ბაზილიკები. მათ რიგი საერთო ნიშნები აქვთ, რომლებიც ამ წრის ძეგლების ძირითად მახასიათებლებად გვევლინება. ეს ბაზილიკები დიდი ზომით გამოირჩევა. აღსანიშნავია, რომ ტრადიციული სამნავიანის ვარდა გვხვდება ხუთნავიანი ბაზილიკებიც (თესალიის წმ. დიმიტრის სახელობის, კორინთოს აიგოსტენა, ნიკოპოლის, კუნძულ კვიპროსის ეპიფანია). ბაზილიკებს დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე ძლიერ წაგრძელებული გეგმარება აქვთ. ფართოდაა გავრცელებული შვერილათსიდიანი ძეგლები (კონსტანტინოპოლის სტუდიის მონასტრის იოანეს სახელობის. ბაზილიკა, თესალიის ახეიროპოლიტოსის ბაზილიკა და სხვ.), თუმცა არის გეგმის სწორკუთხედში ჩახაზული აფსიდებიც (აფენტელის ბაზილიკა კუნძულ ლესბოსზე). ბაზილიკებში შუა ნაეი ზომით საგრძნობლად ჭარბობს გვერდითებს. ნაეების გამვიჯნავი საყრდენები მრავალრიცხოვანია. ძირითადად გამოიყენება კოლონა (მაგ.: სან აპოლინარე ნუოვო), უფრო იშვიათად სვეტი (ეპირის პარამიტა). მათი დამაკავშირებელი შეიძლება იყოს როგორც თალი, ასევე არქიტრავეული სისტემა. ნაეები ძირითადად ხის კონსტრუქციებითაა გადახურული, რაც ფართობის გაზრდის შესაძლებლობას იძლევა. გარე მასებში შუა ნაეს დამოუკიდებელი

¹ R. Krauthemer, Early christian and Byzantin architecture, Hamodsworth, 1965, გვ. 22.



ორფერდა, ხოლო გვერდითებს ცალფერდა სახურავი აქვს. ამდენად იქმნება ე. წ. ბაზილიკური ტიპი. უმეტეს ბაზილიკებს აქვს ნარტექსი, ხოლო ზოგიერთ ძეგლში (ახალი ანხიალი ფტიოტიის თებეში) დასავლეთით არის ატრიუმი. ის შემოსაზღვრავს ფართობს ტაძრის წინ და წარმოადგენს სწორკუთხა ეზოს ღია გალერეებით.

რიგ ბაზილიკებში, განსაკუთრებით საბერძნეთის ძეგლებში, არის ტრანსეპტი, რომელიც მთავარ დასავლეთ-აღმოსავლეთი მიმართულების გადაწყვეთ ღერძს ქმნის და თავისებურ სივრცობრივ-მოცულობით გადაწყვეტას იძლევა. ტრანსეპტი აღიწერს შიდა სივრცის მაშტაბებს და მეტ სიღრმად ანიჭებს მას. საერთოდ აღნიშნული წრის ბაზილიკების ინტერიერში ზალვათი სივრცეა შექმნილი, რაც მონუმენტურობის შექმნას ემსახურება. ბაზილიკებში მრავალრიცხოვანი სარკმელებია გაჭრილი. განსაკუთრებული ინტენსივობით გამოირჩევა შუა ნავის კედლებში არსებული სარკმელებიდან შემოსული სინათლე. ამდენად, უფრო მეტად განათებული ტაძრის ცენტრალური სივრცეა. ბაზილიკების ინტერიერი მდიდარულად არის მორთული. გამოიყენება მოზაიკა, რელიეფი, მარმარილოს ინკრუსტაცია და მორთულობის სხვა საშუალებები. ყოველივე ეს განსაზღვრავს ინტერიერის მხატვრულ თავისებურებას და მისი მნიშვნელობის წარმოჩენას ემსახურება.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთის წრის ბაზილიკები ძველი ბერძნული და რომაული ცივილიზაციის ცენტრებშია აგებული, რაც ადრექრისტიანულ ხანაში ანტიკური ტრადიციების გავლენას განაპირობებს. ეს ნათლად ჩანს არა მხოლოდ ნაგებობის საერთო ხასიათში, არამედ ისეთი არქიტექტურული ფორმებისა და მოტივების გამოყენებაში, როგორცაა ატრიუმი, კოლონა, არქიტრავი და მორთულობის ცალკეული ელემენტები.

დასავლურ წრეს უკავშირდება ასევე ბულგარეთის ბაზილიკები. ადრეული ძეგლები საკუთრივ ბიზანტიური არქიტექტურის ნიმუშებს წარმოადგენს. ბულგარეთის სახელმწიფოს შექმნის და ქრისტიანობის აღიარების შემდეგ (865 წ.) აგებული ბაზილიკები თავისი ძირითადი მახასიათებლებით ამ წრეს უახლოვდება, თუმცა აქვს რიგი თავისებურებები და უფრო მომცრო ზომით გამოირჩევა (პლისკეს, ოხრიდას წმ. სოფიის ბაზილიკები)².

აღმოსავლური წრის ბაზილიკები ზოგიერთ საკითხში განსხვავებულ გადაწყვეტას იძლევა. უნდა აღინიშნოს, რომ თუ დასავლეთის ბაზილიკებში მეტ-ნაკლებად ერთიანი არქიტექტურული სახე ჩამოყალიბდა, რაც საერთო ანტიკური საფუძვლის არსებობამ განაპირობა, აღმოსავლური წრის ძეგლები განსხვავებულ სურათს ქმნიან. აღმოსავლეთ ქვეყნებში ძველი ხუროთმოძღვრული ტრადიციების მრავალფეროვნებამ, თვითმყოფადობამ სხვადასხვა ვარიანტების და სახესხვაობების შექმნა გამოიწვია. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს მრავალფეროვნება არის აღმოსავლური წრის ბაზილიკებისათვის დამახასია-

² ბულგარული სპეციალისტები გამოყოფენ ბაზილიკების სამ სახეს: I — ხის კონსტრუქციებით გადახურვის მქონე, II — კამაროვანი გადახურვის მქონე და III — ვუმბათიანი ბაზილიკები. იხ. Н. Чанева-Дечевска, *Базилкалният тип църкви в България през IX—XIV, ИСТИГЛ*, 21, 1968 გვ. 203—265; N. Tshaneva-De tshewzka, *Die frühchristliche Architektur in Bulgarian, actus du Xongres international D'archeologie chretienne, CITT* [EI Vaticano-Thessaionique, 1984, გვ. 614—623.

თებელი უბირველესი ნიშანი. თუ შევეცდებით გამოვყოთ რიგი მახასიათებლები, აღინიშნება შემდეგი:

აღმოსავლური წრის ბაზილიკები უფრო მომცრო ზომისაა, თუმცა გვხვდება ცალკეული მაშტაბური ნაგებობები (მაგ.: ოთხი ბაზილიკის ერთ კომპოზიციად გაერთიანების ცდა სირიის კალათ-სემანის ტაძარში). შესაბამისად საყრდენების რაოდენობა ნაკლებია. ძირითადად გამოიყენება სვეტი, კოლონა იშვიათად გვხვდება. სვეტები ერთმანეთს თაღების საშუალებით უკავშირდება. არის ბაზილიკები როგორც ჩახაზული, ასევე შერეული აფსიდებით. ამას გარდა გვხვდება სწორკუთხა საკურთხეველის მქონე ძეგლებიც (დარ-კიტა სირიაში). შუა ნაეი, როგორც წესი ზომით სჭარბობს გვერდითებს, მაგრამ მათ შორის შეფარდება ისეთი დიდი არაა, როგორც მაგალითად, ადრექრისტიანული რომის და რავენის ძეგლებში. ნაევი კამარების საშუალებითაა გადახურული. ამავე დროს გავრცელებულია ხის კონსტრუქციებით შესრულებული გადახურვაც. ექსტერიერში ბაზილიკებს ოთხფერდა სახურავი აქვს, მაგრამ გვხვდება ორფერდა სახურავიანი ნაგებობებიც. გავრცელებულია როგორც ნარტექსიანი, ასევე უნარტექსო ბაზილიკები. ტრანსეპტი არ გამოიყენება, მაგრამ ამ მოტივის თავისებური გადაწყვეტა შემუშავებული ეგვიპტურ ბაზილიკებში. ატრიუმის ბაზილიკები იშვიათია (პერგე მცირე აზიაში, შუქ-სლემანის და სუვეიდის ბაზილიკები სირიაში). აღმოსავლეთის ქვეყნებში გვხვდება როგორც კარგად განათებული, მრავალსარკმლიანი ნაგებობები, ისე სუსტი განათების მქონე ძეგლები. აღმოსავლური წრის ბაზილიკებს შიდა სივრცის ერთიანობა, ფორმათა მთლიანობა, ინტერიერის მხატვრული გადაწყვეტის მეტი სისადავე ახასიათებს, რასაც, უბირველეს ყოვლისა, საშენ მასალად თლილი ქვის გამოყენება, მისი მხატვრულ-გამომსახველობითი სპეციფიკა განაპირობებს. თუმცა ცალკეულ ძეგლებში გამოიყენება მორთულობის ისეთი საშუალებები, როგორცაა რელიეფი, მოზაიკა, მარმარილოს ინკრუსტაცია.

აღმოსავლეთი ქვეყნების ხუროთმოძღვრებაში შეიქმნა ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის თავისებური სახესხვაობები და არქიტექტურული მოტივები, რომელთა განხილვა უფრო სრულად წარმოაჩინეს აღმოსავლური წრის ბაზილიკების მრავალფეროვნებას.

ბაზილიკის თავისებური სახესხვაობა ე. წ. ლატიტუდინალური ტაძარი შეიქმნა სირიაში და მესოპოტამიაში. ამ ნაგებობებში (ტაფხა, კანავატი) ინტერიერი განივი კედლებით ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ლატიტუდინალურ სათავსებად არის დაყოფილი და შესასვლელები გრძივ კედლებში აქვს³.

სირიაში, მცირე აზიაში, სომხეთში გავრცელდა ორკალთა გადახურვის მქონე ბაზილიკები, რომელთაც გაბრიელ მილე მცირე აზიურ ტიპს მიაკუთვნებს⁴. აკად. გ. ჩუბინაშვილი მათ ბაზილიკების უძველეს ნაირსახეობად მიიჩნევს⁵. აღსანიშნავია, რომ ო. შუაზი⁶ ამ სახესხვაობას კოპტურ ძეგლებშიც მიუთითებს და დასაშვებად მიაჩნია საერთო აზიური პროტოტიპის არსებობა.

³ Б р у н о в Н., Очерки по истории архитектуры, М.-Л., 1935, გვ. 437; Я к о б с о н А. Л., Закономерности в развитии ренессанснейковой архитектура, Л., 1983, გვ. 77—78; М. G o u g h, The early christians, New York, Washington, 1961, გვ. 142.

⁴ G. M i l l e t, L'ecole grecque dan's l'architecture Byzantine, Paris, 1911, გვ. 16-17.

⁵ Г. Ч у б и н а ш в и л и. Болнис, ენციკის მოამბე I X, თბ., 1940, გვ. 138.

⁶ О. Ш у а з и, История архитектуры, т. II, М., 1937, გვ. 54.

ამ ნაგებობებში ორკალთა სახურავს ქვეშ მოქცეული სამი ნავე ინტერიერის თავისებურ გადაწყვეტას იძლევა. შუა და გვერდით ნაგებებს შორის სიმალღეში განსხვავება მცირეა და არ არსებობს ცენტრალური სივრცის შუა ნავეში გაჭრილი სარკმელებით განათების შესაძლებლობა. ინტერიერში არქიტექტურული ფორმების პროპორციული ურთიერთმიმართების და განათების ამგვარი თავისებურება განსაზღვრავს შიდა სივრცის ხასიათს. ასეთი ბაზილიკა ექსტერიერშიც სრულიად განსხვავებულია. აქ ტრადიციული ე. წ. ბაზილიკური ჭრილი, აღარ იქმნება.

ბაზილიკის ორიგინალური არქიტექტურული ტიპი — სამეკლესიანი ბაზილიკა საქართველოში შემუშავდა. ამგვარი ნაგებობა გარეგნულად სამნავიანი ბაზილიკის მსგავსია, მაგრამ სრულიად განსხვავებული ინტერიერი აქვს. აქ სივრცე დაყოფილია არა სვეტების საშუალებით, არამედ კედლებით იმიჯნება სამ ერთმანეთისაგან იზოლირებულ, დამოუკიდებელ ნაწილად.

თავისებური გეგმარება და ექსტერიერში დაუნაწევრებელი კედლების მასივი ახასიათებს ეგვიპტის ქრისტიანულ ძეგლებს⁷. განსაკუთრებით საინტერესოა საკურთხეველის გეგმაში სამყურა ფორმით გადაწყვეტა. ზოგი მკვლევრის აზრით, ეს მოტივი ტრანსეპტის შემოქმედებითი გადაშუშავების შედეგად წარმოიშვა⁸.

ბაზილიკის დასავლეთი ფასადის თავისებური კომპოზიცია შემუშავდა სირიაში. ის წარმოადგენს ექსონარტექსს, ე. ი. დასავლეთ ფასადზე ღია თაღებით გახსნილ ნარტექსს, რომლის ორსავე მხარეს რამდენიმე სართულიანი კოშკია აღმართული (თურმანინი, კალბ-ლუზე). ფასადის ასეთი გადაწყვეტა დახვეწილ, გაწონასწორებულ, ლაკონურ არქიტექტურულ სახეს ქმნის. ეს მოტივი სხვა ქვეყნებშიც გამოიყენეს (მაგ.: სომხეთში ერერუიკი). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ორკოშკიანი არქიტექტურული კომპოზიციის სირიიდან დასავლეთ ევროპის ზუროთმოძღვრებაში გავრცელების შესახებ⁹.

ამრიგად, მოკლე მიმოხილვაც ნათელყოფს აღმოსავლური წრის ბაზილიკების ტიპოლოგიურ მრავალგვარობას და ამ მდიდარი მასალის მნიშვნელობას ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის შესწავლის საქმეში.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ბაზილიკებს მსგავსება აღმოსავლური წრის ძეგლებთან ეძებნებათ, რაც გარკვეული გეოგრაფიული სიახლოვის, რელიგიური ერთიანობის გარდა არქიტექტურულ-სამშენებლო ტრადიციების, მასალის და კონსტრუქციული ხერხების ერთგვაროვნებით არის განპირობებული. ამ მხრივ გამოიყოფა სირიის და სომხეთის ბაზილიკები.

ქართულ-სირიულ კავშირ-ურთიერთობას ხანგრძლივი და მრავალმხრივი ისტორია აქვს. ამ ქვეყნების გაქრისტიანებამ კიდევ უფრო გაზარდა მათ შორის კავშირის შესაძლებლობები. ქართულ-სირიული ურთიერთობის კვალი სხვადასხვა სფეროში ჩანს. რასაც, ალბათ, უშუალო კონტაქტების არსებობა განა-

⁷ В. С. Бок, Материалы по археологии христианского Египта, СП. 1901; G. Zarneski, Art of the medieval world, New York, 1973, გვ. 42.

⁸ იქვე.

⁹ Н. П. Кондаков, Археологическое путешествие по Сирии и Палестине СП., 1904 გვ. 28.

პირობებდა¹⁰. ქართული და სირიული არქიტექტურის გარკვეული სიახლოვის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ იყო აღნიშნული¹¹. რაც შეეხება სამნავიანი ბაზილიკების საკითხს, ფაქტობრივი მასალის შესწავლა მთელ რიგ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს ავლენს. ქართული და სირიული ბაზილიკები მასების პროპორციული თანაფარდობის და ცალკეული არქიტექტურული ფორმების მსგავსებით ხასიათდება. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სირიული ძეგლები არქიტექტურული ფორმებისა და კომპოზიციური გადაწყვეტის მრავალფეროვნებით გამოირჩევა¹² და ქართულისაგან განსხვავებით მეტ კავშირს აქვდავენებს დასავლურ ბაზილიკებთან (რიგ ნაგებობათა მასშტაბების, ხის ძელოვანი კონსტრუქციებით გადახურვის, მორთულობის მრავალფეროვნების მხრივ). სირიული ბაზილიკები აბსოლუტური ზომებით სჭარბობს ქართულს და ყოველთვის ინარჩუნებს სიგრძივ მიმართულებას; მაშინ, როდესაც ქართულ ბაზილიკებში გეგმის კვადრატს მიახლოების ტენდენცია შეიმჩნევა. ქართულ ბაზილიკებში სამივე ნავი კამარით, ხოლო სირიაში უმეტესად ხის კონსტრუქციებით არის გადახურული. ამასთან, გვერდით ნაგებში ხშირად ქვის ფილებით შესრულებული გადახურვა გამოიყენება. შესაბამისად ქართულ ძეგლებში ინტერიერს არქიტექტურული ფორმების ერთიანობა, ხოლო სირიულ ბაზილიკებში კონტრასტული მრავალფეროვნება ახასიათებს. ქართული ძეგლებისათვის ნარტექსი არ არის დამახასიათებელი. ის მხოლოდ დასავლეთ საქართველოს რამდენიმე ბაზილიკაშია. რიგ ძეგლებში მის ფუნქციას გარშემოსასვლელი და გალერეა ასრულებს. გალერეა სირიის უნარტექსო ძეგლებშიც ძლიერ გავრცელებულია. სირიულ ბაზილიკებში კვადრატული და წრიული ფორმის სანათლავებია დადასტურებული. საქართველოს ბაზილიკებში სანათლავეი გამოწკნისის სახით გვხვდება. სირიულ ბაზილიკებში მთავარი შესასვლელი ამ არქიტექტურული ტიპისათვის ტრადიციული დასავლეთი მხრიდან არის, ხოლო ქართულ ძეგლებში პრიორიტეტი გრძივი ფასადების შესასვლელებს ენიჭება. სირიული ძეგლები დიდი ზომის სარკმლების კარგად განაწილებული სისტემის საშუალებით ნათდება. გვხვდება ორ-სამ იაურსად განლაგებული სარკმლებიც. ქართულ ბაზილიკებში სარკმლების რაოდენობა ნაკლებია. ორივე ქვეყანაში გამოიყენება სწორკუთხა და თაღოვანი სარკმლები; ამას გარდა გვხვდება ლუნეტები. სირიაში გავრცელებულია ორ ან სამ მაღიანი და წრიული ფანჯრებიც. სირიული ძეგლები როგორც ინტერიერის, ასევე ექსტერიერის მორთულობის მხრივ მასალის, დეკორატიული მოტივების სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ხოლო ქართული ძეგლები ფორმათა სისადავით, შიდა სივრცის ერთიანობით ხასიათდება.

საქართველოსთან ერთ-ერთი ყველაზე ახლოს მდებარე ქრისტიანული ქვეყანა არის სომხეთი. საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიულმა სიახლოვემ, ისტორიული პირობების მსგავსებამ, მრავალსაუკუნოვანმა კულტურულ-ეკო-

¹⁰ ქ. კეკელიძე, საკითხი სირიულ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, ეტიუდები, ტ. I, თბ., 1956, გვ. 42; ივ. ჯაბაბიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბ., 1960, გვ. 349—374.

¹¹ Н. П. Кондаков, Древняя архитектура Грузии, М., 1876, გვ. 54; G. Zarneski, დასახ. ნაშრომი, გვ. 154—155.

¹² H. C. Butler, Early churches in Syria, Princeton, 1929; A. Sher Ovdiah, Corpus of Byzantine churches in the Holyland, Bonn, 1970.

ნომიკურმა კავშირმა, ქრისტიანობის ერთ პერიოდში გავრცელებამ ერთნაირი პირობები შექმნა არქიტექტურის განვითარებისათვის. ორივე ქვეყანაში ქრისტიანული ხუროთმოძღვრების საწყის ეტაპზე გავრცელდა სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი.

ქართული და სომხური ბაზილიკები დაახლოებით ერთნაირი ზომისაა და ძლიერ წავრცელებული გეგმარება არ ახასიათებთ. შესაბამისად სვეტების რაოდენობაც მცირეა — 2—5 წყვილი (გამონაკლისია დვინის ბაზილიკა 7 წყვილი სვეტით). მსგავსება აღინიშნება აგრეთვე შუა და გვერდითი ნაევების პროპორციული დამოკიდებულების, ცალკეული არქიტექტურული ფორმების და უნარტექსო ძეგლების გავრცელების მხრივ. ქართული და სომხური ბაზილიკების ინტერიერის მხატვრულ სახეს ძირითადად კონსტრუქციული ელემენტების პლასტიკური გამომსახველობა და დახვეწილი პროპორციები განსაზღვრავს. ამგვარ ფონზე აქცენტებად განაწილებული დეკორი მეტ მხატვრულ დატვირთვას იქნეს.

ქართულ და სომხურ ბაზილიკებს შორის ძირითადი განსხვავება გადახურვის სისტემის სხვადასხვაობაშია. ეს ეხება როგორც ნაევების გადახურვას, ასევე მთლიანად ბაზილიკის სახურავის ფორმას. სომხური ბაზილიკების ერთ ჯგუფში შუა ნაევს ხის კოჭოვანი გადახურვა ჰქონდა¹³, რაც ქართულ ბაზილიკებში არ გამოიყენება. საქართველოში ნაევი ყოველთვის კამარებითაა გადახურული. სომხური ბაზილიკების მეორე ჯგუფის ძეგლებში სამი ნაევი ორკალთა სახურავის ქვეშაა მოქცეული¹⁴. მათგან განსხვავებით საქართველოში ოთხფერდა გადახურვაა გავრცელებული. ამდენად, ქართული და სომხური ბაზილიკების ინტერიერიც განიჩქევა. სომხეთის ბაზილიკებში შიდა სივრცის ორგანიზაცია აღინიშნება. ამ ძეგლებში ან ხის კონსტრუქციებიანი, ნათელი, ხალვათი სივრცეა შექმნილი, ან კამაროვანი გადახურვის მქონე სუსტად განათებული ნაევიბა. სომხურისაგან განსხვავებით ქართულ ძეგლებში ერთნაირი მიდგომა აღინიშნება. საზოგადოდ, სომხური ძეგლები უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებენ სირიულ არქიტექტურასთან (ორკოშკიანი მოტივი ერერუიკში, მასიური პორტალები, ხის კონსტრუქციებით გადახურვა), ხოლო ქართული ბაზილიკები მეტ თავისთავადობას ავლენენ.

ქართული სამნავიანი ბაზილიკების ქრისტიანული ქვეყნების არქიტექტურასთან მიმართების საკითხის კვლევისას ცალკე უნდა შევეხოთ დასავლეთ საქართველოს რიგ ძეგლებს. ამ ბაზილიკებში ე. წ. opus mixtum წყობის (სეფიეთი, მოქალაქევის ორმოცმოწამეთა), კაპიტულებიანი კოლონების (ბიჭვინტა, ვანარო) და მორთულობის მრავალფეროვანი საშუალებების (იატაკის მოზაიკა, კედელზე მარმარილოს ინკრუსტაცია ბიჭვინტაში) გამოყენება ბიზანტიური არქიტექტურის გარკვეულ გავლენაზე მიუთითებს. ყოველივე ეს ნათელყოფს, რომ ქართულ სამნავიან ბაზილიკებში, რომლებიც ძირითადად აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროსთან მჭიდრო კავშირს ამჟღავნებენ, გამოიყოფა ძეგლების ჯგუფი, რომელთა მხატვრული გადაწყვეტა დასავლურ წრესთან ერთგვარი კავშირის არსებობაზე მიუთითებს.

¹³ Strykowski L., Die Bau Kunst der Armenier und Europe, Wien, 1918, band 1, გვ. 144; Токарский Н. М., Архитектура древней Армении, Ереван, 1976, გვ. 52.

¹⁴ Мнацаканян С. К., Оганесян К. Л., Саинян А. А., Очерки по истории древней и средневековой Армении, Ереван, 1978, გვ. 68—84.

ამრიგად, ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში ქართული ბაზილიკები აღმოსავლურ წრეს მიეკუთვნება და ემიჯნება დასავლეთის ბაზილიკებს. მისთვის უცხოა მკვეთრად წაგრძელებული გეგმარების მქონე, მრავალსვეტიანი, მასშტაბური კომპოზიციები, ტრანსეპტი და აბრიუმი, არქიტრავული სისტემა და კოლონები. მისი ინტერიერი სივრცობრივი გადაწყვეტისა და მორთულობის მხრივ დასავლეთის ბაზილიკებისაგან ძალზე განსხვავებულია. ამ მხრივ გამონაკლისია დასავლეთ საქართველოს ძეგლები, რომლებშიც ბიზანტიური არქიტექტურის გავლენა იგრძნობა.

საქართველოში ჩამოყალიბებული სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის სახესხვაობა თავის თავში აერთიანებს როგორც ბაზილიკისათვის დამახასიათებელ ნიშნებს (სამნაწევრიანობა, სვეტების სისტემა, არქიტექტურულ ფორმათა რიტმული მონაცვლეობა), ასევე ამ არქიტექტურული ტიპისათვის უცხო ტენდენციებს (სივრცოვი ღერძის დამოკლება, ცენტრიულობისაკენ სწრაფვა) და საუკუნეების მანძილზე, შემუშავებული ტიპის მდგრადობით ხასიათდება.

შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების ისტორიაში ქართულმა არქიტექტურამ შექმნა ქრისტიანულ სამყაროში გავრცელებული არქიტექტურული ტიპის, სამნავიანი ბაზილიკის, ისეთი სახესხვაობა, რომელიც მთელი რიგი მახასიათებლებით განირჩევა სხვა ქვეყნების ძეგლებისაგან და დამოუკიდებელი მხატვრული არქიტექტურული ღირებულება აქვს.

Н. А. ДЖАБУА

О ВЗАИМООТНОШЕНИЯХ БАЗИЛИК ГРУЗИИ И ХРИСТИАНСКИХ СТРАН

Резюме

Трехнефные базилики Грузии относятся к восточной ветви христианского зодчества. Особо четко тесные взаимосвязи прослеживаются с памятниками Сирии и Армении.

В грузинских базиликах выделяются памятники Западной Грузии, которые выявляют некоторое сходство с византийской архитектурой.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პ. ზაქარაიამ

ზურაბ ბრახვაძე

სტრაზონის ერთი ცნობის გაკვებისათვის

ძველი ბერძენი ავტორის, სტრაზონის თხზულებაში, დაცულია ერთი მეტად საყურადღებო ცნობა. ალბანეთის აღწერისას გეოგრაფოსი გვამცნობს, რომ ამ მხარის მკვიდრნი „ღმერთებად აღიარებენ მზეს, ზევსსა და მთვარეს. გამორჩევით — მთვარეს. მისი სალოცავი არის იბერიის მახლობლად. ქურუმობს კაცი უწარჩინებულესი მეფის შემდეგ. ის განაგებს ტაძრის მიწას, რომელიც დიდი და კარგად დასახლებული. და (ეს პირი) განაგებს მიწასაც და ტაძრის მონებსაც, რომელთაგან მრავალნი, შთავონებულნი, წინასწარმეტყველებენ ხოლმე“.

ამის შემდეგ სტრაზონი აღგვიწერს ამ სალოცავზე დადასტურებულ მსხვერპლთშეწირვის რიტუალსაც.

ხსენებული სალოცავის (ტაძრის) ადგილმდებარეობის განსაზღვრა არაერთმა მკვლევარმა სცადა, და ყველა მათგანი განსხვავებულ, ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ პუნქტებს ასახელებს სტრაზონისეული მთვარის ტაძრის ადგილსამყოფლად.

სტრაზონის მიერ აღწერილი ტაძრის ლოკალიზაციას პირველად ივ. ჯავახიშვილი შეეხო. მანვე პირველმა აღნიშნა, რომ იგი მდებარეობდა არა ალბანეთში, არამედ კახეთში და ამ თვალსაზრისით განიხილავდა სოფ. აწყურთან წმ. გიორგის ეკლესიაში დაფიქსირებულ რიტუალს და ავლებდა პარალელს სტრაზონის მიერ აღწერილ ვითარებასთან¹. მსგავსება კი ამ ორ ერთიმეორისაგან საკმაოდ დიდი დროით დაცილებულ რიტუალს შორის, მართლაც, თვალშისაცემი იყო, მაგრამ მაშინ, როდესაც ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიას“ წერდა, ანტიკური ხანის მატერიალური კულტურა ნაკლებად იყო ჩვენში გამოვლენილი. შედარებით მწირად იყო შესწავლილი ანტიკური იბერიის ისტორიული გეოგრაფიაც და ძირითად ამოსავლად ისევ ბერძენ-რომაელი ავტორების ცნობები რჩებოდა. ამ მიზეზის გამო დიდი მეცნიერი მხოლოდ გაკვრით ამბობს: „ალბანეთის ერთი ნაწილი, სახელდობრ, იბერიის მოსაზღვრე ადგილი, ქართველი ერის მოდემით იყო დასახლებული“².

რა თქმა უნდა, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, ივ. ჯავახიშვილის მიერ ლოკალიზებული ადგილი, სოფელი აწყური, არასოდეს ყოფილა იბერია-ალბანეთის საზღვარი, და ამდენად, მთვარის ტაძარი საძიებელია არა შუაგულ კახეთში, არამედ იქ, სადაც უძველეს ხანაში გადიოდა იბერია-ალბანეთის სახელმწიფოებრივი მიჯნა.

ს. ჯანაშიას ხსენებული სალოცავი დღევანდელ ალავერდთან ეგულებოდა და მიიჩნეოდა, რომ იბერია სწორედ აქ ესაზღვრებოდა ალბანეთს³.

¹ ი. ყაუხჩიშვილი, სტრაზონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 134.

² ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1976, გვ. 90—91.

³ იქვე.

⁴ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 157.

ეს მოსაზრება საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება. მით უფრო, რომ ალავერდის ტაძარი წმინდა გიორგის სახელზეა აგებული და ეს ფაქტი, ალბათ, გამოძახილია იმ ვითარებისა, რომ სტრაბონის მიერ აღწერილი ტაძარი მთვარის თაყვანისცემის ადგილს წარმოადგენდა, და სრულიად ბუნებრივია, წარმართული მთვარის სალოცავის ადგილას ქრისტიანულ ხანაში წმინდა გიორგის ეკლესია აგწმენებინათ.

ალავერდთან აიგივებდა სტრაბონისეულ ტაძარს ი. კიკვიძე და მიაჩნდა, რომ ალავერდი წარმართული მთვარის ტაძრის მეგვიდრე იყო⁵.

უკანასკნელ ხანს აღნიშნული სალოცავის ლოკალიზაციის პრობლემას შეეხო რ. დოლაბერიძე, რომელმაც გამოთქვა ვარაუდი, რომ მთვარის ტაძარი უნდა ვეძებოთ თუშეთში. თავისი თვალსაზრისის დასამტკიცებლად მკვლევარი განიხილავს სოფ. შენაქოში, ნიშტაყოს ბორცვზე გამოვლენილ არქეოლოგიურ მასალას⁶.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ ნახსენებთ ავტორების მოსაზრებებს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ შესაძლებელია ახლებურად გავიაზროთ სტრაბონის ცნობა.

საერთოდ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ვარემოვებს, რომ სტრაბონი სავანებოდ მიუთითებს, მთვარის ტაძარი იბერიის მახლობლად მდებარეობს, და არა პირიქით — ტაძარი იბერიაშია ალბანეთის მახლობლად. ამდენად, გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიული გეოგრაფიის მონაცემებს, რადგან როდესაც ამ ტაძრის ლოკალიზაციას იბერიის ფარგლებში ვცდილობთ, იგი ოდნავ მაინც უნდა უახლოვდებოდეს ალბანეთის საზღვარს.

ჩვენ, ზემოთ წარმოდგენილი ყველა მოსაზრება ანგარიშგასაწევად და საგულისხმოდ მიგვაჩნია, მაგრამ, ამასთანავე, თითქმის ყოველი მათგანი უგულვებელყოფს გეოგრაფიულ ფაქტორს, რომელიც ვფიქრობთ, ამოსავალი უნდა იყოს წინამდებარე საკითხის გადაჭრის საქმეში. ამის გამო სავსებით ვიზიარებთ გ. მელიქიშვილის აზრს, რომ სტრაბონის სიტყვები, ეს ტაძარი იბერიის მახლობლად მდებარეობდაო, აშკარად გულისხმობს იბერიასა და ალბანეთს შორის უშუალო შეხების რაიონს. აქედან გამომდინარე, მკვლევარს იგი ალაზნის ველზე, მის შუა დინებაზე, ნაყოფიერი მიწებით განთქმულ ადგილზე უგულვება, თუმცა უფრო ზუსტი ლოკალიზაცია მას აღარ უცდია⁷.

თუ შენაქოში მდებარეობდა მთვარის ტაძარი, მაშინ თუშეთი ანტიკურ ხანაშივე, ცხადია, ალბანეთის მეზობელი მხარე უნდა ყოფილიყო და უშუალოდ უნდა საზღვრებოდა მას.

სტრაბონის ცნობით, იბერია-ალბანეთის საზღვარი კამბეჩოვანზე გადიოდა⁸. კამბეჩოვანი კი, ანუ მერმინდელი ქიზიყი, არასდროს ყოფილა თუშეთის მომიჯნავე კუთხე. მათ შორის მოთავსებულია კახეთის ვრცელი მიწა-წყალი. ასე იყო ანტიკურ ხანაში, ასეა დღესაც.

ბერძენი გეოგრაფოსი სავანებოდ ამახვილებს ყურადღებას კამბეჩოვანზე (კამბისეს ოლქზე), რადგან იგი მთვარის ტაძრის მდებარეობის ერთ-ერთი დიდი

⁵ ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 137.

⁶ რ. დოლაბერიძე, ძვ. წ. II—I სს. სალოცავი ნიშტაყოს ბორცვზე სოფ. შენაქოში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. 41, თბ., 1991, გვ. 21.

⁷ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1971, გვ. 587.

⁸ თ. ყაუხჩიიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

ორენტირია. ასე რომ, სტრახონისავე მონაცემებით გამოირიცხება მისი არსებობა თუშეთში. ის არქეოლოგიური მასალაც, რომელიც გამოვლინდა ნიშტაყოს კომპლექსის გათხრისას, რაღაც უცხო და თავისთავად კულტურას მიეკუთვნება, რომლის პარალელურიც საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე არსად არ არის ცნობილი⁹. ხოლო თუ აქ მართლა ასეთი დაწინაურებული ტაძარი მდებარეობდა, შეუძლებელია, არ იყოს წარმოდგენილი საკმაოდ ფართო არეალის მომცველი ელინისტური კულტურის ნიშნები, ან თუ იგი უშუალოდ ემეზობლებოდა ალბანეთს, საფიქრებელია, რატომ არ ჩანს იალოილუ თევფს კულტურის გავლენის ან არსებობის კვალი.

მიგვაჩნია, რომ თუშეთი, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო შუა საუკუნეებში და ახალ დროშიც საკმაოდ მიუდგომელ ადგილად ითვლებოდა, წარმოდგენილია ანტიკურ ხანაში ისეთი ცნობილი ყოფილიყო, რომ ბერძენ ავტორს საგანგებოდ გემახვილებინა ყურადღება აქ არსებულ სალოცავზე; უფრო მეტიც; სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული აზრის მიხედვით, წინაქრისტიანული პერიოდის განმავლობაში თუშეთი იბერიის შემადგენლობაშიც არ იგულისხმებოდა¹⁰, ამდენად, იბერია-ალბანეთის საზღვარზე მისი არსებობა, მით უფრო ალბანეთთან უშუალო შეხება თითქმის გამორიცხულია. ამასთანავე, სტრახონი საგანგებოდ აღნიშნავს, ტაძრის მიწა დიდი და კარგად დასახლებულია¹¹, რაც აგრეთვე ბარის რეგიონზე მიუთითებს და არა მიუდგომელ მთაზე.

ჩვენი ვარაუდით, ხსენებული ტაძარი მდებარეობდა კახეთში, მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირზე, ნეკრესის მონასტრის მიდამოებში.

რა გვაძლევს ასეთი მოსაზრების საფუძველს? უპირველეს ყოვლისა სტრახონის სიტყვები, რომ ალბანეთიდან იბერიაში შემავალი გზა კამბეჩოვანზე დევსო¹².

კამბისე (კამბეჩოვანი) უშუალოდ ემიჯნება ნეკრესის მიმდებარე ტერიტორიებს. მართალია, ძვ. წ. I ს-ში კამბისინე სომხეთში შედიოდა, მაგრამ ახლა ამ ფაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან, როგორც გ. მელიქიშვილი შენიშნავს, ძვ. წ. II—I სს-ებში ჰერეთის სამხრეთი რაიონების დაკარგვის მიუხედავად, ამ მხარის ჩრდილოეთი რეგიონი ქართლის კუთვნილებას წარმოადგენდა¹³, ხოლო მანამდე კამბისინეს მიწა-წყალი იბერიის სამეფოს განუყრელი ნაწილი იყო და აქ იბერები, სომხები და ალბანელები ერთად ცხოვრობდნენ¹⁴.

ვფიქრობთ, რომ ანტიკურ ხანაში ნეკრესის მიმდებარე ტერიტორია ერთგვარი სასაზღვრო ზოლი უნდა ყოფილიყო იბერია-ალბანეთს შორის, და ნეკრესი თავიდანვე უნდა ქცეულიყო კახეთის გამორჩეულ და მნიშვნელოვან ცენტრად. მას საგანგებო ყურადღებას აქცევდნენ ქართლის მეფეებიც.

ლოენტი მროველის ცნობით, „ფარნაჯომ იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი“¹⁵, ხოლო „არმაჯ განაშუენა ნელქარ, ქალა-

⁹ რ. დოლაბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

¹⁰ დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 168.

¹¹ თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

¹² იქვე.

¹³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 465.

¹⁴ იქვე, გვ. 464.

¹⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 29.

ქი კახეთისა, რომელ არს ნეკრესი“¹⁶. ე. ი. ირკვევა, რომ ნეკრესის მშენებლობა ფარნაჯომს დაუწყია და არშაკს გაუგრძელებია, შესაძლოა, მან დაასრულა იგი.

„მოქცევაჲ ქართლისაჲში“ არანაირი ცნობები არ მოიპოვება ამ მეფეთა მიერ ნეკრესის მშენებლობასთან დაკავშირებით. ეს მატიაზე უარესად ზოგად ცნობებს შეიცავს: „მეფობდა ფარნაჯომ და აღმართა კერპი ზადენ მთასა ზელა და აღაშენა ციხე“. „არსოკ (არშაკი) ქალაქსა ზღუდენი მოაქმნა“¹⁷.

ასეთი ზოგადი გადმოცემებიდან არ ჩანს კონკრეტულად რომელი ციხე ან ქალაქის ზღუდენი აღაშენეს ფარნაჯომმა და არშაკმა, მაგრამ ლეონტი მროველის თხზულებიდან გამოვლინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „მოქცევაჲს“ ავტორი ამ პუნქტებში ნეკრესს გულისხმობს. ყოველ შემთხვევაში, არშაკ მეფესთან დაკავშირებით, მართლაც, შესაძლოა ასე იყოს.

ფარნაჯომისა და არშაკის ზეობის ხანა, როგორც ცნობილია, ძვ. წ. II ს-ის მიწურულზე და ძვ. წ. I ს-ზე მოდის¹⁸.

ნეკრესს დიდი ყურადღება ექცეოდა გვიანანტიკურ ხანაშიც. მირიან მეფის მამამძღვე მირვანოზმა „ჰმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმეტეს ყოველთასა მოიმტიცნა ზღუდენი ნეკრესის ქალაქისანი“¹⁹.

როგორც ამ ცნობიდან ირკვევა, მირვანოზს სხვა სიმაგრეებიც აუშენებია, მაგრამ ნეკრესისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია.

ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, ნეკრესი მთელი წინაქრისტიანული პერიოდის მანძილზე იბერიის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ყოფილა. როგორც ჩანს, აქ უნდა არსებულიყო ისეთი რამ, რაც მას განსაკუთრებული ინტერესის ობიექტად აქცევდა. მართალია, ქართულ საისტორიო მწერლობაში პირდაპირი ცნობა ნეკრესის ადგილას საკულტო ცენტრის არსებობის შესახებ არ არის დაცული, მაგრამ ლეონტი მროველის გადმოცემები თითქოს მიგვანიშნებენ აქ რაღაც გამორჩეული კერის არსებობაზე. ამ ვითარების გათვალისწინებით, გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ ქალაქ ნეკრესის წარმოქმნას და მის შემდგომ დაწინაურებას ზელი შეუწყო მძლავრმა სატაძრო თემმა, რომელიც შესაძლებელია, სტრაბონთან მოხსენიებულ მთვარის ტაძართან გავაიგივოთ. უკვე თქმულიდან გამოვლინარე, მივიჩნევთ, რომ ფარნაჯომმა ნეკრესში შესაძლოა, წარმართული ტაძარიც ააგო. ყოველ შემთხვევაში ვახუშტისთან დაცული ცნობა, რომ „ფარნაჯომ შეიყუარა სჯული სპარსთა“²⁰ არ გამორიცხავს ასეთი ფიქრის საშუალებას. ამდენად, სავარაუდოა, რომ ის ტაძარი, რომლის შესახებაც გადმოგვცემს სტრაბონი, აიგო მეფე ფარნაჯომის მიერ ძვ. წ. II—I საუკუნეების მიჯნაზე. ჩვენს ამგვარ მოსაზრებას ერთგვარად მხარს უჭერს „აბიზოს ნეკრესელის მარტილობაში“ შემორჩენილი ცნობაც, რომლის მიხედვითაც აბიზოსმა ნეკრესში მოსპო სპარსული ცეცხლთაყვანისმცემლობის კერა: „დაასხა წყალი და ხენეში იგი (ღმერთი) ცეცხლი მათი დაშრიტა“²¹. ე. ი. ნეკრესი

¹⁶ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 33.

¹⁷ შატერდის კრებული, თბ., 1978, გვ. 214.

¹⁸ ჰ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ძველ-ქართული მატიაზე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1978, გვ. 560.

¹⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 65.

²⁰ ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1976, გვ. 59.

²¹ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბ., 1955, გვ. 189.

მთელ კახეთში ერთადერთი ადგილია, სადაც დასტურდება წარმართული სალოცავის კვალი.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დღესაც ნეკრესის მონასტერში გადმონაშთის სახით შემორჩა წარმართული რელიგიის ნიშნები. კერძოდ, იგი ერთადერთი ქრისტიანული ტაძარია საქართველოში (კახეთში მაინც), სადაც ხდება ღორის შეწირვა. ჩვენი აზრით, ეს წარმართული რიტუალი გამოძახილია ამ ორი ათასი წლის წინათ აქ არსებული მთვარის ტაძრის ერთ-ერთი ატრიბუტაციისა.

დაბოლოს, ყველაზე მთავარი მომენტი, რაც ასე თუ ისე ამაგრებს ჩვენს მიერ წამოყენებულ მოსაზრებებს, არქეოლოგიური მონაპოვარია.

ბოლოდროინდელი გათხრებით ნეკრესში გამოვლინდა მძლავრი დასახლების ნაშთები და რაც ყველაზე არსებითია — წინაქრისტიანული ტაძარი. აქვე დაფიქსირდა უძველესი ქართული დამწერლობის ნიმუშები²², რაც აგრეთვე მიაწინებს, რომ იგი ნამდვილად წარმოადგენდა ძველი საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას.

ხოლო რაც შეეხება იმ ნივთიერ მასალას, რომელიც სოფ. შენაქოში, ნიშტაყოს ბორცვზე გათხრილ სამლოცველოშია აღმოჩენილი, ასევე სოფ. აწყურში დადასტურებულ წარმართული რიტუალის გადმონაშთს და ალავერდის ტაძარს, კიდევ ერთხელ ადასტურებს ივ. ჯავახიშვილის ვარაუდს იმის თაობაზე, რომ ანტიკური ხანის კავკასიაში შესაძლოა არა ერთი და ორი ტაძარ-სამლოცველო ყოფილიყო²³.

3. Д. БРАГВАДЗЕ

К ПОНЯТИЮ ОДНОГО СВЕДЕНИЯ СТРАБОНА

Резюме

Статья касается вопроса локализации языческого храма, описанного Страбонам, на Албано-Иберийском границе.

По предположению автора статьи, храм находился в Кახети, на левом берегу р. Алазани, в окрестностях Некресского монастыря.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი ისტორიის განყოფილებამ

²² ლ. კილაშვილი, ნეკრესის ალაპარაკდა, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 28 ივნისი, 1991.

²³ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 91.

ხათუნა იოსელიანი

ტრადიციული სვანური სუფრა

(ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

საყოველთაოდ ცნობილია სუფრის შესწავლის მნიშვნელობა ყოფითი კულტურის კვლევის სფეროში. ქართველი ხალხის შესახებ მოგზაურთა (ყან შარდენი, არქანჯელო ლამბერტი და მრ. სხვ.) ნაწერებში დაცული ცნობები და გამოქვეყნებული მასალები (პირველ რიგში ალ. ოჩიაურის „სტუმარ-მასპინძლობა ხევსურეთში“) მრავალმხრივ საინტერესოა ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის, სამეურნეო და საოჯახო ყოფის თავისებურებათა გამოვლენისათვის. ქართული სუფრის შესახებ საყურადღებოა ქართველ ეთნოგრაფთა დაკვირვებები, რაც ასახულია სათანადო გამოკვლევებში (ივ. გავაზიშვილი, ს. მაკალათია, გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე, რ. ხარაძე, მ. ჩართოლანი, ი. ჭყონია, ვალ. ითონიშვილი, მ. ბეჭაია, მ. მაჩაბელი, ლ. მელიქიშვილი, გ. გოცირიძე, ბ. ნანობაშვილი, გ. ცეცხლაძე, მ. მოწერელია, თ. იველაშვილი, ნ. კვიციანი, თ. მისკალიშვილი, ნ. კახიძე, თ. დრაგაძე და სხვ.).

ქართული ტრადიციული სუფრის შესწავლისათვის უსათუოდ გასათვალისწინებელია შესაბამისი სვანური ეთნოგრაფიული მასალები, რაც ჩვენ სვანეთში შევავაროვეთ და გავიაზრეთ ლიტერატურის გათვალისწინებით. დაკვირვებამ დაგვანახა, რომ სვანური სუფრა გარკვეული სპეციფიკურობით გამოირჩევა, რაც თავისთავად განაპირობა სვანთა ცხოვრების თავისებურებამ. დამახასიათებელია, რომ სვანეთის რწმენა-წარმოდგენები, ღვთაებათა იერარქია არეკლილია სუფრის წესებსა და საღვთაობებში.

ვინაიდან, სუფრა საზოგადოებრივი და ოჯახური ურთიერთობის საფუძველზე აღმოცენებული და მის ხასიათს გარკვეულწილად მატერიალური ყოფა და კულტურაც განაპირობებს, ამიტომ მოკლედ მიმოვიხილავთ სვანური საცხოვრებლის და ოჯახური ურთიერთობის თავისებურებებს.

სვანური საცხოვრებელი კომპლექსი წარმოდგენილია ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული ქვის ორსართულიანი სახლისა (ქორ) და ქვისავე მრავალსართულიანი თავდაცვითი ნაგებობისაგან (კოშკი // მურყვამ).

სვანური საცხოვრებელი კომპლექსი შემოსაზღვრული იყო გალავნით და „ორმაგი დაცვით იყო უზრუნველყოფილი“¹.

ოჯახი ცხოვრობდა საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე, რომელსაც მაჩვიბ ეწოდება. მაშვიბ-ის „შუა ადგილას, რომელსაც ყველია ეწოდება, დგას კერა, რომელიც ყველფს 4 ნაწილად ყოფს“² — ორი მხარე საქალებო, ორი საკაცებო.

¹ რ. ხარაძე, ა. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964, გვ. 13.

² მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 23.

სევანური საცხოვრებელი სახლი მდიდარი იყო მრავალფეროვანი ავეჯით, რომელთა უმრავლესობაც მოჩუქურთმებული იყო. ეს ავეჯი უმთავრესად შედგება: „საკურცხილ-სავარძელისა, სკამ-ლოფრგიმ — გრძელი სკამისა, აბოჯგ — სამფეხა სკამისა და ფიჩქ — მრგვალი სამფეხა მაგიდისაგან“³.

სუფრა იშლებოდა გრძელ, შედარებით დაბალ ფეხებზე შემდგარ ტაბლაზე — ტაბატ. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ტაბლა ბერძნული სახელწოდებაა და პურის ჭამას ნიშნავს. ძველად მას ჰქონდა ორი მნიშვნელობა: გულისხმობდა პურის ჭამასაც და მაგიდასაც⁴. სევანური ტაბაგი იყო კარგად გამოთლილი და უმთავრესად მოჩუქურთმებული. ის კედელზე ქონდათ ჩამოკიდებული, და მხოლოდ საჭიროების დროს ჩამოიღებდნენ დაბლა.

მეორე სახის სატრაპეზო მაგიდა არის ფიჩქ-ი, სამფეხა მრგვალი მაგიდა, აუცილებლად მოჩუქურთმებული. იგი განკუთვნილი იყო ოჯახის მახვშისა და სტუმრისათვის. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრის მიხედვით, ასეთი წრიული ფორმის მაგიდები მნათობთა თაყვანისცემის სიმბოლურ ვაზარებას უკავშირდებოდა⁵.

საოჯახო სუფრა

სევანურ ოჯახში სუფრა დღეში ოთხჯერ იშლებოდა: დილით საუზმე — ლენცელ, შუადღეზე სადილი — სადილ, მესამედ სამხარი — ლემადი და საღამოს ვახშამი — ვახშამ. „პურს აცხოზდნენ დღეში სამჯერ — დილას, სადილად და საღამოს“⁶.

ოჯახში ჩვეულებრივად სამი ტაბლა იშლებოდა: კაცებისათვის, (ლელუქ-მარ), ქალებისათვის (ლესურალ) და ბავშვებისათვის.

კაცებისა და ქალების ცალ-ცალკე დასხდომა სუფრასთან ადრე მთელი საქართველოსათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. შეგვიძლია დავიმოწმოთ V ს-ის ქართველი მწერალი იაკობ ცურტაველი (ხუცესი), რომელიც თავის ნაწარმოებში აღწერს სადილს ვარსკენ პიტიახშის ოჯახში. რჭულგამოცვლილი ვარსკენი ბრძანებს, რომ სადილის სუფრა ერთად გაუშალონ მას, შუშანიკს, თავის ძმა ჯოჯიკსა და მის ცოლს. სუფრასთან ვარსკენ პიტიახშს უთანხმოება მოუვა შუშანიკთან, რომელიც განრისხებული ეტყვის: „ოდეს ყოფილ არს აქამოდე, თუცა მამათა და დედათა ერთად ეჭამოთ პური“⁷.

არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს, რომ დღესასწაულებზე ქალები და კაცები სუფრასთან ცალ-ცალკე სხდებოდნენ⁸.

ასეთივე წესი უნდა ყოფილიყო ქიზიყში, სადაც დღესასწაულების დროს ქალები და კაცები ცალ-ცალკე სხდებოდნენ სუფრასთან. რაც შეეხება ოჯახში მათთვის სხვადასხვა ტაბლის გაშლას, ასეთი რამ არ ახსოვთ მთხრობელებს; ცალკე ტაბლას მხოლოდ ბავშვებისათვის შლიდნენ.

³ თავისუფალი სევანი, უშვულის აღწერა, ივერია, 1888.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, II ნაკვ. გვ. 31.

⁵ ე. ბარდაველიძე, ქართული (სევანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 91.

⁶ ე. გაბლიანი, ძველი და ახალი სევანეთი, ტფ., 1925, გვ. 161.

⁷ იაკობ ხუცესი (ცურტაველი), შუშანიკის წამება.

⁸ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 43.

სვანურ ოჯახში თავდაპირველად მოემსახურებოდნენ პატარების სუფრას; მათ მეთვალყურედ გამოყოფილი იყო ერთი რომელიმე ქალი. შემდეგ გაშლიდნენ მეორე და მესამე სუფრას. საჭმელების ჩამომტარებელი იყო რამდენიმე ქალი; რაც შეეხება ხორცს, მას მოხარშავდა და სუფრაზე გამოსატანად მოამზადებდა ოჯახის რომელიმე წევრი მამაკაცი. ხორცი საერთოდ მამაკაცის გამგებლობაში იყო. ამ ფუნქციის შემსრულებელს დიდი სუფრების დროს (ქორწილი და სხვ.) თავისი ტერმინი აქვს — მეზვრილ.

სუფრას ემსახურებოდა აგრეთვე სასმელისა და წყლის ჩამომტარებელი ერთი ვაჟი და ერთი გოგონა.

სუფრასთან სანამ მახვში არ დაჯდებოდა, სხვები მანამდე ფეხზე იდგნენ. სანამ მახვში არ აკურთხებდა სუფრას და თვითონ არ გატეხავდა პურს, მანამდე არც სხვები იწყებდნენ ჭმამს. სანამ მახვში არ დაილოცებოდა და დალევდა, მანამდე სუფრის სხვა წევრი ვერ დალევდა სასმელს.

ოჯახის პრობლემები და საერთოდ ყველა საკითხი, რაც ოჯახს აწუხებდა, წყურბოლა სელამოს სუფრასთან, ვახშობისას. აქ დგებოდა მეორე დღის სამუშაო გეგმა, ნაწილდებოდა სამუშაო ოჯახის წევრებს შორის, „მოლაპარაკება ყოველგვარ საოჯახო საქმეზე ხდებოდა ღამით, როდესაც მთელი ოჯახი კერასთან იკრიბებოდა ვახშმის საჭმელად. საოჯახო საქმეების გარჩევაში ყველანი თანაბრად იღებდნენ მონაწილეობას, სქესის განურჩევლად, მაგრამ ქორა მახვშის უპირატესობა მაინც დაცული იყო. ის პირველი იწყებდა ლაპარაკს და მის აზრს მეტი ყურადღება ექცეოდა“⁹.

სტუმართმოყვარეობის ტრადიცია საქართველოს თითქმის ყველა კუთხის მსგავსად საკმაოდ არის განვითარებული სვანეთში. ოჯახში მოსულ სტუმარს სვანი უხვდებოდა ისე, როგორც ზელეწიფებოდა მას. სტუმრის შეურაცხყოფა მასპინძლის შეურაცხყოფას ნიშნავდა.

სვანურ სამზარეულოში უმთავრესი ადგილი ეკავა ხორცს, რომელიც უფრო ხშირად მოხარშული, ხან მსხვილად, ხან წვრილად დაჭრილი გამოჰქონდათ სუფრაზე. ხორცისაგან აკეთებდნენ მწვადებს (ლტყაბ ლელვ) და წვნიან კერძებს.

ხორცისაგან აკეთებდნენ განსაკუთრებით პოპულარულ კუბდარ-ს. წვრილად დაჭრილი ხორცი იკმახებოდა ნივრით, სუნელებით (უყეთდებოდა მინდვრის სანელებელი გიცვრილ), იდებოდა ცომში და აცხობდნენ კერაზე, ორივე მხრიდან.

ხორცს ზამთრისათვის ინახავდნენ დიდი რაოდენობით. შემოდგომით ოჯახების უმეტესობა დაკლავდა საზამთროდ ხარს, რომლის ხორცს ან დაამარილებდნენ ან შებოლავდნენ და ჩამოკიდებულს შეინახავდნენ საზამთროდ.

რძის ნაწარმი

ზოგჯერ მაწონში ჩაყრიდნენ წვრილად დაფქვილ ცერცვის გულს, რისგანაც მაწონი ისეთი სქელი გამოდიოდა, რომ გასაჭრელი ხდებოდა. ამოჰყავდათ ყველი, აკეთებდნენ სულგუენს, რომელსაც საზამთროდ ხის კასრებში ინახავდნენ მარილწყალში (წათხ). ჭყინტ ყველს კი მაგრად აზელილს ჩადებდნენ ხის გობში და ისე შეინახავდნენ. ყველისაგან კეთდებოდა მრავალნაირი კერძები: თაშმჯაბ (მოხარშული, ცოტაოდენ ფქვილმოყრილი ყველი), მერწვ (ყველი და კარტო-

⁹ რ. ხ ა რ ა ძ ე, დიდი ოჯახის გაღმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, გვ. 48.



ფილი ერთად აზელილი და მოხარშული), კარგი — გამდნარი და გაწელილი ყველი. უმეტესად სარიტუალო სუფრისათვის გაწყობილ ტაბლას მთლიანად გადააფარებდნენ ხოლმე ზემოდან. ჩხატვრა — ყველის და პურისაგან გაკეთებული გუნდები, ჰომდვარ — ყველი სიმინდის ფქვილით გამომცხვარი, პიტნაში აზელილი ყველი, რომელსაც ან დაწნავდნენ ლამაზად ან კიდევ ნაირნაირ ფიგურებს გამოსახავდნენ ხოლმე მისგან.

გულიანი პურები

ყველაზე ხშირად აცხობდნენ კუბდარს და ხაჭაპურს (ქუთ). ხშირად კი ყველს გამოცხობამდე შეურევდნენ დაფქვილ ფეტვის ან კანაფის მარცვალს. ცოტადღენ მოხარშულ კარტოფილს. სვანური ხაჭაპური ცხებოდა ორივე მხრიდან (გადაბრუნებულად).

აცხობდნენ აგრეთვე ყინცარ-ს. ხარის, ცხვრის ან თხის ქონს, წვრილად დაჭრილს (ზოგჯერ ყველს გაურევდნენ) გაუკეთებდნენ გულად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია რიტუალური კვერი „ლიმზირი-ი“, რაც ნიშნავდა ლოცვას და საწირავის მიტანას ერთად. იმავე ძირისაგან ნაწარმოებია შესაწირავი პურის სახელწოდება „ლემზირი“-ი¹⁰. ლემზირი არის პატარა, ყველის გულიანი პური (ზოგჯერ შეურევენ კანაფს, ფეტვს, იშვიათად ქონს); ხშირად უკეთებენ ორნამენტებს (უმეტესად ჯვარს). ლემზირები ცხებოდა სხვადასხვა ღვთაების სახელებზე. „დიდი ღმერთის სახელობის ლემზირი-ის (ფუსნა მქლევე) შექმა ქალებისათვის აკრძალული იყო“¹¹.

მცენარეული

ფართოდ იყო გამოყენებული მცენარეული საჭმელები, კეთებოდა ფხალეული, მწნილები (მეტხე) — კომბოსტოს, ჭარხლის, წივრის, ხახვის. მას უკეთებდნენ კოწახურის საწებელას სიმამრისათვის.

შემოდგომით იკრებებოდა თითქმის ყველა ხილი, რაც ხარობდა სვანეთში. ნაყოფს გაახმობდნენ ჩრდილში და გამხმარს შეინახავდნენ ზამთრისათვის ხის სკივრებსა და გობებში. ხშირად გამხმარ ნაყოფს დაფქვავდნენ, გაცრიდნენ და ისე ინახავდნენ.

ზამთრისათვის გაახმობდნენ სხვადასხვა სახის მცენარეთა ფოთლებს და მათგან ამზადებდნენ ნაყენს, (მოცივი, მოცხარი, ინლა, პიტნა...).

დიდი რაოდენობით იცოდნენ ჩირის (ლუბბეულე) გაკეთება (ვაშლი, მსხალი). მსხალს კი დიდი რაოდენობით გაახმობდნენ, დაფქვავდნენ, გაცრიდნენ და შეინახავდნენ ზამთრისათვის, რისგანაც ტკბილ ფაფასა და გუნდებს აკეთებდნენ (იცხრმაყვამ).

სასმელი

უმთავრესი სასმელი იყო ხორბლისაგან გამოხდილი არაყი. არაყს ხდიდნენ აგრეთვე ქერისგან, ვაშლისა და მსხლისაგან:

¹⁰ ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, თბ., 1939, გვ. 1.

¹¹ იქვე.

აყენებდნენ აგრეთვე მოცვის, მოცხარის და ასკილის სასმელებს, მათ სვანურად ღვინოს (ღვინალ...) უწოდებდნენ. იცოდნენ აგრეთვე თაფლის სასმელის დაყენება (რანგ).

სვანეთში ფართოდ იყო გავრცელებული მეფუტკრეობა, „სვანური ფუტკარი ცნობილია საუკეთესო ფუტკრად, სვანური თაფლი — უმაღლეს ხარისხოვნად“¹².

სვანური სუფრის ჭურჭელი უმეტესად იყო ხისგან გამოთლილი, სხვადასხვა ზომის და სიდიდის ჯამები, ხის კოვზები. განსაკუთრებით მრავალფეროვანია სასმისები — კათხები, მათ ორნამენტები უკეთდებოდათ. სასმისებად ფართოდ გამოიყენებოდა აგრეთვე ყანწები — ქარახს.

ასეთნაირად გამოიყურებოდა სვანურ ოჯახში ყოველდღიური სატრაპეზო სუფრა.

სამორწილო სუფრა

ქორწილი ყოველთვის ხსნილის დროს ტარდებოდა, მთვარის მომატების პერიოდში.

საქორწილო სუფრა იშლებოდა მაჩუბში, საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე — გუბანდში, ან ეზოში დროის შესაფერისად.

საქორწილო სუფრის ტაბლები იშლებოდა ზოგჯერ წრიულად, ზოგჯერ კიდევ მწკრივებად. სუფრა უნდა ყოფილიყო მაქსიმალურად მდიდარი და მრავალფეროვანი, კერძებით, ხილით, სასმელით.

ქორწილისათვის ოჯახი დიდი ხნით ადრე იწყებდა მზადებას, სპეციალურად ასუქებდნენ ხარს, ღორებს, ქათმებს. გამოხდიდნენ არაყს, ხილის ნაყენს ქალეზისათვის.

ქიზიყში იყო შემთხვევები, როდესაც სუფრა ძირს იშლებოდა. ნოხებს გაშლიდნენ, მუთაქებს დადებდნენ და ასე ჩამოსხდებოდნენ. ანალოგიური სიტუაცია იყო სამეგრელოში¹³. როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, ის შემზარავი სურათი პურის ჭამისა სამეგრელოში, რაც არქანჯელო ლამბერტს აქვს აღწერილი, არის მუსლიმანური დამპყრობლების ზემოქმედების შედეგი, როდესაც ხმარებიდან გადადის სუფრის ავეჯი და მის ადგილს ნოხები და ტყავები იკავებენ.

საქორწილო სუფრასთან ხალხი ისევე სხდებოდა, როგორც ყოველდღიურ საოჯახო სუფრასთან — კაცები ერთ მხარეზე, ხოლო ქალები — მეორეზე.

სუფრას ემსახურებოდა რამდენიმე ადამიანი, საჭმლების ჩამომტარებელი ქალები, ყურადღების მიმქცევი ოჯახის წევრი ან ახლობელი მამაკაცები და მერიქიფეხები — მაგენა (მეგენ). მეგენ სიტყვასიტყვით ფეხზე მდგომს ნიშნავს. მათ სუფრებს შორის რამდენიმე ტაბლაზე დაუდგამდნენ სასმელს და ემსახურებოდნენ ხალხს. თითქმის ყველა სადღეგრძელოზე თვითონ უესებდნენ სასმისებს. მეგენ-ს ჰქონდა კიდევ ერთი ფუნქცია: მეთვალყურეობა გაეწია, რათა სმავი გაჯიბრებულებს თანაბრად ესვათ სასმელი.

ქიზიყში მერიქიფის ინსტიტუტი ასე მკვეთრად გამოცალკევებული არ ყოფილა. აქ სასმელი სუფრაზე იდგა, ზოგჯერ თითო კაცზე თითო დოქი, ან ორ

¹² გ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925, გვ. 163.

¹³ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, ტფ., 1938, გვ. 45.

კაცზე ერთი დოქი, „ზოგი თვითონ დაიმხოზდა და დაღევდა, ზოგი კიდევ სხვას მიაწოდებდა“¹⁴.

სუფრასთან დასხდომის შემდეგ ოჯახის უფროსი მამაკაცი აიღებდა სასმისს და იტყოდა პირველ საღლეგრძელოს. საერთოდ, სვანეთში პირველი სამი საღლეგრძელო არის აუცილებელი და იგი ყველა სუფრაზე ითქმებოდა: „სუფრასთან მიწვეული სტუმრები სვამდნენ სამ აუცილებელ საღლეგრძელოს. პირველი კათხით დალოცავდნენ დიდი ღმერთის შემწეობას ამ ოჯახისადმი, მეორე კათხა მკქემ თარნგზელისადმი იყო მიმართული, მესამე კათხა ჯგრაგისკენ. შემდეგ საერთო საღლეგრძელოები იწყებოდა“¹⁵. ამ სამ „წესით ცნობილ საღლეგრძელოს სახსაველი-ი ეწოდებოდა“¹⁶. „მანდილოსნების მიერ საგანგებო დანიშნულების საიდუმლო რიტუალის შესრულების დროსაც კი პირველად დიდ ღმერთს ადიდებდნენ, შემდეგ თარნგზელს, მესამედ ჯგრაგს, შემდეგ სხვადასხვა ხატ-სალოცავებს მოიხსენიებდნენ და ბოლოს ლამარიას სახელზე ლოცულობდნენ“¹⁷.

ამრიგად, პირველი საღლეგრძელო ტრადიციულად იყო „ხოშა ღერბეთ — დიდი ღმერთი, უფალი ღმერთის საღლეგრძელო: „ხოშა ღერბეთუ ზაშიდ ალ ოჯახს, ისგევი ოჯახარს თვით-თვითჟი, გუშგევი ერთვეილ მარა“ — უფალი ღმერთი შეეწიოს ამ ოჯახს, თქვენს ოჯახებს, ჩვენს ერთველ ზალხს“.

სვანური სუფრის სინამდვილეში პირველი საღლეგრძელო, ყველგან და ყოველთვის უფალი ღმერთისაა, მას ყველა სვამს და განსაკუთრებული პატივისცემით ადღეგრძელებს.

რამდენადმე განსხვავებული წესი მოქმედებდა საქართველოს სხვა კუთხეებში, მაგალითად, ქიზიყში პირველი სამი აუცილებელი ყოველთვის არის ის მიზეზი, რისთვისაც იწლება სუფრა.

მეორე საღლეგრძელო სვანურ სუფრაზე ეძღვნება წმინდა, მთავარ-ანგელოზებს. სვანურად იტყვიან ორგვარად — ფუსდ თარნგზელ (უფროსი მთავარ-ანგელოზი) და მკქემ თარნგზელ.

მკქემ თარნგზელზე ივ. ჯავახიშვილი ამბობს, რომ „ეთანასწორება ქართულ მიქელ მთავარანგელოზს“¹⁸ (იგი აღნიშნავს, რომ ბესარიონ ნიჟარაძე მკქემ თარნგზელს ქართულად შეცდომით მაცხოვრად თარგმნის). რაც შეეხება თვითონ სიტყვა მკქემ-ს სიტყვა-სიტყვით მომმატებელს ნიშნავს; ჩანს, რომ ეს საღლეგრძელო არის „მომმატებელი მთავარანგელოზი“. თვითონ საღლეგრძელოსაც შემდეგნაირად იტყვიან: „თარნგზელ, დიდაბ აჯკად, სი ლაანშდ ნაი ნიშგევი ოჯახარს, მარეი კუმაშ სვა მაი ლანქემა, მაგ ხოჩამდ ი ხოჩამისვა ანკმრავინ“¹⁹. „დიდება შენ, მთავარანგელოზო, შეგვეწიე ჩვენ და ჩვენს ოჯახებს, ადამიანი და საქონელი მოგვმატე და რასაც მოგვმატებ, მშვიდობაში მოგვახმარე“. ე. ი. თვითონ ეს საღლეგრძელო, თვისობრივად, ოჯახის მომატებისა, ზრდისა და შვილიერობისაა.

მესამე საღლეგრძელო არის წმიდა გიორგის საღლეგრძელო — ჯგვრჳგ.

¹⁴ მთხრობელი კორაშვილი გურამ, ქიზიყი, სოფ. ბოდბისხევი, დაბ. 1913 წ.

¹⁵ რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, გვ. 39—40.

¹⁶ იქვე, გვ. 94.

¹⁷ ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, გვ. 76.

¹⁸ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 37.

წმ. გიორგი მთელი საქართველოსათვის უძლიერესი ღვთაებაა და მისი თაყვანისცემაც ასეთივე განსაკუთრებული და ძლიერია. არც ღმერთისა და იესო ქრისტეს და არც ერთი წმიდანის სახელობაზე არ მოიპოვება იმდენი ტაძარი საქართველოში, რამდენიც წმ. გიორგის სახელობაზეა აშენებული. „ჯერ კიდევ XIV—XV სს. გერმანელი მოგზაური ჰანს შილტბერგერი წერდა, რომ ქართველები წმ. გიორგის მეტისმეტ თაყვანს სცემენო. ხოლო ვახუშტის აღნიშნული აქვს, რომ „საქართველოში არ არიან ბორცუნი და მალაღნი გორანი, რომელსა ზედა არ იყოს შენნი ეკლესიანი წმიდის გიორგისანი“-ი¹⁹.

ასევეა სვანეთშიც. სვანურ თქმულებებში წმ. გიორგი ყველაზე ძლიერი ღვთაებაა, ადამიანის მშველელი და დამხმარე გაჭირვების დროს. მისი მფარველობის წინააღმდეგ ღმერთიც კი უძლურია. „სვანებიც, წმ. გიორგის ღმერთის მსგავსად თაყვანსა ცემენ და ღმერთზე ძლიერად მიაჩნიათ“²⁰.

წმ. გიორგის საღვთაძელო მამაკაცთა გამრავლებისა და კარგად ყოფნის საღვთაძელოა: „ფაყვა მგემუ აგვიფურენა“ (ქუდის დამხურავი გვიმრავლოსო), იტყვიან სვანურად „ჯგარაგ მეპად ლერსგვან მეჯარხანუ გვინჯრი“ (წმ. გიორგი მუდამ მარჯვენა მხრიდან გვახლდესო).

ამ საღვთაძელოს გამოტოვება არ შეიძლებოდა. ამ სასმისს სუფრის წევრი ყველა მამაკაცი სვამდა.

ამ საღვთაძელოს შემდეგ ოჯახის უფროსი, ამოირჩევს თამადას და ადღე-გრძელებს მას.

თამადის ინსტიტუტიც შედარებით უფრო მკვეთრადაა გამოხატული სვანეთში. მას ტაბგა თხვიმ-ს უძახიან (სუფრის უფროსი, თხვიმ — თავი). როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ისე სვანეთშიც გვხვდება პარალელურად თურქული წარმომავლობის სიტყვა ტოლუმბაში (ასეა ქიზიყშიც — ტოლუმბაშ):

თამადა სვანეთში ქორწილის დროს (და ასევე სხვა სუფრების დროსაც), აუცილებლად უნდა ყოფილიყო ოჯახის ახლობელი, მისი სამოს — სამუხბის წარმომადგენელი. იშვიათად დანიშნავდნენ ოჯახის ბაღიშს ან სხვა ახლობელს, რომელიც ოჯახის მოვარე არ იყო. თამადა უნდა ყოფილიყო, უპირველეს ყოვლისა, კარგი ლოგიკის მქონე, ჰკვიანი, ოჯახისა და სოფლის ისტორიაში ჩახედული კაცი.

სუფრის წარმართვა შემდეგ უკვე თამადაზე იყო დამოკიდებული, ნორმალური ურთიერთობა სუფრის წევრებს შორის და ქორწილის რაც შეიძლება მხიარულად ჩატარება.

რაც შეეხება თამადის ინსტიტუტს ქიზიყში, აქაც თამადაობა გარკვეული პატივისცემა იყო. სოფელში იყო გამორჩეული რამდენიმე სათამადაო კაცი და ყოველი დიდი სუფრის დროს მას მოიპატიებდნენ. მასთან ცხენით მივიდოდნენ და წამოიყვანდნენ ხოლმე. არ იყო აუცილებელი, რომ თამადა ოჯახის მოვარე, მისი სამოს წარმომადგენელი ყოფილიყო.

თამადას სვანეთში და ასევე ქიზიყში, ამოურჩევდნენ რამდენიმე მოადგილეს. პირველი მოადგილე აუცილებლად უნდა ყოფილიყო ვაჟის სახლში პატარძლის მხრიდან, ქალის სახლში კი სიძის მხრიდან. მოადგილეს სვანურად მერამე მარე (მეორე კაცი) ერქვა.

¹⁹ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 88.

²⁰ იქვე, გვ. 89.

თამადა დღეგრძელობისათვის მადლობას მოიხდოდა და დაიწყებდა სუფრის წარმართვას, იტყოდა მშვიდობის (შვიდბანაშვიდები) და შემდეგ ნეფე-პატარძლის სადღეგრძელოს. ამას მოყვებოდა ნეფე-პატარძლის ოჯახების, მშობლების საქმეების და სხვათა სადღეგრძელოები.

აუცილებლად ითქმებოდა მიცვალებულთა შესანდობარი — ლაშუნდობარ. ჩვეულებრივ სუფრაზე მას მეოთხედ იტყოდნენ ხოლმე, წმ. გიორგის სადღეგრძელოს შემდეგ. ქიზიყში მნიშვნელობა არ ჰქონდა, რიგით რომელი იქნებოდა იგი.

ცალკე სადღეგრძელოდ ითქმებოდა აუცილებლად ქორწილში მოსულ სტუმართა-დამფასებელთა — მულგვენი მარე — სადღეგრძელო.

ბოლოსწინა სადღეგრძელოს მოადგილე იტყოდა ხოლმე, ეს იყო თამადის სადღეგრძელო.

სუფრა მთავრდებოდა ლაცხამ-ლაქამ — მატების სადღეგრძელოთი: „ლამარიავ ზაცხმუნე ალ ოჯახსი ნაი გუშგვეი ოჯახარს (ლამარიას შემწეობით ზრდამატება ყოფილიყოს ამ ოჯახში და ჩვენს ოჯახებში).“

სუფრის მიმდინარეობისას სადღეგრძელოების მიხედვით განსხვავებული იყო ალავერდი (ლიბვაში). პირველი სამი სადღეგრძელოს დროს, ოჯახის უფროსი, რომელიც იწყებდა სუფრას, ალავერდს გადადიოდა მის მარჯვენა მხარეს მჯდომ კაცთან და ასე მიყვებოდა მარჯვნივ სუფრის ბოლომდე. ამ დროს ალავერდის დარღვევა არ შეიძლებოდა. ხოლო სხვა სადღეგრძელოებისას ალავერდის გადასვლა თავისუფალი იყო, ოღონდ მოალავერდეებს შორის სმაში ჩვეულებრივად ჯიბრი იწყებოდა. საერთოდ მოალავერდე კაცის გამოცვლა არ იყო მიღებული.

რაც შეეხება სასმელს და სასმისებს — აქაც საკმაო მრავალფეროვნებაა. სასმელი პირველი სამი სადღეგრძელოს დროს, ნეფე-პატარძლის სადღეგრძელოსა და კიდევ ასეთი მნიშვნელოვანი სადღეგრძელოს შესმისას აუცილებლად უნდა ყოფილიყო ორნახადი ან ნათავედი არაყი.

სასმისები მრავალფეროვანი იყო: სხვადასხვა ზომის ყანწი — (ქარახს) და კათხა, დიდი ჯამი. პირველი სამი სადღეგრძელო პატარა ყანწებით ისმებოდა.

თითოეული სადღეგრძელოს შემდეგ მღეროდნენ შესაფერის სიმღერებს. უმთავრესი იყო ლილე და ლაგუშედა (შეგვეწიოს). საერთოდ სვანური სუფრა გამორჩეულია სიმღერების და ფერხულების შესრულების სიმრავლით.

რამდენიმე სიტყვა თვით სიტყვა სადღეგრძელოს სვანურ შესატყვისის — ლამზგრწალ-ის შესახებ. საერთოდ ამ სიტყვას, მგმზრალ-ს, ლემზირ-ს, მმზირ-ის ერთი საფუძველი აქვს შინაარსობრივადაც და გრამატიკულადაც. ლიმზირი ნიშნავს ლოცვას, ლემზირ — სარიტუალო, სალოცავ პურს, მმზირ — პირი, რომელიც სალოცავად მოიტანს შესაწირს და ილოცებს (მლოცველი), ლამზრალ — სადღეგრძელო — დასალოცი, ლიმზგრწალი — დღეგრძელობა (დალოცვა), მმზგრალი — მადღეგრძელებელი (კაცი, რომელიც სადღეგრძელოს ამბობს, დამლოცველი).

მელახის სუფრა

(გარდაცვალებიდან დასაფლავების ჩათვლით)

არანაკლებ საინტერესო და მრავალფეროვანია მიცვალებულთა დაკავშირებული სუფრა. დღიდან გარდაცვალებისა, მთელი სოფელი მონაწილეობდა და-

წესებულ რიტუალებში. სოფლის უმთავრესი მოვალეობა მიცვალებულის ოჯახისადმი დახმარებაა. სოფელი დაიყოფოდა უბნებად და ერთი უბანი ერთ ღამეს ემსახურებოდა გარდაცვალებულის ოჯახს მის მიერვე მიტანილი საკურთხით (სასმელ-საჭმლით).

მიცვალებულის თავთან კეთდებოდა საკურთხი სუფრა ლაფანა ტაბაგ-ელაგა, ხილი, სასმელი, ჭიჭით ხორბლის მარცვლები და ენთო სანთელი. ჭიჭი-ყისაგან განსხვავებით, სადაც მიცვალებულისათვის განკუთვნილ ტაბლაზე ყველაფერს დებდნენ ღორისა და თხის ხორცის გარდა, სვანეთში მიცვალებულთან დაკავშირებული სუფრა და დაკრძალვის სუფრა აუცილებლად სამარხვო უნდა ყოფილიყო.

დასაფლავების დღისთვის მზადდებოდა ყველაფერი, რაც შესაძლებელი იყო მარხვის პირობებში, შექამანდი, მცენარეული ფხალები და სასმელი. იშლებოდა გრძელი სუფრები, მწკრივებად. სუფრის გასაწყობი სამუშაოები განაწილებული იყო თანასოფლელებს შორის.

დაკრძალვის დღეს ამ ოჯახის უახლოესი ადამიანები მოიტანდნენ საკურთხის ტაბლას, რომელსაც „უჩას“ უწოდებდნენ. ეს იყო ჩვეულებრივი სამარხულო შექამანდი, პურითა და 1—2 — ლერქვაშ არაყით (1 ლერქვაშ=4 ლიტრა). თუ მრავალნათესავიანი იქნებოდა ეს ოჯახი, დიდი რაოდენობით გაიშლებოდა ასეთი სუფრები. ამ ტაბლებთან თვითონ ტაბლის პატრონი უმასპინძლებოდა სტუმრებს. ეს მიცვალებულის გასტუმრებამდე ხდებოდა.

მთელ სოფელს ამ დღეს მოჰქონდა თითოს 20 ცალი პური გარდაცვალებულის ოჯახში. ამ პურს ტგტა დიარს უძახიან დღესაც, რაც სიტყვა-სიტყვით ნაცრის პურებს ნიშნავს (ტგტ) — ნაცარი, დიარ — პური).

მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ სპეციალურად გამოყოფილი რამდენიმე ადამიანი სასაფლაოდან სტუმრებს სახლში დააბრუნებდა შესანდობარის შესასმელად.

ამ სუფრაზე აღრე თამადას არ ირჩევდნენ, საერთოდ თამადა არ ჰქონდებოდა ქელების სუფრას, ხალხი თვითონ სვამდა მიცვალებულის შესანდობარს. ზოგი მხოლოდ ერთ ჭიქას დალევდა, ზოგი ცოტასაც ვააგრძელებდა და მოიხსენიებდნენ ჯერ ამ ოჯახის წინაპრებს (სხვა გარდაცვლილებს), შემდეგ მთელი სოფლის წინაპრებს და ა. შ. ამ სუფრაზე დიდი ყანწები და კათხები საერთოდ არ იყო. სამაგიეროდ იყო დიდი ხის ჯამები (კარვალ, ბარქაშ). საერთოდ ქელებში არავინ არ თვრებოდა, ეს ძალიან დიდ სირცხვილად ითვლებოდა. მით უმეტეს, თუ გარდაცვალებული ახალგაზრდა იყო.

დასაფლავების დღეს ოჯახი აკეთებდა სპეციალურ სარიტუალო პურს — ქაბაბ, რომელიც სხვა დროს არასოდეს არ ცხვებოდა. ქაბაბი იყო მრგვალი, დიდი ზომის პური, გვერდებზე უკეთდებოდა ორნამენტები. ორნამენტების გამოსახულება მოხრობლებს არ ახსოვთ. ქაბაბი ორივე მხრიდან ცხვებოდა. მისი რაოდენობა შეესაბამებოდა სოფლის მცხოვრებლების რაოდენობას და დასაფლავებაზე მოსულ ხალხს სახლში ატანდნენ იმდენ ცალ ქაბაბს, რამდენი სულიც იყო ოჯახში. ამ პურის გამოცხობა ყველა ოჯახს არ შეეძლო, რადგან ძალიან ბევრი ფქვილი ჰქონდებოდა, თან უკეთესი იყო თუ რამდენიმე წლის წინანდელი ფქვილისგან გამოცხვებოდა. რაც უფრო დიდი ზომის იქნებოდა ეს პური, მით უფრო მეტი სახელი იყო მიცვალებულის ოჯახისათვის.

ქიზიყში დასაფლავების დღეს სამარხულ სუფრა არ იცოდნენ. ამ დღეს იკვებოდა საკლავი, სუფრაზე იყო ყველაფერი, რაც ხსნილის დროს არის შესაძლებელი. ერთადერთი, რაც განასხვავებდა ქელეხის სუფრას ლხინის სუფრისაგან, ეს იყო ღორის ხორცი, რომელიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო ქელეხის სუფრაზე და ჩილაფლავი*, რაც ლხინის სუფრაზე არ იყო.

ქელეხის სუფრას ქიზიყში ჩვეულებრივად ურჩევდნენ თამადას, რომელიც პირველად მიცვალებულის შესანდობარს იტყოდა, შემდეგ წინაპრების და ასე მიყვებოდნენ. შემდეგ ოჯახს აღდგერძებდნენ და ამით ამთავრებდნენ სუფრას.

წარმოდგენილი მასალების, წყაროებისა და ლიტერატურული მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ სვანური სუფრა არის ერთიანი, ზოგად ქართული სუფრის ერთ-ერთი, მეტ-ნაკლებად თავისებური სახე. ეს ლოკალური თავისებურება უმთავრესად მისი არქაულობით არის გამოხატული — შემონახულია სხვაგან მივიწყებული, ან სხვა წესებთან შერწყმული ელემენტები, რომელთა საფუძვლიანი შესწავლა ნათელს მოჰფენს ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის, აგრეთვე სოციალური ურთიერთობის მრავალ საინტერესო საკითხს.

სვანური სუფრა მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ელემენტია საერთო სვანური საზოგადოებრივი და ყოფითი ურთიერთობისა. მას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო რიტუალების შესრულებისას, არამედ ჩვეულებრივი ოჯახური ცხოვრების დროსაც. სუფრა ოჯახში არის ერთ-ერთი ძლიერი აღმზრდელი ფუნქციის მქონე — სუფრასთან ყალიბდება ურთიერთობა უფროსებსა და უმცროსებს შორის, მოკრძალება არა მარტო ქორა მახვშის მიმართ, არამედ საერთოდ უფროსების მიმართ. ბავშვების ცალკე სუფრასთან დასხდომა, პურის ჭამის დროს აუცილებელი წესრიგი და სიჩუმე, რაც განსაკუთრებით უმცროსებს მოეთხოვებოდათ, თავისთავად აყალიბებს უფროსებისადმი მოკრძალებისა და პატივისცემის განწყობას. მოზარდის დიდ სუფრასთან გადაყვანა უკვე ნიშნავდა მის, როგორც ოჯახის სრულუფლებიანი წევრის, აღიარებას, რაც მორალურად მასში გარკვეულ პასუხისმგებლობასა და თვითდაჯერებას იწვევდა. ე. ი. ოჯახში — ყველაზე გამოხატულად სუფრასთან შედიოდა უფრო ფართო საზოგადოებაში (სოფელი, თემი...).

ქიზიყის მასალებთან შედარებამ რამდენიმე განსხვავება გამოაჩინა, რომელთა შორის უმთავრესია ქელეხის დროს მარხული და ხსნილი სუფრების გაშლა. სვანეთში, მიუხედავად იმისა იყო თუ არა მარხვის პერიოდი დასაფლავების დღეს მაინც სამარხულ საკმელები კეთდებოდა მხოლოდ და მხოლოდ და არასოდეს ყოფილა მიღებული საკლავის დაკვლა. ქიზიყში კი, თუ მარხვა არ არის, ქელეხის სუფრა ჩვეულებრივად ხსნილია.

მეორე განსხვავება, ეს არის ურთიერთობა მიცვალებულის ოჯახსა და სოფელს შორის. დამწუხრებულ ოჯახს მთელი სოფელი ეხმარება, უკეთებს ყველა საქმეს, რაც ოჯახს სჭირდება (მაგ., მოუტანს შეშას, გამოუხდის არაყს, დაუცხობს პურს და ა. შ.) ქიზიყში კი ასეთ დახმარებას საერთოდ აღვილი არ ჰქონია.

* ქიზიყში შილა-ფლავს ჩილაფლავს უძახიან.

ამას გარდა, სვანეთში მთელ სოფელს მიაქვს საჭმელ-სასმელი — საკურთხი. ყოველ ღამე დაკრძალვამდე, დაკრძალვის დღეს ახლო ნათესავები კი პირდაპირ თავიანთი სუფრებით მოდიან და ისე უმასპინძლდებიან ოჯახის სტუმრებს (უჩა).

ქიზიყში ქელეხში აუცილებლად ირჩევდნენ თამადას, სვანეთში კი ეს ადრე არ იყო მიღებული.

სვანური სუფრა, როგორც ქიზიყურისაგან, ასევე სხვა კუთხეების სუფრისაგან განსხვავდება არქაულობითა და მტკიცედ განსაზღვრული წესითა და რიგით. დანარჩენი ძირეული ელემენტები ერთნაირადაა წარმოდგენილი.

გამომდინარე აქედან, სვანური სუფრა, რომელშიც ჰარმონიულადაა შერწყმული ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის ელემენტები, არის საოცრად ორიგინალური და დახვეწილი. მასში მშვენივრადაა გამოხატული ადამიანთა დამოკიდებულება სამყაროსთან, რელიგიასთან, ერის წარსულსა და აწმყოსთან. ასევე, ნათლადაა წარმოჩენილი ადამიანთა შორის არსებული მეტად დახვეწილი ურთიერთობები.

Х. А. ИОСЕЛИАНИ

ТРАДИЦИОННОЕ СВАНСКОЕ ЗАСТОЛЬЕ

Резюме

Сванское застолье со всеми своими обычаями и компонентами является разновидностью общегрузинского застолья, в котором сохранены архаические черты, раньше характерные для всей Грузии. Например, для мужчин, женщин и детей столы накрывались отдельно; как следует из источников («Мученичество святой Шушаники», Жан Шарден, Арх. Ламберти). Раньше этот обычай был распространен во всей Грузии.

Для сванского застолья характерна строго определенная система тостов, ярко выражены институты «тамады», ее заместителей и «мерикифе». Весьма интересно поминальное застолье; близкие приносили столы (обязательно постные) — «уча» и угощали гостей (до похорон).

Сванское застолье содержит в себе такие элементы бытовой и религиозной культуры, анализ которых частично освещает многие грузинские обычаи.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებამ

ადიზარ ხოზარია-ბროსე

კვლავ „საყდრისშვილების“ ინსტიტუტის თავისებურებისათვის
საქართველოს მთავრი და მთის საზოგადოების ბუნების საკითხი

შუა საუკუნეების საქართველოს მთის საზოგადოების ბუნების ახსნის და ბარის საზოგადოებისაგან მისი განსხვავების, ანუ სპეციფიური წიშნების დადგენის საქმეში არსებითია ე. წ. „საყდრისშვილების“ ინსტიტუტის არსი გაჩვენება. ეს ინსტიტუტი, როგორც საეკლესიო-სატაძრო კორპორაცია, არსებობდა საქართველოს ბარშიც და მთაშიც. თუმცა ბარის „საყდრისშვილების“ პრობლემა მონოგრაფიულად არ არის შესწავლილი, მაგრამ ამ ინსტიტუტის შესახებ არსებობს მეტად საყურადღებო დაკვირვებანი, რომელნიც ეკუთვნის ივ. ჭავჭავაძის, ს. ჭანაშვიას, ნ. ბერძენიშვილს, ქ. შარაშიძეს, ბ. ლომინაძეს. რაც შეეხება „საყდრისშვილთა“ ინსტიტუტს მთაში, ქრ. შარაშიძემ მას საგანგებო გამოკვლევა და დოკუმენტების პუბლიკაციაც უძღვნა. კერძოდ, მან თავისი შესწავლის საგნად გაიხადა გერგეტელ „საყდრისშვილებთან“ დაკავშირებული საბუთები და მეტად საყურადღებო ზოგადი ხასიათის დასკვნებიც გააკეთა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სვანეთის საბუთებში მოხსენიებულმა „საყდრისშვილებმა“ მიიქცია მ. ბერძენიშვილისა და გ. გასვიანის ყურადღება, მაგრამ ორივე მკვლევარი სვანეთის „საყდრისშვილებს“ სვანეთის თემთან ანუ ქვეთან აიგივებდა, ე. ი. „საყდრისშვილებს“ რიგით მეთემეზად მიიჩნევდა. გ. გასვიანი, კერძოდ, სეტის მცხოვრებთა შორის აზნაურებსა და გლეხებს გარდა „საყდრის შვილებს“ ცალკე არსებულ ფენად თუ წრედაც მიიჩნევდა. ამასთანავე იგი ერთ-ერთ სვანურ საბუთს განიხილავდა, როგორც „მულახ-მუყაღის“ „კვეთა“ ანუ „საყდრის შვილთა“ ერთობლივი მოქმედების შესახებ დაწერილ „საერთბროს“¹. აქ, როგორც ვხედავთ, „კვეი“ და „საყდრისშვილნი“ გაიგივებულნი არიან. ამავე თვალსაზრისზე იდგა გ. მამულაიაც, რომელიც წერდა: „სრულიად სვანეთის კევის“ მოსახლენი — „სრულიად სუანნი“ — სეტის მთავარმოწყამის საყდრისშვილები იყენენ“¹.

მთელი ეს ლიტერატურა (გარდა გ. გასვიანის წიგნისა) ჩვენ მიმოვიხილეთ წერილში: „საყდრისშვილობის“ ინსტიტუტის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოს მთაში“². აქ გერგეტელ საყდრისშვილთა მდგომარეობისა და რო-

¹ მ. ბერძენიშვილი, სვანური დოკუმენტები, როგორც წყარო XIV—XV საუკუნეების სვანეთის სოციალური ისტორიისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, 11, თბ., 1968, გვ. 114; გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 53, 136; გ. მამულაია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979, გვ. 64 და აგრეთვე გვ. 37.

² გამოქვეყნდა კრებულში: „საქართველო და აღმოსავლეთი“, თბ., 1984, (მიძღვნა შ. მესხიას) და ჩვენ წიგნში: „ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები“, თბ., 1984.

8. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1992, № 4.

ლის შესახებ ქრ. შარაშიძის დაკვირვებების გათვალისწინებით და მათზე დაყრდნობით განვიხილეთ ცხრაძმისხევის „საყდრისშვილთა“ საკითხი „ძველი ერისთავთა“ მონაცემების საფუძველზე (რასაც ადრე შეეხო ს. ჯანაშია) და ანალოგიური ინსტიტუტი დავადასტურეთ სვანეთშიც, პ. ინგოროყვას მიერ გამოქვეყნებული სვანური დოკუმენტების მიხედვით. ჩატარებული კვლევის შედეგად ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ საქართველოს მთის სხვადასხვა რეგიონში (სვანეთში, ცხრაძმისხევსა და კვეში) „საყდრისშვილთა“ ინსტიტუტი ანალოგიური ნიშნებით ხასიათდება, რაც იქაური საზოგადოების მეტ-ნაკლებ მსგავსებაზე მეტყველებს. ამასთანავე, მთის „საყდრისშვილთა“ მდგომარეობის სპეციფიურობის შესახებ ჩვენ აღვნიშნავდით: „განსხვავება „საყდრისშვილობის“ ინსტიტუტში ბარისა და მთის პირობებში გამოიხატებოდა იმაში, რომ თუ კი ბარში ეს კორპორაცია მთლიანად იყო გამიჯნული მწარმოებელი საზოგადოებისაგან — გლეხობისაგან, როგორც გაბატონებული ფეოდალური სოციალური ფენა და აქ ცნება „ეკლესიის (მონასტრის) გლეხი“ მხოლოდ იურიდიულ კუთვნილებას გამოხატავდა, მთაში „საყდრისშვილიც“ და „საყდრის კაციც“ ერთი სატაძრო თემის წევრები იყვნენ. და თუ კი ბარში „საყდრისშვილები“ (საეკლესიო აზნაურ-მოხელენი) ეწოდნენ ეკლესიის გლეხების, როგორც საეკლესიო კორპორაციისადმი სოციალურად მკვეთრად დაპირისპირებული მწარმოებელი საზოგადოების ექსპლუატაციას, მთაში ადგილი ჰქონდა თემის რიგითი წევრების ექსპლუატაციას თემის შიგნითვე გამოყოფილი სატაძრო კორპორაციის მხრივ. ცხადია, ამაზე იყო დამოკიდებული ექსპლუატაციის ხასიათიც და ხარისხიც. აქ იგი არსებითად ვერ გასცდა ადრეფეოდალურ ურთიერთობას“³. ე. ი. მთაში „საყდრისშვილები“ წარმოადგენდნენ დაწინაურებულ, პრივილეგირებულ კორპორაციას, მაგრამ ისინი რიგით მეთემეებთან ერთად სატაძრო თემის წევრები იყვნენ, განსხვავებით ბარის „საყდრისშვილებისაგან“, რომელნიც კმნიდნენ სოციალურად გაბატონებულ კორპორაციას, კლასობრივად მკვეთრად დაპირისპირებულს მწარმოებელ საზოგადოებისადმი — გლეხობისადმი. უკანასკნელნი მხოლოდ ეკლესიის კუთვნილებად და მრევლად ითვლებოდნენ.

ჩვენი ზემოთაღნიშნული წერილის გამოსვლის შემდეგ მთაში „საყდრისშვილობის“ ინსტიტუტის გაგება სპეციალურ ლიტერატურაში არსებითად იცვლება. ასე მაგალითად, გ. მამულია კვლავ დაუბრუნდა სვანეთის „საყდრისშვილების“ საკითხს, მაგრამ ამჯერად შეეხო გერგეტელ „საყდრისშვილთა“ შესახებ ქ. შარაშიძის მიერ შესწავლილ მთელ მასალასაც.

გ. მამულიას მოპყავს მთისა და ბარის „საყდრისშვილთა“ მდგომარეობისა და მათ შორის სხვაობის შესახებ ჩვენს მიერ გაკეთებული ზემოთმოტანილი დასკვნაც და უკვე აღარ აიგივებს „საყდრისშვილებს“ მთის მთელ საზოგადოებასთან (თემთან, კვეთან). ამასთან ამ ინსტიტუტს იგი მთაში ცენტრალური სამეფო ხელისუფლების მიერ დანერგულად მიიჩნევს. ქ. შარაშიძის მიერ გერგეტელ „საყდრისშვილთა“ შესახებ გამოქვეყნებული მასალის საფუძველზე გ. მამულია ასკვნის: „გერგეტელ „საყდრისშვილთა“ შესახებ შემონახული

³ ე. ხოშტარია-ბროსე, ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები, თბ., 1989, გვ. 122.

ცნობები სრულიად გარკვევით მიგვიჩვენებენ, რომ რიგით მეთემეებთან შედარებით „საყდრისშვილები“ აღზევებულნი იყვნენ. მაგრამ ამავე დროს იმავე ცნობებიდან უცილობლად ჩანს, რომ გერგეტელ „საყდრისშვილთა“ აღზევების წყარო არა ხევის შინაგანი სოციალური დიფერენციაცია იყო, არამედ სამეფო ხელისუფლება, რომელიც გერგეტელ „საყდრისშვილთა“ საშუალებით ხევის მართვა-გამგეობას ახორციელებდა და ამის გამოც, მათ სისხლის ფასი გაუსამკეცა თემის დანარჩენ რიგით წევრებთან შედარებით“ ...„სისხლის ფასის გასამკეცება გერგეტელ „საყდრისშვილთა“ სოციალურ ბუნებას არ ცვლიდა, — სოციალურად გერგეტელი „საყდრისშვილები“ ერისგან-მეთემეები რჩებოდნენ, რომელთა აღზევება მეფის მიერ ნაბოძებმა ხელმა განაპირობა“. ქვემოთ კი, სვანური დოკუმენტების მოტანის შემდეგ, ავტორი ასკვნის: „მაშასადამე, მთის „საყდრისშვილინი“ აღზევებულნი „ერისგანნი“, ანუ აღზევებულნი მეთემენი არიან, რომელნიც რიგით მეთემესა და აზნაურს შორის მოექცნენ“⁴.

მთის „საყდრისშვილები“ რომ აღზევებული ერისგანნი არიან, ეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მაგრამ, ვფიქრობთ, მათი აღზევება, პირველ რიგში, მთის საზოგადოების შინაგანი განვითარების შედეგი იყო და არა სამეფო ხელისუფლების მიერ ხელოვნურად დანერგილი მოვლენა. „სამეფო ხელისუფლება მთაში „საყდრისშვილების“ ინსტიტუტს ქმნიდა მთურ საზოგადოებათა დასაქვემდებარებლად“, — წერს გ. მამულია⁵. სინამდვილეში სამეფო ხელისუფლება კი არ ქმნიდა ამ ინსტიტუტს მთაში, არამედ იყენებდა მას თავის მიზნებისათვის და ხელს უწყობდა კიდევ მის განმტკიცებას, თუნდაც სისხლის ფასის სხვაობის დაკანონებით. ამასთან, არაფრით არ დასტურდება, რომ „საყდრისშვილები“ რიგით მეთემეთა და აზნაურთა შორის მოქცეული ცალკე ფენა იყო. მთის საზოგადოებაში არ არსებობდა ასეთი რთული გრადაციის პირობები. მთის „აზნაურები“ სწორედ როგორც „საყდრისშვილები“ უპირისპირდებოდნენ დანარჩენ მეთემეებს.

ამასთან, გ. მამულია მთაში „საყდრისშვილთა“ ინსტიტუტის დროთა ვითარებაში მოსპობას გულისხმობს. იგი წერს: „საყდრისშვილინი“ გააზნაურების გზაზე მდგარი აღზევებული მეთემენი იყვნენ. ჩვენ მიერ განხილულ საბუთებში მოხსენიებული „საყდრისშვილინი“ XIV—XVI საუკუნეების საქართველოში სამეფო ხელისუფლების დასუსტების გამო სოციალური დამცობისაკენ მიექანებოდნენ, იმისდა მიუხედავად, რომ მათ ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონდათ „საყდრისშვილობისათვის“ დამახასიათებელი სოციალური ნიშნები, სამეფო ხელისუფლების შემდგომმა დასუსტებამ საბოლოოდ მოშალა „საყდრისშვილობის“ ინსტიტუტი ხევშიც და სვანეთშიც“⁶.

ვფიქრობთ, მთის „საყდრისშვილების“ სამეფო ხელისუფლების უბრალო მოხელეებად განხილვა მართებული არ უნდა იყოს, ხოლო მათი მდგომარეობა ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების პირობებში გაპირობებული იყო სატაძრო თემის როლისა და ფუნქციების გამოცოცხლებით იქ, სადაც ფეოდალიზაციის პროცესი ფერხდება (სვანეთში), ან ფეოდალიზაციის პროცესში

⁴ გ. მამულია, პატრონჟომა, თბ., 1987, გვ. 155, 156, 158.

⁵ იქვე, გვ. 164.

⁶ იქვე, გვ. 164—165.

ჩართვით, სადაც ფეოდალური ძალები იმარჯვებენ (ქსნის ხეობა)⁷. მაგრამ, ქსნის ხეობაში ქვენიფნეველთა გაერისთავება ანდა საერთოდ აქ ერისთავობის ინსტიტუტის გაჩენა სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მთაში „ერისთავობის საყდრისშვილობიდან ამოზრდა“ თუ „საყდრისშვილობის“ ერისთავობაში გადაზრდა“ საყოველთაო პროცესი იყო, ე. ი. თითქოს ყველგან ხდებოდა „საყდრისშვილთა“ გააზნაურება და ამასთან გაერისთავებაც, ანდა „უფროსი“ „საყდრისშვილები“ ერთმნიშვნელოვნად აზნაურ-ერისთავობას აღწევენ, როგორც ეს გ. მამულიას წარმოუდგენია⁸. ვფიქრობთ, „საყდრისშვილთა“ გააზნაურება ფეოდალიზაციის ბუნებრივი შედეგი იყო მთლიანად მთაში, ხოლო ერისთავობის გაჩენა უკვე კონკრეტული ვითარებით იყო გაპირობებული იქ, სადაც ეს მოხდა (კერძოდ ცხრაძმისხევში). აქ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ მთის „აზნაურები“ სოციალურად არ იყვნენ ბარის აზნაურების ტოლფასნი, ისევე მთის საზოგადოების სპეციფიურობის გამო, თუმცა იქაც პრივილეგიებულ წრეს შეადგენდნენ. ნიშანდობლივია, რომ ცხრაძმისხევში ქვენიფნეველთა გაერისთავება ხდებდა ჯერ მათი „აზნაურთა“ — იმავე „საყდრისშვილთა“ წრეში მიღების შედეგად „ერის“ ნებით, ე. ი. სატაძრო თემის გადაწყვეტილებით. ეს კი არსებითად განასხვავებს აქაურ აზნაურებს ბარის აზნაურებისაგან, როგორც უშუალო მწარმოებელთაგან კლასობრივადაც რადიკალურად გამიჯნულ კორპორაციისაგან.

„საყდრისშვილობის“ ინსტიტუტს საგანგებო წერილში შეეხო ჯ. გვასალიაც. აქ მას საერთოდ არ გაუთვალისწინებია საკითხის ირგვლივ გ. მამულიას შემოთმობიანი და სხვა მოსაზრებები, და, ფაქტიურად არც ჩვენი წერილი აქვს გამოყენებული (იგი ლიტერატურის სიაშიც კი არ შეუტანია), თუმცა კი იცნობს მას და თავის წერილს ბოლოში ასახელებს, როგორც „მეტად საინტერესო ნაშრომს“, მაგრამ თვლის, რომ „სევანურ საყდრისშვილობას ჯერ კიდევ უნდა შესწავლა-დაკვირვება“. მისი აზრით, „სევანეთში საყდრისშვილობა“ სოციალური სტატუსის თვალსაზრისით უფრო გაურკვეველი ინსტიტუტია, ვიდრე ანალოგიური ინსტიტუტი აღმოსავლეთ საქართველოში. ზოგიერთი საბუთის მიხედვით, იგი თითქოს უფრო აზლოს დგას გერგეტელ „საყდრისშვილობასთან“, ხოლო სხვა საბუთების მიხედვით — ლარგვისელ „საყდრისშვილობასთან“⁹.

საქმე ისაა, რომ ჯ. გვასალიას საფუძვლიანად რომ შეესწავლა სათანადო მასალა სევანეთიდან (იგი პირდაპირ წერს, რომ სევანეთის „საყდრისშვილობის“ საკითხს არ ეხება), ან გაეთვალისწინებინა უკვე არსებული შემოთ დასახელებული ლიტერატურა, უთუოდ აღარ გააკეთებდა მოტიანი დასკვნებს არც სევანეთის „საყდრისშვილობაზე“ და არც ამ ინსტიტუტზე საერთოდ, რადგან სევანური და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მასალა ავსებს ერთმანეთს და, ჩვენი აზრით, სავსებით სწორი საერთო სურათის შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

⁷ იხ. „ძველი ერისთავთა“ ზოგიერთი რეალის გავებისათვის“, ჩვენ წიგნში: ე. ხოშტარია-ბროსე, ფეოდალური ხანის საქართველოს მთის და ბარის ურთიერთობის საკითხები, თბ., 1984.

⁸ გ. მამულია, დასახ. ნაშრ., გვ. 165—166.

⁹ ჯ. გვასალია, „საყდრისშვილობის“ ინსტიტუტის საკითხისათვის. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 283, 1989, გვ. 162 (იგივე ტექსტი შევიდა წიგნში: Д. Гвасалия, Историческая география Восточной Грузии (Шидა Каргли), Тб., 1991, стр. 147—153).



ჯ. გვასალიამ მთავარი მნიშვნელობა მიანიჭა მთის ცალკეული რეგიონების „საყდრისშვილთა“ გამანსხვავებელ ნიუანსებს და მათი სტატუსის განსაზღვრისას მხედველობიდან გაუშვა ჩვენ მიერ შენიშნული არსებითი მახასიათებელი — ის, რომ მთაში ყველგან „საყდრისშვილები“ თემის შიგნითვე, მის შემადგენლობაში წარმოქმნილი და არსებული პრივილეგირებული სატაძრო კორპორაცია იყო, განსხვავებით ბარის „საყდრისშვილებისაგან“, რომელნიც მწარმოებელი მოსახლეობის დანარჩენი მასისაგან გამოცალკევებულ, კლასობრივად მკვეთრად დაპირისპირებულ საეკლესიო აზნაურთა კორპორაციის ქმნიდნენ. ასე, რომ შესაძლებელია გერგეტელი „საყდრისშვილები“ ჯევის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამო კიდევ სხვაობდნენ ცხრაზმისხვევლები: საგან, მაგრამ პრინციპული ხასიათის განსხვავება მათ შორის არ არსებობდა, ორივენი სატაძრო თემში დაწინაურებული, პრივილეგირებული სოციალური ჯგუფი იყო. ამდენად, მცდარია მტკიცება, თითქოს „გერგეტელი“ „საყდრისშვილები“ მთავარ თავისებურებას შეადგენდა ის, რომ „საყდრისშვილებად“ იყვნენ არა ცალკეული პირები ან მოსახლეობის ჯგუფი, არამედ მთელი სოფელი, უფრო ზუსტად, სასოფლო თემი¹⁰. სხვა არა იყოს რა გერგეტელ „საყდრისშვილთა“ სისხლი ხომ დანარჩენ მეთემეებთან შედარებით სამჯერ მეტად ფასობდა და ეს უკანასკნელი პირველთა მიმართ მეტეგრეებადაც გამოდიოდნენ, რაც დიდი ხანია ნათლად აჩვენა ქრ. შარაშიძემ. „საყდრისშვილების“ მთელ თემთან გაიგივება ამ ინსტიტუტის არსის აღრინდელ, არასწორ გაგებაზეა დამყარებული.

ჯ. გვასალია ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ „საყდრისშვილობის“ ინსტიტუტი არ გვხვდება არაგვის ხეობაში, რასაც იმით ხსნის, რომ ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გამო თითქოს არაგვის ხეობა სოციალურ-ეკონომიკურად უფრო ჩამორჩენილი იყო. ვფიქრობთ, ის რომ არაგვის ხეობიდან არ შემორჩა ცნობები ამ ინსტიტუტის შესახებ, არ ნიშნავს მის არ-არსებობას, მით უმეტეს, რომ მიუხედავად გეოგრაფიული პირობების გარკვეული თავისებურებისა, არაგვის ხეობის და ქსნის ხეობის საზოგადოებათა განვითარება ძირითადად ერთნაირი იყო, და ორივეგან მივიღეთ გვიანშუასაუკუნეების ფეოდალური საერისთავოები — ქსნისა და არაგვისა. ამასთან, თუ კი ჯევის ბუნებრივმა პირობებმა მოგვცა „საყდრისშვილთა“ ინსტიტუტის ჩამოყალიბების შესაძლებლობა, ასეთი რამ გამორიცხული არ იქნებოდა არაგვის ხეობაშიც.

მთის „საყდრისშვილთა“ საკითხს ბოლო დრომდე არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა. კერძოდ, სვანეთის „საყდრისშვილებს“ კვლავ მიუბრუნდა გ. გასვიანი და განიხილა ისინი როგორც სვანეთის საზოგადოების პრივილეგირებული წრე — „აზნაურები“, რომელნიც „ყველა ნიშნის მიხედვით ერისთავ-მეფეთა დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ“. აქ ცენტრალური ხელისუფლების ძლიერების ხანა იგულისხმება. უკანასკნელის დასუსტების პირობებში „საყდრისშვილები“ ეკლესიის გარშემო ერთიანდებიან, როგორც პრივილეგირებული კორპორაცია¹¹.

აღნიშნული საკვებით სწორია, ოღონდ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს კორპორაცია მთაში და, კერძოდ, სვანეთში, როგორც უკვე არაერთგზის

¹⁰ ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრ., გვ. 161.

¹¹ გ. გასვიანი, ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან, თბ., 1991, გვ. 80—83.

ითქვა, თვით სატაძრო თემის შიგნით არსებობდა, განსხვავებით ბარისაგან, სადაც „საყდრისშვილები“, როგორც სატაძრო კორპორაცია, მოსახლეობის დანარჩენი მასისაგან (გლეხობისაგან) კლასობრივად მკვეთრად იყვნენ გამიჯნულნი. ამდენად, ბარის „საყდრისშვილები“ („მცხეთისშვილები“) და მთის „საყდრისშვილები“ („გერგეტის საყდრისშვილები“) არსებითად ერთი და იმავე მნიშვნელობის ინსტიტუტად ჩვენ არ წარმოგვიდგება, როგორც ეს გ. ვასვიანის მიხედვით შეიძლება ეგონოს მკითხველს და არც ბ. ლომინაძის მსჯელობა გულისხმობს ერთმნიშვნელოვნად ბარის და მთის „საყდრისშვილთა“ ინსტიტუტს. იგი მხოლოდ ბარის საყდრისშვილების სტატუსს ეხება. აღნიშნული ნიუანსის გათვალისწინება კი, უდავოდ, ძალზე მნიშვნელოვანია მთის საზოგადოების სოციალური განვითარების არსისა და დონის დასადგენად.

ვინაიდან მთის „საყდრისშვილთა“ პრობლემა, მათი „ერიდან“, „ეროვანთაგან“ აღზევება და შემდგომში ბედ-იღბალი მჭიდროდაა დაკავშირებული საერთოდ მთის საზოგადოების ბუნებისა და განვითარების საკითხთან, ქვემოთ შევეხებით ამ პროცესის ძირითად ნიშნებს და ეტაპებს ისტორიოგრაფიის გათვალისწინებით, მით უმეტეს, რომ საქართველოს მთის რეგიონების საზოგადოების რაობის, მისი ბუნების შესახებ ბევრი დაწერილა, მაგრამ ბევრი რამ კამათს იწვევს და შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს¹².

როგორი იყო ის გზა, რომელიც მთის საზოგადოებამ გავლო გვაროვნული წყობილებიდან გამოსვლის შემდეგ?

ცნობილია ს. ჯანაშიასეული ანალიზი სტრაბონის ცნობისა ძვ. წ. II—I სს. სვანეთის შესახებ (300 კაცისაგან შემდგარი სატომო საბჭო, „ბაზილევსი“ — ტომის ბელადი, თავისუფალ მეთემეთაგან შემდგარი ლაშქარი და სხვა). ამ ცნობას მკვლევარი იყენებს მთელ საქართველოში გვაროვნული წყობილების არსებობის საჩვენებლად და აღადგენს შესაბამის ინსტიტუტებს. ამავე დროს იძლევა მათი დაშლის სურათსაც. სტრაბონის ცნობის ანალიზის საფუძველზე ს. ჯანაშია წერს: „სვანეთში... ჯერ კიდევ (ე. ი. ძვ. წ. I ს-ში, — ე. ხ.) ცოცხალია „მოსახლეობის თვითმომქმედი შეიარაღებული ორგანიზაცია“. საზოგადოებრივი ხელისუფლება ზალხისაგან გამოთიშული არ არის, და ამდენად, სახელმწიფოც არ არსებობს. ცნობა „მეფის“ („ბაზილევსის“, — ე. ხ.) არსებობის შესახებ სვანეთში... შეიძლება მიუთითებდეს ტომის მეთაურის უფლებების ერთგვარ გაძლიერებაზე და, ამდენადვე, სახელმწიფოებრიობის მხოლოდ სუსტ ჩანასახებზე“¹³. ე. ი. გვაროვნული წყობილების რღვევის საწყისებს საქართველოს მთაში ს. ჯანაშია უკვე სტრაბონის დროიდანვე (ე. ი. ძვ. წ. II—I საუკუნეებიდანვე გულისხმობს).

ვ. ბარდაველიძემ წამოაყენა დებულება, დამყარებული საქართველოს მთის მოსახლეობის უძველესი რელიგიური რწმენებისა და რიტუალების ანალოზზე, რომლის მიხედვით აქ ადრეკლასობრივი, ანუ განუვითარებელი კლასობრივი საზოგადოება არსებობდა. ამავე დროს მან მთის საზოგადოება წარ-

¹² ამ საკითხს ჩვენ ადრეც შევეხეთ წერილში: „სვანეთის ადგილი ქართულ ფეოდალურ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში მთისა და ბარის ურთიერთობის პრობლემის შუქზე“, კრებული: „სვანეთი II, კომპლექსური შესწავლის მასალები, თბ., 1979; დაიბეჭდა აგრეთვე ჩვენ წიგნში: „ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები“, თბ., 1984.

¹³ ს. ჯანაშია, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 117 და შემდ., გვ. 156.



მოიდგინა ძველი აღმოსავლეთის ტიპის ცენტრალიზებული დესპოტიის სახით¹⁴. რამდენად რეალური იყო საქართველოს მთის პირობებში ასეთი ტიპის საზოგადოების განვითარების შესაძლებლობა, სხვა საკითხია, მაგრამ ეს არ გამოიციხავს აქ ადრეკლასობრივ საზოგადოების არსებობას, თუ კი მას წარმოვიდგინებთ, როგორც განვითარებულ სამხედრო დემოკრატიას, მის უმაღლეს საფეხურზე, პატრიარქალური დესპოტიის ნიშნებით, სხვა ატრიბუტებთან ერთად (პატრიარქალური მონობა, მეთემეთა დამორჩილება ეთნოპოლიტიკური ერთეულის წინამძღოლისადმი — ბელადისადმი და სხვა).

ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით და ზოგიერთ კლასობრივ საზოგადოებათა განვითარების კანონზომიერებათა გათვალისწინებით, ვ. ბარდაველიძეს საქართველოს მთის ადრინდელი საზოგადოების სტრუქტურა სატაძრო თემის და თეოკრატიული ძალაუფლების სახით აქვს წარმოდგენილი¹⁵. მართლაც, სატაძრო თემი, თეოკრატიული ძალაუფლებით, სავსებით ბუნებრივად მოჩანს მთის ადრეკლასობრივი საზოგადოების შესაბამის ორგანიზაციად, რომელიც გვაროვნული წყობილების შლის პირობებში სამხედრო დემოკრატიის უშუალო მემკვიდრედ უნდა წარმოვიდგინოთ.

აქ ანგარიში უნდა გავწიოს იმას, რომ მთის სამეურნეო-ეკონომიკური განვითარება და მეურნეობის წამყვანი დარგი — მესაქონლეობა, მიწათმოქმედებასთან ერთად (სადაც საამისო მეტ-ნაკლები პირობები არსებობდა) საკმარისი და შესაფერისი ნიადაგი იყო ასეთი საზოგადოების არსებობისათვის, თუმცა იგივე პირობები განსაზღვრავდნენ მთის საზოგადოების შიგნით არსებულ თავისებურებებს და, ამდენად, განსხვავებასაც. ამასთან დაკავშირებით გათვალისწინებული უნდა იქნეს გ. მელიქიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „მთიელთა ყოველი ადრეკლასობრივი საზოგადოება ცალკე განხილვას საჭიროებს. ამ საზოგადოების განვითარების გზები სულაც არაა ერთგვარი, მათ შორის განსხვავებები საკმაოდ არსებითია. მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება ჩვენ მომავალში მივალწიოთ ფართო განზოგადოებებს და განვსაზღვროთ, თუ რა ადგილი უნდა მიეჩინოს ამ საზოგადოებას ადრეკლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაში“¹⁶. თვით გ. მელიქიშვილის აზრით, მთის საზოგადოების ბუნების გამოსახატავად უნდა გამოყენებული იქნას ცნება „წინაფეოდალური“, ან უკეთ „პროტოფეოდალური“, ზოლო უფრო ადრე ზ. ანჩაბაძის და ა. რობაქიძის მიერ შემოთავაზებული იყო განსაზღვრება „მთური ფეოდალიზმი“¹⁷. გ. მელიქიშვილს აქვს გამოთქმული თვალსაზრისი, რომლის თანახმად მთის საზოგადოებები ჩართულნი იყვნენ საერთო ქართულ ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების პროცესში, თუმცა ინარჩუნებდნენ გარკვეულ ავტონომიურობასაც და წარმოადგენდნენ „დინამიურობას მოკლე-

¹⁴ В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, с. 011—015.

¹⁵ იქვე, გვ. 32, 34.

¹⁶ გ. მელიქიშვილი, მხოლოდელი აღმოსავლეთისა და კავკასიის კლასობრივი საზოგადოების ბუნების საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1976, გვ. 170.

¹⁷ ზ. ანჩაბაძე, აღ. რობაქიძე, კავკასიური მთური ფეოდალიზმის ბუნების საკითხისათვის, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, XVIII, 1973, გვ. 116—621.

ბულ“, „სუსტად განვითარებდა ადრეკლასობრივ საზოგადოებებს“¹⁸, რაც, როგორც ითქვა, არ გამორიცხავდა სხვაობასაც ცალკეულ მთის საზოგადოებათა განვითარების დონეში¹⁹.

უნდა ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც გამოვიდა გ. ჯასვიანის მონოგრაფია, სადაც ავტორი შუასაუკუნეების სვანეთის საზოგადოებაში ძირითადად ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობას ხედავს²⁰ და გამოქვეყნდა ზემოთდასახელებულ მკვლევართა წერილები (გ. მელიქიშვილი, ზ. ანჩაბაძე, ალ. რობაქიძე), სვანეთის და საერთოდ საქართველოს მთიანეთის ისტორიისა და განვითარების დონის თუ ბუნების პრობლემები სულ უფრო და უფრო მეტ აქტუალობას იძენენ.

1979 წ. საგანგებოდ სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიული განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილ კრებულში გამოქვეყნებულ წერილში, ისტორიოგრაფიის გათვალისწინებით და ძირითადად სვანეთის საბუთების (პ. ინგოროყვას პუბლიკაციით) შესწავლის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ XI—XII საუკუნეებისათვის სვანეთის საზოგადოება იყო „ადრე-ფეოდალურ საფეხურზე მყარად შემდგარი ორგანული ნაწილი ქართული ფეოდალური სოციალურ-ეკონომიკური სისტემისა“²¹.

1983 წ. გამოქვეყნდა კრებული: „საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში“. ამ კრებულში არა ერთი საყურადღებო ნაშრომი შეესულია, რომელთაგან მხოლოდ რამოდენიმე ისახავს მიზანდ საზოგადოებას ასპექტში შეეხოს საქართველოს მთის საზოგადოებათა ბუნებისა და განვითარების დონის პრობლემებს. კერძოდ, დ. გოგოლაძე წერს: „საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივი განვითარების დონისა და სასოფლო თემის იურიდიული სტატუსის საკითხისათვის X—XV საუკუნეებში“, როგორც თვითონვე აღნიშნავს, საკითხის ისტორიოგრაფიის გვერდის ავლით, მარტო წყაროებზე დაყრდნობით, გთავაზობს „პირადად თავის“ თვალსაზრისს დასმული საკითხის შესახებ. მისი აზრით, „XI—XV საუკუნეების სვანეთის საისტორიო საბუთებით და სხვა ქართული წყაროებით სვანეთის საზოგადოება კლასობრივია, სახელდობრ, ფეოდალური კლასობრივი საზოგადოება ჩანს. სახეზეა კლასობრივი დიფერენციაცია: ერთი მხრივ, მწარმოებელი საზოგადოება, ხოლო, მეორე მხრივ, ერისთავები, დიდებულები,

¹⁸ Г. А. Меликишвили, К характеристике социально-экономического строя раннеклассового общества грузинских горцев, ВДИ, № 1, 1984, с. 27, 32, 48—49.

¹⁹ იქვე, გვ. 36, 43.

²⁰ გ. ჯასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973.

²¹ ე. ხოშტარია, სვანეთის ადგილი ქართულ ფეოდალურ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში მთისა და ბარის ურთიერთობის პრობლემის შუქზე, კრებულში: „სვანეთი II, კომპლექსური შესწავლის მასალები“, თბ., 1979.

ნთისა და ბარის ურთიერთობის საკითხებს მიეძღვნა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის რესპუბლიკური კონფერენცია (1984 წ. ოქტომბერი). დაიბეჭდა ანოტაციები: „Душетская научная конференция, посвященная проблемам взаимоотношений между горными и равнинными регионами (Аннотация)“, Тб., 1984.

კონფერენციაზე ჩვენ მიერ წაკითხული იქნა მოხსენება: „ფეოდალური საქართველოს მთისა და ბარის რეგიონების ურთიერთობის ძირითადი ეტაპები და მათი ასახვა ქრისტიანული ხუროთმოძღვრების განვითარებაში“.



ვარგ-აზნაურები. ეს აშკარაა. თანაც ეს ფეოდალური ურთიერთობა აქ სპონტანური განვითარების გზით არის მიღებული. ამის მოწმობაა აქ ადგილობრივი ფეოდალების, „დიდი და მცირე“ აზნაურების წარმოქმნა...“²².

ამავე დროს დ. გოგოლაძე მიიჩნევს, რომ მას გ. ვასვიანთან შედარებით X—XV სს. სვანეთში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების „ტიპოლოგიური დონის შეფასებაში“ ბრინციბულად განსხვავებული შეხედულება აქვს. კერძოდ იგი წერს: „წყაროების ანალიზი, ჩემის აზრით, მოწმობს, რომ X—XV სს-ის სვანეთში ადრეფეოდალური ურთიერთობის საფეხურია. ამის მოწმობაა ყმობაში შესვლის და ყმად ყოფნის, ყმა-მეთემეთა გადასახადები, უფლებრივი დამოკიდებულებისა და საკუთრების ფორმები“. ქვემოთ კი ვკითხულობთ: „X—XV საუკუნეებში სვანეთში ადრეფეოდალური კლასობრივი ურთიერთობა ჩანს, გლეხთა და მეთემე ყმა-მდაბიორთა ალოდალური საკუთრებისა და სასოფლო თემის ძლიერი იურიდიული სტატუსით. მწარმოებელი მოსახლეობის დამოკიდებულება ვარგ-აზნაურებისადმი ადრეფეოდალურ ბატონ-ყმური ხასიათისაა და იგი ბატონყმობის (=მიწაზე მიმაგრება) რანგში აყვანილი არაა: „გლეხის“ სოციალური შინაარსი სვანეთში ადრეფეოდალურ საზოგადოების აზნაურის ყმა-მდაბიორია, რომლის მიწაზე მიმაგრება აქ XIII—XV სს. პირდაპირი და არაპირდაპირი მონაცემებით (დოკუმენტებით და სხვა წყაროებით) არ ჩანს“²³.

დ. გოგოლაძე ასე აზოგადოებს თავის მსჯელობას: „მიუხედავად ბატონყმობის ძირითადად გამარჯვებისა საქართველოში XI—XIII საუკუნეებში, საქართველოს მთიანეთის მაღალი რეგიონების სასოფლო თემებმა, ხევებმა, ფართოდ შეინარჩუნეს ძველი დამოუკიდებელი სასოფლო-ტერიტორიული თემებისა და სამხედრო დემოკრატიის ძლიერი ტრადიციები, სადათო სამართალი, რაც აქ სასოფლო თემის ძლიერ იურიდიულ სტატუსს განაპირობებდა მოცემულ ხანაში, X—XV საუკუნეებში“²⁴.

როგორც ვხედავთ, დ. გოგოლაძის დაკვირვებანი ბევრ რამეში (თუნდაც სვანეთის საზოგადოების ადრეფეოდალურ საფეხურზე ასვლის საკითხში) ემთხვევა სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს, თუმცა მოვლენებს იგი დროში არ მიჯნავს და X—XV საუკუნეების ვითარება ერთნაირად წარმოუდგენია, რაც მართებული არ უნდა იყოს.

იმავე კრებულში გამოქვეყნებულ წერილში: „ზოგიერთი შენიშვნა გ. ვასვიანის შრომებზე შუასაუკუნეების სვანეთში საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების საკითხთან დაკავშირებით“, გ. ძიძიგური არ ეთანხმება გ. ვასვიანს სვანეთის ვარგთა (აზნაურთა) სტატუსის განსაზღვრაში, კერძოდ კი იმაში, რომ თითქოს „სვანეთის ვარგი ფეოდალური საზოგადოების აზნაურია ყველა ნიშნის მიხედვით“ და მოჰყავს ამის საპირისპირო თვალსაზრისიც, რომლის მიხედვით „თემზე აღზევებული ცალკეული საგვარეულო საბოლოოდ არ გამოჰყოფია თემს, არ გაბატონებულა მასზე და ცალკე სოციალურ ფენად არ

²² საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში, თბ., 1983, გვ. 55.

²³ იქვე, გვ. 58, 66.

²⁴ იქვე, გვ. 71.

ჩამოყალიბებულია“ (მითითებულია მ. ბერძნიშვილისა და გ. მელიქიშვილის ნაშრომები)²⁵.

ამის შემდეგ ავტორი წერს: „მე დასაშვებად მიმაჩნია აღნიშნულ მოსაზრებათა შერიგების ასეთი ვარიანტი: ვარგი სვანეთში ცალკე სოციალურ ფენად ჩამოყალიბდა, მაგრამ საბოლოოდ ვერ გამოეყო თემს და ვერ გაბატონდა მასზე“²⁶. ქვემოთ, სათანადო მასალაზე დაყრდნობით, გ. ძიძიგური ასკვნის: „ამრიგად თემი თავისთავად ვეღარ უარყოფს აზნაურთა სოციალურ უპირატესობებს, მაგრამ მეტ დათმობაზე აღარ მიდის. ვარგი და თემი სადავო საქმეებში გამოდიან როგორც სრულიად თანასწორუფლებიანი მხარეები... ხოლო საერთო-სახელო საქმეებში, ვარგი მონაწილეობს, როგორც „ერთობილის“ რიგითი წევრი. ...ვარგთა სოციალურ-ეკონომიკური უპირატესობის აღიარება სრულიადაც არ გულისხმობს თემისაგან მათ სრულ გამოცალკევებას და მით უფრო თემზე გაბატონებას“²⁷.

გ. ძიძიგური პირდაპირ არ იძლევა სვანეთის საზოგადოების ბუნების და განვითარების დონის შეფასებას, მაგრამ გვთავაზობს ქვემოთმოტანილ არსებითი ხასიათის მსჯელობას: „მთისა და ბარის უთანაბრობა გაპირობებული იყო არა იმდენად განვითარების განსხვავებული ტემპებით, რამდენადაც განსხვავებული ეკონომიკური კანონების ზემოქმედებით. აღნიშნულის გამო ვფიქრობ, კვლევა უნდა წარიმართოს სხვა მიმართულებით. საჭიროა დავადგინოთ ზღვარი, რომლის იქითაც მთის ეკონომიკური ბაზის პირობებში ფეოდალურ ურთიერთობათა შემდგომი განვითარება ვეღარ ხერხდება, ზღვარი, რომლის მიღმაც მხოლოდ ფეოდალურ ურთიერთობათა მიღწეული დონის კვლავწარმოება ხდება. სვანეთის ცალკეულ თემებში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარება, როგორც ჩანს, მიუახლოვდა ასეთ ზღვარს. მაგრამ ეს ზღვარი რომ „განვითარებულ ფეოდალიზმს“ არ გულისხმობს, ვფიქრობ, სადავო არ უნდა იყოს“²⁸.

სწორედ ასეთი ზღვარის გარკვევის საფუძველზე იყო მიჩნეული სვანეთის საზოგადოება ჩვენ მიერ, როგორც ადრეფეოდალურ საფეხურს მიღწეული. რამდენადაც ავტორი აღიარებს, რომ ეს საზოგადოება ფეოდალური იყო და მისი განვითარება გარკვეულ ზღურბლზე შეჩერდა, იგულისხმება, რომ მის ზემოთმოტანილ მსჯელობასაც ასეთ დასკვნამდე მივყევართ (თუმცა იგი თვლის რომ ასეთი დასკვნა ჩალრმავებული კვლევა-ძიების შედეგად არ არის მიღებული)²⁹.

რაც შეეხება სვანეთის ვარგ-აზნაურთა საკითხს და მათ ადგილს სვანეთის საზოგადოებაში, რომელსაც მართებულად აქცევენ ყურადღებას როგორც დ. გოგოლაძე, ასევე გ. ძიძიგური, ისევე როგორც რიგით მეთემეთა — ყმა-ალოდასტების როლსა და მდგომარეობას თემში, ყოველივე ამაზე, ჩვენი აზრით, პასუხის გაცემა ხერხდება საქართველოს მთაში „საყდრისშვილთა“ საზოგადოებრივი ფენის სტატუსის გარკვევით, რაზედაც დასაწყისში გვქონდა ლაპარაკი: სვანეთის ვარგ-აზნაურები, იგივე „საყდრისშვილები“ ერთი მხრივ,

²⁵ საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში, გვ. 104.

²⁶ იქვე.

²⁷ იქვე, გვ. 105.

²⁸ იქვე, გვ. 111—112.

²⁹ იქვე, გვ. 96—97.



და რიგითი მეთემენი, მეორე მხრივ, სატაძრო თემში ერთიანდებოდნენ, პირველნი, როგორც თემში პრივილეგირებული საზოგადოებრივი ფენა, ხოლო მეორენი, როგორც მათ მიმართ გარკვეული ვალდებულებით დამოკიდებულებაში მყოფი უშუალო მწარმოებლები — ყმა-მეთემენი.

მთლიანობაში მთის საზოგადოების ბუნებასა თუ განვითარების დონეზე მსჯელობა კი მართებული არ იქნება დროის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე. ამ თვალსაზრისით X—XV საუკუნეების მონაცემთი ძალზე დიდია და მთის საზოგადოების განვითარებაში სხვადასხვა ეტაპს მოიცავს, რომელნიც გაპირობებული იყო როგორც მთის საზოგადოების შინაგანი განვითარების კანონებით, ისე ბარში არსებული ვითარებით და ამ უკანასკნელის მთაზე ზემოქმედების ხარისხითაც ამა თუ იმ პერიოდში.

კერძოდ, ყურადღებას იმსახურებს საკითხი იმის შესახებ, თუ როდის წარმოიშვა სხვაობა ბარისა და მთის საყდრისშვილებს შორის და რითი იყო განპირობებული ეს განსხვავება.

ბუნებრივია, რომ იმ დროს, როცა ბარშიც და მთაშიც გვექონდა სუსტად დიფერენცირებული სატაძრო თემი, რომლის ძირითად მოსახლეობას შეადგენდნენ თავისუფალი მეთემენი — სატაძრო მიწების სრულუფლებიანი მფლობელები³⁰, „საყდრისშვილები“ წარმოადგენდნენ სატაძრო თემის შიგნითვე წარმოქმნილ პრივილეგირებულ ფენას. თემში მიმდინარე სოციალური დიფერენციაციის გაღრმავება გვაძლევს თეოკრატიულ წყობილებას, რომელშიც სატაძრო და სამეფო ხელისუფლება ჯერ განუყოფელია. ამ დროინდელი საზოგადოება, რომელიც ხასიათდება როგორც ადრეკლასობრივი, ანუ განუვითარებელი კლასობრივი, თუ ვიმსჯელებთ იბერიის შესახებ სტრაბონის ცნობის მიხედვით, შედგება გაბატონებული ფენისაგან, რომელსაც წარმოადგენდნენ სამეფო საგვარეულო და ქურუმები და თავისუფალ მეთემეთაგან („ერი“), რომელნიც ერთდროულად მიწისმოქმედებასაც ეწეოდნენ და მოლაშქრენიც იყვნენ. ამათ გარდა არსებობდა დამოკიდებული, პირადად არათავისუფალი მწარმოებელი მოსახლეობაც, რომელიც ემსახურებოდა სამეფო საგვარეულოს³¹.

დღეისათვის დადგენილი ზოგადი სქემის მიხედვით, საქართველოს ბარის საზოგადოების შემდგომი განვითარების ფეოდალიზაციას გულისხმობს, რაც ხდებოდა სამეფო ხელისუფლების ძალაუფლების გაძლიერების და სატაძრო მიწების ხელში ჩაგდების გზით. ქრისტიანობა იქცევა იმ იდეოლოგიურ იარაღად, რომლითაც სამეფო ხელისუფლება და აღმავალი ფეოდალური კლასი — აზნაურთა ებრძვის წარმართულ თეოკრატიულ ძალებს და ამარცხებს მათ. წყაროებით დადასტურებული მეფისა და აზნაურთა მიერ ეკლესიების ინტენსიური მშენებლობა და სამონასტრო მოძრაობის გაშლა ამის აშკარა გამოხატულებაა. ეს იყო წარმართობის და მასთან დაკავშირებული თეოკრატიული წყობის ქრისტიანული ფეოდალური წყობილებით რადიკალური შეცვლის გზა. ამანვე, ქვეყნის ფეოდალიზაციის ფონზე მოგვცა ფეოდალური საეკლესიო სენიორიების ჩამოყალიბება — საეკლესიო მიწების „საყდრისშვილთა“ კორპორაციული მფლობელობით, რაც გულისხმობდა უშუალო მწარმოებელთა —

³⁰ იხ. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1955, с. 411.

³¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 1970, გვ. 483—499.

საეკლესიო გლეხობის ფეოდალურ დამორჩილებასა და ექსპლოატაციას. ეს პროცესი ბარში მიმდინარებდა სამეფო საგვარეულოსა და ფეოდალთა მიერ ჯერ სასოფლო თემის დაყმევებისა და შემდგომ უშუალო მწარმოებელთა — „ერის“ გაგლეხების, ე. ი. ინდივიდუალური დაყმევების საერთო ფონზე, რაც „პატრონყმობიდან“ „ბატონყმობაზე“ გადასვლას ნიშნავდა.

მთაში კი ანალოგიური პროცესი ხდება სატაძრო თემის არა რადიკალური, არამედ თანდათანობითი ქრისტიანიზაციის (ე. ი. ფეოდალიზაციის) გზით, შედარებით შეზღუდულ ფარგლებში, რაც განაპირობებდა აქაურ „საყდრის-შვილთა“ სტატუსს, განსხვავებულს ბარის „საყდრისშვილებისაგან“.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით როგორ უნდა წარმოვიდგინოთ, კერძოდ, სვანეთის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურა და განვითარება საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა აღმავლობის ხანაში? წყაროების მონაცემების ანალიზი მოწმობს, რომ IV—IX საუკუნეებში სვანეთში საქმე გვაქვს გარდამავალ საფეხურზე მდგომ საზოგადოებასთან, სადაც ერთდროულად მოქმედებდნენ გვაროვნული წყობილების ძლიერი ელემენტები და ახალი საზოგადოებრივი ძალები, რომელნიც მთის პირობებში ჯერ სუსტნი არიან, მაგრამ შინაგანი განვითარების ძალით და ბარის გავლენით თანდათან იკავავენ გზას თეოკრატიული ხელისუფლების წარმომადგენელთა — „მოხელეთა“ და თვით თემურ-პოლიტიკური გაერთიანების მეთაურის — ადრე „მეფის“ („ბაზილევის“), შემდგომ კი მთავრის თუ ერისთავის სახით. ამ დროს „თემი“ უკვე გვაროვნული წყობილების შესაბამის ინსტიტუტად აღარ ჩაითვლება. იგი სატაძრო თემის შინაარსით თანდათანობით ტერიტორიულ ანუ სასოფლო თემის სახეს იღებს და გარკვეული ვალდებულებით დამოკიდებულებაშია როგორც ადგილობრივ ხელისუფალთა, ასევე ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების მიმართაც. ეს ვალდებულება უპირატესად სამხედრო სამსახურში გამოიხატებოდა. ეს იყო სვანეთში იმთავითვე ფეოდალური ურთიერთობის შეჭრის პირობაც და გზაც.

როგორც ითქვა, ბარის მხრივ მთაზე პოლიტიკური და ერთდროულად იდეოლოგიური ზემოქმედების ხანა ეს არის საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა აღმავლობისა და ქრისტიანობის გავრცელების ეპოქა. ეს პროცესი დაწყებული ადრეფეოდალურ ხანაში, თავის კულმინაციას აღწევს ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობის გაფურჩქვნის, საქართველოს ერთიანი მონარქიის პოლიტიკური ძლიერების პერიოდში, ე. ი. XI—XII სს. სწორედ ამ ხანაში ხდება ფეოდალიზმის სფეროში სვანეთის ინტენსიური შემოყვანაც, რაც დასტურდება წერილობით წყაროებით და მატერიალური კულტურის ძეგლებით (ქრისტიანული ტაძრები და მათი მოხატულობა-წარწერები).

უფრო ადრე კი, დასავლეთ საქართველოს შედარებით სუსტი სახელმწიფო წარმონაქმნები (ლაზიკის სამეფო, ეგრის-აფხაზეთის სახელმწიფო), მიუხედავად იმისა, რომ თავის დამოკიდებულების სფეროში აქცევენ სვანეთს, იმდროინდელი ეკონომიკური კავშირების სისუსტის პირობებში, ჯერ ვერ ქმნიდნენ ფეოდალურ ურთიერთობათა არეში სვანეთის მტკიცედ შემოყვანის შესაძლებლობას. ადრეფეოდალური დასავლურ ქართული სახელმწიფო თავისი ბუნების გამო ჯერ ურიგდებოდა მასში შემავალი თუ მასზე დამოკიდებული ერთეულების (მათ შორის სვანეთის) სუსტ ცენტრალიზაციას, მაგრამ საქართველოს ერთიანმა ფეოდალურმა მონარქიამ უკვე სულ სხვა როლი შეასრულა ამ კუთხის ისტორიაში. სვანეთის სამეურნეო-კულტურული განვითარების შე-

დარებით მაღალი დონე, რაც ქმნიდა პირობას სევანთა აქტიური და ფართო მონაწილეობისათვის მთლიანად საქართველოს სამეურნეო-პოლიტიკურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი მოლაშქრობა, რომელიც თავის მხრივ საჭიროებდა ეკონომიკურ საფუძველს, მატერიალურ სახსარს, შესაფერის საომარ აღჭურვილობით უზრუნველსაყოფად, ასევე სევანთა დაწინაურებული ფენის სამეფო კარზე სამსახური და ამ გზით ქართული სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში ორგანულად შესისხლხორცება, ხდება საფუძველი სევანეთის საზოგადოებრივი წყობის ბარულთან დაახლოვებისა, სევანთა პრივილეგირებული გვარების — „აზნაურთა“ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფენა იქმნება როგორც ბარში, ასევე თვით სევანეთში, სადაც სულ უფრო და უფრო ღრმავდება სოციალური დიფერენციაცია. ბარში მეფის სამსახურში მოპოვებული საკარგავ-მამულები და ლაშქრობაში აღებული ალაფი ხდება საწინდარი ამ გზით დაწინაურებული გვარების თვით სევანეთში შემდგომი სოციალური აღზევებისა.

თავდაპირველად სამეფო ხელისუფლება ცდილობს სევანეთში (ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოშიც), თავის საყრდენად აქციოს სატაძრო თემი, რომელიც როგორც ადგილობრივი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, თანდათან ადგილს უთმობს საერო ხელისუფლებას — ერისთავისა და აზნაურთა სახით. ეკლესიის მშენებელი აზნაურების მომრავლება (XI ს-დან განსაკუთრებით) და სხვა მოვლენები („საყდრისშვილთა“ ინსტიტუტის განმტკიცება, სატაძრო მიწების განკერძოებით და სხვა), თვით ეკლესიის ფეოდალურ წესზე მოწყობის ტენდენციის გამომხატველი იყო.

მაგრამ, არ შეიძლება ისიც არ აღინიშნოს, რომ თუ კი ადგილობრივი ბუნებრივ-სამეურნეო პირობები და კულტურის დონე, ერთი მხრივ, ქმნიდნენ შესაძლებლობას სევანეთში ფეოდალურ ურთიერთობათა მყარად ფენის მოკიდებისათვის, მეორე მხრივ, იგივე პირობები არ იძლეოდნენ საშუალებას ფეოდალიზაციის პროცესის გასაღრმავებლად მხოლოდ ადგილობრივ ნიადაგზე. (იგულისხმება სათანადო ნიადაგის არარსებობა მრავალსაფეხურიანი ფეოდალური ვასალიტეტისათვის — მიწის ფონდის სიმცირის გამო და სხვა). როგორც აღინიშნა, სევანთა წარჩინებული გვარების (ერისთავ-აზნაურთა) ძლიერების ძირითადი საფუძველი მეფის კარზე სამსახური და ბარში მოპოვებული საკარგავ-მამულები იყო. ადგილზე კი ფეოდალიზაციის გაღრმავება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად შეძლებდნენ უპირატესობისათვის მებრძოლი დაწინაურებული გვარები ურთიერთის წინააღმდეგობის დაძლევას და მწარმოებელი საზოგადოების სრულ დამორჩილებას (დაყმევებას). მანამდე კი უშუალო მწარმოებელთა — „გლეხთა“ ფენის დაყმევების, მათ მიწაზე ხელის დადების პროცესი უშეზღუდელი იყო და მხოლოდ ნაწილობრივ ხორციელდებოდა, თუმცა იმ ვითარებას, რომელიც სევანეთში შეიქმნა XI—XII საუკუნეებში არ შეიძლება არ დაეჩქარებინა გვაროვნული წყობილების დროინდელი ინსტიტუტების საფუძვლიანი რღვევა და ფეოდალური წესების შემოღება. სწორედ ამან მოგვცა უფლება თავის დროზე გამოგვეთქვა მოსაზრება, რომ აღებული ხანის სევანეთის საზოგადოება წარმოადგენდა ადრეფეოდალურ საფეხურზე მყარად შემდგარ ორგანულ ნაწილს ქართული ფეოდალური სოციალ-პოლიტიკური სისტემისა. სწორედ ამ ნიადაგზე შეიძლება მოექნებინოს ახსნა იმ ისტორიულ-კულტურულ მოვლენებს, რომელნიც ესოდენ თვალში საცემია იმდროინდელი სევანეთის ცხოვრებაში (ეკლესიათა ინტენსიური მშენებლობა, ოქრო-

მკედლობა, საეკლესიო წიგნების გადაწერა, კავშირი საქართველოში და მის გარეთ არსებულ საეკლესიო-კულტურულ ცენტრებთან და სხვა).

მაგრამ XIV—XV საუკუნეებიდან ვითარება არსებითად იცვლება. ქართული სახელმწიფოებრიობის დაცემის და ერთიანი სამეფოს დაშლის პირობებში, ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების კონტროლიდან გამოსვლისა და ადგილობრივი დაწინაურებული ფენის უპირატესობის მასაზრდოებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროს — მეფის კარზე სამსახურის მოშლის, თუ საერთოდ ბართან ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირის შესუსტების შედეგად, სვანეთის საზოგადოებაში ადგილი აქვს მძაფრ დაპირისპირებას და ბრძოლას პრივილეგირებული ფენის წიგნით (აზნაურთა გვარებს შორის), ერთი მხრივ, და ამ უკანასკნელსა და მწარმოებელ საზოგადოებას შორის, მეორე მხრივ.

როგორც ცნობილია, ზემოაღნიშნულ შინაკლასობრივ ბრძოლაში ზემო სვანეთში აზნაურთა ვერც ერთმა გვარმა ვერ მიიღწია გამაწყვეტ უპირატესობას, თუმცა არა ერთი გვარი მთლიანადაც შეეწირა ამ ბრძოლას. ძალთა ასეთი წონასწორობის მიზეზი უთუოდ ფეოდალური ექსპლუატაციის პირობების შედარებითი შეზღუდულობა და აზნაურთა მხრივ ერთმანეთზე სოციალურ-პოლიტიკური უპირატესობის უზრუნველყოფის შეუძლებლობა იყო. ამავე დროს მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო თვით მწარმოებელი ფენის გააფთრებული წინააღმდეგობა დაწინაურებული ფენის მიმართ. ამ დაპირისპირებისას მოსახლეობის ფართო ფენა („თემი“) თავის მხრივ ახდენს თვითორგანიზაციას ტაძრის ირგვლივ, რასაც მოჰყვება თეოკრატიული ელემენტის როლის ზრდა სასოფლო თემის ფარგლებში, სატაძრო თემის ტრადიციების აღდგენა და სათემო მმართველობისაკენ შემობრუნება. შექმნილ ვითარებაში თავის ძალაუფლების რეალურ საფუძველსმოკლებული პრივილეგირებული ფენა (ვარგაზნაურები), რომელსაც მხოლოდ ნომინალური წოდებრივი უპირატესობა შერჩა, ცდილობს სატაძრო თემში ჩაიკდოს ხელში მმართველობის და ძალაუფლების სადავეები („მელომე“, „მეჭურჭლე“ და სხვ.) და ამ გზით განიმტკიცოს თავისი პოზიციები.

მაგრამ ამ თვალსაზრისით სვანეთში ყველგან და ყოველთვის ერთნაირი ვითარება აღარა გვაქვს. თავს იჩენს სხვაობა სვანეთის სხვადასხვა ნაწილში. თუკი ბალსზემო სვანეთში ბოლომდე ვერ მოხერხდა საზოგადოებრივ ძალთა წონასწორობის დარღვევა და აქ თავისებური ვითარება შეიქმნა, რაც გამოიხატა ნაწილობრივ ძველი სატაძრო თემის ტრადიციების აღდგენაში (თემის მიერ მმართველობის ორგანიზაციისა და სასამართლო ფუნქციების თავის თავზე აღება), ნაწილობრივ კი საზოგადოების ცხოვრებაში შემოჭრილი ფეოდალური ნორმების შენარჩუნებაში (მიწის განკერძოებული მფლობელობა, პატრონჟიმური დამოკიდებულება), ბალსქვემო და ქვემო სვანეთის სხვა ბედი ეწიჭ. პირველში დადემშქელიანების ფეოდალურმა გვარმა შეძლო უპირატესობის მოპოვება და გათავადება, მეორეში კი დადიანების ხელში მოექცა. ამ გზით სვანეთის ეს ორი ნაწილი საბოლოოდ ფეოდალურ-ბატონჟიმურ სისტემაში ჩართული აღმოჩნდა. მაგრამ ესაა ბარის მიერ მთის ათვისების მეორადი პროცესი, რომელიც დაკავშირებულია არა ძლიერი ქართული სახელმწიფოს მთაზე შეტევასთან, რასაც ადრე ჰქონდა ადგილი, არამედ გაძლიერებულ მთავარ-თავადთა (დადიანი, დადემშქელიანი) ექსპანსიასთან ფეოდალური შინაომების პირობებში.

ანალოგიური ვითარება გვაქვს დასავლეთ საქართველოს დანარჩენ მთიან რეგიონებშიც და აღმოსავლეთ საქართველოშიც (სათავადობის წარმოქმნა ამ რეგიონებში ან მათი ჩართვა უფრო მსხვილ სათავადოთა შემადგენლობაში — მაგალითად არაგვის და ქსნის საერისთავოებში).

ასე წარმოგვიდგება ჩვენ სვანეთის და საერთოდ საქართველოს მთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების სურათი დროის სხვადასხვა მონაკვეთში, რაზედაც უკვე დაწვრილებით გვქონდა აღრევე მსჯელობა საგანგებოდ მთის პრობლემებისადმი მიძღვნილ წერილებში³². ვფიქრობთ, ისინი რომ ვათვალისწინებელი ყოფილიყო კრებულის: „საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში“ ავტორთა მიერ, ანდა „საყდრისშვილების“ შესახებ ჩვენ სპეციალურ ნაშრომს მეტი ანგარიში გასწეოდა ლიტერატურაში, ჯერ ერთი, ავიცდენდით ზოგიერთ გამეორებას და რაც მთავარია, მოხდებოდა დასმული პრობლემების მნიშვნელოვანწილად არა თავიდან რკვევა, არამედ ჩაღრმავებული შემდგომი შესწავლა, რაც ესოდენ საჭიროა.

Э. ХОШТАРИЯ-БРОССЕ

О СВОЕОБРАЗИИ ИНСТИТУТА «САҚДРИСШВИЛНИ» В ГОРНЫХ РЕГИОНАХ ГРУЗИИ И ВОПРОС О ПРИРОДЕ ГОРСКИХ ОБЩЕСТВ

Резюме

В статье рассмотрен вопрос о различии между уровнем развития горских обществ Грузии и населением ее равнинной части на примере специфики института «сакдрисшвилни» (букв. «дети храма», «дети церкви»). Основное различие заключается в том, что если на равнине «сакдрисшвилни» представляли собой социально господствующую церковную корпорацию («церковных азнауров»), кардинально противостоящую в классовом отношении непосредственным производителям в лице церковных крепостных крестьян, в горных регионах «сакдрисшвилни» являлись выделившейся внутри храмовой общины привилегированной прослойкой.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

³² დასახელებული წერილები შევიდა კრებულში: ე. ხოშტარია - ბროსე, ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები (ისტორიოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი ძიებანი), თბ., 1984.

ავთანდილ მენთეაშვილი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და
პარიზის სამშვიდობო კონფერენცია*

ქართული დელეგაციის სფოგის ომები

(1919 წ. 7 მაისი — 9 ივნისი)

7 მაისის ხსლომა

თავმჯდომარე — ა. ჩ ხ ე ი ძ ე
დამსწრენი — ვ. ჩ ე ჯ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი
ზ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი
ირ. წ ე რ ე თ ე ლ ი
კ. გ ვ ა რ ჯ ა ლ ა ძ ე
ი. გ ო ბ ე ჩ ი ა
მდივანი — ც. დ ე მ ო ლ ო ნ - წ ე რ ე თ ე ლ ი

- კითხვები: 1. პატარა ერებთან.
2. დელეგაციის შეკრება.
3. პონტოვექსინის ასოციაცია.
4. 26 მაისის დღე.
5. ირ წერეთლის საქართველოს წასვლა.

მონახანება ამსტერდამის კონგრესო

თავმჯდომარე, რომელიც პატარა ერების, — უკრაინელების, ლიტველების, ესტონელების და ლათიშების — კრებაზე ყოფილა. გადმოსცემს დამსწრეებს, რომ მათ უთხოვნიათ ინტერვიუ, ბალფურისათვის, ბალფურს ლლოიდ ჯორჯზე მიუთითებია, ის მივიღებსო, ლლოიდ ჯორჯს — პორტინგზე. ეს უკანასკნელი დათანხმებულია და მიუწვევია მათი წარმომადგენლები. თხოვნაში ქართველების სახელიც ყოფილა მოხსენიებული. ახლა პატარა ერების წარმომადგენლებს წინადადება შემოაქვთ, ერთად წავიდეთო, საბაბად ავიღოთ ის ხმები, რომელიც გავრცელდა ანტანტა კოლჩაკის მთავრობის ცნობას აპირებსო, და საერთო ნაბიჯი გადავდგათ ჩვენი დამოუკიდებლობის მოსათხოვნათო.

ერთხმად გადაწყვეტილა, რომ ამ პატარა ერებთან მუდამ ერთად გამოსვლა სასურველი არ არის, ვინაიდან ერთი, რომ საქართველოს მდგომარეობა სულ

* გაგრძელება. — დასაწყისი იხ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1992, № 2.

სხვა და ბევრად უკეთესი, ვიდრე მათი, მეორე — მათი საქმე ერთ პირსა აქვს ჩაბარებული, საქართველოსი კი — მეორეს, და მესამე, — საზოგადოდ საერთო. გამოსვლები მისაღებია მხოლოდ იშვიათ, პრინციპულ საკითხებზე, როგორც მაგალითად: კონფერენციაზე დაშვების საკითხია.

დადგენილია. პატარა ერებს თავაზიანი და დიპლომატიური უარი ეთქვას თავმჯდომარისაგან.

თავმჯდომარე. რადგანაც ჩვენი დელეგაციის დანარჩენი ნაწილი სტამბოლს ვერ გამოშორდა, — ჩვენს წინ ჩვენი კოლეგიის შეკრების საკითხი ისმება. დელეგაციის გაფართოება, თუ ამის საჭიროება მოითხოვდა, თბილისშიაც გეკონდა გადაწყვეტილი, ამ მიზნით ნებართვაც კი წამოვიღეთ მთავრობისაგან. ახლა, როცა, თუმცა ყოველ ღონისძიებას ვხმარობთ, ვერ მოვახერხეთ დანარჩენი დელეგატების ჩამოყვანა, — ჩვენი კოლეგიის გაფართოება აუცილებელ საჭიროებად ხდება, ამიტომ მე წინადადება შემომამქვს დელეგატებად დანიშნონ ზ. ავალიშვილი, კ. გვარჯალაძე და ლ. ღამბაშიძე. ვ. ჩერქეზიშვილიც ძალიან სასურველია, მაგრამ როგორც ანარქისტი, უარს ამბობს¹.

დადგენილია, ზ. ავალიშვილი, კ. გვარჯალაძე და ლ. ღამბაშიძე დელეგატებად დანიშნულ².

3. ი. გობეჩია ყოფილა პონტეგქისინის დამფუძნებელ კრებაზე და მოხსენებას აკეთებს ამ ასოციაციაზე, რომელსაც მიზნად ჰქონდა კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობა დაემყარებინა იმ სახელმწიფოებს შორის, რომელნიც ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე, რუსეთის საზღვრებზე მდებარეობენ. კრებას დაესწრნენ უკრაინის, პოლონეთის, რუმინეთის, ლიტვის და სხვა წარმომადგენლები. მიუღიათ წესდება. აღრჩევიათ ადმინისტრაციული კომიტეტი და ითხოვენ, რომ ქართველებისგან შევიდეს სამი კაცი ამ საზოგადოებაში, ერთი თავმჯდომარის თანაშემწედ, — თვით გობეჩიას ასახელებენ, — და ორი — კომიტეტში. საჭიროა, მიიღონ თუ არა ქართველებმა ამ ასოციაციაში მონაწილეობა და შევიდნენ თუ არა მათი წარმომადგენლები კომიტეტში და პრეზიდენტიში.

დადგენილია, რომ შემდეგში დელეგაცია ამ საზოგადოების წესდებას გაცნობა და გადაწყვეტილებას მამინ მიიღებს.

4. ი. გობეჩია. რადგანაც აქამდის ვერ დავაინტერესეთ ჩვენი საქმით პოლიტიკური პირები, ყურნალისტები და საზოგადო აზრი, ახლა ვისარგებლოთ 26 მაისით, ჩვენი დამოუკიდებლობის წლისთავით, მოვაწყოთ ბანკეტი, რომელზედაც მოვიწვიოთ ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები, აგრეთვე პრესა და ფართე საზოგადოება. თუ არის საჭირო ცენობთ, ავირჩიოთ ახლავე მომწყობი კომისია, შევადგინოთ პროგრამა, დაესახელოთ სტუმრები და სხვ.

აზრთა გაცვლა-გამოცვლით ირკვევა, რომ ბანკეტი, მართლაც, სასურველია საზოგადოებისათვის საქართველოს საკითხის გასაცნობად, მაგრამ გადაწყვეტილია, რომ აჯობებს ამ ბანკეტს საზეიმო და საიუბილეო ხასიათი არ მიეცეს, არამედ იყოს გამართული კერძო ინიციატივით მოწყობილი ვახშამის სახით, რომელსაც დელეგაციის წევრებიც ისე დაესწრებიან, როგორც სტუმრები.

დადგენილია, ამგვარი ვახშამის მოწყობა მიენდოს ვ. ჩერქეზიშვილს.

5. ირ. წერეთელი სასურველად სცნობს თავის ღრობით საქართველოში წასვლას, რადგანაც დელეგაცია აგერ ორი თვეა სრულებით მოწყვეტილია მთავრობას, მამინ როდესაც აუცილებლად საჭიროა მათ შორის კავშირი გაი-

9. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1992, № 4.

ბას, რათა მთავრობამ შეიტყოს, რატომ ვერ დააყენა აქამდის აქ დელეგაციამ პრაქტიკულ ნიადაგზე საქმე და დელეგაციამაც გაიგოს, რა ხდება იქ. ნამდვილი საკითხი საქართველოში უფრო გადაწყდება, ვიდრე კონფერენციაზე, ამიტომ დელეგაციამ უნდა გაიცნოს იქ შექმნილი ნიადაგი, რომ ის აქ ოფიციალურად გამოხატოს, და მთავრობის თანხმობითაც ზურგი გაიმაგროს.

თავმჯდომარე დასძენს, რომ დელეგაციას დიდი ხანია შეგნებული ჰქონდა ეს საჭიროება და კურიერის გაგზავნასაც აპირებდა, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ უბრალო კურიერი საკმარისი არ არის, რომ სხვაგვარი კაცის წასვლაა საჭირო, ვინაიდან მეტი სერიოზული საკითხები დაისვა, როგორც, მაგალითად, ეკონომიკური, მანდატის, საზღვრების და სხვ. და, ამას გარდა, ისიც უნდა გაიგოს დელეგაციამ, თუ რა გადაწყდა ამიერკავკასიის კონფერენციაზე. ამიტომ სასურველია, რომ ღამბაშიძესთან ერთად წერეთელიც წავიდეს, რათა ყველა ეს და ამისთანა კითხვები გარკვეულ იქნას.

მსჯელობის შემდეგ დადგენილია, ამ კითხვის გადაწყვეტა ღამბაშიძის ლონდონიდან დაბრუნებამდის გადაიდვას.

დასასრულ, ი. გობეჩიას წინადადებით, ირ. წერეთელი მოკლე მოხსენებას აკეთებს ამსტერდამის კონგრესზე, რომლის რეზოლუციაშიც ერთხმად გავიდა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის მოთხოვნა*.

შესწორებანი.

1/3. ჩერქეზიშვილი უარს ამბობს მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინია.

9 მაისის სხდომა.

- თავმჯდომარე — ა. ჩხეიძე
- დამსწრენი — ვ. ჩერქეზიშვილი
- ზ. ავალიშვილი
- ირ. წერეთელი
- კ. გვარჯალაძე
- ი. გობეჩია

მდივანი — ც. დემოლონ-წერეთელი

- კითხვები: 1. ზ. ავალიშვილის დელეგატობა.
2. ნაციათა ლიგისათვის მიმართვა.
3. პატარა ერებთან.
4. ქართველი ტყვეები გერმანიაში.
5. საერთო პოლიტიკა.
6. სხდომის დღეების შეცვლა.

წაკითხულია და ორი შესწორებით დამტკიცებულია 7 მაისის სხდომის ოქმი. ოქმში შეტანილი შესწორების გამო ხელახლა ისმება საკითხი ზ. ავალიშვილის დელეგატობაზე. მისი წინააღმდეგობის მიუხედავად ერთხმად გადაწყვეტილია მისი დელეგატად დანიშვნა.

ი. გობეჩია მოაკონებს კრებას წინანდელ გადაწყვეტილებას ნაციათა ლიგისათვის მიმართვის თაობაზე და თვლის, რომ ახლა, როცა ეს ლიგა უკვე დაარსდა, დროა საქართველომ გააგზავნოს მიმართვა ლიგაში მიღების შესახებ.

ზ. ავალიშვილის კიდევ დაუწერია შესაფერი მიმართვა და ჰკითხულობს მას. დადგენილია, რომ ზოგიერთი შენიშვნის მერე, ეს მიმართვა კიდევ ერთხელ იქნას წაკითხული, შესწორებული, და შემდეგ გადაეცეს ნაციათა ლიგას.

3. თავმჯდომარე აცემებს მოკლე მოხსენებას პატარა ერების წარმომადგენლებისათვის გადასაცემი პასუხის შესახებ. ეს წარმომადგენლები იმდენად დთანხმებულან, რომ კოლჩაკის ცნობაზე გავრცელებული ხმები შესაფერი საბაბი არ არის ერთად გამოსასვლელად, რომ გაღუწყვეტით თვითონაც აღარ წავიდნენ პარტინგთან.

4. ირ. წერეთელი გადასცემს კრებას ბერლინის ქართველ საელჩოს თხოვნას. გერმანიაში 2.000 ქართველი ტყვეა. ისინი სხვა და სხვა ქალაქებშია გადნტული. ნება უკვე დართულია, რომ ეს ტყვეები ერთად შეკრიბონ და საქართველოში გაგზავნონ. ეს ძალიან საჩქაროა, რადგანაც ხმებია, რომ ყველა ტყვეებს რუსეთში უპირებენ გადაგზავნას, რუსეთში კი, — ამის შემთხვევები კიდევ ყოფილა, — ისინი ან დენიკის უვარდებიან ხელში, ან ბოლშევიკებს, და იღუპებიან. პოლლანდია, მხოლოდ ძალიან მძიმე პირობებით, იძლევა მათ წასაყვან გემს; ამიტომ ბერლინის საელჩო სთხოვს დელეგაციას გემის ინგლისში შოვნას. ლამბაშიძე კიდევ ცდილობს ამას ლონდონში, შეიძლება მოხერხდეს და საქონელიც იმავე გემით გაიგზავნოს საქართველოში.

ბერლინის საელჩოს მიერ კიდევ სხვა საკითხებიც არის წამოყენებული, მაგრამ რადგანაც მათ შესახებ მოხსენების გამოგზავნას აპირებენ, — დადგენილია ამაზე შემდეგში იყოს მსჯელობა.

5. აზრთა გაცვლა-გამოცვლის მერე იმ საერთო პოლიტიკის შესახებ, რომელსაც დელეგაცია უნდა აწარმოებდეს, დადგენილია შემდეგი: — ჩვენი მხრიდან ხელსაყრელი არ არის მანდატორის თხოვნის ინიციატივა ავილოთ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ინგლისის წინაშე კერძო ნაბიჯები არ უნდა გადავდგათ. პირიქით, ეთხოვთ ჯარები დატოვოს ჩვენში, საქართველოს გარეშე მტრებისაგან დასაცავად, და სამაგიერო მოლაპარაკება გავმართოთ მათთან იმ ეკონომიკური სარგებლობის შესახებ, რომელიც მათ შეუძლიათ ჩვენს ქვეყანაში ნახონ. ამ ფარგლებში უნდა იმუშავოს საერთოდ მთელმა დელეგაციამ, მაგრამ ამას გარდა ყოველ წევრს, კერძოდ, თავისუფლება, ეძლევა და კიდევ ევალება ამ ფარგლებში ყველაფერი გააკეთოს, რაც კი პირადი ნაცნობობით ან დამოკიდებულებით შეუძლია.

6. დასასრულ, ი. გობეჩიას წინადადებით, შეცვლილია სხდომის დღეები და სხდომები დანიშნულია სამშაბათ-პარასკევობით, რაც უფრო თანასწორად ჰყოფს კვირას.

თავმჯდომარე — ნ. ჩხეიძე
მდივანი — ც. დემოლონ-წერეთელი
პარიჟი, 20 მაისი, 1919.

20 მაისის სხდომა

თავმჯდომარე — ა. ჩხეიძე
დამსწრენი — ზ. ავალიშვილი
მ. სუმბაიაშვილი
ირ. წერეთელი
კ. გვარჯალაძე
ი. გობეჩია

მდივანი — ც. დემოლონ-წერეთელი

- კითხვები: 1. რუსებთან შეხვედრა.
 2. ი. გობეჩიას ლონდონში წასვლა.
 3. კ. ჯაყელის საკითხი.
 4. ა. კლემანსოს შუამდგომლობა.
 5. ტყვეების საქმე საფრანგეთში.
 6. მთიულთა და აზერბეიჯანელების კომისია.
 7. ყიფიანის ქალის თხოვნა.
 8. ნაციათა ლიგისათვის მიმართვა.
 9. პრესა და დელეგაციის მასალები.
 10. წარმომადგენელი იტალიაში.

წაკითხულია და დამტკიცებული 9 მაისის სხდომის ოქმი.

1. ირ. წერეთელი მოკლე მოხსენებას აკეთებს თავის შეხვედრაზე რუსეთის ზოგიერთი პარტიის წარმომადგენლებთან, სავინკოვთან, კერენსკისთან და ავქსენტრეევთან: — მათი პოზიცია შემდეგია: სავინკოვი საქართველოს ჩამოშორებას არაფრით არ ურიგდება: ამბობს, წარსულში საჭირო იყო გადაადგდეთ ის ნაბიჯები, რომელიც გადადგით, მაგრამ ახლა საჭიროა, თქვენთვისაც და ჩვენთვისაც, რომ ისევე შემოგვიერთდეთო, თუ ნებით არ ჰქენით ეს, ჩვენი პარტია ძალას არ დაგატანთო, მაგრამ მონარქია, რომელიც უთუოდ გაიმარჯვებს, ნამდვილად დიდ ძალადობას იხმარს თქვენზეო. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ რუსეთთან შეერთება დაღუპვა იქნებოდა ჩვენი სახელმწიფოსათვის. კერენსკის და ავქსენტრეევს უკეთ ესმის საქართველოს მდგომარეობა, მაგრამ არსებითად ისინი ამასვე ამბობენ; კოლჩაკს, რასაკვირველია, ვერ შეუერთდებით, მაგრამ თქვით, რომ, თუ რუსეთში დემოკრატიამ გაიმარჯვა, ფედერაციას მივემხრობით. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ასეთი განცხადება შეუძლებელი არის სახელმწიფოსათვის, რომელსაც სურს საერთაშორისო ოჯახში შევიდეს როგორც დამოუკიდებელი, და რომელსაც უნდა ეს დამოუკიდებლობა განამტკიცოს.

2. ისმება საკითხი დელეგაციის რომელიმე წევრის ლონდონში წასვლის შესახებ, რადგანაც ლამბაშიძე არ ბრუნდება, სასურველი კი არის, რომ დელეგაცია იქაურ მდგომარეობას გაეცნოს.

დადგენილია, ი. გობეჩია წავიდეს ლონდონში საინფორმაციო მისიით.

3. თავმჯდომარე ამცნობს კრებას, რომ მას ლონდონიდან მოუვიდა წერილი კ. ჯაყელის, რუსეთის ყოფილი კონსულის, რომელიც ჯერ სტამბოლში მსახურობდა, მერე ბულგარეთში და მერე ლივერპულში. ახლა მას საფრანგეთში შემოსვლის ნებას არ აძლევენ და თხოვს დელეგაციას დახმარებას, მოუხერხოს მას პარიჟში მოსვლა. ისმება საკითხი, შეიძლება თუ არა დელეგაციამ ეს საქმე აეისროს და ამისათვის საჭირო ნაბიჯები გადადგას.

დადგენილია, ი. გობეჩიამ შეკრიბოს ლონდონში ყოველი ცნობა კ. ჯაყელის შესახებ და, თუ საწინააღმდეგო არაფერი აღმოჩნდა, დაეხმაროს მას დელეგაცია, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

4. თავმჯდომარე გადმოსცემს დამსწრეებს, რომ მასთან იყო ალბერ კლემანსო საშუამდგომლოდ, დახმარება გაუწიოს დელეგაციამ ერთ სპარსელს, რომელსაც დიდძალი შაქარი უყიდნია და თავის სამშობლოში უნდა წაიღოსო; თხოულობს, მიწერეთ თქვენ მთავრობას, შესაძლებლობა მისცეს მას ეს შაქარი საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლად გაატაროსო. ამგვარივე თხოვნით მიუმართავს მას აზერბეიჯანის დელეგაციისთვისაც, სადაც უპასუხნიათ, დაწე-

რეთ რა ქალაღდიკ გჳირდებათ და ხელს მოვაწერთო. თვითონ თავმჯდომარე დაპირება დახმარებას, მაგრამ საკითხავია, რაში უნდა გამოიხატოს ეს დახმარება და საზოგადოდ, რა პასუხი უნდა გაეცეს — ასეთ თხოვნებს მომავალში.

გადაწყვეტილია, როგორც ამ თხოვნას, ისე მომავალშიც ყველა ამგვარ თხოვნებს გაეცეს პასუხი თავაზიანი, მაგრამ ისეთი, რომელიც არაფერს არ ავალებს დელეგაციას.

დადგენილია, ეთქვას კლემანსოს, რომ დელეგაცია ზომებს მიიღებს, რათა მთავრობამ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, დააკმაყოფილოს მისი თხოვნა, მთავრობას კი მიეწეროს, რომ დელეგაციას არავითარი ვალდებულება არ აუღია და, რომ საქმე ადგილზევე უნდა გადაწყდეს, საერთო კანონების და მდგომარეობის მიხედვით.

5. ისმება საკითხი საფრანგეთში მყოფ ჯარისკაცთა და ტყვეების. საქიროდ ცნობილია, რომ მათი საქმე გერმანელი ტყვეების საქმეს დაუკავშირდეს, რათა შესაძლებელი გახდეს მათი ყველასი ერთად სამშობლოში გაგზავნა. გადაწყვეტილია, ახლავე შეუდგეს დელეგაცია მათ ერთად შეკრებას და მათი გაგზავნის ნებართვის შოვნას.

დადგენილია, მიენდოს ეს ზ. ავალიშვილს, რომელიც თანხმობას აცხადებს.

6. თავმჯდომარე მოახსენებს კრებას, რომ ადერბეიჯანელების და მთიულეების წარმომადგენლები თხოულობენ, ქართველებმაც გაგზავნონ თავისი წარმომადგენელი მათ საერთო კომისიაში, და, საზოგადოდ, წინადადებას იძლევიან, რადგანაც ასე ცალ-ცალკე ალღიები¹ ყურადღებას არ გვაქცევენ. გამოვიდეთ საერთოდ და გამოვაცხადოთ, რომ კავკასიის ფედერაცია ვართო, მოვანდინოთ აქ ეს შეთანხმების სახელმწიფოებრივი აქტი და ერთად ვიმუშაოთ, მაშინ უფრო გავიწევენ ანგარიშსო.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გადაწყვეტილია, რომ ფედერაციის გამოცხადება ტაქტიკური მოსაზრებით მაშინ, როდესაც ის ნამდვილად არ არსებობს, შეუძლებელია, საერთო მოქმედება კი, სხვა და სხვა პრაქტიკულ კითხვებში, — ძალიან სასურველი, რათა დარწმუნდნენ ალღიები, რომ კავკასიის სახელმწიფოებს სურთ და შეუძლიათ ეკონომიკური შეთანხმება, და, აგრეთვე, რათა მომზადდეს, მომავლისათვის, კავკასიაში ნიადაგი ერთგვარი ადგილობრივ ნაციათა ლიგის დასამყარებლად.

დადგენილია, საერთო კომისიაში ერთი წარმომადგენელი გაიგზავნოს. არჩეულია ამისათვის ზ. ავალიშვილი.

7. განხილულია თხოვნა რომში მყოფი ქართველი ქალის, ნინო ყიფიანის ასულის. ის თხოულობს, სესხის სახით, 1.000 ფრანკ დახმარებას. ერთხმად გადაწყვეტილია, ეს დახმარება მიეცეს.

დადგენილია, დაევალოს მ. სუმბათაშვილს, გააგზავნინოს აკ. ჩხენკელს, ბერნიდან, 1.000 ფრანკი ნინო ყიფიანისთვის.

8. ხელახლა წაკითხულია მიმართვა ნაციათა ლიგისადმი.

დადგენილია, იგი ახლავე დაიბეჭდოს და გაიგზავნოს.

9. ი. გობეჩია ამცნობს კრებას, პრესის საქმე ისე მოეწყო, რომ შეძლება გვეძლევა დიდ გაზეთებში ვებეჭდოთ წერილებიო, და ამასთანავე შემოაქვს წინადადება, დაიბეჭდოს დელეგაციის მასალებიო.

¹ ალღიები — იგულისხმება ანტანტის უზენაესი საბჭო; ალღია არაბულ ენაზე ნიშნავს უზენაესს. (ა. მ.).

დადგენილია, უკვე არსებულმა სარედაქციო კომისიამ იზრუნოს როგორც დელეგაციის მასალების, ისე პრესაში შესაფერი წერილების დაბეჭდვაზე, და განსაკუთრებით ეცადოს „le temps“-ში (გაზეთი დრო — ა.მ.) მოაქციოს რამე საერთო ხასიათის სტატია, რაც დიდ გავლენას იქონიებს საზოგადო აზრზე.

10. ირ. წერეთელი თვლის, რომ რადგანაც იტალია ამ უკანასკნელ დროს საქართველოს საქმეებში დიდ აქტივობას იჩენს, სასურველია იქ წარმომადგენელი ჰყავდეს საქართველოს. აკ. ჩხენკელი, როგორც აპირებს, წავიდა სამშობლოში, გავლით დარჩება იტალიაში და, როგორც ღრობებითი წარმომადგენელი, გააკეთებს იქ ყველაფერს, რისი გაკეთებაც საჭირო იქნება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, საჭიროა მუდმივი წარმომადგენელი, რომელმაც იქ უნდა იცხოვროს.

გადაწყვეტილია, იყოს ეს მიღებული მხედველობაში, და, თუ სასლვარგარეთ მყოფ ქართველებში არავინ აღმოჩნდა შესაფერი იტალიაში გასავზავნად, — ეთხოვოს საქართველოს მთავრობას იქიდან გამოგზავნოს წარმომადგენელი. მანამდის კი, — დადგენილია, — დაევალოს მ. სუმბათაშვილს, შევიცარიიდან დრო გამოშვებით იტალიაში ჩავიდეს საქმის მოსაგვარებლად.

თავმჯდომარე — კ. ჩხეიძე
მდივანი — ც. დემოლონ-წერეთელი
პარიჟი, 23 მაისი, 1919.

23 მაისის სხდომა

თავმჯდომარე — ა. ჩხეიძე
დამსწრენი — ვ. ჩეჩქეიშვილი
ზ. ავალიშვილი
ირ. წერეთელი
ი. გობეჩია

მდივანი — ც. დემოლონ-წერეთელი

- კითხვები: 1. ი. გობეჩიას ლონდონში წასვლა.
2. მთიულთა და ადერბეიჯანელების კომისია.
3. ნოტა კონფერენციას.
4. პრაქტიკული მოქმედება.
5. თარგმანები და მასალა.

წაკითხულია და დამტკიცებული 20 მაისის სხდომის ოქმი.

1. სულ ახლა დადგენილია, თუმცა ლამბაშიძე ლონდონიდან დაბრუნდა, წავიდეს მაინც ი. გობეჩია იქ საინფორმაციო მისიით.

2. დადგენილია, რადგანაც მთიულთა და ადერბეიჯანელების კომისიაში ორი წარმომადგენლის გაგზავნა ყოფილა საჭირო, მეორედ — კ. გვარჯალაძე იყოს დანიშნული.

3. ზ. ავალიშვილს წინადადება შემოაქვს, რადგანაც შესაძლებელია მალე კოლჩაკის მთავრობა ცნობილი იყოს და ამით რუსეთის საკითხი დაისვას, — დელეგაციამ მოკლე ფორმალური ნოტი მთავრობის კონფერენციას და შეახსენოს მას, რომ საქართველო-რუსეთის ფარგლებში აღარ იმყოფება. ამგვარი ნოტის პროექტი კიდევ დაუწერია და კიდევ უკითხავს მას დამსწრეებისათვის.

დადგენილია, ნოტა საჩქაროდ დაიწეროს და ახლავე გადაეცეს კონფერენციას.

4. ი. გობეჩია თვლის, რომ საჭიროა მუდმივი კავშირი გაიბას დელეგა-

ციასა და სხვა და სხვა ოფიციალურ სფეროებს შორის, და წინადადება შემოაქვს არჩეულ იქნას ერთი ან რამდენიმე პირი, რომელიც ამას იკისრებს.

დადგენილია, დაევალოს ეს ზ. ავალიშვილს და კ. გვარჯალაძეს.

5. დადგენილია, საჩქაროდ გადითარგმნოს ფრანგულად ჯავახიშვილის მონოგრაფია საზღვრების შესახებ და აგრეთვე დაჩქარდეს თარგმნა და გადაცემა ყველა სხვა საჭირო მასალის, რომელიც დელეგაციას აქვს.

27 მაისის სხდომა

თავმჯდომარე — ა. ჩხეიძე

დამსწრენი — ვ. ჩერქეზიშვილი

ზ. ავალიშვილი

ირ. წერეთელი

კ. გვარჯალაძე

მდივანი — ც. დემოლონ-წერეთელი

- კითხვები: 1. მთიულეტთან და ადერბაიჯანელებთან.
 2. საერთო დეკლარაცია.
 3. იტალიის და საფრანგეთის წარმომადგენლებთან.
 4. ქართველ წარმომადგენლობასთან დამოკიდებულება.
 5. მილიუკოვის თხოვნა.

წაკითხულია და დამტკიცებული 23 მაისის სხდომის ოქმი.

1. ზ. ავალიშვილი მოხსენებს აკეთებს მთიულთა და აზერბაიჯანელების საერთო კომისიის კრებაზე. სხვათა შორის იქ გადუწყვეტიათ, რომ სომხებიც მოწვეულ იქნან ამ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად. მთიულები, თურმე, უწინდელივით იმ აზრს ადგანან, რომ კავკასიის სახელმწიფო ფრონტის გაერთიანება უნდა მოხდეს კონფერენციის წინაშე, აქ — ერთად მუშაობა, იქ — კონფედერაცია და კანტონალური სისტემა. ადერბეიჯანელებსაც მჭიდრო პოლიტიკური, სამხედრო ხასიათის კავშირი სურთ საგარეო საქმეებში, ქართველ წარმომადგენლებს კი მხოლოდ ეკონომიკური, სამეურნეო და საბაჟო გაერთიანების პროგრამის შემუშავებისას წინადადება შეუტანიათ, აგრეთვე განვაცხადოთ, რომ ყოველი უთანხმოება ჩვენს შორის არბიტრაჟით უნდა გადაწყდეს.

კრებაზე შემუშავებულია საერთო დეკლარაციის პროექტი და გადაწყვეტილია მხოლოდ ამ დეკლარაციით გამოსვლა მოკავშირეთა წინაშე.

2. კ. გვარჯალაძე ამცნობს კრებას, რომ იგივე აზერბაიჯანელები და მთიულეები, აგრეთვე სხვა პატარა ერები, რომლებიც უწინ რუსეთის ნაწილს შეადგენდნენ, — ესტონელები, ლატიშები, უკრაინელები და სხვ. — წინადადებას იძლევიან, საერთო ნაბიჯი, გადავდგათ მოკავშირეების წინაშე კოლჩაკის ცნობის საკითხის გამო, უნდათ კონფერენციას კოლექტიურად გავგზავნოს იმგვარივე დეკლარაცია, როგორც ცალკე-ცალკე ყოველმა მათგანმა უკვე გაგზავნა. გადაწყვეტილია, რომ ამგვარი კოლექტიური გამოსვლა სასურველი არ არის, მაგრამ დადგენილია, რომ თუ მაინც და მაინც დაჟინებით მოითხოვენ ამას კავკასიის ერები, დათანხმდეს დელეგაცია, რადგანაც უარის თქმა უხერხული იქნება.

3. კ. გვარჯალაძე მოკლე მოხსენებს იტალიის და საფრანგეთის

წარმომადგენლებთან გამართულ საუბარზე. იტალიის წარმომადგენელს, დე-ლატორეტოს, უთქვამს, ჩვენ გვსურს ინგლისელების მაგიერ შევიდეთ კავკასიაში; საქართველოს პოლიტიკურ საქმეებში არ ჩავერევით, რადგანაც ისინი თქვენ თვითონ კარგად მიგყავთო. ეკონომიკური კი — მოგიტანთ ფულებს, მოგიყვანთ ტექნიკოსებს, ვიმუშავეთ, ჩვენც ვისარგებლებთ და თქვენც გასარგებლებთო; რაც შეეხება კოლჩაკს, ის ანტანტის წინააღმდეგ ვერაფერს გაბედავს, ანტანტა კი მას თქვენთან არ შემოუშვებსო. სულ სხვა აზრის ყოფილან საფრანგეთის წარმომადგენლები, ფრანკლინ ბუიონი და კამერერი. ისინი თვლიან, რომ რუსეთი უნდა დარჩეს მთლიანი, მისი დანაწილება არ შეიძლება, მხოლოდ ფინეთს და პოლონეთს მიენიჭება დამოუკიდებლობა, სხვა პატარა ქვეყნები კი, — საქართველოც, — მხოლოდ ფართო თვითმმართველობას მიიღებენ.

4. თავმჯდომარე სვამს საკითხს, როგორი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს პარიზელ დელეგაციასა და სხვა და სხვა ქვეყნებში მყოფ საქართველოს წარმომადგენელთა შორის, და შეიძლება თუ არა დელეგაციამ მათი მოქმედების პასუხისმგებლობა იკისროს ასეთ დროს, როდესაც ახლანდელი პირობების გამო, ისინი სრულიად მოწყვეტილი არიან ერთმეორეს.

დადგენილია, გაიბას მათთან, რამდენადაც შესაძლებელია, მჭიდრო კავშირი, რათა შეთანხმებით მოქმედება არსებობდეს. დელეგაციამ მიიღოს მათგან ანგარიში, რომლის გაგზავნაც მათ თვითონ სურთო, და თავისი მხრით აძლიოს მათ რჩევები.

5. განხილულია თხოვნა, რომლითაც მილიუკოვს მიუმართავს დელეგაციისათვის ბარონ მეუნდორფის შუამდგომლობით. ის თხოულობს გაეგზავნოს მას დოკუმენტები საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ, რადგანაც ის რუსეთის რევოლუციის ისტორიას სწერს და ყველა ეს მასალა ესაჭიროება.

დადგენილია, გაეგზავნოს მას ყოველივე მასალა, სხვათა შორის, უსათუოდ, დოკუმენტების წიგნი, ირ. წერეთლის ბროშურა, აკ. ჩხენკელის ბერნის გამოცემანი, კონფერენციისათვის გადაცემული მემორანდუმი და ინტერნაციონალისადმი მიმართული მემორანდუმი.

დასასრულს, განმეორებით დადგენილია, რომ ა. გვარჯალაძესთან ერთად, ზ. ავალიშვილმაც უსათუოდ იკისროს სხვა და სხვა ოფიციალურ პირებთან დიპლომატიური მოლაპარაკება და დელეგაციას შორის კავშირის გაბმა.

30 მაისის სხდომა

თავმჯდომარე — ა. ჩხეიძე

დამსწრენი — ვ. ჩერქეზიშვილი

ზ. ავალიშვილი

ირ. წერეთელი

კ. გვარჯალაძე

მდივანი — ც. დემოლონ-წერეთელი

- კითხვები: 1. ინგლისელ და ამერიკელ დელეგაციებში.
2. მთიულებთან და აზერბაიჯანელებთან.
3. პატარა ერებთან.
4. გეგეჭკორის წერილი.
5. საქართველოდან მოსული მასალა.

წაკითხულია და დამტკიცებული 27 მაისის სხდომის ოქმი.

1. **წ. ავალიშვილი** ყოფილა ინგლისის და ამერიკის დელეგაციებში. ინგლისის დელეგაციაში უთქვამთ, საქართველოს და საზოგადოდ კავკასიის ინტერესები უზრუნველყოფილი იქნება როგორც საფრანგეთის, ისე საზონოვის პარტიის წინააღმდეგ. შესაძლებელია ინგლისის ჯარი, შინაური პოლიტიკის გამო, გამოყვანილი იქნას საქართველოდან, მაგრამ მაშინ, სამაგიეროდ, იტალიის ჯარი იქნება შეყვანილიო. — ამერიკის წარმომადგენელს, ლორდს, უთქვამს, თქვენ, რუსეთის საზღვრებში ყოფილ პატარა სახელმწიფოებს, გექნებათ მოლაპარაკება რუსეთთან, და, თუ მორიგება ვერ მოხდა, მაშინ საქმე ლიგას გადაეცემაო. მანამდის კი ავტონომია გექნებათო; ამერიკა ყოველთვის მომხრე იყო ამ სახელმწიფოების სრული დამოუკიდებლობის და, სადაც საჭირო იქნებოდა, მანდატის. და ახლაც ეს მოქმედების ზაზი ამერიკის ზედგავლენით არის მიღებული საფრანგეთის სურვილის წინააღმდეგ. დასასრულ უთქვამს, საქართველოს რომ დახმარება სჭირდება, ეს სწორედ ერთგვარი მანდატი არისო.

2. **წ. ავალიშვილი** და **კ. გვარჯალაძე** მოკლე მოხსენებას აკეთებენ აზერბეიჯანელების და მთიულეების საერთო კომისიის სხდომაზე. ყველა თავის აზრზეა, ქართველები — ეკონომიკური გაერთიანება და არბიტრაჟი, მთიულეები — კონფედერაცია და კანტონალური სისტემა, აზერბეიჯანელები — სავარყო პოლიტიკაში ერთობა და სამხედრო კავშირი. ახლა ყველა ეს წინადადებები უნდა განიხილოს დელეგაციებში და მერე საერთო გადაწყვეტილება უნდა იქნეს გამოტანილი.

3. **თამაჯლომარე**. პატარა ერების კრებაზე საკითხი დაისვა საერთო გამოსვლის შესახებ. ქართველების წარმომადგენლებმა უარი ვეღარ თქვეს, რადგანაც ისეთი მსურველე სურვილი იყო გამოცხადებული ამითი ყველა ერებისაგან, ლიტველების გარდა, რომ უარის თქმა გამოითიშვას მოასწავებდა. მაგრამ რადგანაც ლიტველებს ჯერ არ ჰქონდათ ამაზე ერთმანეთს შორის ლაპარაკი და მოსალაპარაკებლად ვადა ითხოვეს, — კრებამ ამ საკითხის გადაწყვეტა შემდეგი სხდომისათვის გადადვა.

გადაწყვეტილია, რომ ახლა გამოსვლა დაგვიანებულია, რადგანაც კოლჩაკისთვის უკვე გაგზავნილია პირობები. სჯობს, თუ მაინც და მაინც საჭირო იქნა, საერთო გამოსვლა მაშინ მოხდეს, როცა კოლჩაკის პასუხი მოვა.

დადგენილია, პატარა ერების კრებაზე ეს აზრი გაიყვანოს დელეგაციამ.

4. წაკითხულია გეგუქორის წერილი, რომლიდანაც ჩანს, რომ სასურსათო საკითხი საქართველოში უკიდურეს მდგომარეობაშია.

დადგენილია, დელეგაციამ ყოველი ზომა იხმაროს საქართველოში სურსათის გასაგზავნად.

5. დადგენილია, სარედაქციო კომისიამ განიხილოს საქართველოდან ახლად მოსული მასალები* და გამოაქვეყნოს ყველა ის, რისი გამოქვეყნებაც შეიძლება.

თამაჯლომარე — ნ. ჩხეიძე
მდივანი — ც. დემოლონ-წერეთელი
პარიჟი, 3 ივნისი, 1919.

3 და 4 ივნისის სხდომა.

თავმჯდომარე — ა. ჩხეიძე
 დამსწრენი — ვ. ჩერქეზიშვილი
 ზ. ავალიშვილი
 ირ. წერეთელი
 კ. გვარჯალაძე
 ი. გობეჩია
 მდივანი — ც. დემოლონ-წერეთელი

- კითხვები: 1. სიმპსონთან.
 2. სურსათის საკითხი.
 3. ლონდონთან კავშირი.
 4. ტყვეები.
 5. დამოკიდებულება ქართველ წარმომადგენლობასთან.
 6. ტელეგრამა მთავრობას.

წაკითხულია და დამტკიცებული 30 მაისის სხდომის ოქმი.

1. ირ. წერეთელი მოხსენებას აკეთებს თავმჯდომარის და თავის შეხვედრაზე ინგლისის წარმომადგენელ სიმპსონთან, რომელსაც კოლჩაკთან მოლაპარაკება აქვს მინდობილი. — ხაზგასმით და მრავალჯერ განმეორებით გვითხრა სიმპსონმა, რომ ჩვენ უსათუოდ უნდა წამოვაყენოთ ის პირობები, რომლითაც დაეთანხმდებით რუსეთის ფედერაციაში შესვლას. ყველა სხვა და სხვა თვალსაზრისით უვლიდა ამ კითხვას: თქვით, როგორია თქვენი პირობები და ჩვენ მივადებინებთ მათ კოლჩაკს, და კიდევ დავავალებთ, რომ შეასრულოსო; თქვით, როგორია თქვენი პირობები, და, თუ კოლჩაკმა არ მიიღო ისინი, მაშინ სულ სხვაგვარად დაისმება კითხვა სულ სხვაგვარად გელაპარაკებითო; თქვით, როგორია თქვენი პირობები, და, თუ არ შეიძლება მაგ პირობებით რუსეთში ფედერაციის შექმნა, მაშინ მაგას მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა ექნება, ტაქტიკური ნაბიჯისო, მაგრამ აზრი ყველა ამისი ერთი იყო: აუცილებლად უნდოდა, რომ ფედერაციაში შესვლის სურვილი გამოგვეცხადებინა და ჩვენი პირობები წამოგვეყენებინა. ჩვენ ყოველგვარად ვეცადეთ, რომ საკითხი დაგვესვა როგორც პრაქტიკული მოლაპარაკება ჩვენსა და ინგლისის შორის, მაგრამ ეს უარყოფილი იქნა, არ შეგვიძლია საქართველოს დელეგაციასთან პრაქტიკული მოლაპარაკება ვიქონიოთ, რადგან ჩვენც საერთო პოლიტიკას ვანზობრციელებთ, ალლიებთან და ყოველ ზომას ვხმარობთ, რომ რუსეთი გერმანიისგვარ პირობებში არ ჩავაყენოთ, რათა სასოწარკვეთილი ის გერმანიას არ შეუერთდეს და ამგვარად ორივემ ერთად ჩვენი ნაციათა ღვივა არ ააფეთქოსო. მაშინ ვეცადეთ, კერძოდ, არა-ოფიციალურად მოვლაპარაკებოდით მას; ვუთხარი, ვეცემის, რომ ოფიციალურად არ გინდათ ჩვენთან მოლაპარაკების გამართვა, არ გინდათ ალღებზე და რუსებზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინოთ, მაგრამ ვილაპარაკოთ ისე, არაოფიციალურად, და კერძოდ გვითხარი, რა მოთხოვნა გაქვთ, რა გსურთ. მაგვრი ესეც უარყოფილი იქნა, დღეს ისეთი მდგომარეობა არის, რომ ყოველი ასეთი მოლაპარაკება საქმეს წაგვიხდენს ალღებში და რუსეთთან. თუ გინდათ საზოგადო ალღების და კერძოდ ინგლისის დახმარება, თქვით, რა პირობები გსურთო რუსეთის ფედერაციაში შესასვლელად

და მაშინ დაგეხმარებითო. მთელ მის ნათქვამში ერთი ხაზი იყო გატარებული, — არ სურთ ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხის პრაქტიკულ ნიადაგზე დაყენება, და მოლაპარაკების გასამართავად საჭიროდ მიაჩნიათ რუსეთის ფედერაციაში შესვლაზე ჩვენი თანხმობა. გარანტიას მოგცემთ, რომ ფედერაციაში თავისუფალი იქნებით, უამისობით კი ლიგა ვერაფერ გარანტიას ვერ მოგცემთ, რადგანაც, თუ გერმანია და რუსეთი შეერთდნენ, ლიგა აფეთქებული იქნება. ჩვენ ვუთხარით, რომ კოლჩაკს, პირობები რომ კიდევ მიიღოს, არა აქვს შეძლება ისინი ცხოვრებაში გაატაროს; ძალიანაც რომ სურდეს, მაინც ვერ დაამკვიდრებს დემოკრატიულ წესს, რადგანაც რუსეთი დანგრეულია, პოლიტიკურად და ეკონომიკურად, და ძალიან დიდი დროა მის აღსადგენად საჭირო; რომ როგორც ბოლშევიზმი, ისე რეაქცია, ეს ერთადერთი რეალური ძალები რუსეთში, სამოქალაქო ომის მქონენი არიან და, რასაკვირველია, არც ერთი ერი, თავისი ნებით, ასეთ სახელმწიფოსთან ფედერაციულ კავშირს არ მოისურვებს; რომ მათი რუსეთთან გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ ძალით, მახვილით, რაც ეწინააღმდეგება აღიარების განცხადებას, რომ თვითველ ერს თვით გამორკვევის უფლება აქვს; რომ ჩვენმა ხალხმა დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნა და სურს პირდაპირი კავშირი იქონიოს ევროპის სახელმწიფოებთან თავისი ეკონომიკური ცხოვრების აღსადგენად და ეროვნული არსებობის დასამკვიდრებლად. ჩვენ ვუთხარით აგრეთვე, რომ უფლებაც არა გვაქვს რუსეთში შესვლის პირობები წამოვაყენოთ, რადგანაც ჩვენმა ხალხმა ერთხმად და ერთსულოვნად გამოთქვა დამოუკიდებლობის სურვილი და ჩვენც, როგორც მისმა წარმომადგენლებმა, ის უნდა ვითხოვოთ, რაც მათ სურთ; რომ ჩვენ ასე ვუყუენებთ ინგლისს საკითხს და ვთხოვთ, ამაში ხელი გაგვიმართოთ. მან ხელახლა გვიპასუხა, თქვენთან პრაქტიკული მოლაპარაკების დაწყება მხოლოდ მაშინ შეგეძლება, როცა რუსეთის ფედერაციაში შესვლის თანხმობას განაცხადებთო. დათანხმდით, დაგვეხმარეთ, მოგვეცით ბაზა, რომ კოლჩაკთან მოლაპარაკება გავმართოთ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ირკვევა, რომ სიმბსონს ამგვარივე წინადადებით სხვა პატარა ერებისთვისაც მიუთმართავს, და რომ შეიძლება ეს ნაბიჯი იყოს შედეგი საზონოვის მოგზაურობისა ლონდონში, სადაც მას საგარეო სამინისტროში უთქვამს, პატარა ერებს არ სურსო დამოუკიდებლობა, ამას მხოლოდ ინგლისი ახვევს თავზე, თუ არა მათ რუსეთთან ყოფნა ურჩევნიათო.

გადაწყვეტილია, რომ ყოველ შემთხვევაში დელეგაციას სხვაგვარი პასუხის გაცემა არ შეეძლო, და დადგენილი, გაჩერდეს ის უკვე ნათქვამზე, მხოლოდ ეცადოს რამენაირად გაიგოს, რა აზრის არის ამის შესახებ შეერთებული შტატები.

ვ. ჩერქევიშვილი აგონებს დასწრეებს, რომ ყოველი მოლაპარაკების დროს ხაზგასმული უნდა იყოს, რომ საქართველო არის არა რუსეთის პროვინცია; არამედ ცალკე სახელმწიფო, ხელშეკრულებების უფლებებით აღჭურვილი.

2. კ. გვარჯალაძე ყოფილა სურსათის შესახებ მოსალაპარაკებლად შარლ დიუმასთან და მელლერთან. ეს უკანასკნელი ესტონელების დელეგაციაში მსახურობს, მაგრამ ესტონელებს მისთვის ნება მიუციათ ქართველებზედაც იზარუნოს, მით უფრო რომ ესტონიასა და საქართველოს შორის კონკურენცია შეუძლებელია, სულ სხვა და სხვა საქონელი აქვთო. პური ჰქონიათ და მისი გაგზავნაც შეუძლიათ, მაგრამ უნდა იცოდნენ: რა საქონელს მისცემს სამაგიე-

როდ საქართველო. აიღებენ სიამოვნებით აბრეშუმს, ბამბას, თამბაქოს და „douves“-ებს, მაგრამ უნდათ გაიგონ რამდენის მიცემა შეუძლია საქართველოს და რა ფასში, აგრეთვე თხოულობენ ყველაფრის ნიმუშებს. რადგანაც ყველა ამის გასაგებად და მოსაწყობად საჭიროა კავშირი იყოს დელეგაციასა და მთავრობას შორის, საკარგო სამინისტროს ნება მიუთია დელეგაციისთვის მისი საშუალებით ტელეგრამები გაგზავნოს საქართველოში.

3. **ი. გობეჩია** მოხსენებას აკეთებს ლონდონში მოგზაურობის შესახებ. გადაწყვეტილია, მკიდრო კავშირი იქონიოს დელეგაციამ ლონდონის ქართველ საზოგადოებასთან, ყოველგვარი მასალა გაუგზავნოს მას და დაავალოს პროპაგანდა, როგორც ინგლისელ საზოგადოებაში, ისე პრესაში.

დადგენილია, მიეწეროს ამ საზოგადოების წევრებს დაასახელონ თავის წრეში ერთი კაცი, რომელთან დელეგაცია მიწერ-მოწერას და დამოკიდებულებას იქონიებს.

დადგენილია აგრეთვე, რადგანაც სოკოლოვი არ გამოდგა იმ მისიისათვის, რომლისთვისაც ის ლონდონში იყო გაგზავნილი, შეუწყვიტოს დელეგაციამ მას ჯამაგირი და აცნობოს მას ეს ახლავე წერილობით.

4. სულ საფრანგეთში თურმე 100 ტყვეა, მათში 90 გერმანიიდან.

დადგენილია, ზ. ავალიშვილს ამ საქმეში დახმარება გაუწიოს ი. გობეჩიამ და ორივემ ერთად დააჩქარონ ამ ტყვეების სამშობლოში გაგზავნა.

5. წაიკითხულია საქართველოს ბერლინელი წარმომადგენლის წერილი, ჩხენკელის რეზოლუციით, რომელსაც ოფიციალური მოხსენების ხასიათი აქვს. ამის გამო ხელახლა ისმება საკითხი იმ დამოკიდებულებაზე, რომელიც უნდა არსებობდეს დელეგაციასა და საქართველოს წარმომადგენელთა შორის, ინფორმაცია და რჩევები, როგორც გადაწყვეტილი იყო. თუ სრული ცენტრალიზაცია და პასუხისმგებლობა.

გადაწყვეტილია, ვინაიდან პარიველ დელეგაციას არც ფაქტობრივი საშუალება აქვს წარმომადგენლებს თვალყური ადევნოს და კონტროლი გაუწიოს, არც მატერიალური სახსარი მათი საქმეების განსახორციელებლად, — გადაეცეს ეს ისევ აკ. ჩხენკელს, რომელიც ყველა ამ მხრით უკეთეს პირობებში იმყოფება და რომელიც უწინაც უძღვებოდა ამ საქმეს.

დადგენილია, მიეწეროს აკ. ჩხენკელს, ხელახლა ითხოვოს წარმომადგენლებთან დამოკიდებულება, მას გაეგზავნოს მათი მოხსენებები და მან მიიღოს ყოველი საჭირო გადაწყვეტილება, დელეგაცია კი, სადაც შესაძლებელი იქნება, თავისი რჩევით დაეხმარება მას.

6. დადგენილია, ისარგებლოს დელეგაციამ იმ საშუალებით, რომელიც მას ეძლევა საქართველოში ტელეგრამების გზავნის და შეეკითხოს მთავრობას, რა გადაწყვედა ამიერკავკასიის კონფერენციაზე.

თავმჯდომარე — ნ. ჩხეიძე
მდივანი — ც. დემოლონ-წერეთელი.
პარიჟი, 9 ივნისი, 1919.

9 ივნისის სხდომა

თავმჯდომარე — ა. ჩხეიძე
 დამსწრენი — ვ. ჩერქეზიშვილი
 ზ. ავალიშვილი
 ირ. წერეთელი
 კ. გვარჯალაძე
 ი. გობეჩია

მდივანი — ც. დემოლონ-წერეთელი

- კითხვები: 1. საქართველოდან მოსული ცნობები.
 2. კოლონელ ჰაუზთან წასვლა.
 3. პრაქტიკული ნაბიჯები.
 4. მასალების გამოჭყეყნება.
 5. სხვა და სხვა მოხსენება.
 6. სხვა და სხვა დადგენილება.

წაკითხულია და დამტკიცებული 3—4 ივნისის სხდომის ოქმი.

1. წაკითხულია საქართველოდან მოსული ცნობები. 1) მთავრობის წერილი*. 2) მთავრობის ტელეგრამა*. 3) მოლაპარაკების ოქმი დენიკინის წარმომადგენელ, ინგლისელ გენერალ ბრიგისისა და გეგეჰკორ-რამიშვილს შორის**. 4) მოლაპარაკების ოქმი — ინგლისელ გენერალ ბიჩისა და ჟორდანის შორის***. 5) მოხსენება სოჩის რაიონში მომხდარ შეტაკებათა შესახებ**. 6) ბლოკადა* და 7) საქართველოს მთავრობის პროტესტის ნოტა მიმართული საზავო დელეგაციებისადმი**. ყველა ამ მასალიდან ცხადია, ირკვევა, რომ საქართველო უკიდურეს მდგომარეობაშია, რომ ინგლისელებს დენიკინის მხარე უჭირავთ, რომ ისინი იქ საქართველოს დამლუბველ რეაქციონულ პოლიტიკას მიმართავენ და, რომ იქამდისაც მისულან, რომ მათი და დენიკინის შეთანხმებული მოქმედებით საქართველო ნამდვილი ბლოკადის მსხვერპლი გამხდარა, რის გამოც იქ ცხოვრებისათვის აუტანელი პირობები შექმნილა.

ირ. წერეთელი. ჩვენი აქაური შთაბეჭდილებანი სრულიად ეთანხმება მთავრობის იქაურ შთაბეჭდილებებს. ჩვენთვის სასურველი იყო ინგლისთან კავშირი, მაგრამ, როგორც ვხედავთ, პატარა ერების საკითხში, ის რეაქციონულ რუსეთთან არის სოლიდარული. ამერიკა, რასაკვირველია, ძალიან სასურველია, მაგრამ მას ახლავე არ შეუძლია ჩვენი პრაქტიკულად დახმარება, ამიტომ ჩვენ ახლა ძალაუნებურად იტალიისაკენ უნდა მივბრუნდეთ. მართალია, მოკავშირეებში ეს ყველაზე უარესია ძლიერების და გავლენის მხრით, ამას გარდა ეს არის იმპერიალისტური ქვეყანა, რომელიც ნაკლებ თავისუფლებას აძლევს თავის კოლონიებს, მაგრამ ეს ერთადერთი სახელმწიფოა, რომელსაც ინტერესი იზიდავს ჩვენ ქვეყანაში, რომელიც თითონ დგამს პირველ ნაბიჯებს ჩვენსკენ, და, რადგანაც ჩვენ არჩევანი არა გვაქვს, რადგანაც საქართველო ასეთ განსაცდელშია, მათთან უნდა ვიქონიოთ მოლაპარაკება. რასაკვირველია, საზოგადოდ და საერთოდ, როგორც ერთი მოკავშირეთაგანი, იტალიაც იმასვე შემოგვძლევს, რასაც ინგლისი, მაგრამ უფრო ადვილად დაადგება ზოგიერთი შეთანხმების გზას, რაც ჩვენთვის ძალიან საჭიროა. უნდა მოვაპოვებინოთ მას ჩვენში ეკონომიკური სარგებლობა და სამაგიეროთ ვთხოვოთ დახმარება დენიკინის წინააღმდეგ და აგრეთვე პროტექცია მოკავშირეთა წინაშე. მაგრამ ამავე

დროს საჭიროა მოველაპარაკოთ ამერიკასაც, ვუთხრათ მას ყველაფერი მართალი, გულახდილად, და, როგორც წვრილი ერების მფარველ სახელმწიფოს, ვთხოვოთ დახმარება.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დადგენილია, მიემართოს იტალიასაც და ამერიკასაც. იტალიას უფრო პრაქტიკული წინადადებებით, უზრუნველყოს ჩვენი საზღვრები და ჩვენ დამოუკიდებლობას მხარი დაუჭიროს კონფერენციაზე. თუ დახმარებას აღგვითქვამს და სამაგიეროდ მანდატორობას მოგვინდომებს, — მაშინ იძულებული ვიქნებით მისი ორიენტაცია მივიღოთ. ამერიკას კი მიემართოს უფრო ზოგადი თხოვნით, რომ დაგვეხმაროს თავისი გავლენით.

2. **წ. ავალიშვილი** მოხსენებს აკეთებს თავის მეორე შეხვედრის შესახებ ლორდთან. მას უცნობებია ლორდისთვის, ინგლისს გაჰყავს საქართველოდან ჯარები, იტალიას შემოჰყავსო, და ხელახლა გაუმეორებია, საქართველოს დამოუკიდებლობა სურს, მხოლოდ დახმარება უჭირვება, უმეტესად ფინანსური, ეკონომიკურად ასაღორძინებლად და პოლიტიკური, თავისი საერთაშორისო მდგომარეობის გასამტკიცებლად, და, თუ შეიძლება, ეს დახმარება ამერიკამ გაუწიოს, მით უფრო რომ ამერიკა, როგორც ამბობენ, სომხეთის მანდატს იღებს და საქართველოს დახმარება შეიძლება იყოს ამ მანდატის დამატებითი და პარალელური მოქმედება, რაც სრულიად ბუნებრივი იქნება, რადგანაც ეს ორი სახელმწიფო მეზობლები არიან და საქართველო არის სომხეთში შესავალი, ერთგვარი კარიო, უთქვამს ლორდს. ამისთანა კითხვებზე უნდა ილაპარაკოთ კოლონელ ჰაუზთან, რომლის თანაგრძნობა ნიშნავს თვით ვილსონის თანაგრძნობასო. ჰაუზისაგან კიდევ მიუღია ავალიშვილს 11 ივნისისათვის აუდიენციის დაპირება, მხოლოდ ამ აუდიენციის წინ მას უნდა გაეგზავნოს, ლორდის საშუალებით, მოკლე მემორანდუმი საქართველოს საკითხის შესახებ. ეს მემორანდუმი კიდევ დაუწერია და კითხულობს⁶.

დადგენილია, რომ საჭიროა კოლონელ ჰაუზთან წასვლა, მაგრამ არა მანდატორობის წინადადებით, არამედ, როგორც უკვე გადაწყვეტილია, პოლიტიკური და ეკონომიკური დახმარების თხოვნით იმ გავლენის მხრით, რომელიც მას შეუძლია იქონიოს, დადგენილია აგრეთვე, რომ მემორანდუმი გადასწორებულ იქნას ახლად მიღებული მასალის მიხედვით.

3. **წ. ავალიშვილის** წინადადებით გადაწყვეტილია შემდეგი პრაქტიკული ნაბიჯები: 1) გაეგზავნოს ყველა საზავო დელეგაციებს პროტესტის ნოტა იმ განსაცდელის შესახებ, რომელიც მოელის საქართველოს დენიკინის მხრით; 2) მიემართოს ამგვარივე ნოტით ვერსალის საბჭოს; 3) მიემართოს ინგლისის მთავრობას ნოტით, სადაც ხაზგასმული უნდა იქნეს ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს მათ პოლიტიკურ პრინციპებსა და იმას შორის, რაც რეალურად ხდება ახლა საქართველოში.

დადგენილია ყველა ამ ნოტების საჩქაროდ დაწერა მიენდოს ავალიშვილს.

4. გადაწყვეტილია, მთელი საქართველოდან მოსული მასალა საჩქაროდ იყოს გადათარგმნილი ფრანგულად და ინგლისურად და ყოველი ზომა, ფულის დაუზოგავად, მიღებული იქნას, რათა ის ფრანგულ და ინგლისურ გაზეთებში დაიბეჭდოს. გადაწყვეტილია აგრეთვე, ახლავე გამოიცეს ყველა ეს მასალა ცალკე წიგნად, რომელიც რაც შეიძლება ფართედ უნდა იყოს გავრცელებული ინგლისელ და ფრანგულ ყველა წრეებში.

დადგენილია გაზეთებში სტატიების მოთავსებაზე ზრუნვა დაველოს კ. გვარჯალაძეს და ი. გობეჩიას, წიგნის გამოცემა კი — არსებულ კომისიას.

5. ი. გობეჩია მოახსენებს კრებას, რომ პროფესორი ოლდარი დაპირდა მას საქართველოს შესახებ და კოლჩაკ-დენიკინის წინააღმდეგ სტატიის დაწერას, მხოლოდ მასალას თხოულობს.

დადგენილია, დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ყოველი მასალა.

ირ. წერეთელი ამცნობს დამსწრეებს, რომ მას მოუვიდა წერილი ალბერტომასიან, რომელიც ატყობინებს, სომეხებმა სხვა და სხვა ბრალდება წამოაყენეს ქართველების წინააღმდეგ, იმ წინასიტყვაობის გამო, მე რომ თქვენ წიგნაკს ვაუწყებთ, და თხოულობს ინფორმაციას, რათა შეძლოს მხარი დაუჭიროს ქართველებს. წერეთელს უპასუხნია, ინფორმაციას პირადად გადმოგცემთო.

3. გვარჯალაძე გადმოსცემს კრებას, რომ მეღლეღმა შეატყობინა, პური გვაქვს ტუნისში. ახლავე გვითხარით პრინციპული პასუხი და მერე კი, როცა თქვენ მთავრობას მოელაპარაკებთ, შეგვატყობინეთ რაოდენობა, ანალიზი და ფასი იმ საქონლისა, რომელსაც მოგვცემთ სამაგიეროთო. პურის ფასია 49,50 ფრანკი გემზე დატვირთულ ას კილოში. ორი თვის ზღვაზე გემის მოგზაურობა 42.000 ფრანკი.

დადგენილია, რომ დელეგაციამ პრინციპული თანხმობა განაცხადოს, მაგრამ არავითარი ვალდებულება თავის თავზე არ აიღოს, სანამ მთავრობისაგან ცნობა არ მიუვა.

6. ავალიშვილი ამცნობს დამსწრეებს, რომ დელეგაციას ნაციათა ლიგისაგან ძალიან ზოგადი პასუხი მოუვიდა, რომელშიც მოხსენიებულია, რომ ლიგაში მიღების პირობები პირველ პუნქტშია აღნუსხული*.

6. 1) დადგენილია, დელეგაციამ მოლაპარაკება იქონიოს, უკანასკნელი ცნობების შესახებ, სიმპსონთან და მალეტთან.

2) დადგენილია, ახლად მიღებული ი. ბაქრაძის მოხსენება წინა სხდომის გადაწყვეტილებისამებრ დაუბრუნდეს აკ. ჩხენკელს.

3) დადგენილია, ახლად მოსულ სოკოლოვის წერილს, წინა სხდომის დადგენილებისამებრ, უარით უპასუხონ.

4) დადგენილია, კ. ჯაყელს, წერილის საპასუხოდ, გაეგზავნოს ქართველი მოქალაქის პასპორტი და მიღებულ იქნას ზომები მის გადმოსაყვანად საფრანგეთში².

თავმჯდომარე — ნ. ჩხეიძე

მდივანი — ც. დემოლონ-წერეთელი

პარიჟი, 13 ივნისი, 1919.

¹ Georgian Archive Harvard University. Reel 86, box 26, book 36—37.

² გაგრძელება შემდეგ ნომერში.

**მასალები რუსეთ-იმერეთის ურთიერთობის ისტორიისათვის
(XVII ს-ის 50-იანე წწ.)**

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესწავლას ჩვენში საკმაოდ დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ამ საკითხის შესახებ დაიწერა ბევრი ნაშრომი, გამოქვეყნდა ისტორიული დოკუმენტები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაინც ზღვაში წვეთია მასალების საერთო რაოდენობასთან შედარებით. ბევრი წყარო ჯერ კიდევ ელის გამოვლენას და დღის სინათლეზე გამოტანას. ამიტომაც ამჯერად გვსურს მკითხველს შევთავაზოთ რამდენიმე დოკუმენტი, რომლებიც XVII ს-ის 50-იანი წლების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას შეეხება და დატულია ქ. მოსკოვის ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ЦГАДА).

ჩვენ ხელთ არის იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის მიერ (1639—1660) რუსეთის დიდი ხელმწიფის ალექსი მიხეილის ძისადმი გაგზავნილი 3 სიგელი (ЦГАДА, ფ. 110, оп. 1, г: 1657, д. 1, лл. 1—18) და ამ უკანასკნელის საბასუხო წერილი, რომელიც მან ალექსანდრეს ელჩებს გამოატანა იმერეთში. (ЦГАДА, ფ. 110, оп. 1, г: 1658, д. 2, лл. 1—7).

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოდასახელებული დოკუმენტები არ არის უცნობი ქართველ მკვლევართათვის, მათ ისინი მოხსენიებული აქვთ თავიანთ ნაშრომებში¹, მაგრამ სრული სახით, მათი ისტორიული ადგილის გათვალისწინებით ამ წყაროებს პირველად ვეცნობით.

რა შინაარსისაა ისინი და რა ისტორიულ ღირებულებას შეიცავენ?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა მიმოვიხილოთ ვითარება, რომელშიც ზემოთ აღნიშნული დოკუმენტები შეიქმნა.

XVII ს-ის 30—50-იანი წლები საქართველოს ისტორიაში მძაფრი ქართველობის ხანა იყო: აქ თავისი გავლენის განმტკიცებისათვის ერთმანეთს ეცილებოდა სამი დიდი სახელმწიფო: ირანი, ოსმალეთი და რუსეთი. უნდა ითქვას, რომ თუკი პირველი ორისათვის საქართველოში გაბატონების საკითხი საუკუნეების მანძილზე გადაუჭრელ და მუდმივი კონფლიქტების საგანს წარმოადგენდა, რუსეთი შედარებით ახალი გამოსული იყო კავკასიის სამოქმედო არენაზე და მიუხედავად იმისა, რომ ისიც ფართო დაპყრობით მიზნებს ისახავდა, იმ დროისათვის არ შესწევდა ძალა ჯეროვანი კონკურენცია გაეწია მეტოქეებისათვის და ამიტომაც ცდილობდა საქართველოს სხვადასხვა სამეფო-სამთავროთა თავის გავლენის ქვეშ მოქცევით შეექმნა პლაცდარმი მომავალი, უფრო

¹ იხ. თ. ტივაძე, საქართველოს და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII ს-ის მეორე ნახევარში, თბ., 1977; Н. Накашидзе, Грузино-русские отношения в I половине XVII века, Тб., 1968.

ხელსაყრელი პერიოდისათვის. თავდაპირველად (XVI ს-ის მეორე ნახ. — XVII ს-ის პირველი ნახ.) რუსეთს მხოლოდ კახეთის სამეფოსთან ჰქონდა ურთიერთობა, XVII ს-ის 50-იან წლებში კი იმერეთიც ჩაება აღნიშნულ ურთიერთობაში, კერძოდ, 1651 წლის 9 ოქტომბერს აღექსანდრე III-ემ ფიცი დადო რუსეთის მეფის ერთგულებაზე.

განვიხილოთ აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებული საკითხები: როგორც ცნობილია, 1633 წლის დასაწყისში როსტომ ზანისაგან დამარცხებულმა და დევნილმა თეიმურაზ I-მა თავი იმერეთს შეაფარა, სადაც იმ პერიოდში გიორგი III (1605—1639) მეფობდა. კახეთის მეფემ მასთან მეგობრული კავშირი 30-იანი წლების დამდეგს დაამყარა, როდესაც თავისი ქალიშვილი ნესტან-დარეჯანი უფლისწულ ალექსანდრეს მიათხოვა. მიზანი ამ წმინდა პოლიტიკური აქტისა, აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, შემდეგში მდგომარეობდა: „გიორგი სააკაძის საქციელს, რომელმაც თეიმურაზ მეფის საწინააღმდეგოდ იმერთა მეფის ძის ქართლში გაბატონება სცადა, უნდა დაენახებინა თეიმურაზისთვის, რომ მისთვის იმერეთის მეფესთან უფრო მჭიდროდ დაახლოება და დაკავშირება იყო საჭირო; რაიმე გზით ის უფრო მომტკიცებული უნდა ჰყოლოდა, რომ მუდამ ზურგიდან თავდასხმისა და ზიფათის მოლოდინში არ ყოფილიყო. სწორედ ამ პოლიტიკური თვალსაზრისით უნდა ეხელმძღვანელა თეიმურაზ მეფეს, როდესაც მას თავისი ვერაგობითვე ახლად დაქვრივებული ქალის იმერეთში გათხოვება გადაუწყვეტია“². ამიერიდან თეიმურაზი და იმერეთის მეფე ერთიანი ძალით უნდა გამოსულიყვნენ მტრების წინააღმდეგ, ყველაზე ბოროტი მტერი კი თეიმურაზისთვის აღნიშნულ კონკრეტულ სიტუაციაში ქართლის მეფე როსტომი იყო, რომელიც, თავის მხრივ, ცდილობდა დასავლეთ საქართველოში მოკავშირეები გაეჩინა და ამით მოწინააღმდეგე მხარე დაესუსტებინა. სწორედ ასეთ პოტენციურ თანამდგომად მიიჩნიეს მან და მისმა მრჩეველებმა სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი (1611—1657). ლევან დადიანს იმ დროისათვის უკვე გამწვავებული ჰქონდა იმერეთთან ურთიერთობა, თანაც გარკვეული მიზეზების გამო თურქეთის სულთანიც ურისხდებოდა და, როგორც იტყვიან, სწორედ სულზე მიუსწრო მას როსტომის წინადადება, ნათესაური კავშირით დაახლოებოდნენ ერთმანეთს: ლევანს თავის და, სვიმონ გურიელის ცოლყოფილი მარიამი უნდა მიეთხოვებინა როსტომ მეფისათვის. ამ უკანასკნელის მთავარ საზრუნავს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თეიმურაზ-გიორგი-ალექსანდრეს კავშირის დასუსტება წარმოადგენდა, რასაც იმ შემთხვევაში მიაღწევდა, თუკი ლევან დადიანს მუდმივად თავდასხმის მუქარის ქვეშ ეყოლებოდა იმერთა მეფე. როსტომისა და დადიანის დამოკვრებას მიესალმა ირანის შაჰ-სეფიც, რომელსაც ოსმალეთთან მოსალოდნელი ომის დროს დადიანთან, როგორც თურქეთის ყმადნადიციან, დაკავშირება საშურ და აუცილებელ საქმედ მიიჩნდა. გარდა ამისა, აღმოსავლეთ საქართველოს დამორჩილებისა და იქ თავისი მოხელის — ვალის დასმის შემდეგ ირანის უმნიშვნელოვანეს საზრუნავს წარმოადგენდა შავი ზღვის სანაპიროზე გასვლა, რათა იქიდან უმოკლესი გზით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან დაკავშირება შესძლებოდა³.

როგორც ვხედავთ, როსტომისა და მარიამის ქორწინებით უაღრესად და-

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეხუთე, თბ., 1953, გვ. 18.

³ იხ. გ. ქორჭლიანი, საქართველო XVII ს-ის 30—50-იან წლებში, თბ., 1987, გვ. 7.

10. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1992, № 4.

ინტერესებული შაჰის ხელშეწყობით როსტომმა და ლევან დადიანმა მჭიდრო კავშირი შეკრეს, რომელიც, პირველ რიგში, თეიმურაზ-გიორგის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ამგვარად, XVII ს-ის 30-იანი წლების დასაწყისში ორი, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, პოლიტიკური ბლოკი შეიკრა, რამაც, თამამად შეიძლება ითქვას, შემდგომში უდიდესი გავლენა იქონია საქართველოს ბედზე. თეიმურაზმა 1634 წელს დაიბრუნა თავისი სამფლობელო — კახეთი და, შემდგომად ამისა, 1648 წლამდე განაგებდა მას.

ამასობაში ირან-ოსმალეთის ომიც განახლდა. თეიმურაზმა იმ დროს შექმნილი საერთაშორისო ვითარება ხელსაყრელად მიიჩნია ირანის ბატონობისაგან გასათავისუფლებლად, რის მიღწევაც რუსეთთან კავშირის განახლება-განმტკიცებით სცადა. კახეთის მეფემ და რუსეთის დიდმა ხელმწიფემ მიხეილ თევდორეს ძემ ელჩები გაცვალეს. თეიმურაზი ამ უკანასკნელს შეიარაღებული ძალების გამოგზავნას სთხოვდა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი საქართველოს ჯარით არ დახმარებია, სამხრეთით მისი პოლიტიკის გააქტიურება აშკარა იყო, რაც შაჰს ძლიერ აშფოთებდა, მაგრამ იგი თურქეთთან საომარ ვითარებაში იმყოფებოდა და იძულებული იყო გარკვეულ დრომდე როგორც რუსეთის, ისე თეიმურაზის მიმართ გარეგნული სიმშვიდე შეენარჩუნებინა და უფრო ხელსაყრელ დროს დალოდებოდა სამაგიეროს გადასახდელად. ეს სიტუაციაც მალე დადგა: 1639 წელს ზოჰაბში თურქეთსა და ირანს შორის დაიდო ზავი, რომელიც 1723 წლამდე არ დარღვეულა. ირანს საშუალება მიეცა თავისი საგარეო პოლიტიკისათვის გადაეხედა და რუსეთ-კახეთის ურთიერთობებში აქტიურად ჩარეულიყო.

როგორც ცნობილი რუსი მკვლევარი ა. ნოვოსელცევი მიუთითებს, „რუსეთ-ირანის ურთიერთობებში 1639 წლის შემდგომი პერიოდი რუსეთისა და ირანის მთავრობათა მუდმივი დაძაბულობით ხასიათდება, რისი უპირველესი მიზეზიც დალესტინისა და საქართველოს საკითხი იყო“⁴. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთ-ირანს შორის სამხედრო კონფლიქტამდე საქმე მაინც არ მისულა: რუსეთი დიპლომატიური მეთოდებით ცდილობდა თავისი პოზიციების განმტკიცებას კავკასიაში. აი, სწორედ ეს რუსეთის დიპლომატიური გააქტიურება არ მოსწონდა შაჰ აბას II-ს (1642—1666) და ცდილობდა თეიმურაზი ტახტიდან ჩამოეგდო, რისთვისაც საუირო გახდა იმ სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ამოკმედემა, რომელიც დასაწყისიდანვე სწორედ თეიმურაზისა და მისი მოკავშირის — იმერეთის მეფის წინააღმდეგ იყო შექმნილი: როსტომ ხანსა და დადიანს დაევალით თეიმურაზის პოლიტიკური, სარბიელიდან მოცილება და თუკი ამ უკანასკნელმა 1648 წლამდე სამეფო ტახტზე გასძლო, ჩვენი აზრით, ამის მიზეზი სწორედ იმ დამოკიდებულებაში უნდა ვეძებოთ, რომელსაც როსტომ მეფე ამჟღავნებდა თეიმურაზთან ურთიერთობაში და რომლის მიზეზები ეგზომ კარგად აღნიშნეს მკვლევრებმა გ. ჯამბურთიამ და გ. ჟორჯოლიანმა თავიანთ ნაშრომებში⁵.

⁴ А. П. Новоселъцев, Русско-иранские отношения в I половине XVII века, М., 1966, ст. 103.

⁵ იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; გ. ჟორჯოლიანი, დასახ. ნაშრომი.

როგორც ვიცით, XVII ს-ის 30-იანი წლების მეორე ნახევარსა და 40-იანი წლების დამდეგს თეიმურაზის ხელშეწყობითა და მონაწილეობით რამდენიმე შეთქმულება მოეწყო, რომელიც როსტომის ტახტიდან გადმოგდებასა და ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანებას ისახავდა მიზნად. ამ შემთხვევაში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ არც ერთ შეთქმულებაში და, საზოგადოდ, როსტომ-თეიმურაზის კონფლიქტში, იმერთა მეფე ალექსანდრე III-ს აქტიური მონაწილეობა არ მიუღია, არადა, უკეთესი საშუალება თეიმურაზისთვის თავისი თანადგომის გამოხატვისა, შესაძლოა, მას მომავალში აღარც მისცემოდა. მიზეზი ამისა იმერეთის სამეფოზე ლევან დადიანის გამუდმებული თავდასხმები იყო. თეიმურაზის იმერეთში საბოლოოდ გადასვლამდე მან რამდენიმე ლაშქრობა მოაწყო ამ სამეფოზე, რომელთა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 1645 და 1646 წლების ლაშქრობები, რის შედეგადაც ალექსანდრეს სამფლობელო მთლად გავერანდა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ალექსანდრე თეიმურაზის მიშველებაზე კი არა, საკუთარი სამეფო როგორმე გადაერჩინა, იმაზედა ფიქრობდა.

ლევან დადიანის იმერეთზე ლაშქრობებს იმიტომ გავუსვით ასე ხაზი, რომ როგორც ქვემოთ დავინახავთ, ალექსანდრე III-ის მთავარი სათხოვარი რუსეთის მეფისადმი დიდი ხნის განმავლობაში სწორედ სამეგრელოს მთავრის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოქომაგება და სამხედრო ძალით დახმარება იყო.

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ირანი უაღრესად შეშფოთებული იყო 30-იან წლებში რუსეთ-კახეთის ურთიერთობის გააქტიურებით, მაგრამ ამ საკითხის მოგვარება თურქეთთან გამართული ომის გამო ვერ მოხერხდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ირანმა ზავი დალო და სხვა საქმეებისთვის მოიცალა, შაჰ აბას II-ემ მთავარი ყურადღება სწორედ საქართველოს და, კერძოდ, თეიმურაზის პრობლემის გადაწყვეტას მიაქცია. ეს პრობლემა კი რუსეთთან კონფლიქტის (შეიძლება საქმე ომამდე არ მისულყო, მაგრამ დიპლომატიური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაუარესებას რომ გამოიწვევდა, ეს აშკარაა) გარეშე ვერ გადაიჭრებოდა.

თავდაპირველად ირან-რუსეთის წინააღმდეგობა შეფარულ ხასიათს ატარებდა და ორივე მხარე ცდილობდა ზედმეტად არ გამწვავებინა ურთიერთობა, რის შედეგადაც თეიმურაზი ჯერ კიდევ კახეთის მფლობელად გვევლინებოდა. მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, შაჰმა მიიღო გადაწყვეტილება გადამჭრელი ზომებისთვის მიემართა, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა თეიმურაზის ზედი.

თეიმურაზ I-ის კახეთის სამეფოდან განდევნა 1648 წელს მოხდა. როსტომი ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს „ვალი“ გახდა.

იმერეთში გადასული თეიმურაზი ბედს არ შერიგებია. მან დაიწყო ენერგიული მოქმედება ტახტის დასაბრუნებლად. ვისი იმედი შეიძლება ჰქონოდა კახეთის ყოფილ მეფეს ამ ბრძოლაში?

1639 წლის ზავის შემდეგ ოსმალეთი აღარ გამოდგებოდა ირანის წინააღმდეგ შესაძლებელ მოკავშირედ; იყო მეორე გზაც მძლავრი ანტიირანული კოალიციის შექმნისა, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხერხდებოდა, თუკი თეიმურაზი შეძლებდა ალექსანდრე III-ისა და ლევან დადიანის შერიგებას. ასეთ ვითარებაში სამივე მოღვაწე ერთიანი ძალებით გამოვიდოდა საერთო მტრების წინააღმდეგ და წარმატების შანსიც გაცილებით გაიზრდებოდა. სხვათა შორის, სწორედ ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანებას უფროსოდ ირანი და ოსმალეთი ყველაზე ძალიან, რადგან იმ შემთხვევაში, თუკი

სრულიად საქართველო გამთლიანდებოდა და ყველა კუთხე ერთიან პოლიტიკას შეიმუშავებდა, მისი დამორჩილება უაღრესად რთულ საქმედ იქცეოდა. სანაწესაროდ, შინაური ძალების გაერთიანება ვერ მოხერხდა.

არც დასავლეთ ევროპაზე ორიენტაციის აღება არგებდათ თეიმურაზსა და ალექსანდრეს: აშკარად ჩანდა, რომ აღნიშნულ სიტუაციაში იქიდან დახმარების მიღება გამორიცხული იყო.

ერთადერთ შესაძლო მოკავშირედ ირანისა (ირანში, თავისთავად ცხადია, როსტომიც იგულისხმება) და დადიანის აგრესიის წინააღმდეგ, რომელიც შესძლებდა კახეთ-იმერეთისთვის დახმარების გაწევას, მეფეებმა საეხებო სამართლიანად მიიჩნიეს რუსეთი. მით უმეტეს, რომ ამ დროს უკვე დაიწყო ირან-რუსეთის კონფლიქტი, რომელიც მთელი 50-იანი წლების განმავლობაში გრძელდებოდა. ეს სიტუაცია კარგად „დაიჭირეს“ თეიმურაზმა და ალექსანდრემ და რუსეთის მეშვეობით სცადეს თავიანთი მიზნების მიღწევა. სხვა საკითხია, რამდენად შეეძლო რუსეთს ამ დროს საქართველოს გაჭირვებულ მმართველთათვის დახმარების აღმოჩენა, მაგრამ ამ უკანასკნელთ რომ სწორი არჩევანი გააკეთეს, ეს აშკარაა. უბრალოდ, სხვა გამოსავალი არ ჩანდა, თორემ პოლიტიკური სიბეცითა თუ გულუბრყვილობით არ დაუკავშირებიათ მათ თავიანთი სამეფოების ბედი რუსეთისათვის, რასაც, სხვათა შორის, თვით ალექსანდრე III-ის მიერ ალექსი მიხეილის ძისადმი გაგზავნილი წერილიც ადასტურებს, რომელსაც ქვემოთ მოვიტანთ.

1648 წელს თეიმურაზმა და ალექსანდრემ თავიანთი ელჩები გაგზავნეს რუსეთში, რომლებიც ქ. მოსკოვში 1649 წლის 13 აგვისტოს ჩავიდნენ. თეიმურაზი რუსეთის მეფისაგან 20-ათასიანი ჯარის გამოგზავნას ითხოვდა დაკარგული სამეფოს დასაბრუნებლად და უშუალოდ როსტომ მეფესთან საბრძოლველად; იმ შემთხვევაში კი, თუ რუსეთის მეფე ვერ შეუსრულებდა თეიმურაზს სათხოვარს, ეს უკანასკნელი სთხოვდა მას „დიპლომატიური ზეგავლენა მოეხდინა ირანის შაჰზე, რათა მას თეიმურაზისთვის კახეთის ტახტი დაებრუნებინა“⁶.

არც შეეხება ალექსანდრე III-ს, იგი დადიანის წინააღმდეგ დონელი კაზაკების გამოგზავნას ითხოვდა, რათა მათ დაერბიათ ლევანის სამფლობელო და ამით ხელ-ფეხი გახსნოდა თავის სიმამრის დასახმარებლად. გარდა ამისა, ალექსანდრე რუსეთის მეფეს წინადადებას აძლევდა კახეთის მსგავსად ისიც მიეღო თავისი „უმაღლესი ხელისუფლების ქვეშ“ და „ხელმწიფური წყალობა“ არ მოეკლო მისთვის⁷.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალექსანდრე რუსეთის სამეფოს ასე მჭიდროდ დაუკავშირდა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ შექმნილი სიტუაციიდან სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა. ამის დასადასტურებლად მოვიტანთ ერთ ფრაზას მის მიერ რუსეთში გაგზავნილი წერილიდან: „...თქვენი ბრწყინვალეების მბრძანებლობის ქვეშ ყოფნა გვირჩევნია უწმინდურთა ხელქვეით ყოფნას“⁸. ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ სანამ რუსეთში ელჩის გაგზავნას დააპირებდნენ და მფარველობაში მიღებას ითხოვდნენ, იმერეთში კარგად გაუანალიზებიათ,

⁶ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973, გვ. 326.

⁷ იხ. ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650—1652 წლები, თბ., 1970, გვ. 35.

⁸ იქვე, გვ. 25.

აუწონ-დაუწონიათ იმდროინდელი საერთაშორისო ვითარება და მხოლოდ ამის შემდეგ მისულან იმ დასკვნამდე, რომ „უწმინდურთა ხელქვეით ყოფნას“ ისევ ჩრდილოელი მეზობლის „მზრძანებლობის ქვეშ ყოფნა“ ერჩინათ.

როგორ შეხედნენ რუსეთში თეიმურაზისა და ალექსანდრეს წინადადებებს? ერთადერთი შედეგი ამ ელჩობისა იყო ის, რომ იმერეთში ტოლოჩანოვ-ივე-ლევის საპასუხო ელჩობა გამოავაზანეს. ნიკეფორე ტოლოჩანოვი და ალექსი იველევი 1650 წელს გამოემგზავრნენ მოსკოვიდან სავანგებო დავალებით, დაეფიცებინათ იმერეთის მეფე რუსეთის დიდი ხელმწიფის ერთგულებაზე. 1651 წლის ზაფხულში ისინი უკვე იმერეთში იყვნენ და წარუდგნენ ალექსანდრე III-ეს, რასაც მოჰყვა შემდგომ ჩვენ მიერ ზემოთ უკვე ნახსენები ფიცის დადება. ამიერიდან, კახეთის მსგავსად, იმერეთიც აქტიურად ჩაება რუსეთთან ურთიერთობაში, რითაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთდამოკიდებულების ახალი ეტაპი დაიწყო.

ბუნებრივია, იხადება კითხვა: როგორ უნდა შეხვედროდა ოსმალეთი იმერეთ-რუსეთის ამ პოლიტიკურ აქტს? როგორც ვიცით, ჯერ კიდევ 1555 წლის ამასიის ზავით დასავლეთ საქართველო და, მათ შორის, რა თქმა უნდა, იმერეთიც, თურქეთის გავლენის სფეროში შედიოდა და მის სამფლობელოს წარმოადგენდა. როგორც ჩანს, თურქეთის მმართველმა პოლიტიკურმა წრეებმა კარგად იცოდნენ იმერეთში შექმნილი ვითარება, იცოდნენ, თუ რას სთხოვდა ალექსანდრე III რუსეთის მეფეს და, ამიტომაც, ჯერჯერობით, სანამ ამ საკითხის შესახებ დოკუმენტები სრულად არ არის გამოვლენილი, შესწავლილი და სერიოზული კვლევა-ძიება ჩასატარებელი მომავალში, ყველაზე უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება თ. ტივაძის მოსაზრება: „ამ პერიოდში ალექსანდრე III-ის სათხოვარი მფარველის მიმართ ძირითადად რუსეთიდან იმერეთში ზარბაზნებისა და მეზარბაზნების გამოვავანითა და ღნებრის ან დონის კაზაკობისათვის სამეგრელოს დალაშქრის ნების დართვით შემოიფარგლებოდა. იმერეთის მეფე საკმაოდ საღად მოაზროვნე პოლიტიკოსი იყო და იცოდა, რომ მოსკოვთან აპგვარი დამოკიდებულების დამყარებას არც იმერეთ-ოსმალეთისა და არც რუსეთ-ირან-ოსმალეთის დაპირისპირება არ უნდა გამოეწვია“. მკვლევარი შემდგომ განაგრძობს: „მას შემდეგ, რაც ლევან II დადიანი როსტომ ქართლის მეფეს დაუმოყვრდა და ირანის მთავრობისაგან ჯამაგირის მიღება დაიწყო, ოსმალეთის მთავრობა იმის ცდაში იყო, როგორმე დაესაჯა ურჩი ყმა. სულთნისათვის სასარგებლო უნდა ყოფილიყო იმერეთის მეფის სათხოვარი რუსეთისადმი. ჯერ ერთი, კახაკთა დამარბეველი ძალის მიმართვა სამეგრელოსაკენ დროებით მაინც შედგათს მისცემდა ოსმალეთს, მეორეც — დასუსტდებოდა დადიანი“⁹. (საქმე ის ვახლავთ, რომ ჯერ კიდევ XVII ს-ის დასაწყისიდან მოყოლებული, კახაკები შავი ზღვით გამანადგურებელ ლაშქრობებს აწყობდნენ ოსმალეთზე და მათგან ამ უკანასკნელს მოსვენება არ ჰქონდა).

თურქეთის მხრიდან ასეთი დამოკიდებულებისა და ირანთან იმ პერიოდში უაღრესად გართულებული მდგომარეობის მიუხედავად, რუსეთი არც თეიმურაზსა და არც ალექსანდრეს არ დახმარებია. მიზეზი ამისა კი შემდეგში მდგომარეობდა: ჯერ ერთი, რუსეთ-ირანის წინააღმდეგობა დროებით ხასიათს ატარებდა, საქმე ომამდე არ მისულა და ორივე მხარე ძლიერ იყო დაინტერესე-

⁹ თ. ტივაძე, იმერეთის სამეფოს რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან (XVII ს-ის 60-იანი წწ.), კრებულში: ივ. ჯავახიშვილი — 100, თბ., 1976, გვ. 357.

ბული კონფლიქტის უმოკლეს ხანში მოგვარებით, რაც თეიმურაზის თხოვნის შესრულებას საფუძველშივე უსპობდა წინადაც. გარდა ამისა, იმავე ხანებში იზრდებოდა დამახულობა უკრაინის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც სულ მალე საერთაშორისო კონფლიქტად უნდა გადაქცეულიყო და ამიტომაც, ალბათ, რუსეთი მაინც მიიჩნევდა, რომ კაზაკების გამოგზავნას სამეგრელოს დასალაშქრავად თურქეთი თავის შინაურ საქმეებში ჩარევად მიიღებდა და დამახულობის ახალი კერის შექმნა სასურველი არ იყო; და ბოლოს, უკრაინა-პოლონეთის ომის დროს კაზაკები დაკავებულნი იყვნენ, რადგანაც ბოგდან ხმელნიცკის ეხმარებოდნენ.

1652 წელს რუსეთში დაბრუნებულ ტოლოჩანოვსა და იველევს ალექსანდრე III-ემ თან თავისი ელჩები — ლომკაც ჯაფარიძე და არქიმანდრიტი ევდემონი გააყოლა. ეს უკანასკნელი იმერეთში წყალობის სიგელით „ხელდამშვენებულნი“ დაბრუნდნენ. ალექსი მიხეილის ძე ალექსანდრე მეფეს მფარველობასა და დახმარებას ჰპირდებოდა, თუკი იგი „სათუთად და წმინდად“ ემსახურებოდა რუსეთის სამეფოს.

1656 წელს იმერეთში ჩამოვიდნენ რუსეთის მეფის ელჩები ვასილი ჟიდოვინოვი და თევდორე პოროშინი. მათ ალექსი მიხეილის ძის წერილები, საჩუქრები და „დაპირებები“ ჩამოიტანეს. რაც შეეხება ჯარის გამოგზავნას, ამაზე მეფეებს უარი უთხრეს, რისთვისაც საბაბად პოლონეთის მეფესთან ომი მომიზეზეს (როგორც ცნობილია, 1654 წელს უკრაინა რუსეთს შეუერთდა, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ ეს უკანასკნელი შეუერთდა უკრაინელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას პოლონელი დამპყრობლების წინააღმდეგ), მაგრამ ალექსი მიხეილის ძე ამშვიდებდა მათ, ომის დამთავრების შემდეგ დახმარების გარეშე არ დაეტოვებოთ.

ჟიდოვინოვი და პოროშინი რუსეთში 1656 წლის 31 აგვისტოს გაემგზავრნენ. ალექსანდრემ მათ გაატანა წერილი, რომელიც 1657 წლის 4 სექტემბერს საელჩო პრიკაზში წარადგინა ელჩობის მონაწილემ, თარჯიმანმა ილია სტოინოვმა (იხ. აქვე, № 1 დოკუმენტი). იმერეთის მეფემ მაშინვე აღჭურვა საპასუხო ელჩობა რუსეთში გასამგზავრებლად ივანე ლუკინის (ლუკას ძის) მეთაურობით, რისთვისაც ჟიდოვინოვისა და პოროშინის იმერეთიდან გამგზავრების მეორე დღესვე (1 სექტემბერს) დაიწერა ახალი სიგელი (იხ. აქვე, № 3 დოკუმენტი). მაშასადამე, როგორც ვხედავთ, ორივე დოკუმენტი თითქმის ერთსა და იმავე დროსაა შედგენილი, რასაც მათი შინაარსობრივი მსგავსებაც ადასტურებს. შეიძლება ითქვას, რომ № 3 სიგელი № 1-ის გავრცობილი ვარიანტია. აღნიშნულ წერილებში იმერეთის მეფე ალექსი მიხეილის ძეს მადლობას უხდის ჟიდოვინოვისა და პოროშინის ხელით გამოგზავნილი წყალობისათვის; უხარია პოლონეთის მეფეზე მისი გამარჯვება; აღუწერს დადიანის ქვეყნის წმინდა რელიქიებს; აცნობებს, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღო ერეკლე ბატონიშვილის რუსეთში გამგზავრების საქმეში და რომ კარგად ეპყრობოდა იმერეთში მყოფ თეიმურაზსა და მის ახლობლებს; ვხევწება გამოგზავნოს კაზაკები სამეგრელოს სამთავროს გასანადგურებლად, რომლის მთავრის მცდელობითაც აოხრდა არა მარტო იმერეთის სამეფო, არამედ თეიმურაზის სამფლობელო კახეთიც, რადგანაც დადიანი და როსტომი ერთობლივი ძალებით ებრძოდნენ მათ. ამ უკანასკნელთ შაჰიც უწყობდა ყოველმხრივ ხელს — მისი დახმარება რომ არა, ლევან დადიანს იოლად გაუსწორდებოდნენ; ეაჯება, სასწრაფოდ გამოგზავნოს დამხმარე ძალა, თორემ „თუკი თქვენი მეფური უდიდებულებობა არ

იჩქარებს ჩვენთვის დახმარების გაწევას, ურჯულოები დაგვაქცევენ და დაგვ-
ლუპავენ“ (იხ. აქვე, დოკ. № 3, გვ. 13); „იმედებს“, რომ სხვა ქვეყნებს არ
მიმართავს საშველად, რადგან „იმედად დაგვისახავს მხოლოდ უფალი და შენ,
დიდი ხელმწიფე. სხვა ხელმწიფე ჩვენ არა გვყავს, მხოლოდ შენი მეფური
წყალობის მომლოდინენი ვართ მარადის“ (იხ. აქვე, დოკ. № 3, გვ. 14); უმტკი-
ცებს, რომ „როგორც კი დონის კახაკები დადიანის სახელმწიფოს გაატიალე-
ბენ, ჩვენი სამფლობელოც შენი ხელმწიფების ქვეშ კიდევ უფრო განმტკიც-
დება“ (იხ. აქვე, დოკ. № 3, გვ. 15); სთხოვს, გამოგზავნოს იმერეთში ზარბაზ-
ნების ჩამოსასხმელი ქარხანა, სპილენძი და საარტილერიო საქმის მცოდნე სპე-
ციალისტები.

ივანე ლუკინის ელჩობა მოსკოვში 1657 წლის ოქტომბერში ჩავიდა და
იმავე წლის 17 დეკემბერს მიღებაზე წარუდგა მეფე ალექსი მიხეილის ძეს.
ზემოთ აღნიშნული წერილიც (№ 3) მაშინ გადაეცა რუსეთის ხელმწიფეს.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ ალექსანდრე III-ის მიერ 1656 წელს გაგზავ-
ნილი წერილები, ვნახეთ, თუ რა ვითარებაში შეიქმნა ისინი და რა სათხოვარი
ჰქონდა იმერეთის მეფეს ალექსი მიხეილის ძისადმი, მაგრამ როგორც № 2 სი-
გელიდან ჩანს, 1657 წლისთვის მდგომარეობა მკვეთრად შეცვლილა, რაც გამო-
წვევია ლევან დადიანის მოულოდნელ სიკვდილს. ფარსადან გორგიჯანიძის
ცნობით: „ლევან დადიანს შვილი მოუყვდა და მამამ შვილის ტირილში ლახტი
თავს გარდიკრა და შვილის საფლავს ზედ დააკვდა დაუმარხავს“¹⁰. წმინდა
გიორგის გელათური გულანის მინაწერიდან ირკვევა, რომ ეს ამბავი 1657 წლის
დასაწყისში მომხდარა: „მარტის ჩეიდმეტსა, დღესა შაბათს მიიცვალა... დადი-
ანი ბატონი ლევან, საუკუნომცა არს ხსენება მისი“¹¹.

თავისთავად იბადება კითხვა: თუკი ლევან დადიანი 1657 წლის 17 მარტს
გარდაიცვალა, რანაირად მოხვდა და ითარგმნა იმავე წლის 25 ნოემბერს ამ
სიახლის შემცველი წერილი რუსეთის სამეფოს საელჩო პრიკაზში? აღნიშნულ
საკითხზე პასუხს თავად ლუკინის ელჩობის საქმეში ვპოულობთ, სადაც წერია,
რომ სწორედ ამ უქანასკნელმა ჩაიტანა მოსკოვში ცნობა დადიანის სიკვდილის
შესახებ¹².

როგორც ჩანს, ალექსანდრე III-ემ ამ დიდმნიშვნელოვანი ფაქტის შე-
ტყობისთანავე შედგენინა ახალი სიგელი და გაატანა მალემსროლს, რომე-
ლიც გზაში დაეწია ლუკინის ელჩობას და გადასცა იგი მოსკოვში ჩასატანად;
ხოლო რადგანაც ეს წერილი ნაჩქარევად იყო შედგენილი და იძლეოდა უკა-
ნასკნელ ცნობებს საქართველოს დასავლეთ მხარეში შექმნილი ვითარების შესა-
ხებ, ამიტომაც ლუკინმა იგი რუსეთის სამეფო კარზე ჩასვლისთანავე მიართვა
საელჩო პრიკაზს, ჯერ კიდევ მანამ, სანამ დიდ ხელმწიფეს მიღებაზე წარუდ-
გებოდა.

ლევან დადიანის სიკვდილმა იხსნა იმერეთის სამეფო მისი გამაჩანაგებელი
ლაშქრობებისაგან; ალექსანდრე III-ეს მიეცა საშუალება განემტკიცებინა თავის
სამეფოს საშინაო მდგომარეობა და, გარდა ამისა, აქტიურად ჩარეულიყო სა-
მეგრელოს საქმეებში. კერძოდ, როცა ლევანის გარდაცვალების შემდეგ სამთავ-
როს დიდებულებმა ტახტზე მისი ძმისწული ლიპარიტ იესეს ძე აიყვანეს, ალექ-

¹⁰ იხ. ი. ანთელავა, ლევან მეორე დადიანი, თბ., 1990, გვ. 131.

¹¹ იქვე, გვ. 131.

¹² ЦГАДА, ф. 110, оп. 1, год 1657, д. № 2, ст. 110.

სანდრემ ილაშქრა ოდიშს და იქ თავისთვის სასურველი პიროვნება, ლევან დადიანის გერი — ვამიყი გაამთავრა. ამ ფაქტს იმავე 1657 წელს ჰქონდა აღვლილი.

დამარცხების მიუხედავად, ლიპარიტი ზედს არ შერჩებოდა. მან დახმარება სთხოვა ქართლის მეფე როსტომს და ახალციხის ფაშას. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1658 წლის ივნისში ბანძასთან, სადაც ალექსანდრე III-ემ გაიმარჯვა და კიდევ უფრო განამტკიცა თავისი პოზიციები, პროფ. გ. ჯამბურის თქმით, „ამით კვლავ აღდგა დასავლეთ საქართველოში იმერეთის მეფის ჰეგემონია“¹³.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, ცხადია, დღის წესრიგიდან მოიხსნა დონელი კახელების სამეგრელოში სალაშქროდ გამოგზავნის საპირობება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ხელმწიფე სრულებითაც არ ფიქრობდა იმერეთის სამეფოს სამხედრო ძალით დახმარებოდა. მან 1658 წლის 27 ივნისს ივანე ლუკინს სამშობლოში გამომგზავრების წინ გადასცა საპასუხო სიგელი (იხ. აქვე, № 4 დოკუმენტი), სადაც არაფერია ნათქვამი რეალური დახმარების თაობაზე, მხოლოდ, „ტრადიციისამებრ“, ზოგადი დაპირებებია მფარველობისა და მტრების აგრესიისაგან დაცვის შესახებ.

დასავლეთ საქართველოში თავისი პოზიციების განმტკიცებით დაიმედებული ალექსანდრე ამას დიდად არ შეუწყუხებია. მან ახლა მთელი აქცენტი თეიმურაზისთვის კახეთის სამეფოს დაბრუნების საქმეში დახმარებაზე გადაიტანა, რისთვისაც 1658 და 1659 წლებში ზედისხედ ორი ელჩობა გაავზავნა ალექსი მიხეილის ძესთან როსაბ არეშიძისა და მარკოზ თომავეის (თომას ძის) მეთაურობით. თავის მხრივ, თეიმურაზიც ცდილობდა რუსეთისაგან რეალური დახმარების მიღებას, მაგრამ სიძე-სიმამრის მცდელობებს შედეგი არ გამოუღლიათ — რუსეთი ჩვენთვის ცნობილ მიზეზთა გამო თავს იკავებდა ქართველ მეფეთა სათხოვრის შესრულებაზე.

სამშობლოში გამობრუნებულმა თეიმურაზ I-მა ჯერ კიდევ გზაში შეიტყო თავისი მთავარი იმედის, — უფლისწულ ლუარსაბ დავითის ძის სიკვდილი, საქართველოში ჩამოსულს მეუღლეც გარდაცვლილი დახვდა და „ყველაფერმა ამან გაუტეხელი თეიმურაზიც გატეხა, სასოწარკვეთილმა პოლიტიკურ მოღვაწეობაზე ხელი აიღო და ბერად აღიკვეცა“¹⁴.

რაც შეეხება ალექსანდრე III-ეს, მას დიდხანს არ დასცალდა თავის დაუძინებელი მტრის სიკვდილით გამოწვეული წარმატება და დასავლეთ საქართველოში პირველობა — იგი 1660 წლის 1 მარტს გარდაიცვალა, რის შემდეგაც სამეფო ტახტი დაიკავა მისმა ვაჟმა ბაგრატმა. როგორც აკად. მ. ბროსე გვაუწყებს, სწორედ ამ უკანასკნელის გამეფების შემდეგ დაიწყო „ზედისხედ განუწყვეტლივ მომხდარი პოლიტიკური არევ-დარევა და აშლილობა ამ უბედურ მხარეში 66 წლის განმავლობაში, რომლისგანაც თანდათან სრულიად დაიარღვა ხალხის დაწესებულებათა ძალ-ღონე“¹⁵.

თეიმურაზ I-ის, საქართველოს ამ უიღბლო მეფის, საბოლოო ბედი კიდევ უფრო მძიმე იყო. იგი 1661 წელს იმერეთში ლაშქრობის დროს შეიპყრო ქართლის მეფე ვახტანგ V-ემ და სპარსეთის შაჰს — აბას მეორეს გაუგზავნა. ამ უკანასკნელმა მოხუცი მეფე ასტრახადის ციხეში ჩასვა, სადაც 1663 წელს კი-

¹³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, გვ. 342.

¹⁴ იქვე, გვ. 328.

¹⁵ მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწ. 2, თბ., 1900, გვ. 199.

დევაც გარდაიცვალა, ისე, რომ თან ჩაიტანა საფლავში წუხილი განუხორციელებელ ოცნებებსა და საქართველოს მომავალზე.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, თეიმურაზისა და ალექსანდრეს ორიენტაცია რუსეთზე უშედეგო გამოდგა, მაგრამ ეს სრულებითაც არ გამორიცხავს საკითხის შესწავლის აუცილებლობას. პირიქით, საჭიროა წარუმატებლობის მიზეზების ახსნა — წარმატებაცა და წარუმატებლობაც ისტორიისა და მკვლევარის მხრიდან მეტად სერიოზულ და ყურადღებიან მიდგომას საჭიროებს.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული დოკუმენტებიც სწორედ იმ თვალსაზრისითაა საჭირო და გამოსადეგი, რომ გვეხმარება აღვადგინოთ და თვალი მივადევნოთ რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობას აღნიშნულ ეპოქაში, უკეთ შევისწავლოთ ქართული დიპლომატიის ისტორია.

აქვე გთავაზობთ ხსენებულ დოკუმენტებს.

ДОКУМЕНТЫ

№ 1

იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის მიერ რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძისადმი გაგზავნილი ქართული სიგელის თარგმანი, რომელიც მას თარჯიმანმა ილია სტოიანოვმა მიართვა.

Перевод з грузинского письма з грамоты, что писал к великому государю, царю и великому князю Алексею Михайловичу — всеа Великия и Малыя и Белья Росий самодержцу Меретинской царь Александр с толмачом с Ильею Стояновым в нынешнем, во 165 (1657)-м, году. Переведена сентября в д(4) день.

Бога единого, в троице славимого и молитвами пречестные богородицы и истинные церкви Христовы и седмаго собору утверждения, от зачатия прадед и праотцев наших веруем. Меретинские земли, раб вашего царского величества, Александр царь, ваше царское подножие обლობызаем и бью челом вам, великому государю, царю и великому князю Алексею Михайловичу — всеа Великия и Малыя и Белья России самодержцу Московскому и великому князю Литовскому, содержемцу российскийского царствия скифетр, и богом венчанный венец на главе носящему, и всем государем государю и облаадателю, колена преклания и покланяюся // до лица земного. И ведомо чиню вашему царскому величеству и благодарю за ваше царское премноее жалованье.

Ведомо вашему царскому величеству, что Теймураз и наша земля вашим царским счастием и защищением стоит и утверждается, и ваше, царского величества, премноее жалованье нам всегда являемо. О сем бьем челом и милости просим: и ведомо чиню вашему царскому величеству, что Дадьян с неверными со-

* საქმის საერთო სათაურია: 1657 წ. 4 სექტემბერი — 25 ნოემბერი — 17 დეკემბერი.

თარგმანი ალექსანდრე იმერთა მეფის მიერ ხელმწიფისათვის გაგზავნილი სამი სიგელისა, რომლებითაც სთხოვს მას ურჭულოების მხარეს გადასული და მისი სამფლობელოების ამართებელი დადიანის წინააღმდეგ დამხმარე ჯარის გამოგზავნას, ატყობინებს თეიმურაზ მეფის რუსეთში გამგზავრებას და მადლობას უხდის დესპან ჟიდოვინოვის ხელით გამოგზავნილი წყალობისათვის.

вет имеет и ссылку чинит, а православных разоряет. Чтоб ты, великий государь, изволил Донским казаком по вашему царскому указу итти на море на Дадьяна и их бы победою укротить. А вам, великому государю, в том никакие шкоды не будет, потому что никаких и сущечных запасов не надобно. А в той Дадьянской земле есть честные чудотворные иконы и чудотворные, животворящие кресты господни, и мощи многих святых. А Теймуразово царство разорилось от ева ж, Дадьянского, промыслу, потому // // что он, Дадьян, дружитца с Тефлисским ханом*, изсылаецца с шахом и посылает к нему в дарех православных христиан, а зато принимает он от шаха многое жалованье, и он кизылбашскою помощию силен и христиан разоряют собча. А когда б не кизылбашской шах давал ему помощи, и мы б против ево управились. О том бьем челом и милости просим, чтоб ваше царское величество изволили казакам итти на них и твоим бы царским счастием и войсками их, поганных, укротить, потому что они живут подле моря. Посем тебе, великому государю, царю и великому князю Алексею Михайловичю — всеа Великия и Малыя и Белья Росий самодержцу, подай бог многа лета.

А внизу печать на чернилах, а в ней письмо по-грузински.

А на берегу от моря к Дадьянской земле город турского салтана Трапизон.

ЦГАДА, ф. 110, оп. 1, 1657 г., ед. хр. 1, лл. 1—3.

№ 2

ალექსანდრე იმერტა მეფის მიერ რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძისადმი გაგზავნილი წერილის თარგმანი

Перевод с меретинского письма, что писал к великому государю, царю и великому князю Алексею Михайловичю — всеа Великия и Малыя и Белья Росий самодержцу Меретинской Александр царь. А переведено то письмо в посольском приказе в нынешнем, во 165 (1657)-м, году, ноября в ке (25) день.

Божиею милостию великому государю, царю и великому князю Алексею Михайловичю — всеа Великия и Малыя и Белья Росий самодержцу, Давыда царя и Соломона колена Меретинской Александр царь поклон творю. Посем одари тебя бог быти православным царем во всею вселенную, и христианский закон содержать, и многими иноверными государствы овладеть. Посем ведомо творю, о чем было нам писать к твоему царскому величеству, и мы о том о всем писали и словесно приказывали с своими послы. А на чем мы тебе, великому государю*... // крест целовали, и мы на той своей правде стояти хотим по свою смерть. Первое имеем господа бога, потом тебя, великого государя. Изволили вы, великий государь, мне, подданному своему,

* იველისხმება ქართლის მეფე („ეალი“) როსტომი (1632—1658).

** მეხუთე გვერდი გამოეტოვეთ, რადგან იქ სიტყვა-სიტყვითაა გადმოწერილი მეცხრე გვერდი. ამ გვერდზე კი ძირითადად მეფე ალექსი მიხეილის ძის ზოტბა და ქება-დიდებაა და, ალბათ, ამიტომაც წერილის შთარგმნელებმა შთაბეჭდილების გასაძლიერებლად მეხუთე გვერდზეც გადმოიტანეს იგი.

Теймураза царя у себя хранить и призирать, и от обиды оберегать. И я, подданной вашего царского величества, по вашему, царского величества, изволению, Теймураза царя и внука ево царевича, и со всеми ево бояры у себя держал и честь и береженье к ним потому ж держал. А ныне вы, великий государь, изволили Теймуразу царю быти к своему царскому величеству. И я вашего царского величества подданному Теймуразу царю в подъеме помоч учинил и к твоему царскому величеству отпустил, а царица ево и царевич, и царевна, и ближние ево люди остались в моем государстве, и божиею милостию и вашим государским счастьем, покамест Теймураз царь от твоего царского величества возвратитца назад, царицу и царевича, и царевну, и ближних их людей учну держать в чести // и в береженье.

А неприятель мой Дадианской, что бывал преж сего мой холоп и изменяя, учинился мне супостат*, христианские веры отлучился и бусурманился, и, соединясь с бусурманы, приходил на меня войною. И ныне тот Дадиан умер и православные христиане от бусурманского беззакония избавились, и Дадианское государство и города учинились наши, под моею державою по-прежнему, и крест целовали, что им быть под вашею, царского величества, высокою рукою и под моею державою неотступным. И из Дадианских бояр один боярин, который жил подле моря**, изменил и учинился самовольником. И мы, упоая на бога, хотим на него итти войною. А как божиею милостию и твоим государским счастьем, того изменника ододем, и к твоему царскому величеству мы с тем пришлем послов своих.

А у подлинного листа Меретинского царя печать на черниле. ЦГАДА, ф. №0, оп. 1, 1657 г., ед. хр. 1, лл. 4—7.

№ 3

ალექსანდრე III-ის მიერ რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძისადმი გაგზავნილი სიგელის თარგმანი, რომელიც მას ალექსანდრეს ელჩმა ივანე ლუკინმა მიართვა

Перевод з грамоты, что писал к великому государю, царю и великому князю Алексею Михайловичу — всеа Великия и Малыя и Белья Росий самодержцу подданной Меретинской царь Александр с послы своими с Иваном Лукиным с товарищи в нынешнем, во 165 (1657)-м году, декабря в зѣ (17) день.

Бог содетель, творец небу и земли, творитель Адаму и Еввы, ево ж божественным изволением и сотворением и строем ты, великий государь, царь и великий князь Алексей Михайлович — всеа Великия и Малыя и Белья Росий самодержец и многим государствам и землям восточным и западным, и северным, и всех четырех стран, равно царя Костянтина. Яко ж он, христолюбивый царь Костянтин, веру христианскую утвердил, тако же и ты, великий государь, православную веру христианскую утвер-

* აქ ალექსანდრე მესამეს შეცდომაში შეჰყავს რუსეთის მეფე: ლევან II დადიანი მისი ყმა არასოდეს არ ყოფილა.

** იგულისხმება გურიელი.

ждаешь во всю вселенную и всем // врагом веры нашея противник учиняеся, а православным христианом радость и веселие, и дому господня, святого града Иерусалима, хранитель, и божим изволением ты, великий государь, царь и великий князь Алексей Михайлович — всеа Великия и Малыя и Белья России самодержец, царствуешь на земли над православными христианы, бедных и убогих, и вдов, и сирот утешаешь, и над всеми великими государствы и цари ты, великий государь и царь и обладатель. Божиею милостию аз, подданной вашего царского величества, колена пророка и царя Давыда и Соломона и Единара царя*, Меретинской царь Александр, сын царя Георгия, ниской поклон творю до лица земли.

Яз, подданной вашего царского величества, слыша вашего царского величества про многолетное здоровье, о бозе радуемся // и богу славу возсылаем, что ты, великий государь, божиею помощию, учинился победителен и одолетелен над недруги своими, на своем царском превысоком престоле многолетствуешь. Посем аз живу твоим царским имянем и крепким береженьем. И ваше царское жалованье нам дошло свыше нашего недостойнства. А преж сего с твоими государевыми послы с Микифором Толочановым да з диаком с Алексеем Иевлевым тож нам премногое ваше царское жалованье дошло. И как у твоего царского величества были мои послы Лункацы да архимарит Евдемон, и с теми моими послы пожаловал ты, великий государь, прислал своего царского жалованья. Да с ними ж ты великий государь, прислал ко мне свою царскую жалованную грамоту, что изволил мне быть под своею царскою высокою рукою в подданстве.

Да в той ж вашей, // царского величества, грамоте написано, чтоб мне, подданному твоему, писать к тебе, великому государю, почасту. По той твоей царской грамоте я, подданной твой, писал к тебе, великому государю, с своими послы. И как они пришли в горы, и ведомо им учинилось, что твои, великого государя, послы пришли на Терек и они назад воротились. И как твои, великого государя, другие послы — Василей Жидовинов* к Теймуразу царю и ко мне пришли, и твое царское жалованье, по указу твоего царского величества, нам роздано. Дали мне твоего царского жалованья: 90 сороков соболей да 5 птиц. И что по твоему царскому изволению, приказано было им изустно мне говорить, и тех речей у них я выслушал. И я, подданной твой, царского величества, бога молю: подай бог тебе, великому государю, многолетнего здоровья. И все мое царство держитца твоею царскою державою и жалованием, // и мы, подданные твои, твоего царского величества повеленье исполняем.

И мне, подданному твоему, царского величества, ведомо учинилось, что ты, великий государь, изволил подвигнутца на своего государева неприятеля польского короля и, божиею милостию, того своего неприятеля победил и ево государство одолел. И окрестные твои государевы неприятели, слыша такое побеждение, страхом обнялися; и мы, то слыша, о бозе радовалися. Подай тебе, великому государю, бог молитвами пречестые бого-

* ჩვენის აზრით, აქ თამარ მეფე უნდა იგულისხმებოდეს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ვცდებოდეთ.

** არ წერია, მაგრამ უნდა ეწეროს აქცილებლად Федор Порошин. შთარგმნელს გამორჩენილი აქვს.

родицы многолетнего здравия и покори врагов своих поднозе свои.

И писал ты, великий государь, ко мне, подданному своему, в грамоте с похвалою, что я, подданной твой, царского величества, против твоего, великого государя, указу, Теймураза царя сноху-царицу Елену с его внуком с царевичем с Николаем Давыдовичем, отпустил к тебе, великому государю. А тово Теймураза царя внука — царевича Николая и мать ево царицу Елену имел я, подданной твоего царского величества, // в государстве своем ево, царевича, аки сына своего. И ныне я, твой, царского величества, подданной, бью челом и молю и прошу: да изволь, великий государь, их возрить своим царским жалованьем и честь им воздавай, как тебе, великому государю, бог известит. Да в твоей же, великого государя, грамоте писано ко мне, подданному твоему, царского величества, чтоб мне Теймураза царя у себя держать и всякую ево нужу исполнять. Да яз, подданной, твоей, царского величества, милости прошу: великое мы с Теймуразом царем имеем утеснение от нечестных агарян, и чтоб ты, великий государь, возрил на нас, подданных своих, своим жалованьем и на нечестивых помощию. Аще не поспешит от твоего царского величества помощь и мы от нечестивых погибам. И твоим царским изволением писано к нам, чтоб нам стоять в вере христианской крепко и неподвижно // и к иным государем не отложитца. И мы своего крестного целованья и посмерть свою не нарушим. Только имеем бога да тебя, великого государя, а иных государей не имеем, только твое царское жалованье. О том милости просим у тебя, великого государя: да изволил ты, великий государь, нам дать помоч потому, что со всех четырех сторон востали на нас неверные и нас велми теснят, а оборонитца нечем. А оприч бога и тебя, великого государя, нам прибегнуть и надеятца не на кого. И не дай нас в поругание поганым. И как мы учинились у твоего царского величества в подданстве, и Дадиян настал на нас горше прежнего потому, что он, Дадиян, прельстился на агарянскую веру и емлет дары у турского и кизылбашского и право // славных христиан посылает х турскому и х кизылбашскому напротиво в дарех для того, чтоб давали ему ратных людей на помоч на нас, чтоб ему и достольное государство наше разорить. Аще да изволишь ты, великий государь, повелишь Донским казаком и они б ево самово разорили Черным Морем. И как Донские казаки Дадиянское государство разорят, и тогда наше подданное государство будет утверждено под твоею царскою высокою рукою крепко. А обо всем приказал с своими послами с Иваном Лукьяновым да з Дмитрием Давыдовым да з диаком з Георгием изустно.

Писано лета 7164 (1656)-м году, сентября в а(1) день.

А у подлинной грамоты печать царя Алексан- // дра на черниле.

А другая грамота, что привез от Александра царя посланник Василей Жидовинов. И в той грамоте писано о том, что он, царь Александр, великого государя жалованье у него, Василья, 90 сороков соболей да 5 птиц, принял. А иное написано все против той же грамоты, какова писана выше сего.

ქ. მიგურთმევია დიდისა და მალლის ჩუენის ხელმწიფის აღექსის მიხაე-
ლიშვილისათვის ფეშქაში: ერთი მთულმარგალიტული მურასა, მარმარილოს

თასი, ერთი მურასა სადაფქრის სასმელი, ერთი ვერცხლის საყინულე, ერთი ხალასად შეკერული ხალიჩა, ოთხი თაქანაბადი, ორი ხლმის პირი, ერთი მურასა ვერცხლის ლახტი, ერთი კიდევ სხუა ვერცხლით მოჭედული ლახტი, სამი შუბის პირი, ორი ფარი — ერთი მარტრქისა და მეორე აზარანი, ერთი სადაფქრის თოფი მისის იარაღითა, სამი კარგი ცხენი — ერთი ცხენი სირმის უნაგრითა, ხალასად შეკერულის თაქალთად, ოქროთი დაფერულის ვერცხლის რახტით შეკაზმული, და ორი ცხენი უნაგრიდ.

Переведена Меретинского Александра царя роспись о дарех.

Перевод с росписи, какову прислал к великому государю, царю и великому князю Алексею Михайловичю — всеа Великия и Малыя и Белья Росий самодержцу Меретинской царь Александр дарам своим с послы своими с Иваном Лукиным с товарищи в нынешнем, во 165 (1657)-м году, декабря в зѣ (17) день*...

...Да он же, Меретинской Александр царь, бьет челом великому государю, царю и великому князю Алексею Михайловичю — всеа Великия и Малыя и Белья Росий самодержцу, чтоб великий государь пожаловал, изволил послать к нему пушечного дела мастера и меди и всякого пушечного заводу, как мочно пушки лить.

А у подлинной росписи Меретинского царя Александра печать на черниле.

ЦГАДА, ф. 110, оп. 1, 1657 г., ед. хр. 1, лл. 8—19.

№ 4

რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძის საპასუხო სიგელი ალექსანდრე III-დმი.

Отпуск ответной грамоты к Имеретинскому царю Александру, которую государь похваляет его за сохранение им своей присяги и за оказанное вспоможение царю Теймуразу во время бытности его в Имеретии.

Бога единого, безначального и безконечного, и невидимаго, страшнаго и неприступнаго, превыше небес пребывающаго, владающаго силами небесными и единым безсмертным словом премудрости своея видимаго и невидимаго вся сотворшаго, и самодержавным божественным духом вся оживляющаго, и недреманным // оком на вся призирающаго, и утешения благаго всем чело-
 веком подающаго, его же в трех имяхъ трепещут и боятся небесная и земная и пресподняя. Того единого бога в троицы чтем и поклоняемся и трисятельнаго его всемогущаго божества неизреченным милосердием живем и движемся и пребываем // и величеству его славу воссылаем. Сего убо бога нашего, в троицы славимаго, милостию от великого государя, царя и великого князя Алексея Михайловича — всеа Великия и Малыя и Белья

* დოკუმენტი შედგენილია იმერეთის სამეფო კარზე. წარმოადგენს დედანს და ჩართულია საქმეში.

** ამის შემდეგ ალექსანდრე III-ის საჩუქრები რუსულ ენაზეა ჩამოთვლილი.

Росий самодержца Московского, Киевского, Владимирскаго, Новгородскаго, царя Казанскаго, царя Астраханскаго, царя Сибирскаго, государя Псковскаго и великаго князя Литовскаго, Смоленскаго, Тверскаго, Югорскаго, Пермскаго, Вятцкаго, Болгарскаго и иных государя и великаго князя Новагорода, низовские земли Черниговскаго, Рязанскаго, Полотцкаго, Ростовскаго, Ярославскаго, Белоозерскаго и всея северные страны повелителя и государя, иверские земли Карталинских и Грузинских царей и кабардин- // ские земли Черкасских и Горских князей и иных многих государств и земель восточных и западных и северных отчича и дедича и наследника и государя и обладателя, нашего царскаго величества* Меретинские земли Александру царю наше царское милостивое слово.

Присылал еси к нам, великому государю, к нашему царскому величеству, послов своих — Ивана Лукина с товарищи з грамотою, и мы, великий государь, наше царское величество вас, Александра царя, пожаловали, послом вашим наши, царского величества, очи видети вскоре и грамоту вашу у них велели принять и перевести и выслушали милостиво. А в грамоте своей к нам, великому государю, Александр царь писал: на чем // нам, великому государю, нашему царскому величеству, перед нашими, царского величества, посланники крест целовал, что быти тебе, Александру царю, под нашею, царского величества, высокою рукою в вечном подданстве, и вы на той своей правде стоите и впред стояти хотите крепко и неподвижно. Да вы ж, Александр царь, по нашему, царского величества, указу, подданного нашего — Грузинскаго Теймураза царя и внука ево царевича со всеми ево бояры у себя держал и честь и береженье к ним держал, и в подъеме к нам, великому государю, Теймуразу царю помоч учинил. Так же и царицу ево и царевича учнешь держати в чести и в бережье. И мы, великий государь, наше царское величество, // тебя, царя Александра, жалуем, милостиво похваляем и учнем вас держати в нашем государском милостивом жалованье и от недругов ваших во оборони и в защищении. А тебе б, царю Александру, видя к себе нашу, царского величества, премногую милость и жалованье, нам, великому государю, и сыну нашего царского величества, благоверному царевичю и великому князю Алексею Алексеевичю — всеа Великия и Малыя и Белья Росий, служити и добра всякого хотети и быти под нашею, царского величества, высокою рукою со всею Миритинскою землею навеки неотступно, на чем ты, царь Александр, и ваши ближние люди нам, великому государю, нашему царскому величеству по святой непорочной евангелской заповеди перед посланники нашими веру дали и на записи крест целовали. А послов ваших мы, великий государь, пожаловав нашим государским желованьем, отпустили к вам, а с ними послали к тебе, царю Александру, нашего царского величества жалованья: соболей на е (5000) рублей, П (80) сороков соболей добрых.

Писан в государствия нашего дворе, в царствующем граде Москве, лета от создания мира 7166 (1658)-м году, месяца июня кз (27) день.

ЦГАДА, ф. 110, оп. 1, 1658 г., ед. хр. 2, лл. 1—6.

* გამოტოვებული სიტყვა подданию.

Г. Г. САИТИДЗЕ

МАТЕРИАЛЫ ИЗ ИСТОРИИ РУССКО-ИМЕРЕТИНСКИХ
ОТНОШЕНИЙ (50-ЛЕ ГОДЫ XVII В.)

Резюме

Настоящая работа посвящена одному из интереснейших периодов истории русско-грузинских отношений, в частности, отношению имеретинского царя Александра III (1639—1660) с российским царством в 50-ых годах XVII века. В основу исследования легли четыре документа, хранящиеся в Центральном Государственном Архиве Древних Актов (ЦГАДА) г. Москвы — три грамоты, отправленные Александром III великому государю России Алексею Михайловичу и ответное письмо последнего.

Данные документы, известные также грузинским ученым, впервые являются предметом специального изучения и печатаются полностью.

В основной части работы дается их анализ и определяется их историческая ценность.

წარმოადგინა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რუსეთის ისტორიის კათედრამ

მერაბ კალანდიაძე

ფრიდრიხ შილერი და ისტორიული მეცნიერება

ქართველი საზოგადოება ძალიან კარგად იცნობს ფრიდრიხ შილერის მხატვრულ შემოქმედებას, მის დრამატურგიას¹. შილერი როგორც ისტორიკოსი შედარებით ნაკლებადაა ცნობილი. ეს არცაა გასაკვირი, რადგან შილერი როგორც მწერალი ვაცილებით უფრო მაღლა დგას ისტორიკოს შილერზე. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შილერი როგორც ისტორიკოსი ხელწამოსაკრავი ფიგურა იყო². ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული პრობლემა ჯერ არ გამხდარა საგანგებო შესწავლის საგანი³. ამიტომ, ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნით შეგვეცოცო ეს ხარვეზი და სპეციალური კვლევის საგნად ვაგვეხადო პრობლემა: შილერი, როგორც ისტორიკოსი. ამ საკითხის გამოკვლევა საშუალებას მოგვცემს შევავსოთ შილერის შემოქმედების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი.

საინტერესოა შილერის შეხედულებები მთლიანად ისტორიულ პროცესზე ე. ი. მის მიერ ისტორიის გააზრება და ცალკეული ისტორიული სიუჟეტების ინტერპრეტაცია. ამიტომ გამოკვლევა შილერის, როგორც ისტორიკოსის შესახებ შეიცავს ორ ასპექტს: ზოგად თეორიულსა და კონკრეტულ ისტორიულს. თითოეული მათგანი თავის მხრივ მოიცავს პრობლემების მთელ კომპლექსს, რომლებიც თავისუფლად შეიძლება ცალკე კვლევის საგანი გახდეს.

შილერის, როგორც ისტორიკოსის შესახებ გამოკვლევა არასრულყოფილი იქნება თუ არ განვსაზღვრეთ მისი ადგილი ისტორიულ მეცნიერებაში. ფრიდრიხ შილერის სახით საქმე გვაქვს განმანათლებელთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელთან. იგი განმანათლებლური ანტიფეოდალური ისტორიოგრაფიის ზომიერი ფრთის წარმომადგენელი იყო⁴. შილერი შეიძლება ჩაითვალოს XIX ს-ის დასაწყისის ლიბერალურ-პროგრესულ გერ-

¹ შ. რევიშვილი, ფრიდრიხ შილერი და ქართველი საზოგადოება, თბ., 1959; ნ. ურუშაძე, ფრიდრიხ შილერი ქართულ სცენაზე, თბ., 1956; ე. კიკნაძე, შილერი ქართულ სცენაზე, თბ., 1957; დ. ლაშქარაძე, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1972, გვ. 5—153; გრ. ხავთასი, ნარკვევები გერმანული ლიტერატურის ისტორიიდან, ნაწ. I, თბ., 1953.

² Th. S ch i e d e r, Schiller als Historiker—in Historischen Forschungen und Proben, P. Rasow 70 Geburtstag, Wiesbaden, 1961, გვ. 216—234.

³ მ. კალანდიაძე, შილერი როგორც ისტორიკოსი (ისტორიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა) თსუ-ს შრომები, ისტორიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნებათმცოდნეობის სერია, ტ. 127, თბ., 1982, გვ. 160—166.

⁴ ზოგიერთი მკვლევარი არ ითვლისწინებს „შტურმ უნდა დრანგის“ პერიოდის შემდგომ შილერის მსოფლმხედველობის ევოლუციას და უზუსტობას ჩადის შილერის როგორც ისტორიკოსის შეფასების დროს. О. В а й н ш т а й н, Историография средних веков, М., 1940, გვ. 130.

11. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1992, № 4.

მანელ ისტორიკოსთა, უპირველეს ყოვლისა, შლოსერის სკოლის, თვალსაჩინო წინამორბედად. ამიტომ საეხეობით კანონზომიერად მიგვაჩინა მთელი რიგი კონკრეტული ისტორიული მოვლენების შეფასების დროს შილერის და შლოსერის შეხედულებების მსგავსება. (საფრანგეთის დიდი რევოლუცია, აშშ-ს რევოლუცია, ფრონდა).

მომდევნო პრობლემა, რომელიც ამ საკითხის მკვლევრის წინაშე წამოიჭრება არის შილერის გავლენა XIX—XX საუკუნეების ისტორიოგრაფიაზე. საგულისხმოა, რომ სხვადასხვა მიმართულების ისტორიკოსები შილერს თავიანთ მასწავლებლად აცხადებენ. არისტოკრატი ტოკვილი თავის ნაშრომში „ძველი რეჟიმი და რევოლუცია“, მიუთითებს, რომ დიდადაა დავალებული შილერისაგან⁵. ჭება-დიდებით მოიხსენიებს შილერს ინგლისელი ისტორიკოსი ტ. კარლაილი⁶. XX საუკუნის გერმანელი სოციოლოგი ა. ვებერი თავს შილერის მოწაფედ აცხადებს⁷. შილერის გავლენას ეძებენ თანამედროვე გერმანულ ფილოსოფიაზე⁸. მასალის ასეთი სიმდიდრე საშუალებას იძლევა ეს საკითხი ცალკე გამოვყოთ. მას ალბათ, ერთი საინტერესო შრომა შეიძლება მიეძღვნას.

საინტერესოა შილერის შეხედულებები ისტორიის თეორიულ-ფილოსოფიურ საკითხებზე. აღნიშნული საკითხი არ ყოფილა საბჭოთა ისტორიოგრაფიის სპეციალური კვლევის საგანი. ყოველ შემთხვევაში ჩვენ არ გავაჩინა ისეთი მონოგრაფია თუ ნარკვევი, რომელიც აღნიშნულ პრობლემას იკვლევდეს. გაცილებით უფრო ვრცელადაა წარმოდგენილი ამ საკითხისადმი მიძღვნილი უცხოური ლიტერატურა. ერთ-ერთი პირველთაგანი მარგარიტ ჰენზელია, რომელმაც შეისწავლა „შილერის ისტორიის ფილოსოფია მის ისტორიულ ნაწარმოებებში“. მეორე მსოფლიო ომის წინ გამოაქვეყნა თავისი სტატია ფ. კაუფმანმა — „შილერის ისტორიის ფილოსოფია მისი ისტორიული თხზულებების საფუძველზე“¹⁰. ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი რ. ჯ. კოლინგუდი ნაშრომში „ისტორიის იდეა“ მცირე ადგილს უთმობს შილერის შეხედულებების განხილვას¹¹. 1959 წელს ლონდონში გამოვიდა ლუიზა გილდეს ორტომიანი გამოკვლევა — „შილერის ისტორიის ფილოსოფია, ასახული მის დრამებში“¹². ეს მკვლევარები ჩინებულად იცნობდნენ პირველწყაროებს. მათ თავიანთ შრომებში შეკრიბეს საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი ფაქტობრივი მასალა და, რაც მთავარია, საკმაოდ ზუსტად გადმოგვცეს აღნიშნულ საკითხზე შილერის მოსაზრებები, თუმცა ამ პრობლემის ინტერპრეტაციის, განზოგადებისაგან რატომღაც ზოგჯერ თავს იკავებენ, რაც შესაძლოა, იმით აიხსნება,

⁵ А. Токвиль, Старый порядок и революция, СПб, 1906.

⁶ ტ. კარლაილი წერდა: „გოეთემ და შილერმა გახსნეს ჩემთვის ცა და დედამიწა“.

A. Hildebrand, Korlail und Schiller, Berlin, 1913, გვ. 3.

⁷ ე. კოლუა, ისტორიის იმანანტური საზრისი, თბ., 1979, გვ. 49.

⁸ A. Rabe, Schiller im atom zeitalter, Bonn, 1961, გვ. 274.

⁹ M. Hensel Schillers Geschichtsphilosophie in seinen historischen Werken Breslau, 1913.

¹⁰ F. W. Kaufman, Schillers Geschichtsphilosophie auf Grund seiner historischen schriften—in: Monatshefte für den Deutschunterricht, 32, 1942, გვ. 1—8.

¹¹ Р. Дж. Колингууд, Идеи истории, Автобиография, М., 1980.

¹² L. Gildе, Friedrich von Schillers' Geschichtsphilosophie, Veranschaulicht an seiner dramen, Band I und, 2, London, 1959—1960.

რომ ისინი სავსებით ეთანხმებიან შილერის თხზულებებში ამოკითხულ მოსაზრებებს. ამიტომ არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ეს შრომები უფრო მეტად თხრობით, აღწერით ხასიათს ატარებდა და არა ანალიტიკურს.

შილერის მოსაზრებები ისტორიაში პიროვნების და ხალხის როლის შესახებ, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა ისტორიული მეცნიერების განვითარების საერთო დონეს XVIII ს-ის მიწურულს და კარგად თავსდება განმანათლებლური ისტორიოგრაფიის თეორიულ ჩარჩოებში. შილერს ღრმად სწამს, რომ ისტორიას დიდი პიროვნებები წარმართავენ. იგი სხვა განმანათლებლების (ვოლტერი, დიდრო) მსგავსად უნდობლად ეკიდება ხალხის აქტივობას და არ სწამს მისი პოზიტიური როლი ისტორიაში. შილერის თვალსაზრისისადმი მეცნიერების დამოკიდებულება სხვადასხვაგვარია. მკვლევართა ერთი ნაწილი უყოყმანოდ იზიარებს და მხარს უჭერს შილერის შეხედულებებს და მას ლამის ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად მიიჩნევს. ეს ტენდენცია იგრძნობა გერმანელი მეცნიერის ანელიზ ბოხის დისერტაციაში „პიროვნების როლი შილერის თეორიულ და დრამატულ ნაწარმოებებში“¹³. მკვლევართა მეორე ნაწილი, უპირატესად, ბუნებრივია, მარქსისტი ისტორიკოსები, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ შილერის მოსაზრებებს და ამით, რა თქმა უნდა, ამუქებდნენ საქმის ვითარებას. შილერი მშვენივრად ხედავს, რომ დიდ პიროვნებას შესწევს უნარი დააჩქაროს ისტორიული პროცესის განვითარება, მაგრამ შილერი ცოტათი აჭარბებდა, როდესაც ისტორიულ სიტუაციას, ეპოქას, განიხილავს როგორც დიდი პიროვნებების მოღვაწეობის უბრალო ფონს და აქ იგი პიროვნების კულტისაკენ იხრება¹⁴. ხალხისადმი შილერის ნეგატიური დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, შეიცავს გარკვეულ რაციონალურ მარცვალს, რომლის გაგონებაც დიდი ხნის განმავლობაში არ სურდა მარქსისტულ კრიტიკას. აღნიშნულ საკითხზე შილერის მსჯელობის კატეგორიული ტონი მიუღებელია. ძნელია ვამტკიცოთ, რომ ხალხი მხოლოდ ნეგატიურ როლს ასრულებდა ისტორიაში და მისი ყოველგვარი მოქმედება მიწასთან გაეასწოროთ. საჭიროა საკითხისადმი არა ემოციური, არამედ უფრო აწონილი დიფერენციული მიდგომა. უნდა გაიარკვეს როდის ჰქონდა მასების გამოსვლებს პროგრესული ხასიათი და როდის არა.

„ისტორიის კანონზომიერების საკითხი ისტორიის ფილოსოფიის ცენტრალური საკითხია. თუ რა პასუხს ვასცემ ამ კითხვაზე მასზეა დამოკიდებული არის თუ არა ისტორია მეცნიერება. ამიტომ დავას ამ საკითხის გარშემო ცენტრალური ადგილი უჭირავს მატერიალიზმს და იდეალიზმს შორის ბრძოლაში“ — წერს ბულგარელი ფილოსოფოსი ნიკოლა ირიბაჯაკოვი. ამიტომ ამ საკითხზე ფრიდრიხ შილერის შეხედულებები საინტერესო უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ იგი ქართული ისტორიოგრაფიის საგანგებო შესწავლის საგანი არ გამხდარა.

შილერის მთელი შემოქმედება საუკეთესო საბუთია იმისა, რომ მას ღრმად სწამს ისტორიული პროცესის კანონზომიერი განვითარებებისა და პროგრესის

¹³ A. B o c h, Die personalität in Schillers Theorien und dramen, Köln, 1960.

¹⁴ აღნიშნული პრობლემის მიმოხილვა ვცადეთ ნაშრომში: მ. კალანდაძე, ისტორია და პიროვნება ფრიდრიხ შილერის შემოქმედებაში — „საბჭოთა ხელოვნება“, 1981, № 11, გვ. 83—88.

იდეა და მის განხორციელებას ხედავს ძველი დრომოჭმული ფეოდალური საზოგადოების ახალი, უფრო პროგრესული ბურჟუაზიული საზოგადოებით შეცვლაში. ეკონომიკური ფაქტორის უგულვებელყოფა, რასაც რატომღაც დუმილით უვლიან გვერდს შილერის ისტორიული შეხედულებების მთელი რიგი მკვლევრები (ე. ტევსტენი, ტ. კარლაილი, ი. იანსენი, მ. პეტროვი, ნ. კარევი, მ. მიხაილოვსკი-დანილევსკი, გ. ფონ ბელოვი, ედ. ფიუტერი, ფრ. მაინეკე, ე. ბრანდენბურგი, რ. კოლინგველი, თ. შიდერი, გ. მანი, რ. ბუხვალდი, პ. ფონ ვიზე, ჰ. ფონ სბრიკი), შილერის მსჯელობის აქილევის ქუსლია, რაც იმით აიხსნება, რომ XVIII ს-ის მიწურულს სოციალური და ეკონომიკური პრობლემატიკა ჯერ კიდევ სუსტად იყო შესწავლილი.

შილერი ფიქრობდა, რომ ისტორიის კანონებს განსაზღვრავს გეოგრაფიული გარემო, ადამიანის გონის განვითარება და ესთეტიკური აღზრდა. აქ კარგად შეიმჩნევა, ერთი მხრივ, ფრანგი განმანათლებლების მონტესკიესა და ვოლტერის, ხოლო, მეორე მხრივ, კანტის გავლენა¹⁵.

ფრიად საკულისხმოდ მივგაჩნია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიკოსის ე. პანის მიერ გამოქმენილი მოსაზრება, — „ცალკეული ანალიზების დროს ეგებულობთ, რომ შილერის წარმოდგენები ისტორიის პროცესის მსვლელობის შესახებ იმის მრავალ ელემენტს შეიცავს, რაც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ სისტემატურად განავითარა ჰეგელმა მსოფლიო ისტორიის ფილოსოფიაში“¹⁶.

შილერის, როგორც ისტორიკოსის შესახებ არსებული ლიტერატურის ანალიზი და შეფასება ამ დიდი პრობლემის კიდევ ერთი საინტერესო საკითხთაგანია. შილერის ლიტერატურული მემკვიდრეობის მსგავსად მისი ისტორიული შეხედულებების გარშემო ცხარე პოლემიკაა გაჩაღებული. ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ არ ყოფილა სავანგებო მსჯელობის საგანი¹⁷.

საკულისხმოა, რომ შილერის ისტორიულ შეხედულებებს იკვლევდნენ ისეთი თვალსაჩინო ისტორიკოსები როგორც არიან: ნიბური, რანკე, იენსენი, გ. ფონ ბელოვი, ფრ. მაინეკე, ედ. ფიუტერი, ე. ბრანდენბურგი, რ. კოლინგველი, ნ. კარევი, მ. პეტროვი, თ. შიდერი, გ. მანი, ჰ. ფონ სბრიკი, ე. ენგელბერგი, ი. კუჩინსკი. მათ თავიანთი ორიგინალური და საინტერესო მოსაზრებები გამოთქვეს აღნიშნულ პრობლემაზე. ამ მკვლევრების დამოკიდებულება შილერის როგორც ისტორიკოსისადმი, ბუნებრივია, სხვადასხვაგვარია. ასე მაგალითად, ნიბური და რანკე შილერის როგორც ისტორიკოსისადმი უპირატესად ნეგატიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ, რაც იმით აიხსნება, რომ შილერი არ იჩენდა წყაროებისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას. აქ, ნიბური და რანკე, რა თქმა უნდა, სავსებით მართალი არიან და ეს შილერის როგორც ისტორიკოსის სერიოზული ნაკლია, მაგრამ ამის გამო არ ვცნობთ შილერი როგორც ისტორიკოსი მართებული არ იქნებოდა. ეს არის მკაცრი განაჩენი. შეიძლება

¹⁵ Фр. Шиллер, В чем состоит изучение мировой истории и какова цель этого изучения.—собр. соч. т. 4, М., 1956.

¹⁶ ე. ბ. Weimarr Beitrage, 1959, გვ. 189—190.

¹⁷ მ. კალანდაძე, შილერი როგორც ისტორიკოსი — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა საინსტიტუტო მოხსენიების სესიის მასალები, თბ., 1983, გვ. 13—14.

ითქვას, რომ არ გამართლდა ნიბურის წინასწარმეტყველება: „დრო მას (ე. ი. შილერის „ოცდაათწლიან ომს“ — მ. კ.), სანაგვე ყუთში გადაუძახებს“.

მემარჯვენე რეაქციული პოზიციებიდან აკრიტიკებდა შილერის კონცეფციას ისტორიკოსი ი. იენსენი. და მაინც უნდა ითქვას, რომ ისტორიკოსთა დიდი ნაწილი შილერის როგორც ისტორიკოსისადმი უფრო ლიბერალურ მიდგომას იჩენს. ეს შილერის ისტორიული შეხედულებების გააზრების საკითხში სერიოზული წინადადგმული ნაბიჯია, თუმცა ამ შრომებში ყველა პრობლემის ინტერპრეტაცია მისაღები როდია. ამ მიმართულებას შეიძლება მივაკუთვნოთ: მ. პეტროვი, ნ. კარევეი, ედ. ფიუტერი, რ. კოლინგუელი, ფ. მაინეკე, თ. შილერი, გ. მანი. შეიძლება ითქვას, რომ XX ს-ის ისტორიოგრაფიაში იენსენის ხაზი გააგრძელეს გეორგ ფონ ბელოვმა, ერის ბრანდენბურგმა და ჰაინრიხ ფონ სბრაკმა. შილერის როგორც ისტორიკოსის შეფასებისას მარქსისტულ პოზიციებზე იდგნენ: ფრ. მერინგი, ე. ენგელბერგი, ი. კუჩინსკი, რ. ფიშერი, კ-პ პანი, პ. ფრიდლანდერი.

საბჭოთა ისტორიოგრაფია (ო. ვაინშტაინი, ე. კოსმინსკი) შილერს შეცდომით პირველ ყოვლისა მედიევისტად მიიჩნევს. აქ, ცხადია, შემთხვევითი არაფერია. საკითხის ასეთი ინტერპრეტაცია, ვფიქრობთ, ლოგიკურად გამომდინარეობს მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაციის იმ მოდელიდან, რომელიც აღიარებული და მიღებული იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. საქმე ისაა, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფია იყო ერთადერთი ისტორიული სკოლა რომელიც XVI საუკუნეს შუა საუკუნეების ისტორიას მიაკუთვნებდა. ამიტომ ნიდერლანდების რევოლუციის და ოცდაათწლიანი ომის მკვლევარი შილერი, ბუნებრივია, მედიევისტად იქნა მიჩნეული. ყოველგვარი ორიგინალობის და ნოვაციების გაჩენა მიზანშეწონილად მიგვაჩნია გადავიდეთ შილერის ისტორიული შეხედულებების ინტერპრეტაციის იმ მოდელზე, რომელიც მიღებული და აღიარებულია ევროპულ, პირველ რიგში, გერმანულენოვან ისტორიოგრაფიაში, სადაც შილერს როგორც ისტორიკოსს უპირატესად ახალი დროის მკვლევრად მიიჩნევენ.

ფრიდრიხ შილერი ფართო დიპაზონის ისტორიკოსია. მისი მეცნიერული ინტერესები ახალი ისტორიის პრობლემებით არ ამოიწურება. შილერი დიდ ყურადღებას აქცევდა, აგრეთვე, ძველი და შუა საუკუნეების ისტორიას. ძველი ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი შრომებიდან საგულისხმოა „სოლონის და ლიკურგოსის კანონმდებლობა“ და „მონაცემები ადამიანთა პირველი საზოგადოების შესახებ მოსეს ხუთი წიგნის მიხედვით“; ამ საკითხის შესახებ ქართულ ენაზე თითქმის არაფერი დაწერილა, და მას ერთი საინტერესო ნაშრომი შეიძლება მიეძღვნას.

რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო მდიდარ და საინტერესო ფაქტობრივ მასალას შეიცავს პრობლემა შილერი როგორც მედიევისტი. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მისი შრომები ხალხთა დიდი გადასახლებისა და ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ და „მსოფლიოს ისტორიის საკვანძო საკითხების მიმოხილვა იმპერატორ ფრიდრიხ I დროს“. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მედიევისტიკის პრობლემატიკას ეხმაურება შილერის დრამატურგია; „ორლეანელი ქალწული“ და „ვილჰელმ ტელი“. შილერი, როგორც მედიევისტი, ქართულ და რუსულენოვან ლიტერატურაში შეუსწავლელია და ამიტომ მისი გამოკვლევა მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

შილერი, უპირველეს ყოვლისა, ახალი დროის ისტორიის მკვლევარია. მისი ისტორიული შეხედულებების ეს მხარე შედარებით სრულყოფილად შესწავლილად შეიძლება მივიჩნიოთ. ეს პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ეხება მის ფუნდამენტარულ გამოკვლევებს ნიდერლანდების რევოლუციასზე და ოცდაათწლიან ომზე. ვაცილებით უფრო ნაკლები ყურადღება ეთმობოდა შილერის მესამე დიდ გამოკვლევას „ფრანგული არეულობის ისტორია ანრი IV გამეფების წინ“, სავსებით ვეთანხმებით პროფ. ფრანც შილერს, რომ შილერის ეს ნაშრომი არაფრით არ ჩამოუვარდება პირველ ორს. თუ კარგად ჩაუვკირდებით შილერის კერძო წერილებს აქ ვიპოვით მის ცალკეულ საინტერესო გამოთქვამებს და შეფასებებს, ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების შესახებ, რომლის უყურადღებოდ დატოვება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ამიტომ გადავწყვიტეთ შეგვეცხოვესო ეს ხარვეზი და სპეციალური კვლევის საგნად გავგეხადოთ საკითხის ეს მხარე¹⁸.

ახალი ისტორიის მოვლენებიდან შილერი ყველაზე დიდ ყურადღებას, „მსოფლიოს ისტორიოგრაფიის კლასიკურ თემას“ საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციას უთმობდა. შილერის ასეთი დაინტერესება ამ პრობლემით სავსებით კანონზომიერია, ვინაიდან იგი ამ დიდი და დრამატული ისტორიული მოვლენის თანამედროვე იყო. საფრანგეთის რევოლუციისადმი შილერის დამოკიდებულება რთული და მრავალწახნაგოვანია. ცნობას ბასტილის დაცემის შესახებ შილერი ისევე როგორც გერმანიის მთელი ინტელიგენცია ბუნებრივია, აღფრთოვანებით შეხვდა. ეს ძალიან კარგად ჩანს შილერის უახლოესი მეგობრის კაროლინა ფონ ბელივიციის (ვოლცოგენის) მოგონებებიდან¹⁹. ამიტომ ზოგიერთი მკვლევრის (ა. შახოვი, ჯიველეგოვი, გ. კაიზერი) ცდა შეანელოს ბასტილის დაცემით გამოწვეული შილერის ენთუზიაზმი საფუძველს მოკლებულია. საფრანგეთის რევოლუციის პირველი ეტაპისადმი (1789—1792) შილერის კეთილგანწყობილება ყოველგვარ ეჭვსგარეშეა. ეს გასაგებიცაა. რევოლუციის მსვლელობა ამ წლებში სავსებით შეესაბამებოდა შილერის პოლიტიკურ იდეალს კონსტიტუციურ-მონარქიას. ალბათ, ძალთა ეს ბალანსი არც დაირღვეოდა, რომ არა სავარეო პოლიტიკური გაართულებები 1792 წლის გაზაფხულზე. აქ უპირველეს ყოვლისა, ცხადია, ვკლდისხმობთ ომის დაწყებას ევროპასთან 1792 წლის 20 აპრილს. 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალების შედეგად დაემხო მონარქია და საფრანგეთი რესპუბლიკა გახდა. შემთხვევითი

¹⁸ ზოგიერთი საკითხის მოკლე მიმოხილვა ვცადეთ: მ. კალანდაძე, დეკაბრისტებისა და ფრიდრიხ შილერის ისტორიული შეხედულებების ზოგიერთი ანალიზი, „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“, 1976 წ., № 1, გვ. 16—18; მ. კალანდაძე, ზოგი რამ აშშ ევრონულ-განმათვისებულზელი მოძრაობის შესახებ, „ისტორია საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“, 1976, № 4 გვ. 60—64; მ. კალანდაძე, ფრიდრიხ შილერის მსოფლმხედველობის ერთი საკითხის თაობაზე, „მაცნე“, ვნისა და ლიტერატურის სერია, 1979, № 3, გვ. 69—73; მ. კალანდაძე, ფრიდრიხ შილერის ისტორიული შეხედულებები, „საუნჯე“, 1986, № 3, გვ. 307—312; მ. კალანდაძე, ფრიდრიხ შილერი საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონის შესახებ — საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანთა IX რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, 1983, გვ. 28—30; მ. კალანდაძე, შილერი ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის და ფრანდის შესახებ — ახალგაზრდა მეცნიერ-ისტორიკოსთა IV რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბ., 1984, გვ. 170—171.

¹⁹ Schillers Lebon von Korlino von Wolzogen, Stuttgart, გვ. 170.

როდია, რომ საფრანგეთის რევოლუციის მსვლელობით შილერის უკმაყოფილების პირველმა სიმპტომებმა, სწორედ 1792 წლის 10 აგვისტოს ისტორიული მოვლენების შემდეგ იჩინეს თავი. საქმე ისაა, რომ საფრანგეთის რევოლუციის მსვლელობა ვასცდა შილერისათვის სასურველ ფარგლებს. მისთვის, უპირველეს ყოვლისა, მიუღებელი აღმოჩნდა საფრანგეთის რევოლუციის შემდგომი გაღრმავება, რესპუბლიკური წყობა, რომლისადმი მისი დამოკიდებულება ცალსახად მტრულია. შილერის კერძო წერილები 1792 წლის შემოდგომაზე ამის ნათელი ილუსტრაციაა. კონსტიტუციური მონარქიის მოტრფიალე შილერი, ბუნებრივია, იაკობინელთა დიქტატურის შეფასების დროს ბოლომდე პირთუვენელი ვერ იყო. გერმანელი ლიტერატურათმცოდნე ა. აბუშის თქმით, „იაკობინელთა დიქტატურა შილერისათვის ისტორიის გამოუცნობ გამოცანად იქცა“. საფრანგეთის რევოლუციაზე შილერის შეხედულებებს, რა თქმა უნდა, ჰქონდა თავისი ღირსებებიც და ნაკლოვანებებიც და ამიტომ მისი მუქი საღებავებით წარმოჩენა მართებულად არ მიგვაჩნია.

საკმაოდ მდიდარ მასალას შეიცავს კვლევისათვის შილერის მიერ ევროპის ცალკეული ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა, გერმანიის ისტორიის გააზრება. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა შილერის „ოცდაათწლიანი ომის“ განხილვა²⁰.

შილერის ისტორიული დრამების ისტორიულ ასპექტში შესწავლას სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ეს ერთი დიდ საკითხთაგანი თუ შეიძლება ასე ითქვას, ლიტერატურათმცოდნეობამ ისტორიკოსებს დაუტოვა საკვლევად. ამ შემთხვევაში საინტერესოა შემდეგი საკითხები: 1. შილერის ისტორიული დრამები როგორც XVIII ს-ის მიწურულის გერმანიის ისტორიული აზრის განსახიერება; 2. ისტორიული და სცენიური შილერის ისტორიულ დრამებში; 3. შილერის აზრები ისტორიული და მხატვრული სინამდვილის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ²¹.

ჩვენთვის საინტერესო პრობლემის ერთ-ერთი სერიოზული საკითხია შილერის შემოქმედება როგორც XVIII ს-ის მიწურულის გერმანიის ისტორიის შემსწავლელი დამხმარე წყარო. რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ახალი და უახლესი ისტორიის მკვლევრისათვის ლიტერატურული ნაწარმოები პირველწყარო „შეიძლება ვილაპარაკოთ ამ მნიშვნელობის სამ შემთხვევაზე: მხატვრული ნაწარმოები როგორც წყარო კულტურის ისტორიისათვის, წყარო საზოგადოებრივი ზნე-ჩვეულებებისა და ხასიათის შესახებ, და, ბოლოს, წყარო

²⁰ შილერის შემოქმედებაში ინგლისის ისტორიის საკითხები განხილულია ნაშრომში: მ. კალანდაძე, ფრიდრიხ შილერი და ინგლისის ისტორია — თსუ-ის შრომები, ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ეთნოგრაფიის სერია, ტ. 310, თბ., 1992; ვფიქრობთ, ერთი საგანგებო გამოკვლევა შეიძლება მიეძღვნას პრობლემას „შილერი და საფრანგეთის ისტორია“, ალბათ, ცალკე საინტერესო ნაშრომია „შილერი და რუსეთის ისტორია“. მხედველობაში გვაქვს მისი დაუმთავრებელი დრამა „ღემეტრუსი“.

²¹ ამ საკითხს ეძღვნება: მ. კალანდაძე, შილერი და ჟანა დარკის ისტორია, „საბჭოთა ხელოვნება“, 1980, № 2, გვ. 61—66; მ. კალანდაძე, ფრიდრიხ შილერი და „მარიამ სტიუარტის“ ისტორია, „საბჭოთა ხელოვნება“, 1984, № 3, გვ. 130—136; მ. კალანდაძე, ფრიდრიხ შილერის „დონ-კარლოსის“ ისტორია, „საბჭოთა ხელოვნება“, 1985, № 9, გვ. 22—27; მ. კალანდაძე, ფრიდრიხ შილერი და ვილჰელმ ტელის ამბავი, „ხელოვნება“, 1990, № 6, გვ. 131—137.

ისტორიულ საზოგადოებრივი აზრისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლისა²². თითოეული ამ საკითხის შესახებ შილერის შემოქმედება ძალიან მდიდარ და მრავალფეროვან მასალას იძლევა გამოკვლევებისათვის და მას, ალბათ, ერთი საგანგებო ნაშრომი შეიძლება მიეძღვნას.

როდესაც ისტორიული მეცნიერების წინაშე ფრიდრიხ შილერის წვლილზე საუბრობენ არაფერს ამბობენ მის ერთ, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან დამსახურებაზე. აქ მხედველობაში გვაქვს მისი საქმიანობა წყაროთმცოდნეობის სფეროში, რომელიც თითქმის შეუსწავლელია და მას დუმილით უვლიან გვერდს. ის მცირერიცხოვანი მკვლევრები, რომლებიც შილერის ისტორიულ შეხედულებებს ეხებიან. (იენსენი, ფიუტერი, ჯ. ფონ ბელოვი, ბრანდენბურგი, ნ. კარევეი, შიდერი, მანი, ვიზე, ბუნვალდი, სბრიკი, ენგელბერგი, კუჩინსკი, ფრიდლიანდერი ო. ვაინშტაინი, ე. კოსმინსკი), ვასათვალისწინებელია, რომ XVIII ს-ის მიწურულს, წყაროთმცოდნეობა ჯერ კიდევ სუსტად იყო განვითარებული და შილერმა ზოგიერთ წყაროს, განსაკუთრებით კი მემუარების გამომხეურებით, უდავოდ, ფასდაუდებელი საქმე გააკეთა, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ წყაროების გამოცემა იმ დროს საკმაოდ პრიმიტიული, მარტივი, ხასიათისა იყო.

ფრიდრიხ შილერის ისტორიული მემკვიდრეობის შესწავლის დროს ჩვენ ვხელმძღვანელობდით შემდგომი კრიტერიუმით: 1. ის სიახლე, რომელიც შილერმა შეიტანა ისტორიული აზროვნების განვითარებაში თავის წინამორბედებთან შედარებით; 2. რამდენად შეინარჩუნეს შილერის გამოკვლევებმა აქტუალობა შემდგომ პერიოდში. შილერის ისტორიული ნაწერები ორივე იმ მოთხოვნას, ჩვენი აზრით, უეჭველად აკმაყოფილებს. შილერის როგორც ისტორიკოსის თვალსაზრისი, უდავოდ, წარმოადგენს წინგადადგმულ ნაბიჯს შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიასთან შედარებით. ის განმანათლებლური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. შილერის ისტორიული გამოკვლევების ბრწყინვალე ლიტერატურული სტილი; ეროვნულ-გამანათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერა, დესპოტიზმის, ტირანიის წინააღმდეგ დაუცხრომელი ბრძოლა, დიდად უწყობდა ხელს იმას, რომ შილერის შრომებმა შემდგომ პერიოდში შეინარჩუნეს ღირებულება და აქტუალობა.

²² И. Бисек, Курс лекций по источниковедению новой и новейшей истории, Тамбов, 1971; И. Григорьева, Источниковедение новой и новейшей истории стран Европы и Америки, М., 1984.

ლალი მიქელაძე

აბაკი ხოშტარია

ქამთა დაუდგომელი ბრუნვა თანდათან დავიწყების ბურუსში ხვევს იმ რჩეულ მამულიშვილთა სახელებს, ვინც მშობელი ხალხის ბედ-იღბალზე ზრუნავდა და მათი ნათელი მომავლისთვის იღვწოდა. ამ ღირსეულ ადამიანთა გახსენება, რუსთველის თქმისა არ იყოს, მართლაცაა „აროდეს გვიზამს ზიანსა...“.

აბსოლუტში აყვანილმა კლასთა ბრძოლის თეორიამ ბევრი სახელი დაგვიკარგა. წარსულის გამოჩენილი პიროვნებები, რომელთა საქმიანობა ხელს უწყობდა ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებას, ობიექტურად გამოხატავდნენ ისტორიულ პროცესებს. განსაკუთრებული ტაბუ დაედო კაპიტალიზმის ეპოქის ცნობილ პიროვნებებს, მათ, ვისი სახელიც დაკავშირებულია მრეწველობის, ვაჭრობის განვითარებასთან. რაოდენ სასიხარულოა, რომ დღევანდელი საქართველო, ქართული საზოგადოებრივი ცნობიერება თანდათან უბრუნდება განვითარების ბუნებრივ-ისტორიულ გზას. დღეს წარსულში ვეძებთ იმ ნათელ სახელებს, რომლებმაც ხვალისკენ გზა უნდა გაგვიკვლიონ.

პიროვნებამ, ვის შესახებაც მსურს გესაუბროთ, ბევრი კეთილი საქმე გააკეთა საქართველოსთვის, მაგრამ მისი სახელი ბედუკუდმართობისა თუ ისტორიული კატაკლიზმების გამო, ნაკლებადაა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის, თუმცა კი თავის დროს, დიდმა ილია ჭავჭავაძემ აღტაცებითა და სიყვარულით უსახსოვრა ლექსების კრებული წარწერით, როგორც ჭეშმარიტ ქართველსა და საქმით პატრიოტს.

ეს პიროვნება გახლავთ წარსულში ცნობილი ქველმოქმედი და მეცენატი, კაპიტალისტი — აკაკი ხოშტარია. საინტერესო და რთული ცხოვრების გზა განვლო მან. აკაკი წარმოშობით სუჯუნელი საეკლესიო აზნაურების ისტორიული შტოდან იყო. მან ყმაწვილობიდანვე ხელი მიჰყო ფართო სავაჭრო საქმიანობას. ა. ხოშტარიას მთავარი სამრეწველო და სავაჭრო ასპარეზი სპარსეთი იყო. იგი საკმაოდ დაახლოებული პირი იყო სპარსეთის შაჰის კარზე, ვინაიდან იყო ნათლია გარდაცვლილი შაჰის — მუჰამედ რეზა ფეხლევის. მას ირანში ჰქონდა საკუთარი რკინიგზა ორ დიდ ქალაქს შორის, და მთელი ამ ტერიტორიების მიწები მის მფლობელობაში ითვლებოდა, ჰქონდა მონოპოლია საბნის წარმოებაზე, თევზის სარეწები, ვაჭრობდა მატყლით ინგლისელებთან და, რაც მთავარია, იყო სპარსეთის ნავთობის კონცესიების მფლობელი. მთელ მის ოპერაციებს ამიერკავკასიაში და სპარსეთში ხელმძღვანელობდა მის მიერ დაარსებული ფირმა — „რუპენტო“ (Русско-персидское нефтяное товарищество), რომლის პრეზიდენტიც თავად იყო. ეს იყო ყველაზე დიდი და ყველაზე ძლიერი ფირმა, რისი მსგავსიც კი ქართველებს ოდესმე შეუქმნიათ.

აღნიშნულმა ფირმამ და კონსტანტინეპოლში დაარსებულმა თურქულ-სპარსულმა „ხოშტარიას ბანკმა“ ურთულესი სავაჭრო კომბინაციებით მსოფ-

ლიოს წამყვანი სახელმწიფოების სეკაპრო წრეები დაინტერესა. ხოშტარიას მფლობელობაში ითვლებოდა ბაქოში არსებული ნავთობის სარეწები, კასპისპირა ქალაქ ენზელის ელექტროქსელი, თბილისში არსებული მექანიკური ქარხნები და სხვა მრავალი საწარმო.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი ქველმოქმედება და მეცენატობა. ა. ხოშტარიასათვის სამშობლოზე ზრუნვა უმთავრესი და უპირველესი მიზანი იყო. ქველმოქმედების სფეროში მთლიანად გამოვლინდა მისი, როგორც პიროვნების, მთელი რიგი ღირსებები. ქველმოქმედებისათვის ხელს არ უშლიდა ის გარემოება, თუ სად ცხოვრობდა — მშობლიურ საქართველოში, ევროპასა თუ ამოსავლეთის ქვეყნებში. მას სწამდა, რომ ამ სოფელში ყოველივე ამაოა, ყოველივე კვდება გარდა კეთილისა, სიმშვიდისა, ძმათა სიყვარულისა... დროს ყველაფერი მიაქვს, არ კვდება მხოლოდ კეთილ საქმეთა ხსენება...

ა. ხოშტარია ნამდვილ მამობრივ მზრუნველობას უწევდა ქართველ ახალგაზრდებს, ვისაც განათლების მიღების სურვილი ჰქონდა, მაგრამ საამისოდ ეკონომიკური საშუალება არ გააჩნდა. ბერლინისა და პარიზის უნივერსიტეტებში მის პირად ხარჯზე სწავლობდნენ ქართველი სტუდენტები, რომელთაგანაც ბევრი მოგვიანებით ცნობილი მეცნიერი გახდა.

მისი დაფინანსებითა და უშუალო ხელმძღვანელობით გაშენდა ბათუმის მთავარი ზღვისპირა ბულვარი, მახინჯაურის ბოტანიკური ბაღი, ახალი ათონის ცენტრალური პარკი. ფართო იყო აკაკი ხოშტარიას ქველმოქმედების სფერო. მან საფრანგეთში ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ და პრესტიჟულ გალერეაში, მადლენის მოედანზე, რომელსაც „გალერი როზენბერგი“ ერქვა, და სადაც მხოლოდ უფლება ჰქონდათ გამოეფინათ თავიანთი ტილოები, ისეთ ცნობილ და მოდურ მხატვრებს, როგორებიც იყვნენ მაშინ — პიკასო, მატისი, დერენი, ბრაკი, და კუბიზმის მთელი რიგი წარმომადგენლები, შეიძინა ჩვენი სასიქადულო მხატვრის ლადო გუდიაშვილისა და ცნობილი კუბისტის ანდრე ლოტის სურათები და საჩუქრად გამოუგზავნა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს. მანვე საქართველოში ახლად შექმნილ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ბაქოდან გამოუგზავნა რვა ათასი მანეთი შემოწირულობა. იგი საზოგადოებამ თავის მზრუნველ წევრად აირჩია.

ა. ხოშტარიამ ნ. ნიკოლაძის ინიციატივით თავისი ხარჯებით გაიყვანა რკინიგზა ფოთსა და აბაშას შორის. მას სამშობლოსთან კავშირი არც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაუწყვეტია. 20-იან წლებში, როდესაც ჩვენს ქვეყანას აკლდა პური, იგი თავისი ფულით ირანში ყიდულობდა პურს, აგზავნიდა ბაქოში, და ეს შემოტანილი პური ცნობილი იყო „ხოშტარიას პურის“ სახელით. ამ ფაქტთან დაკავშირებით იგი ოფიციალურ მიღებაზე იყო ლენინთან და დააარსა კომპანია — „ხოშტარია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა“.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 1922 წლის გენუის კონფერენციის საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენლები პარიზში მან დააფინანსა და გამოაწყო მთლიან ანტურაჟში.

დაუსრულებლად შეიძლება საუბარი ა. ხოშტარიას პიროვნებაზე, მის დიდ ეროვნულ საქმეებზე, პიროვნულ ღირსებებზე, თუ როგორ გამოირჩეოდა თვითონ და მისი ოჯახი უდიდესი კეთილშობილებით, სტუმართმოყვარეობით, მოყვასისადმი სიყვარულით, ახლობლებისადმი ყურადღებითა და მზრუნველობით.

იგი თითქმის საერთაშორისო მასშტაბის ცნობილი პიროვნება იყო. პირადად იცნობდა ჩერჩილს, რუზველტს, ჰქონია მათთან შეხვედრები თეირანში შაჰის კარზე.

ყოველივე ასეთი მოკლე ექსკურსის შემდეგ, უნდა ვისაუბროთ ერთ მეტად მნიშვნელოვან და ამავე დროს მტკივნეულ ფაქტზეც. ოჯახური გადმოცემებითა და საარქივო მასალებზე დაყრდნობით ჩვენთვის ცნობილია, რომ 1914 წელს თბილისელმა ქართველობამ სპარსეთში მყოფ ა. ხოშტარიას შეატყობინეს, რომ საჯარო აუქციონზე უნდა გაყიდულიყო ცნობილი ქართველი კაპიტალისტისა და საზოგადო მოღვაწის დავით ზაქარაიას ძე სარაჯიშვილის საცხოვრებელი სახლი სერგეევის (ამჟ. მაჩაბლის) ქუჩაზე და სთხოვეს შეეძინა იგი. აღნიშნული შენობა აგებულია სარაჯიშვილის მიერ 1902 წელს. დავითის გარდაცვალების (1911 წ.) შემდეგ მისი საქმეების მწარმოებლებად ითვლებოდნენ მეუღლე, ეკატერინე ფორაქიშვილი და მისი ძმა ადამ ფორაქიშვილი. აღნიშნული შენობა დავითის ანდერძის მიხედვით, უსასყიდლოდ უნდა გადაცემოდა ქალაქის თვითმმართველობას, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ ჯერ კიდევ ეკატერინეს სიცოცხლეშივე აღნიშნული სახლი საჯაროდ უნდა გაყიდულიყო ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით თბილისელ ქართველობას სურდა, რომ აღნიშნული შენობა, რომელიც თავისი ისტორიითა და არქიტექტურული მნიშვნელობით დიდ ფასეულობას წარმოადგენდა, არ შეეძინა სხვა ეროვნების წარმომადგენელს. მართლაც, ამავე წელს ა. ხოშტარია ჩამოვიდა თბილისში და შეისყიდა ეს სახლი, შეუდგა მის რესტავრაციას და ხელახალ გადაკეთებას. იტალიიდან და გერმანიიდან ჩამოიყვანა მხატვრები, რესტავრატორები და მთელი 4 წლის მანძილზე მათ მთლიანად მოხატეს და გადააკეთეს მთელი სასახლე. აკაკიმ მოაწყო სასახლეში საზაფხულო, ზამთრის ბაღები, ვენეციიდან ჩამოატანინა ლომების და სხვა ცხოველთა ფიგურები, სპარსეთიდან უნიკალური ხალიჩები, მრავალი ანტიკვარული ნივთი. 1919 წელს ახალ სასახლეში მან გამართა დიდი ბანკეტი, სადაც თავი მოუყარა ცნობილ ქართველ საზოგადოებას.

მოგვიანებით, როდესაც დადგა ა. ხოშტარიას საფრანგეთში გამგზავრების საკითხი, მისმა ახლო ნათესავმა პოეტმა დუტუ მეგრელმა (ხოშტარია) მისი პირადი სურვილითა და თანხმობით მიმართა მწერალთა კავშირის მაშინდელ თავმჯდომარეს პაოლო იაშვილს, გადასცა ბატონი აკაკის სურვილი, რომ, იგი თავის სასახლეს იქ დაცული უძრავ-მობრავი ქონებით და ძვირფასი ანტიკვარული ნივთებით მთლიანად უსასყიდლოდ, საჩუქრად უტოვებს ქართველ მწერლებს, რათა იქ მოწყობილი იქნეს ხელოვანთა სასახლე. ეს მართლაც ასეც მოხდა.

ამის შესახებ არსებობს ოფიციალური დოკუმენტი, რომელსაც ქვემოთ ვთავაზობთ:

„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი, ფონდი № 8, 1921 წ. აღწ. № 1.

საქართველოს რევკომის მომართვა ხოშტარიას სახლის საქართველოს მწერალთა კავშირისათვის გადაცემის შესახებ.

საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს

რევოლუციონური რევკომის დადგენილებით ხომტარიას სახლი, რომელიც იმყოფება სერგიევის ქუჩაზე გადაცემულია საქართველოს მწერალთა კავშირისათვის, რათა იქ მოწყობილ იქნეს ხელოვანთა სასახლე. ეს ბინა განთავისუფლებულია რევკომისათვის, ჩასახლებისა და შეზღუდვისაგან.

თავმჯდომარე: (შალვა ელიავა)
მდივანი: (მ. მიქაძე)

ამ იურიდიულ დოკუმენტთან ერთად არსებობს აკაცის მიერ სასახლეში საჩუქრად დატოვებული უძვირფასესი ანტიკვარული ნივთების სია — ოფიციალური დოკუმენტის სახით. მოკლედ ჩამოვთვლით ნივთების ნაწილს ამ დოკუმენტიდან, რომ ვიზუალური წარმოდგენა შეიქმნას თუ როგორი ღირებულების ფასეულობასთან გვაქვს საქმე. ესენია:

1. სპარსული ხალიჩები; 2. ბრინჯაოსა და ბროლის ქალები — ოთახების რაოდენობის მიხედვით; 3. სპილოს ძვლის მინიატურები; 4. ქალისა და მამაკაცის მრავალნაირი ფიგურები; 5. შანდლები; 6. მინისა და ფაიფურის ვაზები; 7. ცხოველებისა და ფრინველების ფაიფურის ფიგურები; 8. ცხოველთა ფიტლები; 9. ანტიკვარული ავეჯი და სხვა მრავალი ნივთი.

მთელი ნივთების სია წარმოდგენილია ოთახების რაოდენობის და მათი დანიშნულების მიხედვით. აღწერილია კონკრეტულად ნივთების რაოდენობა, მათი ანტიკვარულობის დამადასტურებელი იარაღიყებით.

აქვე წარმოდგენთ ნივთების მოკლე სიას, რომლებსაც განსაკუთრებული ისტორიული და ანტიკვარული ღირებულება აქვთ:

სურათები და ნივთები:

1. სპარსული მინიატურა (10 ცალი); 2. „ლეილი და მეჯნუნი“ სპარსული ხელობის სურათი (1 ც.); 3. სპარსი შაჰების პორტრეტები (3 ც.); 4. მიილიკა სპარსული მხატვრობით, მრგვალი ხის მაგიდით (1 ც.); 5. პორტრეტი „Duchess of Devonshire“ სპილოს ძვალზედ შესრულებული მინიატურა, დახატული Yruse-ს მიერ, ბრინჯაოს ჩარჩოში; 6. უცნობი ქალის პორტრეტი. მინიატურა სპილოს ძვალზედ, ბრინჯაოს ჩარჩოში.

ფაიფურის ნივთები:

7. ქალის ფიგურა. XVIII ს-ის ტანსაცმელში (1 ც.); 8. მჯდომარე ქალი, სართავით ხელში (1 ც.); 9. რუსის დედაკაცი (მარკა — Гарднер, Москва) (1 ც.); 10. მამაკაცის ფიგურა, XVII ს-ის ტანსაცმელში (1 ც.); 11. ახალგაზრდა ქალის ფიგურა XVIII ს-ის ტანსაცმელში (1 ც.); 12. გუფი. ერთი ქალი და ორი ვაჟი მაგიდასთან (1 ც.); 13. კედლის კრონშტეინი (მარკა X) (1 ც.); 14. რუსის ტიზი (მარკა — Ф. Гарднер, Москва) (1 ც.); 15. მამაკაცი ძაღლით და ორი სალამურით — (მარკა — Б. Корниловых, СП) (1 ც.); 16. ტყავის მკეთებელი ქალი; 17. იგივე ქალი სხვაგვარად გაფერადებული; 18. ორი პატარა ვაზა (ერთნაირი); 19. ვაზა თავისი ხუფით; 20. ფართე ვაზა თავისი ხუფით;

21. ორი პატარა ვაზა (მარკა — Emille, Galle, Nancy, Paris) (2 ც.); 22. ფერადი მინის ვაზები (7 ც.); 23. ცალხელიანი ვაზა (2 ც.); 24. წვრილყელიანი ვაზა (1 ც.); 25. მოკლეყელიანი ვაზა (1 ც.); 26. ფართეყელიანი ვაზა (1 ც.); 27. ვაზა მინის № 39831 (მარკა — Galle) (1 ც.); 28. მწვანე ფერის ვაზა (მარკა БФ) (1 ც.); 29. ღვინის ფერი ვაზა (1 ც.); 30. ფაიფურის ვაზა (1 ც.); 31. ხილის ვაზა (მარკა — Dresden, Germany) (1 ც.); 32. მოწყალების და — (მარკა — Dannmark B. C.) (1 ც.); 33. ცხოველებისა და ფრინველთა ფაიფურის ფიგურები (39 ც.); 34. ვაზა „კლუზონე“ (2 ც.);

ხის ნივთები:

35. კარადა „მარკეტრი“ (1 ც.).

ზემოთ ჩამოთვლილი ნივთების საინვენტარიზაციო ნუსხას ხელს აწერენ ფრიად ავტორიტეტული პირები: დიმიტრი შევარდნაძე, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, შალვა ამირანაშვილი, რომლებიც შედიოდნენ საქართველოს ეროვნული გალერეის სამხატვრო საბჭოში.

ჩვენდა სამწუხაროდ, საქმე გვაქვს უპრეცედენტო ფაქტთან. აღნიშნული სამუზეუმო ნივთები, რომელთა ნუსხაც თითქმის მთელ საქალაქდეს იტევს, დატაცებული და მითვისებული იქნა გარკვეული მწერლებისა და კერძო პირების მიერ.

ჩვენთვის ცნობილია, იმდროინდელი მწერალთა კავშირის შემადგენლობა თავმჯდომარის ჩათვლით, გვაქვს მონაცემები და ინფორმაცია იმ მწერლებზე და კერძო პირებზე, ვინც იკადრა ასეთი სამარცხვინო, ანტიეროვნული და მწერლური ღირსებისათვის შეუფერებელი საქციელი, მიიტაცა ეროვნული საგანძური თავიანთი პირადი, მუშხანური გემოვნების დასაკმაყოფილებლად.

მოგვიანებით, მეუღლის — მინადორა თურქიას გარდაცვალების შემდეგ, 1924 წ. 24 დეკემბერს, უკვე საფრანგეთში მყოფმა ა. ხოშტარიამ, თხოვნით მიმართა სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტს, რათა მისთვის დაებრუნებიათ მეუღლის პირადი ნივთები და ფოტოსურათები.

გთავაზობთ აღნიშნულ საარქივო დოკუმენტს:

მასალები აკაკი ხოშტარიას კუთვნილი ნივთების დაბრუნების შესახებ (განცხადება, მიმართვები, სია).

1924 წ. 27 დეკემბერი

1925 წ. 9 აპრილი.

ტექსტი

სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტს,
მოქალაქე აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარიასი
რწმუნებულის, ვლადიმერ თურქიასაგან.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარიამ დამავალა მომემართა თქვენთან თხოვნით, რომ თქვენ ნება დართოთ ქვემოჩამოთვლილი ნივთები, რომელსაც არა აქვს არავითარი საერთო ხელოვნებასთან და რომელნიც დაკავშირებულია მისი გარ-

დაცვალებული მეუღლის სახელთან, დაუბრუნდეს მას, რადგანაც ეს ნივთები საქართველოს რესპუბლიკას ეკუთვნის. ამავე თხოვნით მე მივმართე რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს.

დანართი სია.

ვლ. თურქია
 24 დეკემბერი, 1924 წ.
 ქ. თბილისი

გთავაზობთ მოთხოვნილი ნივთების სიას:

1. აკ. ხოშტარია მეგობრებთან. ფოტოგრაფია (2 ცალი ერთნაირ ჩარჩოებში); 2. აკ. ხოშტარია ჯგუფში (1 ცალი ჩარჩოში); 3. აკ. ხოშტარია ცოლით (ფოტოგრაფია მოზაიკურ ჩარჩოში); 4. აკ. ხოშტარია ახალგაზრდობაში ჩუქურთმიან ჩარჩოში. იმავე ჩარჩოში ქალის სურათი ცალკე; 5. დიდი ფოტოგრაფია, (წითელი ხის ჩარჩოში); 6. აკ. ხოშტარია ცოლით (ფოტო ბრინჯაოს ჩარჩოში); 7. ბავშვის სურათი, ფოტო (ბრინჯაოს მრგვალ ჩარჩოში); 8. აკ. ხოშტარიას დედის სურათი. (წითელ ხის ჩარჩოში); 9. ფანქრით ნახატი აკ. ხოშტარიას, მინაღორა და ბავშვი (3 ცალი); 10. 7 ცალი უბრალო ფოტოგრაფია; 11. ფოტოგრაფიული პორტრეტები და სხვადასხვა 13 ცალი (გადაბმული); 12. 10 ცალი ფოტოგრაფია მინიან ჩარჩოში; 13. ბარელიეფი ნამესტნიცი (წითელ ხის ჩარჩოში); 14. ქანდაკება ქრისტეს თავი; 15. ჯვარცმა. ქრისტესი; 16. სპარსეთ-რუსეთის სატყეო ამხანაგობის ალბომი; 17. ალბომი მიან პუშტი; 18. ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის ალბომი; 19. ალბომი, გაგრა (3 ცალი); 20. ადრესი, აკ. ხოშტარიას სამეურნეო სასწავლებლიდან; 21 6 ცალი სხვადასხვა ხატი; 22. ლანდო. მეეტლის ტანსაცმელები და ცხენების მოსარათავი.

ვლ. თურქია.

სიით მოთხოვნილი ნივთები აკაკი ხოშტარიას არ მიუღია, რასაც ადასტურებს, აგრეთვე, საარქივო დოკუმენტი:

ხელოვნების საქმეთა მთავარ საბჭოს პრეზიდიუმს

ამასთანავე ვადგენთ სიას იმ ნივთებისას, რომელთა გადაცემაც განზრახული იყო მოქ. აკ. ხოშტარიასზე, მაგრამ ჯერ არ გადავეიცია, რადგან არც თქვენდგან მივეცი პასუხი, მიწერილობა (№ 32, თებერვლის 11 თარიღით) და ხოშტარიას წარმომადგენლებსაც არ მოუკითხავს დღემდე.

1925 წ. 9 აპრილი.

წინამდებარე წერილის მიზანი იყო მოკლედ მოგვეთხრო ა. ხოშტარიას საინტერესო ცხოვრებასთან დაკავშირებულ ფაქტებზე, რომლებიც უშუალოდ შეეხება მწერალთა ანუ ხელოვანთა სახალისი შექმნას, მის დიდ მამულიშვილურ დამოკიდებულებას ეროვნული საქმისადმი. ა. ხოშტარიას სახელი დიდხანს შეგნებულად, წინაზრახულად იდევნებოდა 30-იან წლებში და მოგვიანებითაც, როცა საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმი დამკვიდრდა და საყოველთაო განუკითხაობა სუფევდა, ადგილი ჰქონდა ბოლშევიკური ვანდალიზმის მთელ რიგ გამოვლენას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. წითელი ტერო-

რი არ ინდობდა არავის და არაფერს, ფიზიკურად ანადგურებდნენ წარჩინებულ ადამიანებს, ისტორიული გვარის წარმომადგენლებს, სდევნიდნენ თავისუფალ, ორიგინალურ აზრს, სპობდნენ ისტორიულსა და კულტურულ ფასეულობებს.

ჩვენი აზრით, დადგა დრო, როდესაც ყველაფერს თავის სახელი უნდა დაერქვას და ა. ხოშტარიას, როგორც დიდებულ მამულიშვილს ღირსეული პატივი მივაგოთ ერისათვის გაწეული ღვაწლის გამო.

მიმდინარეობს ა. ხოშტარიას მშობლიურ აზაშის რაიონის სოფ. სუჯუნაში მისი სახლ-მუზეუმის რესტავრაცია და მშენებლობა, ამიტომ კიდევ ერთხელ შევასხვებთ მწერალთა ოჯახებს, მიტაცებული ნივთები აუცილებლად დააბრუნონ მშენებარე სახლ-მუზეუმში გამოსაფენად. ამასთანავე, სასურველია მწერალთა კავშირის შენობაზე გაკეთდეს მემორიალური დაფა სათანადო წარწერით.

Л. Г. МИКЕЛАДЗЕ

АКАКИЙ ХОШТАРИЯ: БЛАГОТВОРИТЕЛЬ И МЕЦЕНАТ

Резюме

Известный капиталист, благотворитель и меценат Акакий Хоштария начал торговую деятельность в Батуми, где впервые приобрел торговые акции. Основной ареной деятельности Акакия была Персия, где ему принадлежала железная дорога, он торговал шерстью с англичанами, и главное, был владельцем нефтяных концессий Персии.

У Хоштария были свои частные предприятия и в Тбилиси: механический завод, фабрика земледельческих машин, мыловаренный завод и др. Известно, что в Константинополе Хоштария образовал Турецко-Персидский банк, известный как банк Хоштария. В 1914 году Акакий Хоштария выкупил дом крупного промышленника и мецената Давида Сараджишвили.

Когда Хоштария решил отправиться во Францию, он оставил свой дворец (нынешнее здание Союза писателей Грузии) безвозмездно, со всеми хранившимися там вещами. К сожалению, эти вещи вскоре были присвоены разными частными лицами, о чем свидетельствуют официальные документы.

Особо следует выделить его благотворительность и меценатство. Акакий Хоштария поистине по-отечески заботился о грузинской молодежи, о тех, кто желал получить образование, но не имел для этого средств, многие из которых впоследствии стали известными учеными.

О большом патриотизме А. Хоштария свидетельствует тот факт, что он приобрел во Франции и прислал в дар музею искусств Грузии картины нашего славного художника Ладос Гудиашвили и известного кубиста Андре Лота.

Он очень внимательно относился к грузинской национальной сокровищнице, хранившейся меньшевистским правительством во Франции.

Однако имя его, в силу сложившихся превратностей судьбы, да и исторических катаклизмов, мало кому сегодня знакомо. Настало время для того, чтобы по достоинству оценить заслуги Акакия Хоштария перед Родиной.

წარმოადგინა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრამ

გადეცა წარმოებას 12.4.93; ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.10.93; ანაწყოების ზომა 7×12;
ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 15.4; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12.83;
შეკვეთა № 609; ტირაჟი 600;

ფასი 25 კუბ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, დ. გამრეკელის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Д. Гамрекели, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, დ. გამრეკელის ქ., 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Д. Гамрекели, 19

ფაბი 2 შაბ.


ქართული
ინდიკსი-76197